ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 28 სექტემბერი 2007 №20(46)



იზა ორჯონიკიძის ლექსები

ბერგის სიცილი და ბედნიერება

ვინ არის ქალთარაფერა?

ეკლიანი და პატარა გზა

ყაზბეგი და შილერი

რენარის დღიური

შინაარსი

დეტექტიური ცდა	2	**როსტომ ჩხეიძე ეკლიანი და პატარა გზა**
ექსპრეს-ინტერვიუ	10	**რუსული თოლია ქართულ ტბასთან** (საუბარი მიხეილ კაზაკოვთან)
გამოხმაურება	11	**საბა სულხანიშვილი ნინო ყიფიანი „თეთრი გიორგის“ წინაპრად**
პროზა	13	**გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა** (რომანი)
პოეზია	23	**იზა ორჯონიკიძე კვლავაც ძველი ალბომიდან**
უცხოეთის ცხოვრებიდან	27	**ჟიულ რენარი დღიური**
მოგონებათა სკივრი	31	**ქეთო ბიბილაშვილი მოკლედ ჩემი წარსულიდან და აწმყო**
დიალოგი	35	**რას ნიშნავს თავისუფლება** (ლელა ოჩიაურს ესაუბრება მანანა ბერიკაშვილი)
გამოხმაურება	39	**ნინო ვახანია ოდეს კოცნიან ზღურბლს**
	40	**ფატი ფირუაშვილი ვინ არის ქალთარაფერა?**
რეპორტაჟი	41	**ეკა ბუჯიაშვილი წიწამურიდან საგურამომდე** (ილიას მკვლელობის დღის გასახსენებლად)
როგორ ვკითხულობთ კლასიკას	43	**თემურ ამყოლაძე „ელეონორას“ საგულისხმო პარალელები**
ჩემი საუკუნის ადამიანები	46	**მურმან ჯგუბურია მუდამ პოეტი** (ჯანსუღ ჩარკვიანი)
კრიტიკა	51	**პაატა ჩხეიძე „შილიონის პატიმარი“** (ციკლიდან „შეხვედრა“)
ახალი თარგმანები	54	**სიბილე ბერგი ნორას შია**
ეპისტოლე	62	**თემო ჩიტაძე ლევან ბრეგაძის ნოველა**
მოზაიკა	63	**ნობელის ნაცვლად – ოსკარი**

დამფუძნებელი **„ილიონი“**
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96-20-62
რეკლამა – (995 77) 48-12-24
გავრცელება – (995 99) 93-18-52
ფაქსი: (995 32) 96-20-62
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე** პოეზიის რედაქტორი – **გიორგი ლობჟანიძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი** მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია**
კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **ლევან ჩხეიძე**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **მაკა ჯაფარიძე**
გავრცელების სამსახური – **ლევან ბიწაძე**

გარეკანზე: **გერგეტის სამება სტეფანწმინდიდან**
ლორდ ბაირონი

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 12 ოქტომბერს

„როსტომ ჩხეიძის ეს წიგნი და მთელი მისი შემოქმედება ნათლისა და უფლის, ღვთისა და მამულის სამსახურის გზით სვლის მაგალითია. ამის მიზეზი ისაა, რომ მწერალს საუკეთესოდ ესმის წინაპართა ფიქრი და განსჯა, მათ შორის უხილავი კავშირი არსებობს, რომელიც მადლის წყაროდ მოედინება, რადგან ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც გამწირველიც ვარგა და შემწირველიც“ – აღნიშნავს ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე ლალი დათაშვილი ესეში „ნათელი ბნელსა შინა“, რომელიც დაერთო მისი რედაქტორობით გამოცემულ როსტომ ჩხეიძის დეტექტიურ ცდას „ეკლიანი და პატარა გზა“. ეს წიგნი გამოვიდა 2004 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით და ეძღვნებოდა ილია ჭავჭავაძის მოწამებრივ აღსასრულს, როგორც მისტერიულ აქტს, რომელიც კიდევ დიდხანს ააღელვებს ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას და არ გადაიქცევა მხოლოდ ისტორიად.

ილიას მკვლელობა ამ პოსტმოდერნისტული ყაიდის თხზულებაში წარმოისახებოდა ორი საპირისპირო პოლუსიდან, მტერმოყვარის თვალთახედვით. ეყრდნობოდა დოკუმენტურ წყაროებს, უკვე ხელმისაწვდომს ჩვენი მკითხველისათვის, და ბელეტრიზებული ხერხებით მძაფრად და სახიერად წარმოდგებოდა მაშინდელი ისტორიულ-საზოგადოებრივი ფონი – გზა სამოქალაქო მკვლელობიდან წიწამურის ტრაგედიამდე.

მას შემდეგ „ეკლიანი და პატარა გზა“ საგრძნობლად შეივსო და მკითხველი მალე იხილავს მის ხელახალ გამოცემას. რაკიღა კომპოზიციური ქარგა მოზაიკის პრინციპზეა აგებული, ამიტომაც შესაძლებელი გახდა, რომ ახალი მონაკვეთი, რომელიც წიგნის მეორე გამოცემაში გაიფანტება სხვა პატარ-პატარა თავებს შორის, ცალკეც გამოქვეყნებულიყო.

როსტომ ჩხეიძე

ეკლიანი და პატარა გზა

მეორე გამოცემის წინათქმა

დამთავრებულად კი მიმაჩნდა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის უკანასკნელი ჟამის აღდგენის ეს ვერსია, მაგრამ უნებურად მაინც დამცდა პირველი გამოცემის წინა სიტყვაში: ხომ შეიძლება კვლავაც მივუბრუნდე-მეთქი.

მასალა იმდენი ჩამვარდნოდა ხელთ შემთხვევითობის წყალობით, იმჟამად არა, მაგრამ დროის მსვლელობასთან ერთად იქნებ კიდევ მეპოვნა ამ მცირე თხზულებაში გადმოსატანი ფრაგმენტები.

მკითხველის ცნობისწადილს შეეძლო ყველაზე მეტად ჩემი შეგულიანება – გამომცემლისათვის, მოგეხსენებათ, ესაა უმთავრესი საზომი და მეც მკითხველთა გამოხმაურებას ვაყურადებდი.

ამ დეტექტიური ცდის ორიგინალურმა აღნაგობამ გამოიწვია ჩემი მიპატიჟება ხან სად და ხან სად – ეს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტიო, ეს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტიო, ეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალიო, ეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტიო, ეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიო.

მაინც პროფესიის შეცვლაზე ვფიქრობდი და მაინც... და ბარემ გულდასმით მომესინჯა თავი დეკლამაციაში.

სხვათა შორის, ქუთაისური თავყრილობის წინ ტელეკომპანია „რიონის“ დილის გადაცემის ლიტერატურულ ციკლში მომიწევდა გამოსვლა ელგუჯა თავბერიძესთან ერთად და ტელემაყურებელთა გამოხმაურებანი – პირდაპირი ეთერის ეს სიუჟეტი ძალიან გააგრძელეს და, ტელეწამყვანი ენერგიულად რომ არ ჩარეულიყო, დამთავრება ალბათ აღარც ეწერა – კიდევ ერთხელ დამარწმუნებდა, რაოდენ ცოცხალი და მძაფრია ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში ილიას ცხოვრების ყველაზე დრამატული ხანა, წიწამურის გასროლით დაგვირგვინებული.

თბილისის სკოლა-კომპლექსი „სადუნიც“ დაინტერესდა ამ ქმნილებით და საქართველოს რადიოს დრამატულმა რედაქციამ სულაც ახლებური სიცოცხლე მიანიჭა – ხუთსერიან რადიოსპექტაკლად დადგა. პირველად გადაიცა საზოგადოებრივ რადიოში 2006 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე. სცენარიც და რეჟისურაც კობა ცხაკაიას ეკუთვნის, თვითონ ჩინებულ ბელეტრისტს, დრამატურგსა და, სხვათა შორის, მსახიობსაც; და ისე ოსტატურად გაიაზრა და შეჰკრა ეს ახალი ვერსია მსახიობთა კარგად შერჩეული გუნდის წყალობით (ლილი ხურითი, ზურაბ ჯინჭარაძე, სოსო ელიზბარაშვილი, ნუკრი არჩვაძე და დათო როსტომაშვილი), არაერთ შემთხვევაში ძალიანაც მოვიხიბლე რეჟისორული მიგნებებით და შემეხარბა, მე რომ მომფიქრებოდა ეს სიუჟეტური სვლები, ამ წიგნსაც გაამრავალფეროვნებდა-მეთქი, ვთქვათ, ნოე ჟორდანიას ჩანართი რადიოვერსიაში ინტერვიუდაა წარმოსახული, კარლო ჩხეიძისა – საარჩევნო სიტყვად... თუმც რაც არის, არის, რადიოსპექტაკლს ხომ ძალიან მოუხდა და ესეც საკმარისია.

გორსა და სიღნაღში სტუდენტებიც შემეშველნენ დეკლამაციაში და არ გამკვირვებია მათი საკმაო მომზადება და მსახიობური უნარის გამოჩენა, რადგანაც ერთგან მარინე გიგაშვილი, ნინო ქოქოშვილი და ზაზა ცოტნიაშვილი ხელმძღვანელობდნენ სანახაობრივ მხარესაც, მეორეგან კი – მაია თოფურია და სოსო მახარაშვილი.

უკვე მაშინ გამიჩნდა სურვილი, გულდასმით ჩავჯდომოდი უცნობი ავტორის მოტანილ ვეება საქაღალდეს და ცალკეულ ადგილთა ამოკრება-მონტაჟი კიდევ მეცადა.

ეს, ცხადია, უფრო იოლია, ვიდრე შემოქმედებითი წვა და გარჯა, მაგრამ თავისი განწყობილება და სულიერი მზადყოფნა ამასაც სჭირდება და შენს ნებაზე ვერაფერს დააძალებ საკუთარ თავს.

და, აი, ქუთაისის ლიტერატურული თავყრილობა აღმოჩნდება საბაბი ამ დეტექტიური ცდის ისე შევსებისა, უკვე ახალი რედაქცია რომ შეიქმნება, რაკიღა ვინ აღარ ჩაემატება: ეს იაკობ გოგებაშვილიო, ეს სოსო მაჭავარიანიო, ეს მიხა ბოჭორიძეო, ეს სილიბისტრო ჯიბლაძეო, ეს ნოშრევან ჯაფარიძეო, ეს ილია ნაკაშიძეო, ეს ივანე მაჩაბელიო, ეს ვასილ ველიჩკოო, ეს კიტა აბაშიძეო, ეს გიორგი ლასხიშვილიო, ეს გრიგოლ რობაქიძეო, ეს ივანე ინაშვილიო, ეს დავით მესხიო, ეს კოლა ორბელიანიო, ეს ვასილ მაჩაბელიო, ეს ეკატერინე გაბაშვილიო, ეს შალვა დადიანიო, ეს იონა მეუნარგიაო, ეს ყარამან ფაღავაო, ეს კოტე აფხაზიო, ეს სიმონ ქვარიანიო, ეს პეტრე უმიკაშვილიო, ეს მიშო მაჩაბელიო, ეს ნინო პოლტორაცკაიაო, ეს ექვთიმე თაყაიშვილიო, ეს თედო ლაბაურიო, ეს ვასილ კირვალიძეო, ეს ოლღა გურამიშვილიო, ეს გიორგი ჟურულიო.

ჩამოვთვლი იმ თანმიმდევრობით, როგორც ხელნაწერიდან ამოიკრიბა, თორემ წიგნში სულ სხვაგვარად ჩალაგდა ეს ყოველივე.

საკმაოდ არის, არა?..

და გაკვირვებით ახლა გავიკვირვებდი, ზოგიერთი მაინც როგორ ვერ მოხვდა თავდაპირველ ვერსიაში-მეთქი.

რაოდენ ნაკლული ყოფილა თურმე.

ვინ იცის, ნაკლული ახლაცაა, მაგრამ გასაგრძელებლად ვეღარაფერი შემირჩევია და ისევ ვაცლი, ვიდრე ოდესმე მივუბრუნდებოდე... ანდა აღარც მივუბრუნდებოდე. მართალია, აღნაგობა მაცდურია ამ ყაიდის თხზულებისა და ყოველთვის იოლად მოხერხდება ახალ-ახალი ჩამატებანი, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გაუთავებლად ვავსებდე და ვავსებდე?!.

ამასობაში კი იქნებ ნამდვილი ავტორიც გამოჩნდეს.

გამოჩნდეს და... მეც მოვისვენებ, თორემ ვინ მე და ვინ კალამი... და აღარც ჩემს საქმეს მოვწყდებოდი ასე უნუგეშოდ.

ნოშრევან ჯაფარიძე

ეგზეკუციას ითხოვდაო, აბა, რა სათქმელია!..

ყვარელს კი არ გამოვცილებივარ, მაგრამ დანამდვილებით ვიტყვი: რასაც მე აქ მელაპარაკებოდა და მავალებდა, იმასვე დაელაპარაკებოდა და დაავალებდა საგურამოელ მოურავსაც.

ვითომ ერთნაირად რატომ არ უნდა განესაჯა, ერთნაირად რატომ არ უნდა მოეგვარებინა მამულის მოვლა იქაც და აქაც.

საგურამოში დამფრთხალი კაცი ვითომ ყვარელშიც დამფრთხალი არ იქნებოდა?!.

აქ ვითომ რა გოლიათის ძალ-ღონით აღივსებოდა...

გლეხები თავადების ტყეებს რომ მიადგნენ და ჩეხვა დაუწყეს, ილიას ტყესაც შეესივნენ.

მე არ მოვითმინე, მე აღვძარ საქმე სასამართლოში.

გარჩევის დღეც დაინიშნა და იმხანებში გამოჩნდა ილიაც.

როდესაც სიამაყით მოვახსენე, ასე იყო და ასე და თქვენს ჩამობრძანებას აღარ დაველოდე, მე თვითონ მივხედე ამ წამხდარ საქმეს და სასამართლო აზღვევინებს გათავხედებულ გლეხებს-მეთქი, წამიც არ დაუკარგავს ჩემთან ლაპარაკში, მაშინვე სასამართლოში გავარდა და მოსპო ის საქმე.

მობრუნებულმა გამიცინა, საწყენად რომ არაფერი დამრჩენოდა, და მისებური ხუმრობით დამამშვიდა:

– არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცა, ტყე კი უფრო ხშირი გაიზრდება.

და დასძინა:

– მათი საწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინო.

მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და წავიდა სადღაც.

დაბარებით არაფერი დაუბარებია, ეტყობა, გული ეთანაღრებოდა, ჩემსას მივაღწევ თუ არაო, და წინასწარ რაიმეს თქმას ამიტომაც მოერიდა. ბევრი არც მერე ულაპარაკია, ისევ რომ შემოაბიჯა თავის კარ-მიდამოში. – მოხერხდა ეგზეკუციის მოხსნა გრემსა და საბუეშიო, – ისე სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა, თითქოს უნებური შემსწრე გამხდარიყოს ამ სასტიკი სასჯელის არიდებისა და მთავრობისათვის თვითონ არ გამოეყვანინებინოს უკანვე ოჯახებში უკვე ენერგიულად ჩასახლებული ყაზახები.

ეგზეკუციას ითხოვდა საგურამოსთვისო?

ვინ, ასეთი კაცი?

უზარმაზარი ტყუილია, ცილისწამებაა, მაგრამ ყველამაც რომ დაიჯეროს, მე რა დამაჯერებს!..

ოლღა გურამიშვილი

კიდევ კარგი, მოგვიანებით შევიტყვე, როცა ილიკო საღ-სალამათი დაბრუნდა შინ და ის დღეები ისე ჩვეულებრივად იქცეოდა, თითქოსდა არაფერი შემთხვეოდეს. ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში და, ხომ ვიცი, არც პაპიროსს გააგდებდა ხელიდან და არც კალამს, ვიდრე მაგიდაზე ჩამოსდებდა თავს.

რომელი ყარამან ყათლანი ეგ არის ან რა რჯიდა, დანის ტრიალში რომ შევარდა და სახიფათოდ მოქნეული დანა ჯერ აიცდინა და მერე სულაც წაართვა გავეშებულ კაცს, იმასთან მიბედვაც რომ ვერავინ შეძლო. ვისაც დანას უქნევდა სასიკვდილოდ, გგონიათ, ილიკოს მეგობარი იყო და იმისი გულისათვის წირავდა თავს?.. არც იცნობდა, მაგრამ საყვედურებით რომ ავავსე, შენ რომ მოეკალი, ან მე რა პასუხს მაძლევდი და ან ქვეყანას-მეთქი, პასუხად ეს მითხრა: რა ვქნა, მაგდენი აღარ მიფიქრია, დანა ელავდა და ორი კაცი დაიღუპებოდა, მოკლულიც და მკვლელიც, მეც არ ვიცი, რაღაც ძალამ მიმაგდო დანაშემართულზე და იმ ძალამვე იხსნა იმათი ცხოვრებაც და ჩემიცო.

ილიკოს გონიერება და სიდინჯე საარაკოდ აქვს გამხდარი ხალხს და რას უნდა აეყოლიებინა ასე?..

მანამდე რომ შემეტყო, ვიდრე ცოცხალი გამომეცხადებოდა, ერთ სიკვდილს მე გავათავებდი.

ნეტა ვინმეს უჯერებდეს ან მე მიგდებდეს ყურს.

თუ რამე გადაწყვიტა, მორჩა, გადამთქმელი აღარ არის.

გადაწყვეტილება კი არა, ისეც რომ თქვას, სასხვათაშორისოდ, მოდი და შეაცვლევინე აზრი.

იმ საღამოს რა იყო მაინც, რაც ვიტირე და ვივაგლახე, რაც ვიკვნესე და ვიხვეწე, ხვალ არ გვინდა საგურამოში წასვლა-მეთქი.

რამდენჯერაც გავშალე ქაღალდი, სულ ცუდი კარტი ამოდიოდა!.. საშინელ ამბავს მიწინასწარმეტყველებდა!.. და როგორ შეიძლებოდა არ დამეჯერებინა... მე კი დავიჯერე, მაგრამ ილიკოს შენ დაარწმუნებდი?.. სასაცილოდ არ ეყო, ქაღალდის ამოსვლაზე სწორედაც ვერ ავაწყობ ცხოვრებასო... წინასწარმეტყველებას არ უჯერებ-მეთქი? – და: წინასწარმეტყველება, ვითომც ღვთის შეპყრობილი გვაფრთხილებდესო!

მარიამ ორბელიანი რომ გვესტუმრა, თვითონვე შემატყო კანკალი, თავს ვერ ვიოკებდი და სტუმარსაც აღარ მოვრიდებივარ. დამშვიდება რომ დამიწყო, უფრო ამომიჯდა გული და შეევედრე: ქაღალდი ცუდ ამბავს მანიშნებს და იქნებ შენ დაარწმუნო, ხვალინდელი მგზავრობა გადადოს-მეთქი.

ძალიან შევეცდები, თუმც იმედი არა მაქვსო, – იმან. კარგად იცნობდა ილიკოს და თავიდანვე ფუჭ გარჯად ეჩვენებოდა მისთვის ნათქვამის გადათქმევინება. მაგრამ

ცდა ბედის მონახევრეა, არ იცი, როდის რა გაგიმართლებს და ადამიანმა თავი არ უნდა დაზოგო.

შევიდა ილიკოს კაბინეტში და დიდხანს დაჰყო იქ. თავის მხრივაც გაუფრთხილებია: ხომ ხედავ, რა დროაო. ჩემს შიშზეც ულაპარაკნია: თუნდაც ტყუილად ფორიაქობდეს, ნუღა დაუმატებ და გადადე ეს მგზავრობა, იყავი და იტრიალე ქალაქში, თუ გნებავს, ჩვენ გვეწვიე ლამისყანაში, გზად ერთ მსახურს ნუკი იახლებ, შეიარაღებული ბიჭები გამოიყოლე და იქ იყავი თავშეფარებული, საშიკოსთან არ მოგწყინდებაო.

იუკადრისა თურმე და რა იუკადრისა: ჯარი ხომ არ ვიახლო გამყოლადო.

გამოვიდა მარიამი დაძმარებული.

მე მაინც სანუგეშო სიტყვა დამიტოვა: მართლა ისეც არ არის, როგორც ჩვენ ვშიშობთ, რაღა დაგიმალო და შენზე ნაკლებად არც მე მიფრთხიალებს გული, მაგრამ, ღმერთმა ინებოს, ეს მაინც ჩვენი ფანტაზიის ბრალი იყოს, ქაღალდს კი მაინცდამაინც ნუ ჩააცივდები, ხომ შეიძლება ეგეც ცდებოდეს, ან კიდევ, რაკიღა კოშმარული ფიქრები გიტრიალებს, ქაღალდის გაშლასაც ეგ შენი განწყობილება გადაედოო.

ღმერთმა ინებოს-მეთქი.

თითქოს დავმშვიდდი, აქეთურ-იქითურზეც ვილაპარაკეთ... მაგრამ რომ გავაცილე და შემოვბრუნდი, უარესად გამიხდა გული, ისევ ავკანკალდი, ცრემლიც მომერია და გავშალე კიდევ ერთხელ ქაღალდი... გავშალე და კვლავ საშინელმა ამბებმა დამიბნელა მზერა.

ილიკოს კაბინეტის კარი ოდნავ შეღებულიყო.

იჯდა და გაცხარებით წერდა.

დილამდე არც კალმის გამგდებს ჰგავდა ხელიდან და არც პაპიროსისა.

ერთი გაფიქრება გავიფიქრე, იქნებ დილით ისე ჩაეძინოს, შუადღემდე თვალი ვეღარ გამოახილოს და გამგზავრებაც თავისთავად გადაიდოს-მეთქი.

ამისთანებისათვის გაუძლია!.. ღამისტეხვა მისთვის რა იყო, მაგრამ ჭაბუკი ხომ აღარ არის; არ იმჩნევს, მაგასაც რომ ერევა ხანი, მაგრამ დრომ და ასაკმა მორიდება არ იცის და იქნებ... იქნებ...

სოსო მაჭავარიანი

გინდა თუ არა, ყველამ წინასწარვე იცოდა, რაც მოხდებოდა. ვითომდა ყველა მოველოდით ილიაზე თავდასხმას და ტფილის-ქალაქსაც წინა დღეებში სხვა საჩურჩულო-სატუტუნო არც არაფერი ჰქონია.

როგორც უნდათ, ისე ჭრიან. არა, იქნებ ბევრმაც იცოდა წინასწარ, ვერ დავფიცავ, მაგრამ მე რომ არაფერი ვიცოდი, თავს დავდებ.

ამრეზილი კი მეც ვიყავ ილიაზედ, ჩამქრობოდა იმისი სიყვარული და გახსენებაც აღარ მინდოდა, „გლახის ნაამბობითა“ და „კაკო ყაჩაღით“ ხელში რომ ვაღამ-ვათენებდი. „ოთარაანთ ქვრივიც“ მომწონდა, განა არა, მაგრამ ეს გიორგი როგორღაც უნიათო ბიჭი ჩანდა და კიდეც შეეწირა თავის უგერგილობას. აი, გაბრიელი, აი, ზაქრო, ბიჭები ესენი იყვნენ, ზედ რომ წააკლეს ბატონები თავიანთ უნამუსობასა და გულქვაობას. ტყვიები, აი, ის იყო, იმათ თოფებში რომ ჩაწყობილიყო და თითო მებატონეს კი არ შეუნგრევდა გულისფიცარს, საზოგადოებას დაუვლიდა ჟრუანტელად, შეაშფოთებდა და აათრთოლებდა.

რაც ნოე ჟორდანიას მოუნდომა სახელის გატეხვა, მუშა ხალხი სულ თავის წინააღმდეგ განაწყო და იმათ ხელში აგრერიგად ვეღარ მოჰკრავდით თვალს ილიას ნაწერებს. მე იქნებ სხვაზე ნაკლებ ამყოროდა გული და „რა სასიცოცხლოა-მეთქი“ იმათსავით არ გავიძახოდი, მაგრამ უდიერი სიტყვა კი არ დამიკლია მისი სახელის ხსენებისას და არაერთხელ პირადადაც ველაპარაკე თავხედურად.

უვიცი ვიყავი, ბრიყვი და აჯამი – დამიყრია თავზე ნაცარი და ვაღიარებ, ცოტა ეს მიმშვიდებს გულს, თუ ამასაც დამშვიდება ჰქვია, და ილიას სურათისათვის თვალის გასწორებას ვახერხებ. შევხედავ – მოვუბოდიშებ, გავივლი, გამოვივლი, ისევ შევხედავ და ისევ დამეძვრის გონებაში მონანიების სიტყვები...

არა, ასე თავქარიანი როგორ უნდა იყო კაცი!..

ცხრაას ხუთში ეს ჩვენი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მოქალაქეებში ფულს რომ კრეფდა იარაღის შესაძენად, მე ინტელიგენციის ჩამოვლა დამევალა და ისეთი სიამაყით ავივსე, ქვეყანა ჩემი მეგონა. ამხელა ცვლილება მზადდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წინანი უკან უნდა მოქცეულიყვნენ, უკანანი დაწინაურებულიყვნენ და გრანდიოზული გარდაქმნის ერთი – თუნდ რიგითი – მონაწილე მეც გახლდით. თანაც ინტელიგენციის ოხტშიც ხომ ამოვიდოდი. არ მეხატებოდნენ გულზე და არა და ჭიას იმით მოვიკლავდი, რომ თავხედურად დავუვლიდი იმათ ბინებს.

პირველად ილიას მივუხტებოდი.

ალექსანდროვის ქუჩაზედ იდგა და ჰოი, რა ბრახუნი ავუტეხე სადარბაზოზე!..

ილია დაბლა ცხოვრობდა და, მოსამსახურემ რომ გამიღო კარი და: ვინ ხარო, – მკითხა, მაჭავარიანი ვარ-მეთქი, ისე ყინჩად მივუგე, თითქოს უფრო სახელოვანი კაცი იმ არემარეზე არც დაიარებოდა.

ასეა, როდესაც ზურგსუკან პარტია გიდგას.

გაბრუნდა მოსამსახურე ილიასთან, მეც ფეხდაფეხ მივყევ. და ილია რომ ჩაეძია: ვინ მაჭავარიანიაო, – კიდეც შევიჭერ თავხედურად იმის კაბინეტში, დავადექ თავზედ და გათამამებული კილოთი მოვთხოვე ფული.

მოწყალებას კი არა ვთხოვდი, უნდა სცოდნოდა, ვალდებული რომ იყო მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა და ფული არ დანანებოდა იარაღისათვის.

აღელვებისა ვერაფერი შევატყე.

სულში კი მომიფათურა თვალები.

თუმანი ამოიღო, გადმომცა და ღიმილით დაატანა:

– შვილო, თან მლანძღამთ და თან ფულსა მთხოვთ?!.

მხრების თამაშით გამოვბრუნდი.

გინდა თუ არა, ყველამ წინასწარვე იცოდაო.

წინასწარვე კი არა, მერეც ვერ ვიჯერებდი, აბა, ეს რა მოსაგონებელი იყო-მეთქი. გაზეთშიც რომ ამოვიკითხე, აი, მაშინ კი შევფიქრიანდი, რაღაც მართალსა ჰგავს-მეთქი.

პარტიას ხომ არ დაუშლია ჩვენთვის სამგლოვიარო პროცესიაში მონაწილეობა?

ძალიან ნუღა მაცივდებით.

არც უარვყოფ და არც დაგიდასტურებთ.

მე როგორ მოვიქეცი?

პანაშვიდებზეც დავდიოდი, დაკრძალვის პროცესიასაც თავით ბოლომდე მივყევი. აკაკი წერეთელმა სიტყვა რომ წარმოთქვა და ტირილით მიადევნა: ილია, მეც მალე შენთან მოვალო, – და იაკობ გოგებაშვილმა კი იყვირა: ილიას მკვლელები აუცილებლად უნდა მოვძებნოთ და სამაგალითოდაც დავსაჯოთო, სწორედ მის გვერდით ვიდექ და მისი ანაკვერცხლებული თვალები აღარც ამომშლია მეხსიერებიდან აღარასოდეს.

ხმამაც და თვალებმაც ისე დამარეტიანა, იმ ფიქრმაც კი გამიელვა: კიდევ კარგი, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი.

ახლა ყველა იჩემებს, იაკობმა რომ იყვირა, მის გვერდით ვიდექით და მის მუქარას ჩვენიც მივადევნეთო.

მე მართლა იქ ვიყავ, ოღონდ არც ხმა გამიღია და არც სხვების ყვირილი მაგონდება: დავსაჯოთ, დავსაჯოთო!..

ხშირად გამოვიღებ ხოლმე ილიას ნაწერებს და ვატყობ, ბოლო ხანს „ოთარაანთ ქვრივი“ ყველაზე ძალიან მიტაცებს. გიორგის არსებაშიც რაღაც უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე უნიათობაა. მართლა სხვა სამყაროდან მოსული კაცია და ის სუნთქვა მოაქვს, იმ სუნთქვას გაგრძნობინებს, თუკი კარგად ჩაუკვირდები.

ვებოდიშები იმის სულს, პერსონაჟია თუ რა არის, უსამართლოდ ანკი ლიტერატურულ გმირს რატომ უნდა მოეპყრა ადამიანი, და თუ უნებურად შეცდი მისი პიროვნული ხასიათის შეცნობაში და აგდებულად ახსენებდი, მონანიებას წინ რა დაუდგება.

ერთი ღამე რა არის, ერთი ღამე არ დამიძინია, ცალკე ილიას წიგნების წინაშე რომ არ მეთხოვა პატიება და ცალკე მისი სურათისა, თავთით რომ მიკიდია.

ვერა და ვერ მომინელებია ჩემი სითამ... ეჰ, რა სითამამე, თავხედობა იყო, რასაც ჩავდიოდი.

რა მიბიძგებდა?

აკი მოგახსენეთ – უვიცი ვიყავი, ბრიყვი და აჯამი.

...ხან ღიმილი ჩაკეცავს ტუჩის კუთხეს, უეცრად აჩრდილი რომ წაეფარება სურათს: შვილო თან მლანძღამთ და თან ფულსა მთხოვთო?!.

და ვინთქმევი უსიზმრო ძილში.



მხატვარი ვახტანგ მეგრელიშვილი

ივანე მაჩაბელი

ხანდახან ყურში ისე გამიწივლებს ხოლმე აკაკი წერეთლის სიტყვები:

– ეს დალოცვილი, როგორი ფრთხილია!

გაღიზიანებულიყო ილიაზე და ჯავრი ამ საყვედურით ამოთქვა.

გული კი ამეყარა ილიაზე მას შემდეგ, რაც ვეღარაფერზე ვეღარ ვრიგდებოდით. მაგრამ... ის და სიფრთხილე? მეომრის გაბედულებით გამოჩნდა თავიდანვე. მოსწრებით კი არ მოვსწრებივარ, „ცისკარში“ პირველად რომ დაარისხა ზარები და იქიდან „საქართველოს მოამბე“ გაიხადა ბრძოლის შუაგულად, მაგრამ წაკითხვით ყველაფერი წამიკითხავს მისი და სმენითაც რამდენი რამ მსმენია.

სულ მაგის სახელი არ გაისმის?

ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, თითქოს ტყვიის წინაშე იდგეს მთელი თავისი დღე და მოსწრება და სხვაგვარად არც უნდოდეს და ვერც წარმოედგინოს.

და ამ ბუნების კაცის სიფრთხილე?

თანაც რა დროს!..

რაღაც ასე კი გამოვიდა მართლა და... ახსნით ვერ ამეხსნა, რატომ არ უნდა წარმოეთქვა სიტყვა დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვისას.

ყველა მოელოდა მის გადმოდგომას ახალგაჭრილ სამარესთან, მთელი ხალხი მას მისჩერებოდა. ისედაც დიმიტრის სულიერი შვილი იყო, მისი მემკვიდრე და ჩამომავალი, ერთი იწყებდა ყველაფერს და მეორე აგვირგვინებდა, და ახლა უპირველესი ჭირისუფალი თუ ვინმე უნდა ყოფილიყო, ილია და მხოლოდ ილია.

სიყვარულით აკაკის ნაკლებ კი არა ჰყვარებია დიმიტრი ყიფიანი. ყველას ყოველთვის რომ აქილიკებდა და შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, ირონიულად არ გადაეკრა განსაკუთრებით მაინც აღიარებულ სახელთათვის, დიმიტრის ხსენებისას – და კიდევ ალექსანდრე ორბელიანისას – ოდნავი გახუმრების უფლებაც არასოდეს მიუცია თავისათვის. გარინდდებოდა მოწიწებითა და მორიდებით. და ახლა კი, პროცესიის მსვლელობისას განზე მიდგა და ილიას გადააბარა მოვლენათა სადავეები. ხელისუფლებას მაინც ვეღარაფერი გაეწყო და მხოლოდ კბი-

ლებს ახრჭიალებდა სიმწრით, რომ დიმიტრი ყიფიანის გადმოსვენება სტავროპოლიდან და მთაწმინდაზე დაკრძალვა დიდ საპროტესტო გამოსვლად გადავუქციეთ.

არადა... ილია ბოლომდე არ მიჰყვა ხალხის გულისთქმას და ის სადავეები როგორღაც განზე გასწია.

როგორი ფრთხილია, ეს დალოცვილიო, – მაშინ მოეკიდა ცეცხლი აკაკის.

დიმიტრის მოკვლის ამბავი რომ შევიტყვე, უპირველესად ილიასთან ვაფრინე კაცი. იქვე იდგა, ბანკის ახლოს, ფრეილინის ქუჩაზე, „ივერიის“ რედაქციაც აკი იქ იმყოფებოდა.

მერე ვალერიან გუნიამ მითხრა, ისეთი ნერვიული ქვითინი აგივარდა, ვერაფრით ვერ გაწყნარებდითო.

არ მახსოვს. მაგონდება მხოლოდ ილიას სახე, წარბშეკრული და პირმოკუმული რომ გამოჩნდა, ჯერ ქვემო ტუჩმა დაუწყო თრთოლა და მერე წამოსკდა კიდეც ცრემლები დაწითლებული თვალებიდან.

მე იმას დავუწყე დაწყნარება, ის და სხვანიც თურმე აქეთ მე მამშვიდებენ.

პროცესიას რომ მივუძღოდით, ძალიან დაფრთხა მთავრობა და პოლიციელი პოლიციელზე მოგვადგა, ჩამოცილდით მსვლელობასო. ის ოცდაათამდე კაცი თუ მართლა გამოვეცლებოდით, ის ზღვა ხალხიც შემოიფანტებოდა, და საპროტესტო აქცია ერთბაშად გადაიქცეოდა დაკრძალვის რიტუალად.

ერთი კაციც არ შემდრკალა ჩვენგან, ერთსაც არ გადაუხვევია განზე და არ შეპუებია მოსალოდნელ სასჯელს – სისხლის სამართლის საქმის აღძვრას თვითეული ჩვენგანის წინააღმდეგ. თანაც იმ საბუთსაც მოიმარჯვებდნენ: გავაფრთხილეთ, მაგრამ ყურად არ იღეს და განაგრძეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაო.

ილია იქ იდგა თავიდან ბოლომდე და მისმა სიმტკიცემ ბევრწილადაც გადაწყვიტა პროტესტის ისე ამოხეთქვა, როგორც გვეოცნებებოდა.

მაგრამ სიტყვის წარმოთქმისაგან რომ თავი შეიკავა?!.

ვერ იტყვი, სათქმელს თავი ვერ მოაბაო. ასეთი ორატორის მხილველი არცა ვყოფილვარ და ენაზე ჭალი ან აქ როგორ მოეკიდებოდა. ისეთი სიტყვა უნდა წარმოეთქვა, გაეთანგა იქაურობა და მღელვარებისათვის მღელვარება დაემატებინა.

მივჩერებივართ, ველოდებით... აჰა და აჰა... მაგრამ დუმს, კრიჭა არ ეხსნება.

და აკაკიმ: როგორი ფრთხილია ეს დალოცვილიო...

რა გითხრათ, აბა?!.

თვითონ აკაკი წერეთელიც და სანდრო ყაზბეგიც მეტ რადიკალიზმს იჩენდნენ ყოველთვის, უფრო დაურიდებელნი იყვნენ რუსული მმართველობისა და ექსპანსიის მიმართ, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს მაინც ილია ხელმძღვანელობდა, ეროვნულ სულისკვეთებასაც ის აღვივებდა, დაცემული ვინაობის აღსადგენადაც მას გადაედო თავი და მისი ნაკლები რადიკალიზმი... კაცმა რომ თქვას, ნაკლები აკაკისა და სანდროს უკიდურეს გაფიცხებასთან შედარებით, თორემ თავისთავად სიბასრე და სიმწვავე როდის არა ჰქონია... დიახ, ვითომდა ეს ნაკლები რადიკალიზმი სიფრთხილედ არასოდეს არავის მოსჩვენებია.

შესაძლოა მაინც აკაკის?..

ან იქნებ გაბრაზებულ გულზე დასცდა!..

მაგრამ გამოსათხოვარი სიტყვის თქმას რატომ უნდა მორიდებოდა?

სამგლოვიარო სტატიაც რომ გამოაქვეყნა დიმიტრი ყიფიანზე და მისი ღვაწლისა და ბედისწერის წარმოსახვას შეეცადა, ცოტა არ იყოს გულს დაგვაკლდა. სხვებსაც, მარტო მე ხომ არა. არსად მოჩანდა იქ ილიას მეხი სიტყვა, არსად მოჩანდა ის ექსპრესია და სრულყოფილება, რითაც განთქმულა მისი ნაწერები. სიფრთხილე გასდევდა მთელ ტექსტს, თითქოს ვიღაცას ერიდებოდა, რაღა ვიღაცას, მთავრობას უწევდა ანგარიშს და ზედმეტ გამწვავებას გაურბოდა.

თითქოს ერთმანეთს აგრძელებდა თუ ეხმიანებოდა სტატიის მორიდებული კილო და დუმილი სამარესთან.

რაღაც ღრმა აზრი ხომ არ ჩაბუდებულა ილიას ამ საქციელში?

ჩვენთვის, ყველასთვის ჯერჯერობით მიუწვდომელი და აუხსნელი...

რაღაცას უფრო შორს გაჰყურებს, რაღაცას უფრო გულდასმით სწონის და ამ ტაქტიკურ სვლას ამჯობინებს მთავრობასთან ურთიერთობისას.

მაინც მგონია, რომ აკაკი იოლად უნდა განსჯიდეს, როგორი ფრთხილია ეს დალოცვილიო.

ვალერიან გუნიასაც დაველაპარაკე, ნეტა მიზეზი რა უნდა იყოს-მეთქი. აკაკის ნათქვამიც მოვახსენე. შორს დაიჭირა: არ დაიჯერო, მაგას როგორ იტყოდა, ვიღაცა მოუგონებდაო. მე თვითონ მითხრა-მეთქი, და წაუხდა საქციელი ვალერიანს: გაბრაზებულ გულზე ვერ მოზომავდაო. მეც ეგრე მგონია-მეთქი. მაგრამ ილიას დუმილი?.. და ვალერიანმა: ეტობა, უფრო დიდ საშიშროებას ხედავს, ვიდრე მთავრობის პოლიტიკაა, უფრო ერთბაშსა და დაუნდობელს, ეს საშინელი მთავრობაც რომ შეიძლება მოგვენატროსო.

ამათ რა მოგვანატრებს-მეთქი.

აბა, რა მოგახსენო, ეგ არის, ილიას დუმილი მიმანიშნებს რაღაც ამგვარსო.

მეც ხომ ასეთების ირგვლივ ვტრიალებ, გულმა კიდევ ერთხელ შემომკვნესა ავად და... დანახვით კი ვერაფერი დამინახია.

ცუდი, ძალიან ცუდი ამბებია მოსალოდნელი დანიის სამეფოში...

მიხა ბოჭორიძე

ლხინშიც მიმღერია, ქორწილშიც, ნიშნობაშიც და ნათლობაშიც.

„კაკო ყაჩაღი“, დიახაც.

თავით ბოლომდის?

თავით ბოლომდის, აბა, რაიმე პატარა რომ გვდომებოდა, ლექსს შევარჩევდით და არა პოემას. ფრაგმენტებად დაშლა კი არა, შემოკლებაც არ გვიფიქრია. ამ პოემის შემოკლება როგორ იქნება – ერთი სტრიქონიც არ არის ზედმეტი, თითქოს ტყვია ტყვიაში ზისო, ისე მორგებია სიტყვა სიტყვასა და ტაეპი ტაეპს.

მოტივი ვინ შეუწყო?

ეს კი აღარ ვიცი.

განა არ დავინტერესდი, მივიკითხ-მოვიკითხე, ეჭვი ვისზეც მივიტანე, საგანგებოდ გამოვიძიე, მაგრამ არ იქნა და არა, მელოდიის შემთხზველს ვერ მივაკვლიე.

მაშინაც, კოლა გორელის ქორწილში რომ მიგვიწვიეს და სუფრაზე დასხდომისთანავე შემოგვძახეს აქეთ-იქიდან: აბა, ბიჭებო, მაყრულიო, – არაქელა ოქუაშვილმა თვალი მოგვავლო, რევოლუციონერები ვინც ვიყავით, და: მაყრული კი არა, ჩვენი მაყრულიო, – და კიდეც წამოიწყო.

ჩვენი მაყრული ეს იყო – „კაკო ყაჩაღი“.

ხომ არავის მოწყინდა ამხელა პოემის მოსმენა?

მოწყინდათ კი არა, უფრო მოეკიდათ ცეცხლი და ჟინი და ერთი-ორი ჭიქის შემდეგ ვანო დოლმაზაშვილს შესთხოვეს: სიმღერა სიმღერად, მაგრამ ახლა შენებურად წაგვიკითხეო.

მეჩექმე ყოფილა ვანო, იქ გავიცანი.

წამოდგა, ერთი მორიდებით ჩაახველა და შეუდგა კითხვას. არტისტი ეგა ყოფილა, თუ ყოფილა. აი, ხომ ზეპირად ვიცი, არა აი, სულ სიმღერ-სიმღერით არ გავდივარ ბოლოში? მაგრამ ისე დამატყვევა იმისმა ოსტატობამ, ჩათავება ვერ მოასწრო, მივვარდი და გადავეხვიე: კაცი შენა ყოფილხარ-მეთქი.

ბედნიერებისაგან გაცისკროვნებოდა სახე ხალხს.

რევოლუციას რომ უგანა, თავიდან ვერც ვიჯერებდით. რამდენჯერ მე თვითონ მიმტკიცებია, ჭორებს ნუ ასდევთ, რევოლუციას ყველა რომ გავუდგეთ განზე, ილია არ უღალატებს-მეთქი. – ნუ ხარ მიამიტიო, – წყრომით მეტყოდნენ. და მე კი არა და არა ვთმობდი: რევოლუციის წინამძღოლი სულაც ეგ არის-მეთქი.

მუშებში შეგროვებული ფულით სამკითხველო რომ გავხსენით ნახალოვკაში და მღვდელს უნდა ეკურთხებინა, ილიასაც შეეტყო და შემოეთვალა, უსათუოდ გეახლებითო. ინტელიგენციამ მოინდომა მონაწილეობა კურთხევაში და ძალიან შეფიქრიანდნენ ეს ჩვენი მარქსისტული წრეები. „კვალის“ რედაქციამ ყველაზე მეტად გამოიდო თავი, იქ მიგვიწვიეს, მოწინავე მუშებად ვისაც მიგვიჩნევდნენ, და დაგვარიგეს, ასე და ასე მოიქეცითო. ინტელიგენციისათვის არ უნდა დაგვეთმო არაფერი და აუცილებლად შევპასუხებოდით. განსაკუთრებით მაინც ილია უნდა ამოგვეღო მიზანში და ღდინამდე ჩავყოლოდით იმის სიტყვას. ოთხნი გამოგვარჩიეს: გიორგი თელია, ზაქრო ჩოდრიშვილი, ლასა მგელაძე და მე – ილიას ფარდად ერთი კაცი ვერ იკმარებდა. ის კი არა, ერთი-ორი სხვაც იგულისხმეს უზურში.

ილიასაც ნათლად უნდა დაენახა ჩვენი ძალა და ინტელიგენციასაც.

მიკანკალებდა გული.

ილიასათვის არასოდეს მომესმინა, მაგრამ ლეგენდებად დადიოდა, როგორი შეუპოვრობით უსწორდებოდა მოპაექრეებს, როგორ ათრევდა რკინის ლოგიკითა თუ მახვილი სიტყვით და, თავმომწონე ბიჭს, არ მინდოდა ხალხის წინაშე შერცხვენა. გულს იმით ვიმშვიდებდი, რომ რაოდენობა ბოლოს მაინც გადასწონიდა და, დამარცხებით თუ ვერ დავამარცხებდით, მაინცდამაინც არც გაწბილებულნი გამოვეცლებოდით მოედანს.

თითქოს საბრძოლო დათვალიერებაა, იმდენმა მუშამ მოიყარა თავი.

აგერ ცნობისფურცლელებიც გამოჩნდნენ, წინ არჩილ ჯორჯაძე მოუძღვით.

ძალიან კი იყვნენ დალესილები მასზე ჩვენი პარტიის ბიჭები, ნოე ჟორდანია ხომ წონასწორობას ჰკარგავდა მისი დანახვისას თუ მისი სახელის ხსენებისას – რაღა ილია და რაღა არჩილ ჯორჯაძე მის თვალში. მაგრამ მე ყოველთვის ისეთი პატივისმცემელი ვიყავი ამ კაცისა!.. ხმამაღლა თქმას ვერიდებოდი, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ყველაფერს ვკითხულობდი, რაც მის მადლიან კალამს შეექმნა, და ზოგიერთი ადგილი მაინც განსაკუთრებით მომხვდებოდა ხოლმე გულზე და შემძრავდა.

ახლაც რაღაც სითბო ჩამეღვარა მის შემხედვარეს. და მწარე ტკივილიც – მისი გადატეტკილი სახისა და ხელის მტევნის პროთეზზე წამოცმული თათმანის გამო.

ილია არა ჩანს.

დაგვიანება არა სჩვევია და, ეტყობა, რაღაც გამოეხლართა.

დეკანოზმა სიმონ რცხილაძემ უნდა აკურთხოს სამკითხველო და მერამდენედ გვეკითხება: რას ველოდებითო.

პასუხად მიკიბ-მოკიბვა გვირჩევნია.

და კიდეც მოგვადგა ილიას ფაეტონი.

მარტო იყო? არა, ორნი ახლდნენ. მოიცა... ჰო... მარიამ დემურია და არტემ ახნაზაროვი.

მოთავდა კურთხევა და შევყურებთ ყველა ილიას გაფაციცებულნი, აბა და რას იტყვისო.

მომზადებულნი ტყუილა ხომ არა ვართ, „კვალისაგან“ დაგეშილნი.

პარტიას ვაბარებთ ანგარიშს, ისე კი არ არის.

ილიამ კი... ამოიღო თუმანი, შესწირა სამკითხველოს, გავიდა გარეთ და ფეხი შედგა ფაეტონზე.

ჩაგვეშალა განზრახვა.

სიტყვები კი წარმოვთქვით, მაგრამ ილია დაგვისხლტა ხელიდან და ვეღარც ჩვენი ძალა ვაჩვენეთ. თუმც წასვლით არ წასულა და ფაეტონზე ცალფეხშედგმული გვისმენდა. მარიამ დემურიასათვის უთქვამს მერე: რა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ქართველი მუშები ამაღლდნენ ჩემს თვალშიო. განსაკუთრებით ჩემზე ეკითხებოდა თურმე, ვინ არისო, განათლება სად შეუძენიაო.

ჩავიღვენთე და ჩავიფერფლე.

და იმ დღეებში ქორწილში რომ მოვხვდით და აქეთ-იქიდან შემოძახილზე: აბა, ბიჭებო, მაყრულიო, – არაქელამ მართლა მაყრული რომ წამოიწყო, მაშინვე ჩავეჭერ. არა, უხეშად არა, ყოველთვის დიდი ხათრი და რიდი მქონდა მისი, მაგრამ რაღაც ტალღამ ამიყოლია, დამატრიალა და დამაბურბულა და შემჩერებელი მე არ ვიყავი.

– ეს კი არა, ჩვენი მაყრული-მეთქი, – და „კაკო ყაჩაღი“ წამოვიწყე.

ამყვნენ, განა არა, მაგრამ ყველას ხმა რომ გადავფარე, გაილურსნენ და ეგრე ხმაგაკმენდილნი მომაჩერდნენ. მერე ის მახსოვს, ხან ვინ მეხვეოდა და ხან ვინ: შენ ვინ ყოფილხარ, ეს რა ჰქენ, კაცო, სიმღერის უნახავები გაგვხადეო.

ვიჩეჩავდი მხრებს, აბა, რა გითხრათ-მეთქი.

არაქელა დიდხანს ვერ მოვიდა გონს.

და კიდევ არაერთხელ რომ მოგვიწევდა ჩვენი მაყრულის დაგუგუნება და მოლხინეთა შეჟრჟოლება ერთიანი ძალით, არაქელა ყოველთვის გამახსენებდა: ის მაინც რა იყო, რა გადაგვრიე სუ ყველა, რა შთაგონება გეწვიაო.

მე თვითონაც არ ვიცი-მეთქი.

სილიბისტრო ჯიბლაძე

ბახვში მეც თუ ვიყავი?

ამ სოფელში არაერთხელ ვყოფილვარ, გავლითაც, საგანგებო დავალებითაც – იქაურ კომიტეტთან ამბები ჩამეტანა ტფილისიდან და ახალი წევრების შემომატება კი მთავარი კომიტეტისათვის მეცნობებინა. მაგრამ იმ დღეს და იმ კრებაზე არა ვყოფილვარ. რომელ დღესა და კრებაზე? თავს ნუ იგულუბრყვილოებთ. ვითომ სწორედ იმ კრების გამო არ მიხსენებდეთ ბახვს.

ილიას მოკვლის გადაწყვეტილებისა არაფერი ვიცი და მონაწილე, აბა, როგორ ვიქნებოდი.

ნოე ჟორდანიას კი ცილი არც უნდა მისცხობოდა.

ამას იკადრებდა ჩვენი ბელადი, მკვლელობაში გარეულიყო?!.

რისთვის სჭირდებოდა, თორემ კი...

სიტყვით ისედაც ამხობდა ყველას, ისედაც საბოლოოდ მოუთავებდა ხელს და მის ჟურნალისტურ ხელოვნებასა და რკინის ლოგიკას აკი ვერც ილია გადაურჩა.

დასცა და... ველარც წამოდგა.

ფილიპე მახარაძის შეშველება სულ არა სჭირდებოდა. ფილიპე ეტმასნებოდა ნოეს და არა ნოე ფილიპეს. ეგაა, ჩვენი ბელადის მთავარი დებულებანი გადაიღო და გაახალხურა, თან ეს „ჯაშუშიც“ დაიხვია ხელზე და წამდაუწუმ სახეში სჩრიდა ილიას. რასაც ნოე გამჭვრივალედ მიანიშნებდა, იმან გაშიფრა ყველა ქარაგმა, მაგრამ მთავარი ხომ მარჯვე ჩავლებაა სუსტი ადგილებისა, ამოწევა და დაფშვნა რკინის მუშტით.

დაცდა თუ არა ილიას: თუ კაცი თვითონ ნულია – გლეხია თუ თავადი – ათასი ამისთანა ნულები რომ ხელიხელ ჩართულად გაგვიმწკრივოთ, მაინც ნულია და ნულიო, – მაშინვე ჩაავლო ნოემ საკბილოს და ბრალადაც წააკეცა: როგორ თუ მუშებს ნულები უწოდეო.

კიტა აბაშიძე ხალხის დარწმუნებას ცდილობს, ილიას მუშები საერთოდ არ უხსენებია და გინდაც ეხსენებინა, ამ ფრაზას ყოველი ადამიანი თამამად მოაწერდა ხელსო.

კიტას როგორ უნდა დაუჯერო კაცმა – საქართველოს ტერიტორიული ავტონომია რომ აზრად მოუვა და ამ გზით პროლეტარიატის დაქსაქსვასა და თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ძალმომრეობის განმტკიცებას მოინდომებს, ის უნდა მოიკვეთო, არამცთუ რაიმე დაუჯერო.

რა გამოდისო – მაშინაც ნაცად რკინის ლოგიკას აამოქმედებდა ნოე – ხალხი თავისთავად არაფერიც არ არის, ნულია, ხოლო როცა მას მიემატება რომელიმე ციფრი, ანუ გაბატონებული ელემენტები, მაშინ ის ხდება ძალაო. ეს, როგორც ხედავთ, განსაზღვრული შეხედულებაა ხალხზეო.

ილიას ნათქვამიდან ეს არ გამოდის?

რა, არა?

თქვენი გამკვირვებია. ამ სოციალისტ-ფედერალისტებმა ასე როგორ აგიმღვრიეს გონება, სავსებით ნათელ ხაზს ვეღარ ამჩნევთ, ლოგიკური რგოლები ხელიდან გაგირბით.

არადა, რა სიღრმეები გადაიშლება ნოეს მსჯელობაში. მაინც რა ოსტატურად მიაკვლია ვითომდა სასხვათაშორისოდ წამოცდენილ ფრაზაში ბოროტულ საწყისს:

ახლა მითხარით, რა არის ეს შეხედულება, თუ არა დემოკრატიზმის ძირიანათ უარის ყოფაო? – მომაკვდინებელ შეკითხვას წამოჭრიდა და პასუხი აღარც იყო აუცილებელი, მაგრამ საქმეში ნაკლებად ჩახედულ ადამიანებზეც ყოველთვის ძალიან ზრუნავდა ჩვენი ბელადი და ამჯერადაც უწვრილმანეს დეტალებამდე ჰფენს ნათელს ჭეშმარიტებას:

– ასმა კაცმა თავისი მსჯავრი გამოიტანა საზოგადო მოვლენაზე... მათ ნულები უწოდეს, ესე იგი მათი აზრი საზოგადო კითხვაზე მოსატანი არ არისო... თუ ხალხს არ შეუძლია თავისი მსჯავრი გამოიტანოს საზოგადო მოვლენაზე, იმიტომ, რომ მას მეცნიერება არ შეუსწავლია, მაშ არც ხმა უნდა მიენიჭოს საზოგადო კითხვების გადაწყვეტაში, მაშასადამე დემოკრატიული წყობილება, ხალხის სუვერენობა სისულელეა. აი, საითკენ მიდის ილიას მიერ გამოთქმული და ფედერალისტების მიერ მოწონებული დებულება.

ამისთანა მარგალიტები იმდენია მიმობნეული ნოეს ნაწერებში, თვლას ვერ აუხვალ.

ამ ნათელ ჭეშმარიტებებს ვინც ვერაფერს გაუგებს, ის ადამიანები კიდევ ხმას უნდა იღებდნენ?

მიხეილ ადამაშვილისა რა უნდა გაგიკვირდეს, ყველამ იცის, ცინიკოსია და მიზანთროპი, სულს უმღვრევს და გონებას ურევს ნოე ჟორდანიას სიდიადე და სულ მის წაკბენაზეა. ამ უზადო მსჯელობაზეც დამდგარა და ყველგან იმეორებს: საიდან სადაო, ლოგიკის ნასახიც არ ეტყობაო.

აი, ვაჟა-ფშაველასაგან კი ძალიანაც გვწყინს, ამ ბრწყინვალე მსჯელობას... აბდა-უბდად რომ ნათლავს. ასეთი უბირი არ გვეგონა. კერპთაყვანისმცემლადაც ამიტომ გადაქცეულა – უსვენია ღმერთად და ხატად ილიას სახება და ისე დაფოფინებს, თითქოს უიმისოდ შთამომავლობას გზა დაეკარგებოდეს;

„ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ შემქმნელს ასეთი რამ არ უნდა დამართოდა, მაგრამ ნიჭი სხვაა, როგორც ეტყობა, და განათლება სულ სხვა. ვერ მიეკარა მის გულს მარქსიზმი და ჩარჩა სიბნელეში, ფშავის ხეობებს ვერ გამოაღწია.

არადა, ახალი დროის გადასახედიდან ეს პოემები დრომოჭმულისა და პროგრესულის ჭიდილზეა აგებული და ზოგადი მოდელი თავისთავად ეხმაურება მარქსიზმის დამკვიდრებას. ის ახალი რჯული, ალუდა რომ აფუძნებს, თუნდ მარქსის მოძღვრებადაც გაიაზრე... მე ასე მესმოდა და ვიხიბლებოდი, ვიდრე ახალი დროის მებაირახტრის ნაცვლად ხელთ უბირი კაცი არ შემრჩა.

თავისთვის რამდენიც ნებავს, იმდენი ილოცოს თავის კერპზე, მაგრამ რევოლუციის ლანძღვას ჩამოეხსნას. მე რა, მე ასე თუ ისე შენარჩუნებული მაქვს რაღაც ხათრი და პატივისცემა მისადმი და მკაცრადაც არ მოვკითხავ პა-

სუხს, მაგრამ არ აპატიებენ, არა, რევოლუციის წამდაუწუმ უდიერ ხსენებას და ერთხელაც იქნება გადააყოლებენ თავის უმეცრებასა და თავხედობას.

მე მითქვამს და...

ვასილ ველიჩკო

ილია შენი პოეზიის დიდი თაყვანისმცემელიაო, – ჯერ ერთმა მითხრა, მერე მეორემ, მერე მესამემ და ავივსე კიდეც სიამაყით. თვითონ კი არასოდეს შეუქია ჩემთან ჩემი ლექსები, მაგრამ ამას მის მორიდებულობას მივაწერდი, რაკიღა საზოგადოებაში სწორედ ის აზრი გავრცელებულიყო, რომ ჩემს პოეზიას ილია ძალიან მოეხიბლა.

დიდი თავაზით კი მხვდებოდა, როდესაც საგურამოში ამიკითხავს და ერთხელ ზედაზენის მონასტრის სანახავადაც მიგვიწვია. ივლისის თვე იყო, წელი ზუსტად არ მაგონდება, უცნაურად ჭრელმა სტუმრებმა კი მოვიყარეთ თავი – ექიმმა-პროფესორმა ბერლინიდან, თუმც ბერლინი პირობითად უფრო ითქმის, ისე გაქართველებულიყო და შეთვისებოდა, სულაც შერწყმოდა აქაურებს, და მე მოსკოვიდან.

ვის გულისათვის გამოიდო თავი ილიამ, ვერ გეტყვით, მაგრამ ძალიან კი გვეამა ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტრისაკენ და იქ ხისქვეშ მწვანე მოლზე სადილი. გადავყურებდით არაგვისა და მტკვრის შესართავს, მცხეთას, და თბილისსაც ვაწვდენდით თვალს. ბოსკოს ვეღარ ვაჩერებდით – ეს რა ვნახე, რა დიდებულებაა, რა მშვენიერებაა, ნეტა შეიძლებოდეს აქ დარჩენაო.

მცხეთაში რომ ჩამოვბრუნდით, ვეღარ მოითმინა და იქაც კიდევ მთის კალთას შეუყვა, როგორ არ დავტკბე მყინვარის დიდებულებითო. მეც მექაჩებოდა, მაგრამ დაღლილობა მოვიმიზეზე, გაუთავებლად სად მებღოტიალა მთა-მთა, რაც ვნახე, განა არა კმაროდა?!.

რაფიელ ერისთავის იუბილეზე რომ მიმინვიეს, სამუდამოდ დამამახსოვრდა ის გრძნობიერება, რითაც აღვსილიყო სცენაც და დარბაზიც. იუბილარი ილიამ და აკაკიმ მოიყვანეს თეთრ ცხენებშებმული ლანდოთი და სცენაზე მის გამოჩენას ისეთი ძლიერი და ხანგრძლივი ტაშისცემა და ვაშას ძახილი მოჰყვა, შემეხარბა და რა შემეხარბა... მისი ვოდევილებიც წარმოადგინეს და საღამო დიდად გაახალისეს. ნადიმიც დიდებული იყო, თეატრის ფოიეში გამართული, ორასზე მეტი კაცი ვესხრებოდით. ჯერ, ცხადია, იუბილარის სადღეგრძელო დაილია, მერე ილია და აკაკი ადღეგრძელეს ერთად მერე დეპუტატები, და ჩამოჰყვნენ და ჩამოჰყვნენ.

ილიასა და აკაკის ცოტა არ იყოს გამწვავებული ურთიერთობა, აბა, ვის აღარ მოეხსენებოდა და სახელდახელოდ შეთხზული სალაღობო ლექსით ორივეს ვუსურვე შერიგება და ყოველგვარი წყენის სამუდამო დავიწყება.

ეს აკაკი ვინ ყოფილა!..

რაც მე მისი პოპულარობისათვის ვიღვწი – ამხელა რუსეთს მე გავაცანი მისი ლექსებიც და პიროვნებაც, თორემ ჩაიხარშებოდა საკუთარ წვენში, ქართველ მკითხველს ვერ გაცდებოდა და ამ ერთი მუჭა ხალხის გარდა არავის გაეგონებოდა მაგის სახელი. უსაზღვროებაში მე გავტყორცნე – ცალკე რუსი და რუსულად მოუბარი მკითხველი, ცალკე კიდევ მსმენელნი. მაგის ლექსებიც რომ გადიგამოდის ჩვენს ლიტერატურულ საღამოებზე, უჩემოდ ერთი პწკარი მაინც გაიხმიანებდა?!.

რაც მაგის ვაჟი მლოცავს – შენ გამაცანი მამაჩემიო.

როგორც გონიერ კაცს შეჰფერის, ალექსი აღარც იხედება საქართველოსაკენ. ქართულის შესწავლა არც არასოდეს მოუნდომებია და ამიერიდან სულ რა გადარევს, ტყუილუბრალოდ დაკარგოს დრო. რაში წაადგება, თორემ!..

ნეტა ეს მამაჩემი რას წერსო, – ეს ფიქრი თუ უფაჩუნებდა სულში, აგერ მე გამოვეცხადე მშველელად და რაღაც წარმოდგენა შევუქმენი. მართლა გავაცანი ერთმანეთს მამა-შვილი.

არა, ეს მაინც ვინ ყოფილა!.. ჩემი უმანკო სურვილი თავხედურ ჩარევად ჩამომართვა და სადღეგრძელოს პასუხად საკმაოდ სუსხიანი სიტყვები მომაყოლა: ამ უცხო კაცს ჩვენი ვითარებისა არაფერი გაეგება და ამიტომაც მოსდის ასეთი შეცდომაო, მე და ილიას თუ ურთიერთში რაღაც უთანხმოება და კინკლაობა გვაქვს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთი წავახალისოთ და მეტი და მეტი ვაკეთოთ ამ ჩვენი უბედური ქვეყნისათვისო, ნეტა ჩვენს ურთიერთობაში ცხვირს არავინ ჰყოფდეს, მითუმეტეს, სრულიად ჩაუხედავი კაციო, როდესაც გასაჭირი გვიდგება მთელ ერს, მაშინ ყველა ვერთიანდებითო, ასეო, ისეო... სულ თავბედი მაწყევლინა.

ილია?

იჯდა ჩუმად და იღიმებოდა.

ასე იცისო – ამიხსნეს – როცა მის პირადობას შეეხებიანო.

ამ ილიასიც ვერაფერი გამიგია.

ვანო მაჩაბელს ჩემთვის რა უწყენინებია, არასდროს იოტისოდენაც არა, მაგრამ ილიას ესიამოვნება-მეთქი, მივდექი და გავაბურთავე მისი სახელი. ილია შეუძლოდ შექმნილიყო და მოსანახულებლად ვეწვიე. თითქოს ნიკო ცხვედაძესა და არტურ ლაისტს მივმართავდი, მაგრამ თვალი და ყური ილიასაკენ მეჭირა, ნეტარების ღიმილი გადაეფინება და გუნებაზედ მოვა-მეთქი.

რა ნეტარი ღიმილი, მოიღრუბლა და რას მოიღრუბლა, და ექიმს რაღაც გადაულაპარაკა, მერე თვალები დახუჭა და გაირინდა.

ექიმმა ყველას გასაგონად გამოაცხადა რუსულად:

– პატივცემულო ილია, დაიღალეთ? ცუდად გრძნობთ თავს? იქნებ ცოტა ხანს დაიძინოთ! დაისვენეთ, სჯობია.

და მოგვიბრუნდა:

– როგორც ჩანს, ჩვენი ავადმყოფი დაიღალა, მივცეთ საშუალება ცოტა ჩაძინებისა, რათა დაისვენოს.

გამომაძევა და ეგ არის. გეუბნებით, გამომაძევა.

ისეთი სახე ჰქონდა, ექიმს რაღაც რომ გადაულაპარაკა, ნამდვილად მაჩაბლის აუგად ხსენებამ გააგულისა, როგორ თუ ამ ვიღაცამ უდიერი სიტყვა ჰკადრა, როგორმე მომაშორეო. რაღაც ასეთს იტყოდა: ამ ტუტუცმა ეს როგორ გაბედაო. ხომ არ გამიგია, რა თქვა, ნამდვილად „ტუტუცს“ იტყოდა.

მე მაგისკენ და ეგ კი...

მართლა ჩემი პოეზიის თაყვანისმცემელი რომ ყოფილიყო, ეგრე არ გამომაპანღურებდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

რუსული თოლია ქართულ ტბასთან

*

საუბარი მიხეილ კაზაკოვთან

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სეზონი პრემიერით გახსნა და ანტონ ჩეხოვის „თოლია“ მაყურებელს ცნობილი რუსი მსახიობისა და რეჟისორის, მიხეილ კაზაკოვის ინტერპრეტაციით წარუდგინა.

ეს მარჯანიშვილის თეატრის დასის პირველი პროფესიული შეხვედრაა მიხეილ კაზაკოვთან, რომელსაც საქართველოსთან მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს.

რუსი მწერლის ამ ცნობილ პიესაში, რომელიც მსოფლიოს ყველა დიდ დრამატულ სცენაზე დაიდგა, ქართველი მსახიობების საინტერესო ჯგუფი მუშაობდა (ბაია დვალიშვილი, დემეტრე სხირტლაძე, ნიკა კუჭავა, ნანკა კალატოზიშვილი, ნინო იოსელიანი, ზაზა იაკაშვილი, ონისე ონიანი, დიმიტრი ტატიშვილი, ბესო ბარათაშვილი, მანანა კაზაკოვა).

სპექტაკლი მხატვრულად ანა კალატოზიშვილმა გააფორმა;

მუსიკა – ნიკა მაჩაიძეს და რეზო კიკნაძეს ეკუთვნით;

ქორეოგრაფია – გია მარღანიას.

რეჟისორის თანაშემწეა ნათელა შალიკაშვილი.

ქართველ მსახიობებს მიაჩნიათ, რომ ცნობილ რუს რეჟისორთან მუშაობა მათთვის ძალზე საინტერესო იყო. ეს ურთიერთთანამშრომლობა მათთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ რუსული თეატრალური სკოლის ფორმებს ეზიარნენ, თვითონ რეჟისორი რას ფიქრობს ამ და კიდევ სხვა საინტერესო საკითხების შესახებ, ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ:

– უწინარესად მოგილოცავთ. სპექტაკლი მეტად საინტერესოა. მსუბუქი საყურებელია, დინამიკური, ამასთანავე, კარგად ჩანს ავტორის მიერ წამოჭრილი პრობლემები, და ხასიათებიც ძალზე სწორად არის შერჩეული, თუმცა ამ ყველაფრისთვის რომ მიგეღწიათ, ალბათ ბევრი შრომა დაგჭირდათ.

– არც ისე. ჩვენ თითქმის ერთ თვეში, უფრო ზუსტად, სამ კვირაში დავასრულეთ სპექტაკლზე მუშაობა.

– იცით, ჩეხოვი ქართველ მკითხველს გამორჩეულად მისი უბრალოების გამო უყვარს. ამ მწერლის შემოქმედება ძალზე იოლი გასაგებია ყველასთვის. ოღონდ ეს უბრალოება ალბათ რთული გადასატანია სცენაზე. თან არც ის იქნებოდა იოლი, რუსული ხასიათები და, ამავე დროს, რუსული თეატრალური სკოლის საშუალებები ქართულისათვის რომ უნდა მოგერგოთ.

– წარმოიდგინეთ, ამ შემთხვევაში რთული არ აღმოჩნდა. მსახიობების თამაშით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, რომ ანსამბლი შედგა. და თანაც, მე ისინი შევიყვარე, არადა, ყოველთვის ასე არ ხდება. ხასიათებისა და საშუალებათა მორგებას რაც შეეხება, გეტყვით, რომ ეს საძნელო არ არის. რა, სცენაზე ეს გმირები ძალიან ჰგვანან ქართველებს? არც მიფიქრია ამის გაკეთება. ისინი მსახიობები არიან და პერსონაჟებს თამაშობენ.

– უბრალოდ მეგონა, როცა რეჟისორი უცხო დასთან მუშაობს, პიესის შერჩევისას ალბათ ძალზე ბევრ რამეს ითვალისწინებს-მეთქი. ისე... მაინც რატომ გადაწყვიტეთ ჩეხოვის ამ ნაწარმოების შეთავაზება ქართველი მაყურებლისათვის? შემთხვევით მოვისმინე, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით: ჩეხოვი დიდი ხანია არ დადგმულა საქართველოში, ახალი თაობა წამოვიდა და მათ დაინტერესებთო...

– არა მხოლოდ ამიტომ. დღეს ბევრი არც ისე კარგი პიესა იდგმება თეატრალურ სცენებზე, მათ შორის ქართულსაც ვგულისხმობ. და ვიფიქრე, რომ „თოლია“ ძალზე კარგი არჩევანი იქნებოდა.

– სხვათა შორის, არც ჩეხოვია უცხო ქართველი მაყურებლისთვის. სწორედ ამ ბოლო ხანებში ქართული თეატრი „ალუბლის ბაღზეც“ მუშაობდა, „სამ დაზეც“, „ძია ვანიაზეც“...

– ძალიან კარგი. როცა ამ პიესას ვარჩევდი, მთავარი მაინც ის იყო, რომ გამორჩეულად მიყვარს. ყოველთვის მინდოდა მისი დადგმა. ეს რუსულ სცენაზეც შეიძლებოდა, მაგრამ, იცით, იქ უკვე ცხრა „თოლიაა“, და აღარ მინდოდა ჩემი მეათე ყოფილიყო. მიყვარს ეს პიესა. მომწონს, როგორ არის წარმოჩენილი ხასიათები, პრობლემები... როგორ არის აწყობილი დიალოგები... და ვფიქრობ, რომ მაყურებელსაც მოეწონება (აი, ხეზეც ვაკაკუნებ).

– უთუოდ მოეწონება. ეს ყველაფერი, რაც სცენაზე ხდება, ხომ ჩვენი ცხოვრებაა. სიყვარულიც, ტკივილიც, იმედგაცრუებაც, განშორებაც, ახლის ძიებაც... ნაწილია ჩვენი ყოფისა, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად ისე გვიზიდავს, როგორც თოლიას ეს ტბა, სცენაზეც რომ ლივლივებს...

– ასეა. ცხოვრება ტრაგიკომედიაა, რომელიც, სამწუხაროდ, სიკვდილით მთავრდება. აი, სორინი, მაგალითად, ჩემს სპექტაკლში კვდება. ხო, მართლა, ეს კარგად ჩანს?

– ასეც ვიფიქრე, რომ სცენიდან მის იდუმალ გასვლაში, უფრო სწორად, გაყვანაში, სიკვდილს გულისხმობდით. ოღონდ მგონი ჩეხოვთან ასე არ არის, ხომ?

– დიახ. ჩეხოვთან სორინი არ კვდება. ჩემს სპექტაკლში კი ტოვებს ამ წუთისოფელს. ეს ჩემი დამოკიდებულებაა. მაყურებელს ბევრ რამეზე უწევს დაფიქრება. მათ შორის იმ პრობლემაზეც გაორებული სინდისისა, ასე რომ

აწუხებს ჩეხოვს. ამ პიესაში თვითონ ჩეხოვიც გაორებულია ტრეპლიოვსა და ტრიგორინს შორის. მისი ადამიანური სიმპათიები ტრეპლიოვის მხარესაა – ძალზე სუფთა და პატიოსანი კაცის მხარეს, თუმცა კი ტრიგორინიც თავისებურად პატიოსანია. პიესაში იგი ცოცხალი რჩება, იცხოვრებს და იცხოვრებს, აი, ტრეპლიოვი კი კვდება...

– პიესის ინტერპრეტაციის დროს კიდევ ბევრი რამ შეიცვალა?

– არა, მხოლოდ ის, რომ სორინი კვდება. ჟესტებია შეცვლილი, თორემ დიალოგები, შინაარსი და მთავარი არსიც პიესისა იგივეა.

– დღეს ინტერპრეტაციაც ბუნებრივია, ამ ხერხს ხშირად მიმართავენ რეჟისორები, ეს თითქოს აუცილებელიც კი გახდა. აკი პიესის გმირიც ამბობს: ახალი ფორმებია საჭირო, ისე ხელოვნება აზრს კარგავსო...

– არა, იცით, როგორც გინდა ისე დადგი. მთავარი ხომ ნაწარმოების არსია. უბრალოდ ჩეხოვის ეპოქის გაცოცხლება გაცილებით ძვირი დაჯდებოდა. ახალ ფორმებს სათქმელის საინტერესოდ გამოსახატავად ვეძებთ. სპექტაკლის გმირიც ამას ცდილობს. ახალი ფორმები საჭიროა და ამაზე კამათი თითქოს არ შეიძლება. ბროდსკიც წერდა ამის შესახებ, თვითონ ჩეხოვიც ეძებდა ახალ ფორმებს... მერე კი რას ამბობს? ძველი ფორმები... ახალი ფორმები... რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია გულიდან და სულიდან იღვრებოდესო. მეც მაყურებლის გაკვირვებას ვცდილობ, როცა მსახიობს ვთხოვ, რომ საწოლზე დაწვეს და ინტიმური სცენა შეასრულოს საკმაოდ ელეგანტურად. თუმცა, ამავე დროს, მე ხომ ის გადმომაქვს სცენაზე, რაც ჩეხოვთანაც არის, და თან ამას ისე ვაკეთებ, რომ მაყურებელს ამაზე არ გაეცინოს (როგორც ეს რუსული თეატრის სცენაზე დადგმულ „თოლიაში“ ხდება).

– თქვენ თქვით, რომ მსახიობების თამაშით კმაყოფილი ხართ. საინტერესოა, რეჟისორისთვის რაიმე უხერხულობას თუ ქმნის ის მომენტი, რომ სპექტაკლის დადგმისას შვილთან ერთად უწევს მუშაობა?

– ამ შემთხვევაში – არავითარს. მანანა კარგი მსახიობია, ჭკვიანი ქალია. იცით, თავიდან მას შევთავაზე ირინა არკადინას როლი ეთამაშა, მან კი მირჩია, ეს როლი ბაია დვალიშვილს მიეციო. მგონი სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. თვითონ მანანამ კი პოლინა განასახიერა. ეს მთავარი როლი არ არის, მეორეხარისხოვანია, მაგრამ, ჩემი აზრით, კარგად გაართვა თავი.

– ვფიქრობ, სპექტაკლი წარმატებული იქნება და არაერთი გამოხმაურებაც მიჰყვება. ეს თქვენს გეგმებს რამენაირად შეცვლის?

– თუკი წარმატებული იქნება და ეს წარმოდგენა ათი ჩვენებით არ ამოწურავს თავს, უთუოდ შეცვლის იმ მხრივ, რომ ახალ სპექტაკლზე დავიწყებ მუშაობას. რომელზე? მოდით, ჯერჯერობით თავს შევიკავებ გამხელისაგან.

ესაუბრა
ეკა გუჯიაშვილი

საბა სულხანიშვილი

ნინო ყიფიანი „თეთრი გიორგის“ წინაპრად

„ჩვენი მწერლობის“ წლევანდელ მე-12 ნომერში მკითხველი გაეცნო მართლაც ისტორიულ დოკუმენტს – ნინო ყიფიანის პირად წერილს იაკობ გოგებაშვილთან. აქამდე ამ ბარათის ერთადერთი – თუმც უაღრესად მნიშვნელოვანი – ფრაგმენტი იყო გამოქვეყნებული, სოციალ-დემოკრატიის გამხრწნელ როლს რომ ამხელდა, ახლა კი სრული სახითაც გახდა ხელმისაწვდომი მკითხველისათვის.

იქვე დართული რედაქციის მინაწერი აშკარად სცილდება ამ ჟანრის ფარგლებს და ჩამოჰგავს მცირე ლიტერატურულ ნარკვევს, რომელშიც აირეკლება ნინო ყიფიანის, ამ გამორჩეული პიროვნების, შთამბეჭდავი სილუეტი, და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მისი ბიოგრაფია და ღვაწლი გულდასმით გვაქვს შესასწავლი და წარმოსაჩენი.

ამ მხრივ დასაფასებელია დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარის თამაზ ჯოლოგუას თუნდაც ის მიგნება, რისი წყალობითაც გაიშიფრა „ტეზრელის“ ფსევდონიმი და წმინდა მოწამის შვილიშვილის წვლილი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა 1904 წლის ჟენევის ინტერპარტიული კონგრესის მომზადებასა და ხორცშესხმაში.

მკითხველისათვის უთუოდ საგულისხმო იყო არჩილ ჯორჯაძისა თუ გიორგი დეკანოზიშვილის, რევაზ გაბაშვილისა თუ იასონ ბობღიაშვილის სახელთა გახმიანებაც ნინო ყიფიანის სილუეტის აღდგენისას, მათი მემუარული თუ ეპისტოლური მემკვიდრეობის ცალკეულ პასაჟთა კიდევ ერთხელ დატრიალება სამეცნიერო მიმოქცევაში, და კარგი იქნებოდა იქვე ჩართულიყო თუნდ ეს ფრაზა შალვა ამირეჯიბის მემუარული ჩანაწერებიდან:

„თუ „თეთრ გიორგის“ ჩვენს წარსულში თავისი წინაპრები ჰყავს, ნინო ყიფიანიც იმათში უნდა ჩაირიცხოს“.

ვისაც მოეხსენება ამ ემიგრანტული პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის დაარსებისა და მოღვაწეობის გარემოებანი, „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთ წინაპრად ნინო ყიფიანის გამოცხადება ასეთი სანდო, ეჭვშეუვალი მემატიანის მიერ უკვე ბევრ რაიმეს მიგვანიშნებს საგულისხმოს ამ პიროვნებაზე. სულ რომ არაფერი ვიცოდეთ მასზე, ეს ერთი ფრაზაც მრავლისმეტყველია და ნინო ყიფიანის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსისა და ცხოვრების გეზის მკაფიოდ წარმომჩენი.

ეს მემუარული ჩანაწერი შეტანილია შალვა ამირეჯიბის ორტომეულში, რომელიც 1997-98 წლებში განახორციელა ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა და, რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ნინო ყიფიანზე ამ ჩანაწერში კიდევ რამდენიმე საყურადღებო ცნობაა და ბარემ ის დეტალებიც გავიხსენოთ.

მემუარისტი აღნიშნავს: ნინოს ტფილისშიც ვიცნობდი და ვენაში ცხოვრების დროსაც ვმეგობრობდით ერთმანეთს. ეს იყო შესამჩნევი პიროვნება, ჰყავდა ბევრი ნაცნობი, მიმოწერა ჰქონდა ბევრ გამოჩენილ პირთან და ყველას წინაშე ქართულობის მედგარი პროპაგანდისტი იყოო.

ნინო ყიფიანი (მარცხნივ)

იქ გაუცნია ართურ შნიცლერი, თავისი დროის აღიარებული მწერალი, ვისი გავლენაც, სხვათა შორის, ქართულ ლიტერატურასაც გადმოსწვდა. დადიოდა მის ოჯახში, მოჰქონდა წიგნები და შალვა ამირეჯიბსაც ათხოვებდა ხოლმე.

რა გასაკვირია, რომ ნინოს სახელოვანი პაპის რამდენიმე სურათი ჰქონოდა და მუდამ გამოსაჩენ ადგილას დაედგა თავის პატარა ოთახში.

შალვა შეამჩნევდა, რომ ერთ სურათს მკერდზე ლაქები ჰქონდა და, რადგანაც ეს სურათი დანარჩენებზე მეტად მოსწონდა, სინანულით ჰკითხავდა: საიდან გაჩნდა ეს ლაქებიო.

ნინო აუხსნიდა: ეს ლაქები შავი ტუშის კვალია იმ ადგილებზე, სადაც პაპაჩემს უწინ რუსული ორდენები ეკიდაო.

ამ ეპიზოდის გახსენებისას მემუარისტი დასძენს:

„მას სძულდა ყველაფერი რუსული და თავის ქართველ წინაპარს ამრიგად აჰყარა ეს რუსული ღირსება“.

ეს დეტალიც რაოდენ მრავლისმეტყველია.

ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი პასაჟი აღმოჩნდეს სხვადასხვა მემუარებსა თუ ეპისტოლეებში და ნინო ყიფიანის პირად მიმოწერასთან ერთად მთელი ეს მასალა გამოდგეს დასაყრდენი მისი თავისებურად სიმბოლური სახების მისაკვლევად.

სწორედაც სიმბოლოს რანგში მაღლდება.

ეს ის პიროვნება ჩანს, ვისი სახელის მიჩქმალვა თუ გაფერმკრთალება აღარიბებს ქართული პოლიტიკური აზრის ისტორიას – იგი მარტო „თეთრი გიორგის“ წინაპრად არ იგულისხმება, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ოფიციალური მოთხოვნის ისტორია ნინო ყიფიანის გარეშე ერთ ნათელ სხივს დაჰკარგავს და სადა აქვს საქართველოს ასე უდარდელად დასაფანტი სხივები.

სამშაბათს, 2 ოქტომბერს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
წარდგინება
როსტომ ჩხეიძის
ბიოგრაფიული რომანისა

„ბურჯი ეროვნებისა (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა)“

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის №41

კვირას, 7 ოქტომბერს
ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“

გაიმართება შეხვედრა

ვახუშტი კოტეტიშვილთან

დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

გურამ ოდიშარია

პრეზიდენტის კატა

24

ზღვა იყო ისეთი, თითქოს სადღაც, ძალიან ახლოს ღმერთი დასეირნობსო.

იყო კამკამა. დილის ექვსი საათის ზღვა.

ცაც კამკამა იყო. დილის ექვსი საათისა და ერთი წუთის ცა.

და ზღვაში ერთადერთი კაცი დაცურავდა.

– ამოდი, ამოდი, – მხიარულად უძახდა იგი იმ კაცს, ეხუმრებოდა, – ახლა ჩემი რიგია, მე უნდა ჩავიდე ზღვაში... ამოდი, ამოდი!

კაცს რომ უძახდა ასე, სწორედ მაშინ ექვსი საათი და ორი წუთი გახდა.

შემდეგ ექვსი საათი და სამი წუთი.

ექვსი საათი და ოთხი.

ექვსი და ხუთი...

6 და 6.

6 და 7.

6 და 8.

6 და 9.

10.

12...

24...

25

ერთ-ერთ თათბირზე მიხეილ თემუროვიჩის გვერდით მოვხვდი. მაშინ, მგონი, ის რომელიღაც საცდელი მეურნეობის დირექტორი იყო. სოხუმის რაიკომის მაშინდელი მდივანი – ასტიკო გვარამია ბობოქრობდა, აღმასკომის თავმჯდომარეს უტევდა – თავის დროზე რატომ მეტი არ მოითხოვეთ მანდარინის საჭირო რაოდენობის ყუთები?! ხომ ხედავთ, არ გვყოფნის და მოსავალი გვიფუჭდებაო. იმან – მე რა ვქნა, ჩემი მოადგილისათვის ყუთების რაოდენობა ბღაჟბას ჩაუწერინებია, მე რა შუაში ვარო.

რაიკომის მდივანმა იღრიალა – ბღაჟბას ვინ ეკითხება ამასო.

მან არ იცოდა, რომ მიხეილ თემუროვიჩი დარბაზში იყო. ვერ შეამჩნია.

ბღაჟბას საოლქო კომიტეტის პირველმდივნობისას რაიკომის მდივანი კომკავშირულ ორგანიზაციაში მუშაობდა და ბღაჟბას სახელის ხსენებაზე ელეთ-მელეთი მოსდიოდა.

მიხეილ თემუროვიჩს გადავხედე. იღიმებოდა, ძალზე უცნაურად, ვეღარც ავხსენი, როგორ. ერთი რამ კი ცხადი იყო – სახეზე წყენა არ ეწერა. რაღაცნაირად იღიმებოდა. თითქოს ამბობდა – ასეც ვიცოდი, რაც ხდება, ყველაფერი სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, აბა, სხვანაირად არც იქნებოდა. მოკლედ, არც თუ ისე საინტერესოა ეს ცხოვრებაო.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18,19

26

როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი იმ ღამეს, როდესაც „ამრაში“ ვისხედით, კაფე – „ამრაში“, განა რესტორანში.

და ჩვენ ვსაუბრობდით და ვსვამდით.

მალიმალ ვაცარიელებდით და კვლავ ვივსებდით ფართოყელიან გრაფინებს.

ვივსებდით თეთრი, მსუბუქი ღვინით და იმ ღვინოში ჩავჭრიდით ხოლმე ატამს, ვაშლს, მსხალს, ხან ვაგდებდით ბლის მარცვლებს და ვამატებდით ყოველივე ამას ცოტა „ავადჰარას“ და ცოტა „ბორჯომს“ (ეს ისე, ხუმრობით ვამატებდით), და უფრო კი – შავ ღვინოს, ხან შამპანურს, ხან წითელ ღვინოს, ხანაც კვლავ თეთრ ღვინოს, მერე ისევ შამპანურს...

მოკლედ, კუდით ვათრევდით იმ საღამოს ღვინოს, კავკასიური ნაგაზის ლეკვივით, ვეთამაშებოდით, სიყვარულით ვაწვალებდით, თავზე ხელს ვუსვამდით, მუცელზე ვუღიტინებდით, ვეფერებოდით სქელ ბეწვსა და თათებზე.

და ისიც კრუსუნებდა – ღვინო! წკმუტუნებდა, მხიარულებდა ჩვენთან ერთად, ხან წაიყეფებდა, ხანაც მოგვიწუწავდა მაგიდას.

და მერე ასე კრუსუნ-წკმუტუნ-ნუწუნით ჩვენს ძარღვებში მოგზაურობდა.

და იყო ნიავი მთვარიან-ვარსკვლავიანი და ის ნიავი ჩვენს ქალებს გრძელსა და ქერა თმებს უფრიალებდა, შავსაც.

და ხდებოდნენ ჩვენი ქალები ნახევრადგამჭვირვალენი – მთვარისა და ვარსკვლავების შუქის გამო, და კიდევ – ზღვის ნიავის გამო.

და გვიყვარდა ჩვენ, ყველას, ერთმანეთი, და თანაც როგორ...

27

თამადობდა სუფრას, რომლის წევრთა უმრავლესობა ქალები იყო. ორჯერ დალია იმ აქლემის სადღეგრძელო, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ აქლემია, მაინც სწყურია.

იმ სადღეგრძელოს ალავერდი ორჯერვე ქალებთან გადავიდა – ჯერ ერთთან, მერე მეორესთან.

მესამეჯერაც აპირებდა დაელია, მაგრამ ქალები კისკისით დანებდნენ, ნუ დალევ, ჩვენთვის ყველაფერი გასაგებიაო.

მერე ფუტკრის სადღეგრძელო დალია.

ფუტკრის სახეობებს შორის არის ერთი განსაკუთრებული – აფხაზური ფუტკარი, მას მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხორთუმი აქვს და ყველაზე ღრმა ყვავილებიდან ამოსრუტავს ნექტარსო. თან ისეთ ადგილებში აღწევს, სხვა ვერა და ვერ მოახერხებს იქ შეღწევასო.

ქალები შეუჩერებლად კისკისებდნენ, ნეტავ გვანახა, როგორია ის ფუტკარიო.

ის პირდებოდა, აუცილებლად გაჩვენებთ, სუფრას რომ მოვრჩებით, აი, იმ ტყეში გავიდეთ, აფხაზური ფუტკარი იქ ცხოვრობს, ოღონდ შუაგულ ტყეში ცხოვრობს, ანუ ტყეში ღრმად უნდა შევიდეთ, ჩემო დედოფლებოო.

28

ერთ-ერთ თათბირზე მოულოდნელად გაცხარდა:

– ნამეტანს ვაკეთებთ, არ არის საჭირო ასეთი გადაყოლილი სტუმართმოყვარეობა, კაცს პატივს სცემ და მერე პასუხიც შენ უნდა აგო. ამას წინათ მოსკოვიდან ცეკას ინსტრუქტორი ჩამოვიდა, ახალ ათონში მეგობრის სახლში დავპატიჟე, მთელი ღამე იმხიარულა, გაერთო სიმღერებითა და ცეკვებით, დაბრუნდა ცეკაში და საჩივარი დაწერა ჩემს მეგობარზე – საიდან აქვს ამდენი საშუალება, ორსართულიანი სახლის მთელი ერთი სართული უჭირავსო?! მეგობრის სახლის პირველ სართულზე ვქეიფობდით, მეორეზე არ აგვიყვანია. ვერ წარმოიდგინა, რომ მეორე სართულიც მასპინძლის იყო. ეს რომ ცოდნოდა, წარმოიდგინეთ, კიდევ რას ჩაწერდა საჩივარში.

29

ერთმა ჟურნალისტმა სუფრაზე სოფელ ბესლეთის მოსახლეობის თხოვნა გაახმოვანა:

– მიხეილ თემუროვიჩ, სოფლის მოსახლეობას ხიდი არა აქვს და, მდინარეზე რომ გადავიდეს, ძალიან შორი გზით უწევს სიარული, იქნებ დაეხმაროთ და ხიდი აუგოთ.

მიხეილ თემუროვიჩმა (მაშინ პირველი მდივანი იყო) რატომღაც ჟურნალისტის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია.

ჟურნალისტმა მეორეჯერ გაახმოვანა ბესლეთელების თხოვნა.

არც მაშინ მიაქცია ყურადღება.

ჟურნალისტი არ ცხრებოდა.

როდესაც ჟურნალისტმა მეხუთეჯერ ითხოვა მდინარეზე ხიდის აგება, მიხეილ თემუროვიჩმა, თითქოს ახლაღა შეამჩნიაო, უთხრა:

– გატყობ, ყოჩაღი ბიჭი ხარ, ხალხისთვის თავდადებული, შენს თხოვნას როგორ არ შევასრულებ, ოღონდ შენი ხათრით ერთს კი არა, ორ ხიდს ავაშენებთ: ერთს – გამოღმა გადმომსვლელებისთვის, მეორეს კი – გაღმა მიმავლებისთვის.

30

მიხეილ თემუროვიჩი, ვიანორ ფაჩულია და მე სასტუმრო „აფხაზეთის“ ბუფეტში ვსხედვართ. შესანიშნავ განწყობაზე ვართ. მიხეილ თემუროვიჩმა შეუკვეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მათ შორის, ერთი ბოთლი კონიაკიც (ვიანორ ფაჩულიას დიაბეტი ჰქონდა და ღვინოს ერიდებოდა, კონიაკს არჩევდა).

ვიანორ ფანჯოვიჩი ოფიციანტს ეკითხება – რამდენვარსკვლავიანი კონიაკი გაქვთო. იმან – სამვარსკვლავიანიო. ვიანორმა – ჩვენ ხუთვარსკვლავიანი გვინდაო. ოფიციანტმა – მხოლოდ სამვარსკვლავიანი გვაქვსო. მცირე კონფლიქტს მიხეილ თემუროვიჩი აგვარებს:

– ვინორ, შენ რა, არ იცი, რომ ყველა ნებისმიერვარსკვლავიანი კონიაკი ერთი კასრიდან არის ჩამოსხმული?

ის ვიანორს ყოველთვის ასე მიმართავდა – ვინორ. ალბათ, მისი საყვარელი სასმელის – ღვინოს (вино) ხათრითა და სიყვარულით.

ვიანორ ფანჯოვიჩი მისი ერთგული მეგობარი იყო, მესაიდუმლეც, განსაკუთრებით ქალების განხრით. ფანჯოვიჩზე ამბობდა:

– როდესაც პირველი მდივანი ვიყავი, საღამოს სამსახურის კარებთან მხვდებოდა და დაწვრილებით მიყვებოდა, თუ რა მოხდა დღის განმავლობაში ქალაქში. დილით ასევე მხვდებოდა კარებთან და მაცნობებდა, ღამით რა ხდებოდა სოხუმში. ასე რომ, ვინორი ინფორმაციის შტატგარეშე მინისტრი იყო.

მოკლედ, ვსხედვართ „აფხაზეთის“ ბუფეტში და კონიაკს ვწრუპავთ.

ჩვენს სიახლოვეს გადის და გვესალმება კაგებეშნიკი. ვალტერი, მიმაგრებული სასტუმრო „აფხაზეთს“. ეს ყველამ იცის. არც თვითონ მალავს.

მიხეილ თემუროვიჩი ამბობს, როგორც ხშირად, ირონიით:

– საბჭოთა კავშირში არც ერთი ქალაქი ისე არაა მოწყობილი, როგორც სოხუმი. აქ მხოლოდ მარქსისტები ცხოვრობენ. ჩვენთან კაგებე ენგელსის ქუჩაზეა, სინაგოგა კი მარქსის ქუჩაზე. ისე, კაგებე მარქსის ქუჩაზე უნდა ყოფილიყო, სინაგოგა კი – ენგელსზე... მაგრამ იქნებ ასე უფრო მართებულია, კარგად მოიფიქრეს ამ ოხრებმა.

31

1929 წელს მაქსიმ გორკი აფხაზეთში ერთხელ კიდევ ჩამოვიდა. მაშინ მიხეილ თემუროვიჩი 14 წლისა იყო. მოკლედ, როგორც მიხეილ თემუროვიჩი ჰყვებოდა, მისმა ნაცნობმა ბიჭებმა სოხუმის სანაპიროზე გორკის თეთრი პიჯაკი მოპარეს. გორკი ზღვას და სანაპიროს ათვალიერებდა და პიჯაკი არც ახსოვდა. სწორედ მაშინ მოპარეს პიჯაკი სოხუმელმა ბიჭებმა.

პიჯაკის მოპარვას არა, მაგრამ პიჯაკის დაბრუნებას მიხეილ თემუროვიჩიც შეესწრო.

იმავე საღამოს ნესტორ ლაკობამ გორკი თავის მეგობრებთან ერთად რესტორანში დაპატიჟა. შუა ქეიფისას რესტორანში მაწანწალა ბიჭი შემოვიდა და ლაკობას ქაღალდის ფუთა გადასცა. ლაკობამ ფუთა გახსნა. ფუთაში გორკის თეთრი პიჯაკი აღმოჩნდა. გორკის ძალიან გაუხარდა, რომ პიჯაკი დაუბრუნეს. პიჯაკი ჩაიცვა, ხელი ჯიბეში ჩაიყო და იქ ბარათი აღმოაჩინა. ბარათი წაიკითხა და ხმამაღლა გაიცინა:

– Нестор, вот ты авторитет!

შემდეგ ბარათი ხმამაღლა წაიკითხა – „Дорогой Нестор! Мы не знали, что этот фраер твой гость. Возвращаем френч. Пять рублей, которые были у него в кармане, мы отдали посыльному пацану.„

32

ხანდახან ვფიქრობ. ხომ არ დამესიზმრა ის დრო-მეთქი? ომამდელი სოხუმი! გახსოვს კუკურ-ჩაი, მისი ჩაიხანა? ლექსებსაც თხზავდა კუკურ-ჩაი: Не курите, дети, дури, пейте чай вы у Кукури ან – თოფი ვესროლე ჩიტებსა, გავკარი ბუფეტჩიკებსა. გაბო გახსოვს, პორტის მუშა, თავზე „პავიასკა“ ეკეთა, ზედ 2 ეწერა. როცა შეეკითხე-

ბოდნენ, 1 ვინ არისო, გაბო რატომღაც ბრაზდებოდა. ერთხელ „ბრეხალოვკაში“ პროფესორმა ალანიამ დაიჩივლა – სამი გოგო მყავს, ბიჭი არა და არ ეყოლა ჩემს ცოლს, ამ დებილ გაბოს კი ხუთი ბიჭი ჰყავსო. გაბოც იქვე იდგა და პროფესორ ალანიას შესთავაზა – მიმიშვი შენს ცოლთან და ნახე, ბიჭი თუ არ გეყოლაო. მოვკლავ ამ უბედურსო, – იყვირა პროფესორმა ალანიამ და გაბოს გამოენთო. „დიოსკურიამდე“ ირბინეს გიჟმა გაბომ და პროფესორმა. იდგნენ სოხუმელები და იცინოდნენ.

აი, ასეთი ქალაქი იყო სოხუმი.

„სვაბოდა“ თუ გახსოვს, მეზღვაურის ქუდითა და მაისურით, გიტარით ხელში? კინოთეატრ „სოხუმთან“ ჩნდებოდა ყველაზე ხშირად. როგორ ყვიროდა – მსოფლიოს ბავშვები უნდა გადავარჩინოო.

მარადონა? ყველაზე მობილური გიჟებს შორის. სად არ ნახავდი – ხან დიდ საათთან იდგა, ხან წითელი ხიდის მიდამოებში დასეირნობდა, ხან ბაზართან, ხანაც შუქურას რაიონში. ზამთარ-ზაფხულ ნახევრადშიშველი დადიოდა. მზეზე გარუჯულს კისერზე ქვისა და თოკისგან გაკეთებული ყელსაბამი ეკეთა... ახლახან შევიტყვე – მარადონა გარდაიცვალაო. სულ ახლახან – 2007 წლის დასაწყისში. ისე დამწყდა გული, თითქოს მეგობარი ან ახლო ნათესავი დამღუპოდეს... ერთ სუფრაზე თამადა ვიყავი. მარადონას ხსოვნისა შევსვით...

დილაუთენია „დიოსკურიასთან“ პატარები და დიდები ერთიანდებოდნენ და ფეხბურთს თამაშობდნენ. მათ ერთ გუნდს „წითელი წიწაკა“ ერქვა, მეორეს – „ქარიშხალი“. ხუმრობდნენ, იცინოდნენ.

ერთხელ მიხეილ თემუროვიჩთან ერთად „პინგვინში“ ყავას ვსვამდით, ჩვენთან მისი მეგობარი ფოტოგრაფი ხიონიდი და ფოტოკორესპონდენტები: ტარასოვი, დგებუაძე და მელიქიანი იყვნენ. რამდენი სურათი გადაიღეს იმ დღეს!

არცერთი არ შემრჩა.

მერე „საცივის პოლკოვნიკიც“ შემოგვიერთდა. ცნობილი „გაიშნიკი“. მოდი, მისი გვარის ხსენებას მოვერიდები. „საცივის პოლკოვნიკი“ იმიტომ შეარქვეს, რომ მოსკოვში ერთ დიდ კაცთან კვირაში ერთხელ ხუთლიტრიანი თერმოსით საცივს აგზავნიდა. გიჟდებოდა ის დიდი კაცი თურმე საცივზე. ჰოდა, ძალიან სწრაფად რიგითი „გაიშნიკიდან“ ის კაცი პოლკოვნიკი გახდა, უფრო ზუსტად, „საცივის პოლკოვნიკი“. საცივს ერთი ეშერელი ქალი უმზადებდა.

„პინგვინში“ ზღვისკენ ჩამავალ კიბეზე ვიღაცას შამპანურის ბოთლი გაუტყდა. ცოტა ხანში საიდანღაც ვირთხა გამოძვრა და დაღვრილი შამპანურის სმა დაიწყო. მიხეილ თემუროვიჩმა ფოტოკორესპონდენტებს სთხოვა – გადაიღეთ შამპანურის მსმელი ვირთხაო. ოთხი ფოტოაპარატი აჩხაკუნდა. არც ის სურათი მაქვს.

„საცივის პოლკოვნიკმა“ – მოდი, ჩვენც ვიქეიფოთო, და მაგიდაზე სამი შამპანური ჩამოდგა.

ვიღაცამ საკამათო თემა ჩამოაგდო – ჩაცმული ქალი უფრო შიშველია თუ შიშველიო. ორი ფოტოკორესპონდენტი ამტკიცებდა, გემოვნებიანად ჩაცმული ქალი შიშველ ქალზე შიშველიაო.

მიხეილ თემუროვიჩმა პირველი ჭიქით ქალი ადღეგრძელა:

– ქალს გაუმარჯოს! ქალი დედამიწას ჰგავს – ხან აფრიკასავით მხურვალეა, ხან ანტარქტიდასავით ცივი, ხან მთის მდინარეს ჰგავს, ხან – ველის მდინარეს, ხან მწვერვალს, ზღვას, ოკეანეს, კონტინენტს, ქარს... მისი სხეულის ყველა მეანდერს გაუმარჯოს!

ნეტავ, სადაა ახლა იმ საღამოს გადაღებული სურათები?

შორიახლო ისმოდა ქალების კისკისი, პატარა ბიჭების – Я что, фраер македонский, что ли, Вася?

ვსვამდით შამპანურს. ასე დაგვაღამდა. სადღაც, მაჭარასთან მდებარე სასაზღვრე ნაწილიდან პროჟექტორებით ხან ზღვას ანათებდნენ, ხანაც – ცას.

– ახლა, მოდით, თვითონ ღვინო ვადღეგრძელოთ, სასმელი, რომელიც უკვე ხუთი ათას წელზე მეტია, რაც ბრძნულად აწესრიგებს ურთიერთობას ქალებსა და კაცებს შორის! – ასე შესვა მიხეილ თემუროვიჩმა ბოლო სადღეგრძელო.

33

თუ ადამიანს „მორბენალი“ ტყვია მოხვდა, ფაქტობრივად, განწირულია. ამ ტყვიის გამომგონებელი ქალია. „მორბენალი ტყვია“ ჯერ ღორებზე გამოსცადეს, მერე უპატრონო გვამებზე და მხოლოდ შემდეგ დაიწყეს მისი სერიული წარმოება.

34

1992 წლის ნოემბრის II დეკადაა. პერიოდულად იბომბება სოხუმი. მივდივარ ფშაფში. იქ ჩემი უმცროსი შვილის ცოლოურები ცხოვრობენ – ჩვენი სომეხი ნათესავები.

ფშაფში სამი დღის განმავლობაში ვრჩები. სოხუმში დაბრუნებულს ჩემი სახლის საპარადო კართან მიხეილ თემუროვიჩი დამხვდა. გადამეხვია და მითხრა – სოსიკ, მშიაო.

მივდექ-მოვდექი. შინ წყალი არ მაქვს, არც დენი. გადმოვალაგე სომეხი ნათესავების მოცემული პროდუქტები. მათ შორის 3 ლიტრი აუდუღარი რძე.

სპირტის ქურაზე ავადუღე 0,5 ლიტრა რძე, გავშალე სუფრა. გვაქვს ღომი ჩახარშული სულუგუნით, შემწვარი ვარია და კეცზე გამომცხვარი მჭადები. ვისადილეთ. მერე ვისაუბრეთ სხვადასხვა საქმეებზე. მათ შორის კვახზე – „ატლანტზე“, რომელსაც ჩემს სარდაფში ვახარებდით. მოვინახულეთ „ატლანტი“. ცოცხალი იყო, არ ავადმყოფობდა. „ატლანტი“ არ უნდა გახმეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივიღოთ მისი მოსავალი, – ამბობდა და კვახის ფოთლებს ეფერებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დასუსტებული იყო, მაინც მიუჯდა როიალს და ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“ დაუკრა. შემდეგ – „თაო ჩემო“.

ღამის თერთმეტი საათისთვის გავაცილე. სახლამდე მივყევი. ვუწილადე ფშაფიდან ჩამოტანილი პროდუქტები.

ნიავმა საიდანღაც მანდარინის სურნელი მოიტანა. თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შევხვდითო, ვიდექით და ვყნოსავდით მანდარინის სურნელს.

გამომშვიდობებისას კვლავ გადამეხვია – რა ბედნიერებაა მეგობართან შეხვედრა და საუბარიო. ხვალ ჩემთან გელოდები სამი საათიდან, ბიოლოგიური მეცნიერების საკვანძო საკითხებზე განვაახლოთ საუბარიო.

35

დახედე ამ რუკებს, სოსიკ, დახედე. როგორ სხვადასხვანაირები არიან ქვეყნები. ნახე, ის ქვეყანა რას დაუმსგავსებიათ? ან ეს? – თითქმის ამერიკის ტოლაა კუბა. ან ნახევარსფეროები როგორებია. აქ – სხვანაირია, იქ – სულ სხვაა. ან ქვეყნების ფერები როგორ იცვლება – წითელი, ყვითელი, ყავისფერი, რუხი, მწვანე... თითქოს შუქნიშანი იყოს – გაიარე! გაჩერდი! წადი! მიდი! მოდი!.. არ გაშინებს ეს პლანეტა?

პრეზიდენტის კატა

ზედ ნაპირთან ამოყვინთა, წყალქვეშა ნიღაბი და სასუნთქი მილი მოიშორა და ფიჭვის ძირას მჯდომ სოსო კაპანაძეს გასძახა:

– სოსიკ, მაშასადამე, რა თქმა უნდა, ესე იგი, როგორც ასეთი, მეჩვიდმეტეც ვიპოვე. სულ ჩვიდმეტია, არც მეტი, არც ნაკლები. როგორც ასეთი, ესე იგი, რა თქმა უნდა, მაშასადამე.

სოსო კაპანაძემ რვეულში ჩაინიშნა ბებეისირის ტბის მეჩვიდმეტე წყალქვეშა წყაროს მდებარეობა.

ბებეისირის ტბას, უფრო ზუსტად, ბებეისირის ტბებს – დიდსა და მცირეს სწავლობდნენ. მანამდე, იმ ზაფხულს, ზღვაზე კენჭების მიგრაციას იკვლევდნენ – „თურქეთის კენჭებს“, რომლებიც, წლობით, რა თქმა უნდა, ესე იგი, მაშასადამე და როგორც ასეთი, სარფისა და ბათუმის გავლით სოხუმისკენ მოცოცავდნენ. სწავლობდნენ „რუსეთის კენჭებსაც“, რომლებიც ნოვოროსიისკიდან ბათუმისკენ „მოგზაურობდნენ“. ხანდახან კენჭებზე თავდაღმა გაწვებოდა, თვალებს ხუჭავდა და ტალღების ხმასა და კენჭების ჩხრიალს უსმენდა.

– თითქოს მაკედონელის ჯარი მოდის, სოსიკ.

ბებეისირი ზღვიდან ახლოს, გალის რაიონში მდებარეობს. მასში მდინარე ოქუმი და ღელეები – მოხოხა და ნამგვალე – ჩაედინება, ზღვასთან კი სამგლე ღელე, იგივე ჯოყობა აკავშირებს. ტბა შავ ზღვასა და ამიერკავკასიის რკინიგზას შორისაა მოქცეული. ორივე ბაბეისირი 2 კვადრატულ კილომეტრზე მეტია, სიღრმე კი 3-დან 5 მეტრამდე მერყეობს.

ტანი დიდი, ხაოიანი პირსახოცით შეიმშრალა და მზეს მიეფიცხა:

– ჩვიდმეტი ცუდი რიცხვი არ არის. სადაც კი შვიდიანი ურევია, ყველა კარგი რიცხვია. მაგალითად, 7 ნოემბერი.

და გაიცინა.

მერე სოსო კაპანაძის ნახაზს დახედა:

– ნახე, ნახე, სოსო, ხომ სწორი ვიყავი, როცა ვამბობდი, ქალის საშოს ჰგავს-მეთქი ბებეისირი. რა შენი ნახაზი და რა ანატომიის სახელმძღვანელო. ეს ყოროფაც როგორაა შეჭრილი ამ საშოში? ნახე, ნახე, როგორ. აქ მაგიური ადგილია, სოს. ყოროფა პენისია. და ამავე დროს კაცის ტვინსაც ჰგავს. გაგიჟდები კაცის პენისი და ტვინი ერთნაირი კონფიგურაციისაა.

„ყოროფა“* ნახევარკუნძულს თვითონ შეარქვა. ღელეთა სახელები კი ვიანორ ფაჩულიასთან ერთად დაადგინა.

ყოროფას ნახევარკუნძულზე სამეცნიერო ცენტრი მდებარეობდა, სადაც მიხეილ ალავიძესა და სოსო კაპანაძესთან ერთად თანამშრომლობდა. 1993 წლის 14 აგვისტომდე.

ბებეისირზე ისინი, სამთავენი, წერდნენ:

„ტბის ტემპერატურა ზამთარში მერყეობს +6 ჩ-დან -13 ჩ-მდე, ზაფხულში კი +27 ჩ-დან +33 ჩ-მდე. ჰაერის აბსოლუტური მინიმუმი შეადგენს -11 ჩ, მაქსიმუმი კი +41 ჩ-ს. ტბის წყალი მურა-ყავისფერია, გამჭვირვალეობა ზაფხულში 50-150 სანტიმეტრია. მოღრუბლულ დღეთა რიცხვი 170-ს უდრის, მზიანის – 193-ს. ნალექების წლიური რაოდენობა 2.200–2.700 მილიმეტრია. ნალექები ძირითადად ზამთარში და გაზაფხულზე მოდის. ზაფხული უმეტეს წილად მშრალია, ქარები არ იცის. ზღვიდან დილის საათებში ქრის ნელი სიო.

ტბათა ხეობაში და შემოგარენში ტყის მცენარეებიდან გვხვდება: რცხილა, ლაფანი, წიფელა, წაბლი, მუხა, ჯონჯოლი, თხილი, ზღვის ნაძვი, მსხალი, ვაშლი, ტყემალი და ღოღნაშო; ინტროდუცირებული მცენარეებიდან კი: ცნტუს, ცტინიდია, ჩამელია, ჩავია, ორტუნელლა, ონცირუს, უცალყპტუს, Iუგლანს, ჰილოსტახუს, ტევეოცარპა, .ოტუს, . შინეუსის, ლეუზ იტეს, ჩინამომუმ ცანფორა. წყალმცენარეებიდან: წყლის წაბლი, წყლის ვარდი, ლოტოსი, ისლი, ლემნა, ვოლფია. ვოლფია ეთერზეთოვანი მცენარეა და მას თევზებიდან ჭამენ – სქელშუბლა და თეთრი ამური. ვოლფია გვხვდება როგორც წყლის ზედაპირზე, ასევე მის ფსკერზე. მის მოძრაობას ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით აპირობებს ტემპერატურის მერყეობა. როდესაც წყლის ტემპერატურა ეცემა +10 ჩ-ის ქვევით, ვოლფია წყვეტს ეთერზეთის სინთეზს. შესაბამისად ამისა, დიდდება მისი ხვედრითი წონა და მცენარე ტბის ფსკერზე ეშვება. ტემპერატურის მომატებისას (+10 ჩ-ის ზემოთ), შესაბამისად, მატულობს ეთერზეთის სინთეზი და იგი მაშინ წყლის ზედაპირზე ამოცურდება.

ტბაში ბინადრობენ თევზები: ლოქო, ვობლა, საზანი, სქელშუბლა, ამურის თეთრი კარპი (ინტროდუცირებული მ. ალავიძის მიერ), ტაფელა, კობრი, ქაშაყი, კალმახი (ინტროდუცირებული მ. ბღაჟუბას მიერ), კაპარჭინა, ფრთაწითელი, ქარიყლაპია, ღლავი და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ ზღვის ქარიყლაპია ტბაში ხშირად იჭრებოდა ზღვიდან და ანადგურებდა ბინადარ თევზებს. ამის აღსაკვეთად ტბის ტურის ყურე გადაიკეტა კაპრონის ბადით (მ. ბღაჟუბას ინიციატივა)“.

ხშირად წერდა და ამბობდა, რომ ურბანიზაციის პროცესმა შეამცირა აფხაზეთის ტყეები, რომ ყოველ წელს აფხაზეთის მთებიდან და გორებიდან ირეცხება 81.000 ტონა მიწა, რომ თითქმის მთლიანად გადარეცხილია ზედა

---

* **სიყვარული (მეგრ.)**

ეშერა, რომ აუცილებელია ახალი კულტურების შემოტანა და მათი ათვისება, მაგრამ ამან ზიანი არ უნდა მიაყენოს აფხაზეთის ადგილობრივ მწვანე სამოსს. მისი თქმით, აფხაზეთს უდიდეს ზიანს აყენებდა ორი საწარმოო კულტურა – ჩაი და თამბაქო. ჩაი საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვახვია, თამბაქო კი – თურქეთმაო.

ციტრუსთა ჰიბრიდული გენოფონდის კოლექციის გაშენებაზე მუშაობდა. კოლექცია 188 ფორმას აერთიანებდა. მათ შორის იყო ფორთოხალი – ტომსონ ნაველის კლონი, რომელსაც საბჭოთა კავშირში ახლებურად მონათლეს – ИВС (Иосиф Виссарионович Сталин). მიხეილ ალავიძეს ძალიან უყვარდა სტალინი და ამიტომაც ИВС ზეგეგმურად გაამრავლა.

„კოლხეთის გენეტიკის აკადემიის“ შექმნის იდეა ჯერ კიდევ მაშინ მოუვიდა, როდესაც 1949 წელს, ტიმირიაზევის ინსტიტუტახალდამთავრებული, ფილატოვის ჯგუფს სოხუმში ჩამოყვა ფილოკარპუსის შესასწავლად. ფილოკარპუსი ციტრუსების ნათესავია, ბზას ჰგავს, მარადმწვანეა. ბრაზილიაში ფილოკარპუსის უსიერი ტყეებია და საბჭოთა კავშირს სწორედ ბრაზილიიდან შემოჰქონდა ფილოკარპუსისაგან დამზადებული წამალი – ფილოკარპონი, რომელიც თვალის ძვირადღირებულ და ეფექტურ წამლად ითვლებოდა (თვალის მძიმე დაავადების – გლაუკომის სამკურნალოდ).

ფილატოვის ჯგუფმა, რომელშიც ბღაჟბას გარდა ხომეზურაშვილი, ხასაია, მიმინოშვილი და გერმანელი მეცნიერი – გერტმანი იმყოფებოდნენ, სოხუმში ალოეც შეისწავლეს. მალე აფხაზეთში ფილოკარპუსისა და ალოეს ორანჟერეები მოაშენეს.

მაშინ, ერთ-ერთ დილას, ლაბორატორიაში მოფუსფუსე სოსო კაპანაძე გაიცნო. მთელი დღე გენეტიკაზე ისაუბრეს და იკამათეს. საღამოს კი უთხრა – დღეიდან ძმები ვიყოთო.

ფილატოვის ჯგუფმა სოხუმი თვალის ახალი, ექსპერიმენტული წამლის – ალოეს ამპულებით დატოვა.

ვავილოვი მსოფლიოში ცნობილი გენეტიკოსი იყო. ლისენკოც. სტალინი თავდაპირველად ცდილობდა, ორივესათვის სამუშაოდ იდეალური პირობები შეექმნათ. ლისენკომ კარტოფილის განათალიდან კვირტები მიიღო და ამით კარტოფილის მოსავალი რამდენჯერმე გაზარდა. ბრავო, ლისენკო! – მიესალმა მის აღმოჩენას სტალინი. ნახევრადმშიერ რესპულიკას ბევრი კარტოფილი ჭირდებოდა. ვავილოვი ამტკიცებდა – ლისენკოს ქიმერები გამოყავს, ჩვენ კი ბუნების გზას არ უნდა გადავუხვიოთო. ლისენკო ვეგეტატურ გამრავლებას უჭერდა მხარს, ვავილოვი – ბუნებრივს. ლისენკოს გზა მოკლევადიანი იყო, ვავილოვის – გრძელვადიანი.

მეორე მსოფლიო ომის წინ ვავილოვი დააპატიმრეს და სარატოვის ციხეში ჩასვეს, სადაც გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. სტალინი უკვე უიმათოდ განაგრძობდა მცდელობას, გარკვეულიყო გენეტიკაში, ისევე, როგორც მოგვიანებით – ენათმეცნიერებაში.

მხატვარი მზია დედანაშვილი

სოსო კაპანაძე ვავილოვის საქმის ერთგულად მიიჩნევდა თავს. ვავილოვის მოსწავლედ კი მიაჩნდა თავი, მაგრამ ლისენკოს ზოგ მოსაზრებასაც იზიარებდა.

1965-დან მიხეილ თემუროვიჩი და სოსო კაპანაძე ერთად მუშაობდნენ: ხან სუბტროპიკულ კულტურათა სოხუმის ფილიალში, ხან იმავე ინსტიტუტის ექსპერიმენტულ მეურნეობაში; ხან – გვანდრაში, ხან გულრიფშში, ხანაც – აჩიგვარაში. და სოხუმშიც, რა თქმა უნდა.

– შენ უჩემოდ ვერ გაძლებ, – ეუბნებოდა ის სოსო კაპანაძეს.

ასეც იყო.

ერთხელ სოსო კაპანაძეს აკადემიკოსმა ლაპინმა მაიმუნთსაშენის კვლევით ცენტრში შესთავაზა სამუშაო. მიხეილ თემუროვიჩი აბობოქრდა, – რად გინდა ის აყროლებული მაიმუნები, ნუთუ ვერ ხვდები, რამდენი რამ გვაქვს საკეთებელიო.

თავდაპირველად ციტრუსების ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაზე მუშაობდნენ, შემდეგ სხვა საქმეებზეც ირჯებოდნენ: გლობალურ დათბობაზე, მოსალოდნელი წყალდიდობების პროგნოზირებაზე, შავი ზღვის ფსკერზე დაგუბებულ გოგირდწყალბადსაც სწავლობდნენ. ერთი უნიკალური ანძა ზღვაში, 30 მეტრის სიღრმეში ჩადგეს, მეორე კი – ტყეში.

უცნაური მცენარე გამოჰყავდათ – ტრიფოლიატ-ლიმონი, მაღალყინვაგამძლე, საკვებად ვარგისი.

ფეიხოაზე ამბობდა, საოცარი მცენარეა, ქარის. აყვება და დაყვება ქარს. ამიტომაც გადარჩაო. აი, ეს უნდა ვასწავლოთ სხვა მცენარეებსო.

ამტკიცებდნენ, რომ ფოტოსინთეზით მიიღება ყველა პროდუქტი, და ღებულობდნენ კიდეც – ოხურეის სათბობ

კომბინატში რეაქტორის ორთქლიდან მიიღეს ბლანტი სითხე, რომელიც საკვებისთვის აუცილებელ მინერალებს შეიცავდა. იმ სითხით ბატები მოასუქეს.

ალავიძესთან ერთად ჩაის საინდუსტრიო ჯიშები გამოიყვანა: ინდუსტრი-4 და ინდუსტრი-5. ასევე მასთან ერთად ინდუსტრი-4-ს და ინდუსტრი-5-სთვის საკვები ხსნარი „აჩიგვარა“ გამოიყენა. ჩაი ამ ხსნარით კრეფის დაწყებამდე 10 დღით ადრე ირწყვებოდა.

საცდელი ნაკვეთიდან 1991 წელს ჰექტარიდან 50-50 ტონა ჩაი მიიღეს.

ტროპიკული და სუბტროპიკული კულტურების ზრდა-განვითარების დაჩქარების მეთოდებზე მუშაობდა. დოკუმენტური ფილმიც გადაიღო აქსელერაციაზე.

სხვადასხვა დროს მეგობრებთან ერთად შემოიტანა: დეკემბრის ატამი (ამერიკიდან), მარწყვის ხე და თაფლის ხე (ჩინეთიდან), როდოპის ლიმონი (ბულგარეთიდან), ლიმონი „ვოლკამერიანა“ (იტალიიდან), ლიმონები: ტაჯიმა ნაცუმიკანი და იამაგუტი (იაპონიიდან).

ამერიკაში, ერთ-ერთ სიმპოზიუმზე, გიგანტური კვახის თესლი მოიპარა, კოსტუმის ჯიბეში ჩაიდო და სოხუმში ჩამოიტანა. კვახი მექსიკელებმა გამოიყვანეს, „ატლანტი“ შეარქვეს. ამ კვახის ზოგიერთი ნაყოფი 450 კილოგრამს იწონის.

თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა – „მსუბუქი მანქანა 1.000 კილომეტრის გავლისას იმდენ ჟანგბადს ანადგურებს, რამდენსაც ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ სოხუმის ციტოგენეტიკის ლაბორატორიაში, ციტრუსის კანში ბენზოიდები აღმოვაჩინეთ. ამის თაობაზე შესაბამისი მასალები გადავაგზავნეთ სვერდლოვსკში ბ. ვიგოროვთან. ერთობლივად დავამტკიცეთ, რომ 1 ლიტრი ბენზოიდი 3 ლიტრ ბენზინს ცვლის, ბენზინს, რომელიც წვის შედეგად დედამიწაზე ყოველი ცოცხალი არსების მტერია. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ადამიანები თავს ასეც იკლავენ – გარაჟში ჩაიკეტებიან და მანქანას დაქოქავენ. მათ მანქანიდან გამონაბოლქვი კლავთ. ქალაქებში და, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში მანქანის გამონაბოლქვის მიზეზით მოსახლეობის 5-12 პროცენტი კვდება“.

36

1962 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში შუა აზიის რომელიღაც მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი ჩამოვიდა. მიხეილ თემურავიჩმა სტუმარი გაგრისკენ „ჩაიკით“ გაასეირნა. შემდეგ „ეშერაში“ აქეიფა. სოფელ ეშერის რესტორან „ეშერაში“.

სოხუმისკენ გამობრუნებულებმა ეშერის მთის ფერდობზე ვირი შენიშნეს. ვირები თქვენც გყოლიათო! – გაუხარდა სტუმარს და შემდეგ იკითხა – მიხეილ თემურავიჩ, ვირებს თუ იყენებთ რამეშიო?

როგორ არაო, – მასპინძელმა, – ჩვენ მაღალმთიანი სოფლები გვაქვს, სადაც მანქანა ვერ ადის და ვირი გვშველის, ოღონდ ესაა, ძალიან ცოტა გვყავს და არ გვყოფნისო, – აქ ხმა გაებზარა და თვალებზე ცრემლი მოადგა მიხეილ თემურავიჩს.

ნება მომეცი, ეს პრობლემა მე მოგიგვაროო, – შეეცოდა მიხეილ თემურავიჩი მასზე არანაკლებ ნაბახუსევ სტუმარს.

რამდენიმე კვირის შემდეგ სოხუმში ხუთი ვაგონით შუაზიური ვირები ჩამოიყვანეს – დიდმა სტუმარმა სიტყვა შეასრულა.

როცა მიხეილ თემურავიჩს მოახსენეს – შუა აზიიდან ვირები გამოგვიგზავნესო, დიდხანს ვერც გაიხსენა, თუ ვის უნდა ეძღვნა ესოდენ ეგზოტიკური საჩუქარი.

ბოლოს, როგორც იქნა, გაიხსენა ეშერა, ეშერის „ეშერა“, სტუმარი და მარტოხელა ვირი.

რა ექნათ, რაში გამოეყენებინათ ვირები და ეშერის მთაზე გაუშვეს. ძოვდნენ ბალახს, ჟამგამოშვებით ყროყინებდნენ და ცხოვრობდნენ თავიანთთვის. როგორც კი ბალახი უთავდებოდათ, მაღლა-მაღლა მიიწევდნენ, ტყისკენ. მერე ზამთარიც მოდგა და ვირები მგლებმა დაგლიჯეს. ალბათ, ყველანი დაგლიჯეს, თორემ მერე ვინმე ერთხელ მაინც ხომ გაიგონებდა რომელიმე მათგანის ყროყინს.

37

სასტუმრო „აფხაზეთის“ სახურავიდან, უფრო ზუსტად, რესტორან „Крыша“-დან, ზღვა შავად ჩანდა. თუმცა არც თუ ისეთი შავი იყო, როგორც მას აღწერდნენ ძველი ბერძენი ჟამთაღმწერლები.

ის ადღეგრძელებდა იმ მოხუცს, იმ თეთრწვერა მოხუცს, რომელიც ზამთარ-ზაფხულ, ძველთაძველ, ფერშცვლილ საწვიმარ ლაბადამოხურული იჯდა პარკში, მშვიდობის პროსპექტზე, ტკბილეულობის მაღაზიის წინ მდებარე პარკში, და მტრედებს აპურებდა.

მტრედები მეგობრობდნენ მოხუცთან, ასხდებოდნენ თავსა და მხრებზე, ღულუნებდნენ, დაგოგმანობდნენ მის სიახლოვეს თავის კანტურით.

ქალაქში ამბობდნენ, მოხუცი მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში მსახურობდა, ჯალათი იყოო.

ქალაქში ამბობდნენ, მოხუცი ომის შემდეგ სოხუმში გადმოიხვეწა, შურისმაძიებლებს გამოექცაო.

ბევრ რამეს ამბობდნენ ქალაქში.

მიხეილ თემურავიჩი კი ამბობდა – მტრედები საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპულთა სულებია, მოხუცი ცოდვებს ინანიებსო.

38

თუ ადამიანი სადმე უბედურია, სხვაგან აუცილებლად ბედნიერი იქნება. ჯერ კიდევ IX საუკუნეში ალი-ბეირი წერდა ამის შესახებ. ეს სიმეტრიზმის კანონიაო, ამტკიცებდა ერთ-ერთ სუფრაზე მიხეილ თემურავიჩი.

მერე მყვინთავი კოლიას სულის მოსახსენებელი ასწია, კოლიასი, რომელმაც თავი მოიკლა: ორი ბოთლი არაყი მარტოკამ დალია, ზღვაში ნავით ღრმად შესცურა და წყალში უკანასკნელად ჩაყვინთა.

ის ამბობდა: კოლია თურმე მაშინაც იკლავდა თავს, როდესაც ჩვენთან ერთად ყავას სვამდა, როდესაც გვესალმებოდა, როდესაც სიგარეტზე გვიკიდებდა, როდე-

საც უყვარდა, როდესაც ეძინა... და ნუთუ ახლა ჩვენს შორის, ამ სუფრასთან, არის ადამიანი, რომელიც კოლიასავით თავს იკლავსო? წუხდა ამაზე.

მაგრამ თუ კოლია აქ უბედური იყო, სხვაგან აუცილებლად იქნება ბედნიერიო, ამშვიდებდა ვიღაცას.

39

აწვიმს ქალაქს, აწვიმს ზღვას, ყველას და ყველაფერს აწვიმს.

ახალი წლის წინა დღეებია.

(ჰო, „დიოსკურიასაც“ აწვიმს, რა თქმა უნდა).

ის, ათი წუთით გარეთ გასული, კვლავ ბრუნდება „დიოსკურიაში“, კონიაკით სავსე ჭიქას ხელში იღებს და ფეხზე მდგარი ამბობს:

– სულ ათი წუთით გავედი, მაგრამ იცით, რა სადღეგრძელო მოვისმინე? მოგეწონებათ. აგერ, გვერდით ოთახში, ერთი ბლატნოი ბეღურებს ადღეგრძელებს. შევეცდები, გავიმეორო, ისე, როგორც მოვისმინე: კაროჩე, ხედავთ, გარეთ სიფონია, რა ქარია, რა წვიმაა... ამოვდივარ კიბეზე და ვხედავ, კიბეზე ბეღურები დახტიან. გამახსენდა მერცხლები, სად არიან-მეთქი მერცხლები? არ არიან, იასნია, ზამთარია და კურორტებისკენ გაფრინდნენ, კარგი ცხოვრებისკენ გაფრინდნენ ის, ის ბოზ... ის მარიაჟები... კაროჩე, ბეღურები ჩვენთან არიან, არსად გაფრენილან, კიბეებზე დახტიან, კარმუშკას ჩითავენ, დაჩალიჩობენ... ხედავთ, რა ხდება, რა დასტოინები არიან ბეღურები, რა გაგებულები, ვასია... Я с ними на разведку тоже пойду, Вася... მერცხლები კი? იმ მფრინავ პუტანკებთან რა საერთო გვაქვს? აცივდება და მიფრინავენ, გვტოვებენ. კაროჩე, ბეღურებს გაუმარჯოს, ჩვენს ბრატუხებს, სესტრუხებს! მაგრად ასწორებენ, არ ტოვებენ თავიანთ ქალაქს, არ გვტოვებენ ჩვენ!

ჩვენც ფეხზე ვდგავართ.

და ვსვამთ ბეღურების სადღეგრძელოს, იმ ბეღურების, რომლებიც „დიოსკურიის“ კიბეებზე დაწრიალებენ ნოვოროსიისკის ქარში, წვიმაში, კიდევ იმ ბეღურების სადღეგრძელოსაც – სოხუმის ქუჩებში და მოედნებზე, პორტში და სადგურებში, ბაღებში, სკვერებში, ბაზრებში და სტადიონებზე, გორაკებზე და მინდვრებში, ხეთა ტოტებში და ბალახებში რომ ფართიფურთობენ, ფუსფუსებენ, კაუჩუკის პატარა ბურთებივით დახტიან.

მათთან ერთად ვადღეგრძელებთ სხვა ქალაქებისა თუ სოფლების, სხვა – კაპიტალისტური თუ სოციალისტური ქვეყნების ბეღურებს, განსაკუთრებით კი ჩინეთის გენოციდირებულ და მაინც ვერდამარცხებულ, ფიზიკურად და სულიერად გაუტეხელ ბეღურებს. სოლიდარობას ვუცხადებთ მათ და ვარცხვენთ და თავს ლაფს ვასხამთ და კიდევ უფრო ვაწითლებთ დიდ ჩინეთს პატარა ბეღურების ხოცვა-ჟლეტვის გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „დიოსკურიის“ ფილიალიდან გამაფრთხილებელ, მკაცრ, ჰაეროვან ნოტას ვუგზავნით და თითოეული ჩვენგანი თითო ჭიქა კონიაკით ადასტურებს, ამოწმებს ამ ნოტას. შემდეგ სხვა პლანეტების ბეღურებსაც ვადღეგრძელებთ. ჩვენი სადღეგრძელო საპლანეტაშორისო ხდება, გალაქტიკათშორისო.

და, მართლაც, თუკი სხვაგან სადმე არის სიცოცხლე, უეჭველია, იქ აუცილებლად იქნება ბეღურაც. სამყარო ხომ წარმოუდგენელია უბეღუროდ. და ის, ბეღურაც, გვჯერა, რაც უნდა მოხდეს, მაინც ბეღურად დარჩება და ჩვენი, სოხუმელი ბეღურების დარად, ერთგული მუდამ იქნება თავისი ბუდისა, ის პატარა, ის მინი-სოხუმელი ისა, ადამიანის ყველაზე მხიარული და ყველაზე დეპრესიული კუნთის – გულის ტოლა ჯადოქარი.

40

როდესაც იური გაბისონია დააწინაურეს და აფხაზეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომკავშირელი გახადეს, ბევრს გაუკვირდა.

ამბობდნენ, იურის დაწინაურების საქმეში მიხეილ თემუროვიჩის ხელი ურევიაო.

– სწორია, ჩემი ხელი ურევია, – იცინოდა თავად, – თქვენ თუ იცით, იურას კლიჩკა?! არა? მენდელეევს ეძახიან. რატომ შეარქვეს მენდელეევი? იცით?! არა? სწორედ ამაშია საქმე – ასეთი კაცი კომკავშირს სჭირდება!

აბა, მისმინეთ. აი, რა ცნობა მომაწოდეს კაგებეშნიკებმა: იურა მეექვსე კლასში რომ იყო, ბაბუა გარდაეცვალა. ოჯახმა ბაბუას სურათის გადიდება დაავალა. მისცეს ბაბუას პატარა სურათი და ფულიც. წავიდა ეს შებერტყილი და იმ ფულით ველოსიპედი იყიდა. ველოსიპედი მისი ოცნება ყოფილა თურმე. „ხევეზე“ იყიდა, ნახმარი, მაგრამ მაინც „ხევეზე“. მერე სკოლაში ქიმიის კაბინეტიდან მენდელეევის სურათი მოიპარა, ცოტათი მიხატ-მოხატა და გაჭრილი ვაშლივით დაამსგავსა ბაბუამისს.

სკოლაში ატყდა ერთი ვაი-უშველი, ეძებენ მენდელეევის პორტრეტსაც და მის ქურდსაც, მაგრამ არაფერი გამოსდით. იურას კი ისეთი ალიბი აქვს, წყალი არ გაუვა – ბაბუა გარდაეცვალა და მენდელეევის გატაცების პერიოდში სკოლაში არ დადიოდა. განსაკუთრებით ქიმიის გაუთხოვარი მასწავლებელი ფორიაქობს – მომხდარის მთელი იდეური და მატერიალური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურიც, მას ეკისრება.

ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ... ბაბუას დასაფლავების დღეს სატირალში მისული სკოლის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი უმალ ცნობს ყვავილების გვირგვინების შუაგულში ჩასვენებულ სურათს, ერთს შეჰკივლებს – მენდელეევიო, და გული მისდის. რა თქმა უნდა, მიხვდით – ის ქიმიის მასწავლებელია.

სანამ გულწასულს მოაბრუნებენ, იურა სიმინდის ყანისკენ გარბის, მოგვიანებით კი სასიმინდეში იმალება.

მერე იწყება, რაც იწყება – მენდელეევის საქმეს სოფლსაბჭოს კრებაზეც იხილავენ. სოფლსაბჭოს თავმჯდომარე სულ მუშტებს ურტყამს მაგიდაზე – გაბისონიავ, როგორ გაბედე და პოლიტბიუროს წევრის სურათი მოიპარე, შე კონტრრევოლუციონეროო. მერე კითხულობს, რომელი ამხანაგის სურათი მოიპარაო. მენდელეევისო, ეუბნებიან. მითუმეტეს, ამხანაგ მენდელეევის სურათის მოპარვა როგორ გაბედე, შე ტროცკისტოო. სოფლსაბჭოს მდივანი ჩურჩულით უხსნის თავმჯდომარეს, მენდელეევი დიდი ხანია მოკვდა, მეცნიერი იყო თანაც და არასოდეს ყოფილა პოლიტბიუროს წევრიო.

ამაზე სულ გიჟდება თავმჯდომარე – ეს ვინ გაბედა და პოლიტბიუროს ამხანაგების პორტრეტებს შორის მკვდარი კაცის სურათი დაკიდა, რომელმა ოპორტუნისტმაო. ეუბნებიან, რომ მენდელეევის სურათი ქიმიის კაბინეტში ეკიდა, სხვა ცნობილი ქიმიკოსების სურათებს შორისო. თავმჯდომარე დასაბმელი ხდება – პოლიტბიუროს წევრების გარდა არავინ არ უნდა ეკიდოს კედელზე, აქ იმპერიალიზმის აგენტების ხელი ურევია, დღესვე მოვახსენებ ყველაფერს რაიკომსო...

მოკლედ – მენდელეევი. აი, ეს კლიჩკა შერჩა გაბისონიას.

არ გვყავდა მენდელეევი კომკავშირში, ამიტომაც შევაშველე ხელი, არ იყო დასაკარგავი კაცი, აუცილებელი იყო მისი კომკავშირში ყოფნა.

41

32 წელი მისი სიძე ვიყავი. ორი ქალიშვილი ჰყავდა – ნატაშა და ტანია. უფროსი – ნატაშა ჩემი ცოლი იყო. ნატახა – ასე ეძახდა. ნატაშას მამამისივით უყვარდა ცხოველები. ნატახა ჩემი სისხლის არისო, იტყოდა. იყო წლები, როდესაც სახლში ერთდროულად ოთხი ძაღლი გვყავდა – დობერმან პინჩერი, ორი როტვეილერი, ჯუჯა პინჩერი. ასევე გვყავდა გველებიც, ბაყაყებიც.

გოგონებს არ ანებივრებდა – ფეხით დადიოდნენ სკოლაშიც, ინსტიტუტშიც. ჩემი მანქანა სახელმწიფოსია, მე მემსახურება, თქვენ თქვენი გზა გაქვთო.

ჩემი სიდედრი კატერინა ანტონოვნა ვასინა იყო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. წყნარი, მორიდებული ქალი. მახსოვს, ერთხელ მიხეილ თემუროვიჩს საზღვარგარეთ ვაცილებდით, მან ხელჩანთა ასწია და გაოცებულმა ჰკითხა ჩემს სიდედრს:

– კატიუშა, რატომაა ასეთი მძიმე, რა ჩამიწყვე ასეთი?

ხელჩანთაში სამი უთო იდო.

– შენ ხომ დაუთოება (гладить) გიყვარს, ჰოდა, წაიღე უთოები, გამოგადგება.

საქმე ის იყო, რომ წინა დღით მოსკოველი სტუმრები გვყავდა და ერთ-ერთ მაღალსა და გამორჩეულად ლამაზ ქალბატონს მიხეილ თემუროვიჩი, რაც უფრო მეტს სვამდა, მით უფრო ხშირად უსვამდა ხელს მხრებსა და თმებზე. ცოლის პროტესტზე – ნუ აკეთებ ამასო, უპასუხა:

– კატიუშა, შენ ხომ იცი, როგორ მიყვარს ხელის გადასმა (гладить).

ხანდახან მსოფლიო ომს იხსენებდა, განსაკუთრებით ომის იმ პერიოდს, როდესაც მისმა შენაერთმა ქალაქ კლინში ჩაიკოვსკის სახლი გაათავისუფლა. ამბობდა – ჩვენ იქ ბევრი ფაშისტი დავატყვევეთ. არასოდეს იტყოდა – ფაშისტებს ვკლავდითო, იტყოდა – ვატყვევებდითო.

არასოდეს არავისზე უთქვამს ცუდი რამე. უცნობებზეც იტყოდა – ჩემი მეგობარიაო. მისი საყვარელი სიტყვები იყო гладить და черти (Ах, эти черти, не дают мне покоя. Вот чудаки, не любят друг друга).

უცებ ბრაზდებოდა, შეეძლო ჩემთვის მწარე სიტყვებიც ეთქვა, მაგრამ ხუთ წუთში წყენა სრულიად გადაუვლიდა და უმალ ჩემს შემორიგებას ცდილობდა:

– ახალგაზრდავ, მოდი, პიანინოზე დავუკრათ. შენ გეუბნები, მობილი, შენ, ვითომ არ გესმის?!

ჩემთან შემორიგების მიზნით ყოველთვის „ციცინათელას“ უკრავდა. ათზე მეტ მელოდიას უკრავდა, კარგად მღეროდა. ნოტებისა არაფერი ესმოდა, მაგრამ მაინც დაიდებდა პიანინოზე. ხანდახან გადაფურცლავდა კიდეც, ვითომ, მნახეთ – ნოტებითაც ვუკრავო.

როდესაც ნატაშა შევირთე, მამისეულ სახლში, ქუთაისში მესტუმრა. ძალიან გაახარა იმან, რომ კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა. ცხონებულ მამაშენს კარგად ვიცნობდიო. მითხრა, შესანიშნავი კაცი იყოო. დარწმუნებული ვარ, არ იცნობდა, მაგრამ ასეთი იყო – ყველაზე კარგი უნდა ეთქვა.

ჩვენ ერთად ვცხოვრობდით სოხუმში, ფრუნზეს ქუჩაზე. დიდი, მრგვალი მაგიდა გვქონდა. ახალი ავეჯი არ უყვარდა. არ ვცხოვრობდით მდიდრულად, ვიმყოფებოდით მცენარეებისა და ცხოველების გარემოცვაში. საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი რამდენიმე სუვენირი ჰქონდა და მხოლოდ იმათ უფრთხილდებოდა განსაკუთრებულად.

არ უყვარდა დაბადების დღის აღნიშვნა. ჩვენს ოჯახში მხოლოდ ჩემი შვილის – თენგოს დაბადების დღეს აღვნიშნავდით. სხვათაშორის, არც მის მეგობარს – პროფესორ სოსო კაპანაძეს უყვარდა თავისი დაბადების დღის აღნიშვნა.

სახლში გვქონდა ერთი ძველი, დიდი თეფში, რომელზედაც ალექსანდრე II-ს პორტრეტი იყო გამოსახული. სტუმრებს ეუბნებოდა – კატერინა ანტონოვნა ალექსანდრე II-ს შთამომავალიაო. ომის დასაწყისში ის თეფში მაროდიორებმა დაუმსხვრიეს. როცა თბილისში ჩამოვედი, იმ თეფშის ნამტვრევები ჩამოვიტანე, შევაკოწიწე, დავაწებე და ახლა ბინაში მაქვს. მიხეილ თემუროვიჩის და, საერთოდ, იმ ცხოვრების მოსაგონებლად. თეფში ერთადერთი ნივთია, რაც სოხუმიდან შემომრჩა.

ომის დროს მაროდიორებმა ხელი ჰკრეს – კარს რატომ არ გვიღებო. კონდახიც მოუღერეს მოხუცს. ძალინ განიცადა. ვიცოდი, ომს ვერ გაუძლებდა. მისი დისშვილი კედელთან დააყენეს, უნდა დაგხვრიტოთო. არ დახვრიტეს, მაგრამ ერთ წუთში სრულიად გაჭაღარავდა ოცდაათი წლის კაცი. მეზობლის ბინა ამწით გაძარცვეს. „გრადის“ და ავტომატების ხმაზე მგალობელი ფრინველები და თუთიყუშები ეხოცებოდა. აკვარიუმში თევზებიც მოუკვდა, თუმცა წყალს უცვლიდა. ჯერ ფერი შეიცვალეს და მერე დაიხოცნენ. ბაყაყებიც დაეხოცა. იშვიათი ჯიშის ბაყაყები ჰყავდა. პურს აჭმევდა. ბაყაყები გასივდნენ, გომბეშოებად იქცნენ და დაიხოცნენ. ვერა, ვერ გაუძლებდა ომს.

იაპონური პორტატიული მაგნიტოფონი ჰქონდა. ადამიანების ხმების გარდა, ყველა არსების ხმას იწერდა: ბაყაყების ყიყინს, ჩიტების გალობას, ხარების ბღავილს, ძროხების ზმუილს, გველების სისინს, ბუზების ბზუილს, თუთიყუშების ჩხავილს, კატების კნავილს, ძაღლების ყეფას...

ხანდახან ჩვენი ძაღლები პარკეტზე მოშარდავდნენ ხოლმე. სიდედრი განგაშს ტეხდა. ის კი – აბა, რა ქნანო.

გვანდრაში პაწაწინა, ოროთახიანი სააგარაკე სახლი ჰქონდა. იმ სახლს ოჯახის წევრებს არ გვაკარებდა. ეს ჩემი ლაბორატორიაა, ჩემი აკადემია, აქ მხოლოდ ჩემმა მეგობრებმა უნდა იარონო. იქ ჯუჯა ქათმები ჰყავდა მოშენებული. გვანდრადან მხოლოდ ერთხელ მოიყვანა ორი ბებერი ქათამი. მთელი დღე ვხარშავდით, მაგრამ ვერ მოვხარშეთ. ერთი-ორჯერ ქათმის კვერცხებიც მოიტანა. ეს იყო და ეს. სად არ უმუშავია, მაგრამ შინ ერთი მანდარინიც არასოდეს მოუტანია.

მგალობელი ჩიტები გვანდრაშიც ჰყავდა.

ფეიხოას აქებდა – მამაკაცობის გამაძლიერებელია, თუმცა ცოტა აფერისტი მცენარეა, საითაც ქარი უბერავს, იქით იხრება, მაგრამ ასე თუ არ მოიქცა, ქარი ხერხემალში გადატეხავსო. დააკვირდით – რა სახელი აქვს, სექსუალური მცენარეაო.

ისე, კარგი მოლაპარაკე იყო, მაგრამ ცუდი მსმენელი.

რესტორნებიდან „ეშერა“ და „მერხეული“ გამორჩეულად უყვარდა. იტყოდა ხოლმე – დღეს სერიოზულ საქმეზე უნდა ვიმსჯელოთ და ამიტომაც „მერხეულში“ მივდივართო. ან – “ეშერაშიო“.

საუზმეს ყველაზე ხშირად მე ვუმზადებდი. მისი დილის მენიუ ათეული წლები უცვლელი იყო: თოხლო კვერცხი, ერთი ჭიქა მაწონი, ვაშლის პიურე და ყველის ერთი ნაჭერი. ფაქტობრივად, არ სადილობდა, საუზმობდა და ვახშმობდა. ჩიტივით ჭამდა. ასევე ცოტას სვამდა. ზოგს ჰგონია, რომ ბევრს სვამდა. არა, ზედმეტი არასოდეს დაულევია. სუფრა მისთვის ურთიერთობის საშუალება იყო. სუფრა მისთვის იყო თეატრი, აეროპორტი, კოსმოდრომი. ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. უყვარდა ხბოს ხორცი, დედაჩემის გაკეთებული ტყემლის წვენი, კატლეტი. კიდევ – ჩვენი მეზობლის, როზა ცომაიას ხარჩო. მაგრამ, როგორც ვთქვი, ჩიტივით ჭამდა. ერთ ჩიტზე ამბობდა – თოთხმეტ გრამს იწონის. თუ ერთი გრამი მაინც მოიმატა, ვერ აფრინდებაო. სასმელებიდან კონიაკი უფრო უყვარდა – „ვარციხე“, ან სომხური კონიაკი.

შარვალზე გადმოწეული ხალათები უფრო მოსწონდა. ქურთუკებიც უყვარდა. მოსწონდა თეთრი წინდებიც.

აპრილიდან ნოემბრის ბოლომდე აივანზე იწვა, ტახტზე. ლეიბის მაგივრობას ნაბადი უწევდა. ზემოდანაც ნაბადი ეხურა.

აივანზე „იზაბელა“ ჰქონდა ამოყვანილი, რომელიც 5-6 მტევანს მოისხამდა ხოლმე. შემოდგომაზე დაკრეფდა და იტყოდა:

– აი, მოვიწიე მოსავალი.

გვქონდა კონდიციონერი – „ზამთარ-ზაფხული“. ზაფხულში იმ კონდიციონერით ვაგრილებდით ოთახებს, ზამთარშიც – ვათბობდით. ზამთარში ბინას კი ვათბობდით კონდიციონერით, მაგრამ მიხეილ თემურავიჩი აივნის კარს ღიად ტოვებდა – სუფთა ჰაერი გვაკლდებაო.

– შეხედე, – ამბობდა ჩემი სიდედრი, – მთელი სოხუმის გათბობა უნდა.

ომის დროს თენგოსთან ერთად დარჩა სოხუმში. თავდაპირველად, ომის დასაწყისში, მეც სოხუმში ვიყავი. შემდეგ დავტოვე იქაურობა. ვგრძნობ, ნაწყენია მისი სული ჩემზე, და არამარტო ჩემზე.

42

– ვთქვათ, გაცვიათ თეთრი კოსტუმი და მიაბიჯებთ ჭაობის გასწვრივ, ქორწილში მიგეჩქარებათ. უცებ ხედავთ, რომ ჭაობში კაცი იხრჩობა. თქვენ ჩერდებით და ხმამაღლა აძლევთ რჩევებს იმ კაცს. უფრო სწორად, უყვირით, რომ გაანძრიოს ხელ-ფეხი, როგორმე გამოაღწიოს სანაპირომდე, ხელი ჩასჭიდოს ხის ფესვს, წყალმცენარეებს... როგორ ფიქრობთ, უშველით ასე?

– ალბათ, ვუშველით.

– ვერ უშველით. თუ მისი გადარჩენა მართლა მთელი გულით გინდათ, კეთილი უნდა ინებოთ და თქვენი თეთრი შარვალ-კოსტუმით ჭაობში ჩახვიდეთ, ხელები შემოაჭდოთ, მკერდში ჩაიკრათ და ისე გამოიყვანოთ.

43

ცაკვა შაკიროვნა ხონელია აფხაზეთში ყველაზე დიდი მოდელების ატელიეს, სოხუმში, ოქტომბრის ქუჩაზე მდებარე ოთხსართულიანი „მოდების სახლის“ დირექტორი იყო. მის მოდების სახლს სამხატვრო საბჭოც ჰქონდა, რომლის წევრებიც მიხეილ თემუროვიჩი და სოსო კაპანაძეც იყვნენ. საერთოდ, მიხეილ თემუროვიჩის მხარდაჭერა რომ არა, „მოდების სახლი“ არ იარსებებდა.

ცაკვა ხონელია წარმოსადეგი ქალბატონი იყო და იგი მიხეილ თემუროვიჩმა ხრუშჩოვს ასე წარუდგინა:

– გაიცანით, ნიკიტა სერგეევიჩ, ცაკვა შაკიროვნა ხონელია – თამარ მეფის პირდაპირი ნათესავი.

იმავე დღეს სოსო კაპანაძეც გააცნო ხრუშჩოვს:

– გაიცანით, ნიკიტა სერგეევიჩ, ჩვენი ეპოქის უდიდესი მეცნიერი სოსო კაპანაძე, ჩემი ძუძუმტე.

ცოტა ხნის შემდეგ აფორიაქებული სოსო კაპანაძე მეგობარს უჩურჩულებდა:

– მიხეილ თემუროვიჩ, ჩემზე 18 წლით უფროსი ხართ და ძუძუმტეები როგორ ვიქნებით; ან ცაკვა შაკიროვნა როგორაა თამარ მეფის ნათესავი?.. ხრუშჩოვმა რომ გაიგოს?..

– ეხ, სოსიკ, სოსიკ, კარგი მეცნიერი კი ხარ, მაგრამ არ იცი, როგორ გაუკეთო ულაყს ოყნა. ხრუშჩოვი ყველაზე ადვილად სიმბოლოებს იჯერებს: კავკასია, ძუძუმტეობა, თამარ მეფე... მას ლეგენდები სჭირდება. აბა, დააკვირდი.

მთელი საღამოს განმავლობაში ხრუშჩოვი ცაკვა შაკიროვნას ისე ეპყრობოდა, როგორც მკვდრეთით აღმსდგარ თამარ მეფეს. ხშირად მის ოქროსფერ ქოშებზე უშტერდებოდა თვალი.

ოქროსფერი ძაფებით მოგვირისტებული ოქროსფერი ქოშები მიხეილ თემუროვიჩმა წინადღით აჩუქა ცაკვა შაკიროვნას – ოქროს ქოშები ხომ თამარ მეფესთან მისი პირდაპირი ნათესაობის ერთ-ერთი უტყუარი დასტური, ნივთ-მტკიცება უნდა გამხდარიყო გენერალურ მდივანთან შეხვედრისას.

44

ბიუროს წევრებს ერთ-ერთი დანაშაულის საქმიდან ერთ-ერთი ჩვენების ადგილს უკითხავდა:

„შუაღამისას რაღაც ხმამ გამაღვიძა. გარეთ გავედი. ეზოში ორი მაღალი კაცი დამხვდა. ვერცხლისფერი ტანსაცმელი ეცვათ. ვინა ხართ-მეთქი, ვკითხე. უცხოპლანეტელები ყოფილან. კიდევ კარგი! ადამიანები მეგონა, მძარცველები. შიში გამიქრა. შვებით ამოვისუნთქე“.

კითხულობდა და ხმა უკანკალებდა, თვალებზე ცრემლი უბრწყინავდა.

45

გაგრაში, მსოფლიოში ყველაზე მოკლე მდინარის – რეპრუასა და ზღვის შეერთების ადგილას, წითელი ღვინით სავსე ყანწით თავისუფლების ქანდაკებასავით ხელაღმართული იდგა და ჩამავალ მზეს მიმართავდა.

ტრუსის ამარა იყო. მის ზურგს უკან, პირდაპირ ქვიშაზე გაშლილ სუფრას, ზღვიდან ეს-ესაა ამოსული, ასევე ნახევრადშიშველი, მზით გარუჯული ქალები და კაცები ფეხმორთხმით უსხდნენ და გაღიმებულები უსმენდნენ.

ის კი, თითქოს გარშემო ვერავის ამჩნევსო, მხოლოდ მზეს მიმართავდა:

– გამომიგზავნე ყველა უსახლკარო და იმედდაკარგული, ყველა მიუსაფარი და ლტოლვილი! მათ მოლოდინში ჩირაღდნით ხელში ვდგავარ ოქროს კარებთან, სუნთქვაშეკრული, გულისცემააჩქარებული!

გულისყურით კი უსმენდნენ, მაგრამ ვერაფერს იგებდნენ.

46

მემცენარეობის ინსტიტუტის თანამშრომლები მივლინებიდან დაბრუნებულს ბაბუშარას აეროპორტში დახვდნენ.

– საშინელება მოხდა, მიხეილ თემუროვიჩ, საშინელება – თქვენს კაბინეტში, თქვენს დივანზე, ლენინის პორტრეტის ქვეშ, გაბუნიამ მარგარიტა გააუპატიურა.

– ჩემს დივანზე?.. მე ვაჩვენებ გაბუნიას როგორ უნდა თავისი ხელსაწყოს წაღმა-უკუღმა ტრიალი! – გაბრაზდა მიხეილ თემუროვიჩი.

შემდეგ იკითხა:

– გაბუნია მარგარიტაზე მთელი ოცი წლით უმცროსია და თქვენ რა, მართლა გგონიათ, რომ მარგარიტამ მას თავი გააუპატიურებინა?

– ჩვენც ეჭვი გვეპარება, მაგრამ მარგარიტამ აურზაური ატეხა – ცოლად წამიყვანოსო. ის კი არა, მაჭარკასთან, შუა ტრასაზე გაწვა და მანქანების მოძრაობა გააჩერა: არ ავდგები, სანამ გაბუნია ცოლად არ შემირთავსო.

ინსტიტუტში მისულმა, ცალკე მარგარიტა დაიბარა და ცალკე – გაბუნია.

ორიოდე დღეში მარგარიტა საგზურით კარპატებში, კურორტზე გააგზავნა, სტრესი გაქვს მიღებული, უნდა დაისვენოო; ხოლო გაბუნიას პრემია გამოუწერა – ამ ისტორიაში ჭეშმარიტად გაუპატიურებული კარგად ვიცი, ვინც არის და კომპენსაცია ეკუთვნისო.

47

ფრანგი მეცნიერი ჟან მელიე ერთ-ერთ წიგნში წერდა – არისტოტელემ ცხოვრების უკანასკნელი წლები კოლხეთში გაატარაო. ამ აზრს ქართველი მეცნიერი ნამორაძეც იზიარებდა და აზუსტებდა – არისტოტელე მდინარე ფაზისის პირას ცხოვრობდა, ბიჭვინთაში გარდაიცვალა და იქ არის დასაფლავებულიო.

მიხეილ თემუროვიჩმა მეცნიერები: მეჯით ხვარცკია და შოთა მისაბიშვილი იხმო და დაავალა – ჩამოაყალიბეთ ექსპედიცია, წადით ბიჭვინთაში და, რადაც უნდა დაგიჯდეთ, არისტოტელეს საფლავი იპოვნეთო.

პირველი მდივნის დავალება მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული: ჩამოყალიბდა ექსპედიცია, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ბიჭვინთაში აწარმოებდა გათხრებს, მაგრამ ექსპედიციამ არისტოტელეს საფლავს ვერ მიაგნო. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი სამარხები, მაგრამ არისტოტელეს საფლავის ადგილმდებარეობა უცნობი დარჩა.

მიხეილ თემუროვიჩი წლების შემდეგ სინანულნარევი ირონიული ღიმილით ამბობდა:

– ნეტავ გვეპოვნა... არისტოტელეს საფლავი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ასეულობით ზოგიერთი ცოცხალი მეცნიერი; ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ათეულობით ზოგიერთი ქალაქი; ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ათასეულობით ზოგიერთი მრავალრიცხოვანი სუფრა, თუნდაც ჩემი თამადობით წარმართული.

48

XIV საუკუნეში ბერმა ბონავენტურომ აბრეშუმის ქსოვილისაგან ფრთები გაიკეთა. ჩვენთვის და, საერთოდ, ისტორიისა და მეცნიერებისათვის უცნობი ნივთიერებით გაჟღინთა და ტაძრიდან გადაფრინდა. დაიჭირეს და კოცონზე დაწვეს ბონავენტურო. და მისი ფრთებიც ცეცხლს მისცეს.

ცეცხლში საშინელი ხმით გასკდნენ ფრთები და რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე აფრინდნენ, შემდეგ – რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზეც, შემდეგ კი – საერთოდ გაქრნენ თვალთახედვიდან.

რომის ცენტრალურ მოედანზე თავშეყრილი ხალხი შემაძრწუნებელი წივილ-კივილით მიმოიფანტა. ფრთები კი სადღაც, უშორეს სივრცეში, განაგრძნობდნენ ფრენას...

ის გაგრაში, ჟოეკვარას პარკში, დიდი მუხის ქვეშ გაშლილ ოცკაციან სუფრას თამადობდა და ბონავენტუროს ფრთების სადღეგრძელოს სვამდა.

– ადამიანს ჭირდება ფრთები, აუცილებლად ჭირდება, XIV საუკუნეშიც ჭირდებოდა და XXII-შიც დაჭირდება, – ასე ამბობდა.

და ამატებდა:

– იმ ფრთებს გაუმარჯოს, რომლებიც დაწვეს და რომლებსაც დაწვავენ... და, რა თქმა უნდა, იმ ფრთებსაც, რომლებსაც დღეს, აი, ამ წუთას წვავენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

როდესაც ვფიქრობდით, თუ რა მინაწერი მიგვედევნებინა იზა ორჯონიკიძის ახალი ლექსებისათვის და კიდევ ერთხელ ავფურცლეთ მის მიერ დატოვებული დასტა, თვალში მოგვხვდა გიორგი ლობჟანიძის წარწერა თავფურცელზე: „პოეტო იზა, მიყვარხარ!“

დაგვერწმუნებით, ეს არის არამარტო ორიგინალური რეზოლუცია ჟურნალის პოეზიის რედაქტორისა, არამედ უაღრესად ლაკონური და სხარტი რეცენზიაც, რაც ბევრს არ ეღირსება, რადგანაც ძალიან იშვიათად გიწევს ადამიანს ამ რანგის ლექსების წაკითხვა.

ეს რეზოლუცია თუ მოკლე რეცენზია დაამშვენებდა იზა ორჯონიკიძის ბოლოდროინდელ პოეტურ კრებულსაც „წვიმიანი გაზაფხულის ქრონიკა“ (რომელიც, სხვათა შორის, მთლიანად გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე).

დაამშვენებდა მის დიდტანიან, ერთტომეულის ყაიდის წიგნსაც, რომელიც ათვალსაჩინოებს პოეტის შემოქმედებით გზას, აღბეჭდილს ისეთი წარმატებებით, სილამაზითა და შთამბეჭდაობით, რაც იზა ორჯონიკიძის ნაღვაწს ძალდაუტანებლად გვაგულისხმებინებს თანამედროვე ქართული ლირიკის იმ უკეთეს მონაპოვართა შორის, ჩვენი პოეზია საერთაშორისო ასპარეზზე რომ გაჰყავს.

იზა ორჯონიკიძე

კვლავაც ძველი ალბომიდან

იდილიური ესკიზი

ჩასძინებია დიდედას
(მძინარს უტოკავს წარბი!)
პაწია მორგვი ნართისა
ძველ ხალიჩაზე გარბის,

მისდევენ ჩემი ცინდლები
წინ-წინ გავარდნილ გორგალს,
სადღაც წიკწიკებს საათი,
კუნძი ბუხარში ბორგავს,

შემთბარი კომშის სურნელი
ასდის ხახალს და ხონჩას,
სარკმლიდან თბილი ოქტომბრის
ჭრელაჭრულები მოჩანს...

ბედნიერ დილით

დახე, დააგდო თავისი სახლი
და ნერწყვით ბილიკს ნიშნავს ლოქორა...
მეზობლიანთა გამძვრალი კვახის
ფოთოლზე მსხვილი ცვარი მოგორავს...

ქოჩორაშლილი კუტკუტებს კრუხი,
ჩამორჩენილი წიწილი წივის...
დახედა ტყისპირს, დახედა მუხებს,
აგე, ბალახშიც ჩაიპნა სხივი...

მანამ თვალებში გამოვიხედავ,
ბაბუაწვერა დაათოვს ძეძვებს...
გინდა ნიძლავი? ახლა დიდედა
სარზე წამოცმულ სარძევეს ეძებს...

პირველი ვნება

მუხლზე მოწაფის
რვეული მიდევს,
სუფთა რვეული,
ოდნავ ნაწერი...
ვაწვალებ კალამს,
თან ლოკოკინის
ნერწყვით გავლებულ
ბილიკს გავცქერი...

ჩიტს კი დილიდან
სავსე აქვს ყელი
და არც სიმღერის
ამოთქმა უჭირს...
მეც მენატრება
სტრიქონში სხივი
და ლაჟვარდების
მელანი ლურჯი...

დედულეთში

გამხმარა ჩვენი ტკბილი კეხურა.
კვალიც არსად ჩანს ეკლიან ზღუდის...
მახსოვს ფანჩატურს ჩალა ეხურა
და იქ კაჭკაჭი ცხოვრობდა ქურდი...

გაკრიალებულ ფოთოლზე კაკლის
ნერწყვით ეკიდა მუხლუხო მწვანე...
და ყანჩავლიანთ პატარძლის ნაკლზე
დიდხანს ხუმრობდა კვიმატი ვანო...

რუ კი, სახლის წინ, კვლავ მიჩხრიალებს
ჩქარი, წყალ-ცივი და უდრტვინველი
და სარს წამოცმულ ბორბლის ტრიალით
ციცქნა წისქვილით ხარობს ნინველი...

მზე გადასულა საწიერს მიღმა,
ვახშამდე ჩაის მივირთმევ მოცვის...
ღამის პეპელას, მინაზე მიმხმარს,
უწყალოდ სცვივა ფერიც და ხორციც...

ავი სიზმარივით

(ტეზრელი თანატოლებისადმი ნახევარი საუკუნის შემდეგ)

წითლად ღუოდა კრამიტი
ალად და ალაგ ნაბზარი,
კარგი დღე იყო, უღრუბლო,
მოლაღურივით მწყაზარი.

ასკილმა შემომანათა,
მკერდზე პეპელა ეკონა...
გულამოსკვნილი გეძახდით,
ქვა გავაღვიძე, მეგონა...
არავინ შემეხმიანა,
არავინ შემომეგება,
ეგებ ქორწილში ილხენდით,
ჭირის პურს ჭამდით ეგება?

იქნებ სხვა სოფელს მოვედი?!
ცრემლი თავს გადამივიდა...
მეძალებოდა ნაღველი
იობის ეშმაკივითა...

ციტატა წარსულიდან

სიყმაწვილის წიგნები
კალმებივით გავცვალეთ...
შენი – არ დაიბრუნე,
ჩემი – არ მოვიკითხე...
შენ ჯერ მეფე გაგიწყრა,
მერე – მეფისნაცვალი,
როგორც მეხის დაცემა,
ისე მახსოვს იგი დღე...

მაშინ მოვკვდი პირველად!
ნახევარ საუკუნის
წინათ გამეტებული
ახლა რაღად გიგონებ?!
მესმის ჭადრის ჭრიალი,
მესმის ქარის ზლუქუნი
და ის დაუვიწყარი
სხვისი ოთხი სტრიქონი:

„მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი, სადა ხარ
და რომელსა მხარესა“.

სოფლად, დიდი კაკლის ჩრდილში, მოულოდნელ სტუმარს ვმასპინძლობ

მოხვედი! ალბათ, მოგქანცა სიცხემ,
ეფემერული სახელის ხვეჭამ...
მუსაიფს მუდამ მოკითხვით იწყებ,
არაფერს დალევ, არაფერს შეჭამ....

ისევ ისა ხარ – პირქუში სახლი,
უსარკმელო და კარაფიცრული,
ძაღლივით მგელი, მგელივით ძაღლი,
მარადი მგზავრი, შინ არ მისული....

ერთხელ გეძებე ვით სიზმრის განძი,
ოცნებით აქვე ახლოს ჩაფლული...
ვერ მოერია ჩვენ შორის მანძილს
ვერც მარტოობა, ვერც გაზაფხული...

მოხვედი! თითქოს სადმე ახალი
ნოე ჩორკნიდეს ჩემთვის კიდობანს...
ეჭვით დამღალე, დარდით დამღალე...
გული ვანს ითხოვს, სული – მშვიდობას...

მე უწინ სიკვდილს გავყვები მკაში!
აქ კი... თავისი ბუნების წესით
ღუღუნებს მტრედი, ჭახჭახებს შაშვი
და ვარდზეც ისევ ბულბული კვნესის.

დეპრესია

მოწამლულს სუნთქავ ჰაერს,
მოწამლულს გასმევს წყაროც...
რა გეშველება, სახლო,
ძველ საძირკველზე მდგარო?

აღარ გჭირდება ჭკუა,
აღარც გაძლების ღონე,
ვერ შეაყვარე, ვერა,
თავისუფლება მონებს...

შენ, დიდი ხანძრის შემდეგ,
ნაცარდაყრილო თავზე,
რა გეშველება, სახლო,
ქრისტეს მკვლელებით სავსევ?

ნუგეშინის მაგიერ

კაცი გამოიგონე,
კარგიც დააბრალე!
მაგრამ ჭკუა ვინ მისცა
შეყვარებულ ქალებს...

ნეტავ უფლის საქმეში
არ ჩაგეყო ცხვირი...
სად ფეხს ერთხელ წამოჰკრავს,
იქით აღარ გაივლის
ჩვენებიანთ ვირი!

ივნისის ისხარი

ამ წუთს ცხელი ზაფხულის
თავსხმამ გადაიარა.
ცას ეწიენ მერცხლები.
ბანზე დასხდნენ მტრედები.

სახლის კედელს აკრული
ახასხასდა ხვიარა.
მეც კი გამოვხალისდი, –
ღვარს ფეხებში ვედები,
მოაქვს ცაცხვის ყვავილი,
ახალგამოტანილი,
ფეხშიშვლები დარბიან
უბნის გოგოცუნები,
თბილისური ეზოდან
მცემს სურნელი ვანილის...
წყალმა ზიდოს ნაღველი –
მომშხამველი გუნების...

მთვარიან ღამით

ერთად შეყრილხართ, ქალებო,
რა დაგაძინებთ ამ ღამეს!
ისე დამარხეთ მართალი,
თვალიც არ დაახამხამეთ...

თქვენს თარგზე მოჭრილს არა ჰგავს,
არც პირს ამოსდის შაქარი,
იქნება ისიც კი იცის,
რომ ჯოჯოხეთი აქ არი...

რას ერჩით?! გველი შეგიწვათ?
გულს გართმევთ უფლისწულისას?
იქნებ ღვთის ხელი ატყვია
და ამან გაგაგულისათ?

გულნატკენისაგან

აღარც კი ვიცი, რა გითხრა,
ან გითხრა რამე თუ არა...
ისეთი სიტყვა წამოგცდა,
გულს ზვავად გადაუარა...

მოწყალე ღმერთმა შეგინდოს!
მე ვეღარ გემეგობრები...
ხსოვნის სარებზე ხმებიან
მოღალატეთა გოგრები...

მე ხელი არ გამისვრია,
თავად მოიჭრეს თავები,
რაც იყვნენ ბედაურები,
ის ჰქონდათ მოსართავები...

იქნებ ეს ჩემი ტკივილი
არც იყო გამოსაჩენი...
რად, გულს რად მიცარიელებს
დღეთა მიწურულს გამჩენი?!

* * *

ერთი თუ გული გიპოვეს,
გინდაც ყოფილხარ შიშველი!
რა უდარდელად შეგაბეს
ყელს შენი აკვნის გიშერი...

გაქრა ვით ბზობის ყვავილი
ანდამატები ოცნების...
ცვარად იცრება ღრუბელი,
სწუხან სამარის ბორცვები...

გზა – უკანმოუქცეველი,
სხვის დასანახად ხალისი...
ერთი თუ გული გიპოვეს,
მაშინ ხარ შესაბრალისი...

საღამოს ჩაი

ჩვილი კარაქი, ყველი,
ქაფქაფა რძე და ხილი...
ძილისგუდასთვის ყვითელ
ფურცელზე პწკარი წყვილი:

„ცომი არ იცდის, შვილო,
ამჯერ უჩემოდ ჭამე!“
რა იქნებოდა, ღმერთო,
დამვიწყებოდა რამე,

რა მოხდებოდა, გულო,
განრიდებოდი ნაღველს,
ნაინანატრი ქვეყნის
კარს მერამდენედ აღებ

და არც გადარდებს ღამე
როდის აუშვებს ქარებს...
თაფლის წვეთივით დნება
ფინჯანში სავსე მთვარე...

დაუნდობელი ლექსი

წელს უეცრად გაყვითლდნენ
ბზები ჩემი დარგული...
მზე უწყალოდ მოგვექცა,
წვიმაც აღარ მოვიდა...
ვცხოვრობ თავშესაფარში
ფიქრში გადაკარგული,
ვინმე, ზრდილობისათვის,
თუ მიკითხავს შორიდან...

გული დუმს და არ ვწუხვარ
(სხვაგან ცელქობს ამური!).
თბილი და იშვიათი
დათვლილია წამები...
გადმოფინა ზამთარმა
მთებზე სიასამური...
მწუხრზე, მწუხრზე მეძახის
დიდი ზარი სამების...

პაემანი საიქიოში

შენც კი მეგობრისათვის
არაფერი გეთმობა!
(ისე უცებ მომიკვდი,
საძმომ ვერც კი გაიგო...).
თუკი აღარ არსებობს
უღალატო ერთობა,
ისევ შენ გამიმეტე,
მე არ ძალმიძს, ამიგო!

ხსოვნა ტირიფს დაგირგავს,
იასამანს ახარებს
და ყოველ გაზაფხულზე,
მანამ გავძლებ დროული,
მიწა არ მოაკლდება
ჩემს საფლავებს ახალი...
იცი, როგორ მიყვარდით,
იცი, როგორც მოვუვლი...

მერე.... მოვა მოყვარე
(შევხვდეთ საიქიოში!),
მოვა წრფელი გულით და
სიყვარულის თანხლებით
და თუ არ დამცდენია
ერთი სიტყვაც რიოში,
დაფასდება ყოველი
ჩემგან ხელშენახები...

მუდარა

ვიცი, არ ეშველება
არაფერი ჩემს ნაღველს...
გამომჭამა გულგვამი,
ბოლო სამანს მივედი...
ვერსად ჩემი კერიის
ვხედავ ცეცხლის შემნახველს...
გავერანდა მამული,
გაცამტვერდა იმედი...

პირველად ვარ უძლური,
ვერაფერი ვიღონე!
ჰა და... ჩამოიქცევა
დაბზარული თავანი...
ვიდრე უფრო შემზარავს
ვნახავ და გავიგონებ,
ღმერთო, უწინ მაღირსე
სამუდამო სავანე...

პატარა პიესა

ველი... უნდა დამიძახონ,
უნდა შემეხმიანონ...
უკვე კარგად, უკვე ახლოს
ისმის წვიმის პიანო...

ვითვლი ტაქტს და სამუდამოდ
შეუვსებელ პაუზებს...
ნეტავ იმას, ვისაც თვალებს
შვების ცრემლი აუვსებს...

მოულოდნელი აღმოჩენები

მოიყოლა შემოდგომამ
უჟმური და ქარცივი...
დავბრძენდი და მოვიწყინე,
გულის ფრიალს არ ვჩივი...

ქვიჯა სადღაც მოვისროლე,
წყლით სავსეა როდინიც!
ვეღარ შევთხზავ გაზაფხულებს
სასწაულის ლოდინით,

ვეღარ, ვეღარ გამაბრუებს
თბილი ღამის სურნელი...
ღმერთო, რა უბედური ვარ –
აღარა ვარ სულელი!

გოლგოთიდან ჩემს მეგობრებს ვეხმიანები

ნუ გენაღვლებით, მეგობრებო,
კარგად ვარ, კარგად!
მაგარი ძაფით რაღაცას ვქსოვ,
რაღაცას ვქარგავ,
არა მიჭირს რა,
აი, ტკბილი ვაშლიც გავთალე,
კვლავ ვუყრი ნაფცქვენს
მოყურადეს და მოთვალთვალეს
და ვით ჩამცხრალი ქარიშხალი,
გავცქერი გავლილს...

მოჩანს მოლურჯო გორაკები
ნელ-თბილი ნავლის,
რომელიც თავსხმამ
ნაცარწმინდად აქცია უკვე...

ალაგ მზე ადგას
ნარვალებს და მტკაველა შუკებს,
სადღაც ქათქათებს
გადარჩენილ ზეცას ნაღები,
ცრემლის მარილი
და უჭკნობი სევდის ბაღები

და საყვარელი მიწა,
სადაც თქვენ მეგულებით...
ნუ გენაღვლებით,
აღარ მტკივა ხელისგულები...

ცნობილი ფრანგი მწერლის ჟიულ რენარის (1864-1910) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება მისი „დღიური“, რომელიც 1927 წელს გამოიცა. რენარი „დღიურს“ 1887 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე აწარმოებდა. მწერალი გადმოგვცემს თავის შეხედულებას ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ; არ ერიდება მკვეთრ გამონათქვამებს დეკადენტების მიმართ, რადგან მიაჩნდა, რომ „ისინი შეურაცხყოფენ ხელოვნებას და ზურგს აქცევენ ნამდვილ ცხოვრებას. გამჭვირვალობა მწერლის ზრდილობაა“. რენარს ეკუთვნის აგრეთვე აფორიზმი: „სტილი, შეიძლება, სიცოცხლისა და სილამაზის შიშია“.

ჟიულ რენარი

დღიური

1887

ტალანტი რაოდენობის საკითხია. ერთი გვერდის დაწერა ტალანტის ქონას არ ნიშნავს; სულ ცოტა, სამასი გვერდი მაინც უნდა დაწერო. არ არსებობს რომანის ისეთი სიუჟეტი, რომლის მოფიქრებაც ერთი ჩვეულებრივი მონაცემების მქონე მწერალმა ვერ შეძლოს, არ არსებობს ისეთი ლამაზი ფრაზა, რომელიც დამწყებმა მწერალმა ვერ ააგოს. ისღა დაგვრჩენია, მოვკიდოთ კალამს ხელი, გავასწოროთ ფურცელი და მოთმინებით შევუდგეთ მის შევსებას. ძლიერები ფეხს არ ითრევენ, მიუსხდებიან მაგიდას და ოფლს ღვრიან. აი, ეს განასხვავებს მაღალნიჭიერ ადამიანებს იმ ლაჩრებისაგან, რომლებიც ვერასოდეს მოახერხებენ დაწყებას. დიდ ლიტერატურაში მხოლოდ ხარები იმკვიდრებენ ადგილს. ყველაზე ძლიერი ხარები კი გენიოსები არიან, ისინი, ვინც დღე-ღამეში 18 საათს დაუღალავად შრომობენ. დიდება გამუდმებული ჭაპანწყვეტაა.

1889

6 აპრილი. ყველაფერი, რაც წამიკითხავს, რაც მიფიქრია, ყველა ჩემი ნაძალადევი პარადოქსი, სიძულვილი ყოველივე იმისადმი, რაც წინასწარ დადგენილი და საყოველთაოდ მიღებულია, ჩემი ზიზღი ყოველივე ბანალურისადმი მაინც არ მიშლის ხელს გული ამიჩუყდეს გაზაფხულის პირველ დღეს, მოვძებნო იები ღობის ძირებში მიყრილ ნაგავში, გავეთამაშო ბავშვებს, დავაკვირდე ხვლიკებს, ყვითელკაბიან პეპლებს, მივუტანო პაწაწინა ცისფერი ყვავილი ჩემს მეუღლეს. მუდმივი ანტაგონიზმი პიროვნების შინაგან სამყაროში, გაუთავებელი მცდელობა თავი დააღწიო ათასგვარ სისულელეს, რაც აუცილებლად მარცხით მთავრდება. კიდევ კარგი, რომ ასე ხდება!

21 მაისი. – გამაგებინეთ ერთი, რას აკეთებს ჟიული?

– რას აკეთებს და, მუშაობს.

– გავიგე, მაგრამ რაზე მუშაობს?

– ხომ უკვე გითხარით და კიდევ გიმეორებთ: წიგნზე!

– მერე და, ამდენი დრო რად უნდა წიგნის გადაწერას?

– ვინ გითხრათ, რომ იწერს?! კი არ იწერს, თვითონ იგონებს!

– იგონებს? მაშ, წიგნებში რაც წერია, ნამდვილი კი არა გამოგონილია?

21 ოქტომბერი. იყო ლა ბრუიერი თანამედროვე სტილში! აი, რისკენ უნდა ისწრაფოდეს მწერალი!

10 ნოემბერი. ადამიანები მაშინ იცინიან უტიფრად, როდესაც ტირილისა რცხვენიათ.

1890

30 მაისი. რეალიზმი და ისევ რეალიზმი! მომეცით კარგი რეალობა და მე მის მიხედვით ვიმუშავებ!

13 ივნისი. როდესაც ვხუმრობ, თვალს მოსამსახურისაკენ ვაპარებ, რათა დავინახო იცინის თუ არა იგი.

20 დეკემბერი. თეატრი ძალიან კარგი რამაა, რადგან იქ სულიერი მდგომარეობის მოსამზადებლად ე.წ. „ფსიქოლოგიური“ ფრაზების გამოყენება აუცილებელი არ არის.

1891

23 მარტი. შეიძლება ბალზაკი ერთადერთია, ვისაც ცუდად წერის უფლება აქვს.

24 აპრილი. კაცმა სასიყვარულო წერილი მისწერა ქალს. ქალმა პასუხი არა და არ აღირსა. კაცი დუმილის მიზეზს ეძებდა და ბოლოს „მიაგნო“ კიდეც: – ალბათ შემეშალა და მარკა კონვერტზე კი არ დავაკარი, არამედ შიგ ჩავდეო.

7 მაისი. ვგრძნობ, რომ ფრაზები გამაწამებენ. ვიცი, დადგება დღე, როცა ერთი სიტყვის დაწერასაც კი ვეღარ შევძლებ.

12 ივნისი. ერთი პოეტი სიმბოლისტი მეგობარს უკითხავს თუ როგორ აღწერა საყვარელი ქალის პორტრეტი.

– როგორ შეიძლება ქალის ასე განადგურება?! – წამოიძახა მეგობარმა.

1892

27 იანვარი. მდიდარი კაცი ღარიბს მიმართავს:

– აჰა, მეგობარო, გამომართვი ეს პურის ნაჭერი. მხოლოდ პური არ ბეზრდება ადამიანს.

9 მარტი. მინდა დავწერო წიგნი, სადაც ქალი წარმოდგენილი იქნება როგორც უბრალო არსება იმ ქალი-ლაბირინთებისაგან განსხვავებით, რომლებითაც სავსეა ბოლო პერიოდის ლიტერატურა.

1893

16 მარტი. ნულლა დიეს სინე ლინეა – არც ერთი დღე სტრიქონის გარეშე. და ის მართლაც წერდა ერთ სტრიქონს დღეში. მეტს არა. მაგრამ რატომ წერდა კლოდელი „ოქროს

*** კაპიუ – გიიომ კაპიუ – მე-19 საუკუნის ფრანგი მოგზაური და ბუნების მკვლევარი.**

თავს“, „ქალაქს“ სხვანაირად და ნიუ-იორკის ვიცე-კონსულის პოსტის შესარჩევ თემებს სხვანაირად? ხელოვანი ერთნაირი უნდა იყოს ლოცვის დროსაც და ჭამის დროსაც.

5 აპრილი. უკაცრიელ კუნძულზე წასაღები 20 წიგნის სია კაპიუს* მიხედვით:

1. ვოლტერის „კანდიდი“;
2. მოლიერის „ძალად ქორწინება“;
3. „სევილიელი დალაქი“, „ფიგაროს ქორწინება““;
4. „რობინზონ კრუზო“;
5. „გულივერი“;
6. ბოსუეს „მსოფლიო ისტორია“;
7. შილერის „ყაჩაღები“;
8. „ფალსტაფი“*;
9. „მადამ ბოვარი“;
10. „ეჟენი გრანდე“, „ბერბიჭას ცხოვრება“;
11. მიუსე;
12. ჰიუგოს „საუკუნეთა ლეგენდა“;
13. მიშლეს „თანამედროვე ისტორიის მიმოხილვა“;
14. დიუმას ერთი ტომი;
15. ლაბიშისა** და ოჟიეს*** თითო-თითო ტომი;
16. რენანის მიერ თარგმნილი „ეკლესიასტე“;
17. ჟიულ ვერნის ერთი ტომი;
18. დარვინის „სახეობათა წარმოშობა“;
19. სიურპრიზად ერთი წაუკითხავი წიგნი;
20. ლაფონტენის „იგავ-არაკები“.

30 მარტი. საჭიროა შეიქმნას სატირული თეატრი, სადაც იქნება ბომარშეს სინათლე და რაბლეს სიუხვე.

13 ივლისი. მხოლოდ ვიქტორ ჰიუგო ლაპარაკობს, დანარჩენები ლუღლუღებენ. ვინმეს შეიძლება ჰქონდეს მისნაირი წვერი, ფართო შუბლი, დალაქთა რისხვა და მაკრატლების მსხვრეველი ტევრივით თმა. მისწრაფება იმისა, რომ ითამაშოს პაპის ან პოლიტიკოსის როლი; მაგრამ როცა ვშლი ვიქტორ ჰიუგოს ნებისმიერ წიგნს (რადგან არჩევა გამიჭირდებოდა), მაშინ უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვა. ამ შემთხვევაში იგი უკვე მთაა, ზღვაა და არ ვიცი კიდევ რა, მაგრამ არა ის, რაშიც სხვა ადამიანებს შეუძლიათ შეედარონ.

10 ოქტომბერი. გუშინ საღამოს მე და შვობი**** ისე სასოწარკვეთილები ვიყავით, რომ ერთი წუთით ისიც კი გავიფიქრე, ნეტავ ახლა ღამურებივით ფანჯრიდან ხომ არ გავფრინდებით-მეთქი. ვეღარც რომანებს ვწერთ, ვეღარც საგაზეთო სტატიებს. წარმატება, რომელსაც ვიმსახურებთ, უკვე გვქონდა. გამუდმებით თავიდან ხომ არ დავიწყებთ ბრძოლას წარმატების მოსაპოვებლად?! თუ ადრე ქება გვსიამოვნებდა, ახლა აღარაფრად მიგვაჩნია. ვინმემ რომ გვითხრას: „აი, თქვენ ფული, წადით სადმე მყუდრო ადგილას და შექმენით შედევრი, თუ სურვილი გაქვთ და დარწმუნებული ხართ, რომ დაწერთ“, ალბათ უარს ვეტყვით, მაშ, რაღა გვინდა? ასე უნდა ვტკეპნოთ ერთი და იგივე ადგილი 80 წლამდე? ჩვენივე სიტყვებმა შავი ციების მსგავსი ცახცახი მოგვგვარა. შვობი ადგა და მითხრა წავედიო, გასვლისას ჩაილაპარაკა: „ამქვეყნად სიკეთე ყველაზე დიდ იშვიათობას წარმოადგენსო“.

1894

24 მარტი. გუშინ შევხვდი ანატოლ ფრანსს. „მუქთახორაზე“ მელაპარაკა, რომელიც თურმე ძალიან, ძალიან მოსწონებია. ერთი სიამოვნებაა უსმინო ადამიანებს, რომლებიც ცუდად გაქებენ. ვკითხე, რატომ მიწოდა „ყველაზე გულწრფელი ნატურალისტი“.

– ნატურალისტში ბუნების მოყვარულს ვგულისხმობ, – თქვა მან.

კარგი პასუხია. თუმცა, არა უშავს, მერე ექნება საშუალება ჩემზე ილაპარაკოს და რაც ახლა უნდა ეთქვა, სხვებივით ისიც მერე იტყვის. მე მას ვუთხარი: – ჩემი პროცესი ძალიან მარტივია. ძალიან მაინტერესებს ის, რასაც ვაკეთებ და ვცდილობ სხვებიც დავაინტერესო.

ფრანსი ვებერს* მიუბრუნდა და უთხრა: „ძალიან კარგია, რასაც ის ამბობს, ძალიან კარგი.

5 აპრილი. ზოგიერთებს, მაგალითად, მარსელ შვობს, უცხოელი მწერლები იმიტომ მოსწონთ, რომ მათ უცხოური საუცხოო ჰგონიათ. მე კი, ჩემი შინაგანი სამყაროდან გამომდინარე, ყველაფერ უცხოურს ეჭვის თვალით ვუყურებ. უცხოელი რომ ნიჭიერად ვაღიარო, ჩემს თანამემამულეზე ორჯერ ნიჭიერი უნდა იყოს. გუშინ პირველად წავიკითხე მარკ ტვენის ნაწარმოები. ჩვენს ალფონს ალეზე** ბევრად ნაკლები მომეჩვენა. მისი თხრობა ძალზედ გაწელილია. ვერ ვიტან, ხუმრობის შინაარსს რომ მიხსნიან. ხუმრობისთვის მინიშნებაც საკმარისი უნდა იყოს. ძალიან გთხოვთ, თავს ნუ მოგვაბეზრებთ! მერე და კიდევ რას ჰგავს ეს თარგმანი! – დანაშაული უსინდისო ადამიანებისა, რომლებმაც არც ერთი ენა არ იციან, მაგრამ ჰყოფნით თავხედობა ერთი ენის სიტყვები მეორე ენის სიტყვებით შეცალონ.

18 ივლისი. ნუ იტყვით, რომ რასაც მე ვწერ, ნამდვილი არ არის. თქვით, რომ მე ცუდად აღვწერ, რადგან ყველაფერი ნამდვილია.

3 სექტემბერი. როდესაც ხანდახან თვალს გადავავლებ ხოლმე იმას, რაც აქამდე დამიწერია, ცოტა არ იყოს, ჩემი ნაშრომი მშრალი მეჩვენება.

12 ნოემბერი. დედ-მამა ყველაფერს შვილს უნდა უმადლოდეს; შვილს მათი არაფერი მართებს.

29 ნოემბერი. ვერსად ვერაფერს მივაღწიე. ზურგი ვაქციე „ჟილ ბლას“, „ეკო დე პარის“, „ჟურნალს“, „ფიგაროს“, „რევიუ ებდომადერს“, „რევიუ დე პარის“ და ა.შ. და ა.შ. ჩემი არც ერთი წიგნი მეორე ტირაჟით არ გამოცემულა. თვეში 25 ფრანკზე მეტს ვერ ვიღებ. თუკი ჩემს ოჯახში სიმშვიდე სუფევს, ეს მთლიანად ჩემი ანგელოზივით სათნო მეუღლის დამსახურებაა. მეგობრები მალე მბეზრდებიან. როდესაც ისინი ძალიან მიყვარან, მათზე გული მომდის; თუ მათ აღარ ვუყვარვარ, მაშინ უკვე მეზიზღებიან. ვერაფერ-

---

*** ფალსტაფი – სავარაუდოდ, იგულისხმება შექსპირის „ჰენრი IV“ ან „უინძორელი სასაცილო ქალები“.**

**** ლაბიში – ეჟენ ლაბიში (1815-1888), ფრანგი დრამატურგი.**

***** ოჟიე – ემილ ოჟიე (1820-1889), ფრანგი დრამატურგი.**

****** მარსელ შვობი (1867-1905), მწერალი სიმბოლისტი, ინგლისელი ავტორების მთარგმნელი.**

*** ვებერი – პიერ ვებერი (1869-1942). ფრანგი დრამატურგი, რომლის პიესებსაც რენარი უარყოფითად აფასებდა.**

**** ალფონს ალე (1854-1905), ფრანგი მწერალი იუმორისტი.**

ში ვივარგე: ვერც ბატონივით მოქცევა ვისწავლე და ვერც მოწყალების გაცემა. ახლა ვილაპარაკოთ ჩემს ნიჭზე. საკმარისია წავიკითხო ერთი გვერდი სენ-სიმონის ან ფლობერისა, რომ მაშინვე გავწითლდე. ერთი ჩვეულებრივი გაზეთის რეპორტიორი ცოტაოდენი წავარჯიშების შემდეგ ადვილად მოირგებს იმას, რასაც მე, დიდი ამბით, „ჩემს სტილს“ ვეძახი. ჩემი წარმოსახვის უნარი უკვე ცარიელი ბოთლი ან სულაც დაცლილი ფლაკონის ძირია.თანამოკალმეებს პირფერულ წერილებს ვუგზავნი, პირადად როცა ვხედავ, ვერცერთს ვერ ვიტან. ჩემი ეგოიზმი ყველაფერს ეპოტინება. იმხელა ამბიცია მაქვს, ლამის ტრიუმფალური თაღის სიმაღლიდან ვიყურები. უნდა ნახოთ, რა ყალბია ჩემი ტუჩაბზუება ჩინ-მედლების მიმართ! საპატიო ორდენის ჯვარი რომ მომართვან სინით, სიხარულისგან ალბათ ცუდად გავხდები; მაგრამ, როგორც კი ლაპარაკის უნარი დამიბრუნდება, ბედნიერებას კი არ შევიმჩნევ, არამედ წამოვიძახებ: „მომაშორეთ თავიდან!“ შუბლზე გაჩენილი ნაოჭი დღითიდღე უფრო მიღრმავდება და მალე ალბათ ადამიანები თვალს ამარიდებენ, თითქოს შუბლზე ნაოჭი კი არა, ბნელი ორმო დაენახოთ. არც იმ ადამიანივით ვმუშაობ, ვისაც საზოგადოების გაოგნება დაუსახავს მიზნად. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, ზოგჯერ დგება ისეთი წუთები, როცა საკუთარი თავით კმაყოფილი ვარ.

თოკი, რომელზედაც ის ცეკვავს, მას ეკუთვნის.

1895

23 სექტემბერი. გადაიკითხე, გადაიკითხე და კიდევ ერთხელ გადაიკითხე. ის, რაც ვერ გაიგე გუშინ, გაიგებ დღეს. მერიმე მხოლოდ ახლაღა დავაფასე.

1896

18 იანვარი. ყოველდღიური ჩანაწერები ლიტერატურული გამეხია.

16 ივნისი. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ აღწერა, რომელიც ათ სტრიქონს აღემატება, ხილული აღარ არის.

14 აგვისტო. ლაფონტენი. განა იყო ვინმე გარეგნულად მასზე უფრო თავმდაბალი და სინამდვილეში მასზე უფრო თავისუფალი?!

20 ნოემბერი. როგორ, მე შევიტანო ცვლილებები ლაფონტენის, ლა ბრუერის, მოლიერის სტილში?! არც ასეთი სულელი გახლავართ!

13 დეკემბერი. იმათ, ვინც მეუბნებიან: „დაწერეთ რომანი“, ვპასუხობ, რომ მე რომანებს არ ვწერ. რასაც ვქმნი, ჩემი წიგნების სახით გთავაზობთ. მითხარით, ვარგა თუ არა ის, მაგრამ ნუ მეტყვით, რომ გერჩივნათ სხვა რამ დამეწერა.

1897

13 ივნისი. მე ვარ რეალისტი, რომელსაც რეალობა აწუხებს.

6 სექტემბერი. ღმერთმა ყველაფერი იცის. ის მე ცის კარს არ გამიღებს, ფრანგულში ერთი შეცდომაც რომ დავუშვა.

1 ოქტომბერი. ვერლენის ბოლო ლექსები. ის კი აღარ წერს, არამედ სიტყვებს კოჭაობას ეთამაშება.

1898

1 დეკემბერი. თაყვანი უნდა ვცეთ მიუსეს გენიას, რადგან მისი ყველა ნაკლი მხოლოდ და მხოლოდ ეპოქის ნაკლია.

29 აპრილი. მე მჯერა ფრანგული ენისა. დარწმუნებული ვარ, რომ თანამედროვე ბოსიუე უკეთესად დაწერდა, ვიდრე კლასიკოსი ბოსიუე.

23 ივლისი. სატირის თავგამოდებას აზრი არა აქვს. საკმარისია საგნები და მოვლენები აჩვენო ისეთები, როგორებიც არიან, რომ უკვე სიცილი გამოიწვიონ.

1899

7 იანვარი. დარწმუნებული ვარ, რომ კატა არ ფიქრობს, თუმცა ისეთი მზერა აქვს, ღრმა ფიქრებში წასული გეგონებათ.შეხედეთ ბნელ ოთახში შეჭრილ მზის სხივს. მტვრითაა სავსე. მზის სხივზე ჭუჭყიანი არაფერია. ბატონებო, თუ ჩემი ეს ვარაუდები მართალია, სამშობლო საფრთხეშია!

15 იანვარი. მე ვარ მწერალი, რომელსაც მხოლოდ სრულყოფილების სურვილი უშლის ხელს, რომ დიდი მწერალი გახდეს.

1900

6 ივნისი. ლამარტინი ხუთი წუთი ფიქრობს და ერთი საათი წერს. ხელოვნება კი უკუპროცესია.

ჩემი წარმოსახვა ჩემი მეხსიერებაა.

1901

28 იანვარი. ბალზაკის ნათქვამს შევაბრუნებ და ვიტყვი: ვწერო?! განა კი მცალია ამისთვის? მე მხოლოდ და მხოლოდ ვაკვირდები.

31 იანვარი. „რევიუ ბლანშში“ ვკითხულობ „შეშლილის მოგონებების“ ბოლო თავს. ფლობერმა დაიწყო იმით, რითაც მოპასანმა დაამთავრა – დიდი ბანალობებით.

7 ნოემბერი. შემიძლია დავიფიცო, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთადერთ ადამიანს ვაღმერთებ – ვიქტორ ჰიუგოს. მისი „უკანასკნელი კონა“ 1902 წლის თებერვალში გამოვა. იმასღა ვნატრობ, რომ ამ დღეს მოვესწრო.

17 ნოემბერი. მხოლოდ ერთადერთხელ ვერ მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება ვიქტორ ჰიუგომ: ეს იყო იმ დღეს, როდესაც მე იგი ვნახე პიესის „მეფე ერთობას“ რეპრიზაზე. მოხუცი და ტანდაბალი მომეჩვენა, ისეთივე პატარა, როგორებიც წარმოგვიდგენია ინსტიტუტის ყველაზე ხანდაზმული წევრები. მოგვიანებით გავიცანი ჟორჟ და ჟანა ჰიუგოები. ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა მათ ჰიუგოს გარდა სხვა ღმერთი ჰყოლოდათ. მე მისთვის ლაფონტენსაც შეველეოდი და ყველა სხვა გატაცებასაც.

ორიოდე ფრაზასაც ვერ მოვუყრიდი თავს, რათა ჰიუგოსთვის მეთქვა ჩემი აზრი მის შემოქმედებაზე.

მე შემიძლია ვიხუმრო ღმერთზე, სიკვდილზე, მაგრამ ჰიუგოზე – არასოდეს! არც ერთი სიტყვა მის მიერ თქმული უმნიშვნელოდ არ მიმაჩნია. მე წამიკითხავს მოაზროვნეთა ნაწერები – ისინი ისე გაუგებრად, იგავებით მელაპარაკებიან, რომ სიცილს მგვრიან. არ ვიცი, ვიქტორ ჰიუგო არის თუ არა მოაზროვნე, მაგრამ მისი ერთი გვერდის წაკითხვისთანავე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ აზროვნებას ვიწყებ, ტვინი ფართოდ მეხსნება და ფიქრი მიადვილდება. ასე მგონია, მას ვერასოდეს გავუბედავდი იმის თქმას, რომ ვწერ. თუ ვინმე დამიმტკიცებს არგუმენტების მოშველიებით, რომ ღმერთი არ არსებობს, ამ აზრს როგორმე შევეგუები; მაგრამ ვიქტორ ჰიუგო რომ აღარ იყოს, სამყარო ჩემთვის მთლად გაშავდებო-

და. მის სახელს ჩემთვის იმაზე ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს, ვიდრე სიტყვა „ღმერთს“. ჰიუგოს აქვს ძალა, რომელსაც მე ვეთაყვანები. და თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთები მას აკრიტიკებენ! როდესაც მზის ჩასვლას ვუყურებ, განა ჩემთვის რაიმე მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, რომ მზე არც ჩადის და არც ამოდის, რომ უბრალოდ დედამიწა მის გარშემო ბრუნავს?! როდესაც მე ვკითხულობ ჰიუგოს, რა მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას თუ როგორ წერს იგი?! ერთხელ, პატარაობაში, პაპაჩემს ვუთხარი: „რა ბედნიერები არიან ჰიუგოს შვილიშვილები, ასეთი პაპა რომ ჰყავთ-მეთქი“. და პაპაჩემი, რომელსაც თავი შეურაცხყოფილად არ უგრძვნია და არც მე მიფიქრია მისი წყენინება, გულწრფელად დამეთანხმა.

1902

18 აპრილი. ერთი სულელის კრიტიკამ გული გატკინა, დანაღვლიანდი. შენ, მე მგონი, დიდებას და ჟურნალისტებს ერთმანეთში ურევ.

7 მაისი. შატობრიანისა და ლამარტინის მსგავს პიროვნებებთან ერთად ადამიანი ჰაერში მოგზაურობს, მაგრამ მიმართულების გარეშე.

11 მაისი. ფლობერი თვითნაბადი არ არის. ვოლტერის, რენანისა და მადამ დე სევინიესაგან განსხვავებით, მას წერის თანდაყოლილი ნიჭი არა აქვს. მისი სტილი ყოველთვის იმ თემის სტილია, რაზეც წერს. ფლობერი სტილს წერის დროს გამოიმუშავებს ხოლმე, თუმცა ყოველთვის ერთნაირად კარგად არ გამოსდის. მისი სტილი მხატვრობასავითაა: ზოგჯერ იგი კი არ ხატავს, არამედ თხუპნის.

13 ივნისი. ჟოზე მარია დე ერედიაც ოქრო არ არის, მაგრამ მოოქროვილი რკინაა. თუმცა, მოოქროვილი რკინაც ოქროა.

23 ივნისი. ჩემი პატარა სოფლისათვის ვინახავ ყველაფერ იმას, რაც დიდი პარიზისათვის ვერ გავიმეტე. იქიდან წამოღებული ლამპრით კაცი ვიპოვე: ეს კაცი მე ვარ და მე მას დღენიადაგ ვაკვირდები.

25 ივნისი. მწერალმა თავისი ენა თვითონ უნდა შექმნას და სხვა მწერლის ენით არ უნდა ისარგებლოს. ყველამ უნდა დაინახოს თუ როგორ განავითარებს და დახვეწს მწერალი თავის ენას.

1903

16 მაისი. გემოვნება მე კი არა, ჭეშმარიტებას აქვს.

ფრაზა ისეთი ნათელი უნდა იყოს, რომ მკითხველს წაკითხვისთანავე სიამოვნება მიანიჭოს. თუმცა, ამ განცდილი სიამოვნების გამო ხელახლა უნდა მოუნდეს მისი წაკითხვა.

1904

29 მარტი. ლა ბრუიერი კეთილშობილი კაცის შვილი იყო; დე ლა ბრუიერი ერქვა. მაგრამ მან გვარიდან „დე“ ამოაგდო, თუმცა კეთილშობილება დარჩა.

1905

23 აგვისტო. – მე პოლიტიკა არ მაინტერესებს. – ეს იგივეა, რომ თქვათ: „მე ცხოვრება არ მაინტერესებს“.

1906

22 მარტი. ხუმარა ადამიანის გასაგონად: ძალიან დიდი ბოდიში ჩემო ბატონო, მაგრამ ჩემს თავს შევფიცე, რომ თუ არ მეცინება, არ გავიცინო.

4 დეკემბერი. შექსპირის სახე ნაკლებ ლიტერატურულია, ვიდრე ჰიუგოსი, მაგრამ უფრო ადამიანურია. ჰიუგოსთან ზოგჯერ მხოლოდ სახეს ხედავ, შექსპირთან კი გამუდმებით უყურებ სინამდვილეს, კუნთებს და ჭეშმარიტების სისხლს. შექსპირი ხანდაზმულობაში უნდა შეიყვარო, მაშინ, როცა სრულყოფილება მოგბეზრდება.

22 დეკემბერი. პინგვინს ფრთების ბოლოები ჟილეტის ჯიბეებში აქვს ჩაკეცილი.

1907

12 თებერვალი. ახალგაზრდებო, მინდა გამცნოთ ჭეშმარიტება, რომელიც, ალბათ, თქვენთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იქნება: თქვენ ხომ ჩემგან სიახლეს მოელით. ეს ჭეშმარიტება კი გახლავთ ის, რომ ადამიანი არ ბერდება. გრძნობების საკითხი გასაგებია: ყველასათვის ცნობილია, რომ ადამიანს ნებისმიერ ასაკში შეიძლება შეუყვარდეს; რაც შეეხება გონებას, აქაც იგივე მდგომარეობაა. გონება ყოველთვის ახალგაზრდაა. 40 წლის ასაკში იმაზე მეტი არ გეცოდინება ცხოვრებაზე, რაც 20 წლისამ იცი. მაგრამ როცა უკვე 40 წლის ხარ, იცი, რომ ცხოვრებას ვერაფერი გაუგე და ამას აღიარებ კიდეც. აი, ეს არის ახალგაზრდობა.

11 აგვისტო. წინასწარ ვხედავ ძველი სასაფლაოს მოედანზე ჩემს ბიუსტს წარწერით:

ჟიულ რენარს
გულგრილი თანამემამულეებისაგან.

1908

2 იანვარი. რატომღაც ყველანი ძალიან ვჩქარობთ. ნეტავი რას ვიტყოდით იმ გლეხზე, რომელიც ხორბლის დათესვისთანავე ჯეჯილის ამობიბინებას დაუწყებდა ლოდინს?

27 მარტი. მას შემდეგ რაც წავიკითხე ლეონ დოდეს ბინძური სტატია ზოლაზე, აღარ ვიცი, წავიდე თუ არა წვეულებაზე გონკურთან, სადაც ლეონ დოდეც იქნება დაპატიჟებული. განა ჯანდაბისკენ არ უნდა დავულოცო გზა მთელ ამ აკადემიას?! კი, ასე უნდა ვიქცეოდე, მე რომ მდიდარი ვიყო.

23 მაისი. კლოდელი ამბობს ჯეიმსზე,* რომ ის არის ყველა დროის უდიდესი პოეტი; ჯეიმსიც იგივეს ამბობს კლოდელზე.

1909

19 აპრილი. მოყევი შენი ცხოვრება, მაგრამ იცოდე – ის სუფთა უნდა იყოს.

1910

31 მარტი. გარდაიცვალა მორეასი.** ნეტავ, ჩემი ჯერი ხომ არ დადგა? ეს იყო პოეტი, რომელმაც უღალატა სამშობლოს, დაწერა რამდენიმე კარგი ლექსი და მე სულელი მიწოდა.

ფრანგულიდან თარგმნა
თინა ღარიბაშვილმა

*** ფრანსის ჯეიმზი (1808-1938) – ფრანგი პოეტი და რომანისტი.**
**** ჟან მორეასი (1856-1910) – ფრანგი პოეტი, „რომანული სკოლის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი.**

ქეთო ბიბილაშვილი

მოკლედ ჩემი წარსულიდან და აწმყო

მე, ქეთო ალექსანდრეს ასული ბიბილაშვილი დავიბადე 1931 წლის 24 ივნისს ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭელიაღელეში, გლეხის ოჯახში.

ჩემი მშობლები იყვნენ: მამა, ალექსანდრე სოლომონის ძე ბიბილაშვილი. დედა, ნინა თედორეს ასული გურგენიძე. მამაჩემის დედა ყოფილა მაკრინე დვალი. დედაჩემის დედა – სალომე ქევანაშვილი. დედაჩემი იყო სოფელ ხოტევიდან. დედაჩემი და მამაჩემი ორივე ადრე დაობლებულან და სხვის კერიაზე იყვნენ გაზრდილი. მამაჩემი რომ შექმნილა 16 წლის, ძმას – გალონა ბიბილაშვილს, რომელიც უკვე ცოლიანი იყო, ჩაუსიძებია ზემო რაჭაში დედისერთა ქალზე, მაგრამ მამა ვერ გაჩერებულა იქ და ერთი წლის მერე დაბრუნებულა თავის ეზოში და იქ ჩაუდგამს პატარა ოთახი. შემდეგ კი დაქორწილებულა დედაჩემზე.

დედა 12 წლის ყოფილა რომ დაობლებულა დედითა და მამით ერთდროულად (ტიფით დახოცილან). ამ დროს დედას ერთი და, აღათი გათხოვილი ჰყოლია ველევში. უფროსი ძმა, სერგო ჯარში ყოფილა გაწვეული, სახლში ჰყოლია 6 წლის და ლუბა. უმცროს ძმას (სახელი არ ვიცი) მოუტანია ეს ტიფი და მშობლები და ბიძა რომ დახოცილან, სახლიდან წასულა და მერე აღარც დაბრუნებულა. დედა და პატარა და, ლუბა ნაუყვანია გასაზრდელად დედას ნათლიას, ილია კაციტაძეს (ილია სასულიერო პირი ყოფილა იმ დროს და კარგად ნაცხოვრება). დედას ძმა რო დაბრუნებულა ჯარიდან, ლუბა წაუყვანია თავის სახლში. დედაჩემი კი დარჩენილა ნათლიასთან და მამაჩემს წაუყვანია ჩუმად, მოტყუებით.

დედას პირველი შვილი, გოგო არ შერჩენია. მშობიარობის დროსვე დაღუპულა. 1928 წელს შესძენია ვაჟი, გივი. შემდეგ, 1931 წელს კი – მე.

მამა და დედა ორივე შეგვხვაროდნენ. ობლობაში გაზრდილებს უხაროდათ, რომ პატარა ოჯახი შექმნეს. მამამ ახალი სახლი ააშენა. დედას ნათლიამ კარგი მზითვი მისცა და ცხოვრობდნენ ბედნიერად, რაც დიდხანს არ გაგრძელებულა. მამას სახლში არყოფნის დროს მეზობლის კაცმა ღამე შეგვაშინა და მამა რო დაბრუნდა, ის კაცი დასჭრა დანით, რაზეც 2 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დედამ გაყიდა თავისი შუბა, მოსასხამი შარფი, ბეჭედი, საკერავი მანქანა, საბძელი და მამასაც უწყობდა ხელს და ჩვენც გვზრდიდა. მამა რომ დაბრუნდა ციხიდან, სახლი, რომელიც გვქონდა, აღარ მოეწონა და ახალი სახლი ააგო და ამ დროს გამოცხადდა ომი 1941 წლის 22 ივნისს. მამა ჯარში გაიწვიეს, სახლი დაუმთავრებელი დარჩა.

მამა ფრონტიდან გამამხნევებელ წერილებს იწერებოდა. მტერს მალე დავამარცხებთ და მეც მალე დავბრუნდებიო. დედას სთხოვდა, რომ არ შეშინებულიყო და ბავშვებისათვის კარგად მიეხედა. ჩემი ძმა, გივი ჩემზე უფროსი იყო 3 წლით, მასაც სთხოვდა, კარგად ესწავლა, დედას დახმარებოდა და ჩემთვის არ ეცემა. ჩემი ძმა მის თხოვნას პირნათლად ასრულებდა, დედას ეხმარებოდა ყოველგვარ საქმეში, მე კი ხანდახან მიმპერტყავდა. ერთი პერიოდი მამას წერილები შეწყდა, დედა დანაღვლიანდა, ალბათ დაიღუპაო.

1943 წლის შემოდგომაზე (თვე არ მახსოვს), საღამო ხანს, ჩვენს ეზოში შემოვიდა სამი უცხო მამაკაცი და დაუპატიჟებლად პირდაპირ სახლში შემოვიდნენ. დედაჩემი გაოგნებული მისჩერებოდა, ეგონა, ქმრის დაღუპვის ამბავი მომიტანესო. დასხდნენ ეს კაცები და დედას უთხრეს: თქვენს მაზლს დაუძახეთ და აქ მოიყვანეთო. ბიძასთან მე გავიქეცი და ისიც მალე მოვიდა. ერთმა მოსულთაგანმა დაიწყო: ცუდი ამბავი მოვიტანეთ, მაგრამ ბრძანებაა უმაღლესი სარდლის, სტალინის და ჩვენც უნდა შევასრულოთო.

ბრძანებაა მოსული, რომ ალექსანდრე სოლომონის ძე ბიბილაშვილის ცოლ-შვილი გადასახლებული იქნას ციმბირში, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახი. ეს ბრძანება დღესვე უნდა შესრულდეს. დაუძახეთ მეზობლებს და დაგეხმარებიან ბარგის ჩალაგებაში და შეკვრაშიო. დედამ წაიშინა ხელები და მორთო ხმამაღალი ტირილი. ავტირდით ჩვენც. მოცვივდნენ მეზობლები და ატირდნენ ისინიც. მოვიდნენ სოფლის თავკაცებიც, ისინიც ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ რას იზამდნენ. დაიწყეს ბარგის შეკვრა, ყუთების ჭედვა. ამ ფაცი-ფუცში დედაჩემი გაუჩინარდა. დედა, დედა, დავტიროდით მე და ჩემი ძმა ეზოში, მაგრამ დედაჩემი აღარსად იყო. გაოგნებული ხალხი ზოგი სად გარბოდა და ზოგი სად. ვიღაცამ სთქვა: არიქა, ჩქარა, ტბაზე გავიქცეთო და მართლაც ძლივს მიუსწრეს დედაჩემს. ის თავის დახრჩობას აპირებდა: „მე რომ აღარ ვიქნები, ბავშვებს აღარ წაიყვანებენო“.

მოიყვანეს დედაჩემი, დააწყნარეს, დაამშვიდეს, 5 წელი მალე გაივლის და ისევ დაბრუნდები შენი შვილებითო.

დილით მოვიდა მანქანა და წაგვიყვანეს რაიმილიციაში და იქ დაგვაბინავეს ერთ-ერთ ოთახში. გავიდა ერთი თვე. არც სახლში გვიშობენ და არც ციმბირში. თურმე ეშალონს გაუსწრია ჩვენთვის და კიდევ ელოდებიან ახალ ბრძანებას. ბრძანებამ დაიგვიანა და გაგვიშვეს სახლში. შევუდექით ძველებურ ცხოვრებას მაგრამ 2 თვის მერე ისევ წაგვიყვანეს. ახლა მარტო აღარ ვიყავით, ჩვენი რაიონიდან ჩვენისთანა 5 ოჯახი იყო. ქუთაისამდე ერთად ვიყავით, მერე ცალ-ცალკე დაგვანაწილეს. ჩვენთან მოხვდა ჭრებალოელი ანიკო ფრუიძე, რომელსაც 3 შვილი ჰყავდა. ერთი სტუდენტი იყო.

შეგვრეკეს ვაგონში (ახლა რო საქონელი გადაყავთ, ისეთ ვაგონში). ვაგონში ბევრი ვიყავით, უფრო მეტი აჭარლები იყვნენ, რომლებსაც ბევრი პატარა ბავშვები ჰყავდათ. ვაგონში არ გვქონდა არც სითბო, არც წყალი, არც დასაწოლი. ვაგონს ჰქონდა ერთი პატარა სარკმელი და იქიდან შემოდიოდა ცოტა სინათლე. იმ სარკმლიდან წვიმის წვეთებსაც ვაგროვებდი ჭიქაში. პირველად ვის-

წავლე რუსული სიტყვები: „დაიტე, ვადა კაპლი ნიეტუ“.

ეშალონი დღისით იდგა, ღამით მიდიოდა ნაომარ გზებზე. იწვოდა ყველაფერი. ხანდახან გვიღებდნენ კარებს, წყალი რომ აგვეღო.

პატარა ბავშვები ვერ იტანდნენ ამდენ გაჭირვებას და იხოცებოდნენ. საწყალი, გატანჯული დედები მკვდარ ბავშვებს გზის პირას ტოვებდნენ. ორ თვეზე მეტი ვიყავით გზაში და ძალიან ბევრი ბავშვი დაიღუპა. ერთ ადგილზე ვაგონებით ბორანზე შეგვიყვანეს დაახლოებით 100 ვაგონი. შუა წყალში ბორანი გაჩერდა და ვაგონების კარებებიც გაგვიღეს. ნაზორებმა ვაგონების ჩხრეკა დაიწყეს. რომელიღაც ვაგონში მკვდარიაო, თუ არ გამოაჩენთ და არ მოგვცემთ, ყველა დავიღუპებითო. ერთ-ერთ ვაგონში დედას ჰყოლია მკვდარი ბავშვი დამალული და გახდა იძულებული, ბავშვი გამოაჩინა. ნაზორებმა ბავშვი წაიღეს და წყალში გადააგდეს. ბორანი რამდენიმე წუთში დაიძრა. როგორც თქვეს და მახსოვს, ბორანს რაღაც ცხოველი ეღობება წინ. მკვდრის სუნს გრძნობსო.

თანდათან მიუახლოვდით ციმბირს. მოიმატა სიცივემ და ვიყინებოდით ვაგონში. როგორც იქნა, ჩავედით ადგილზე. ღამეა, უსინათლო. გვითხრეს, რომ ადგილზე ხართ და ვაგონი უნდა დასცალოთ ახლავე. შიშით და სიცივით სუნთქვა შეგვეკრა. გადავიხედეთ, ტყე და თოვლი ჩანდა, მეტი არაფერი. ავფორიაქდით, ატყდა ჩოჩქოლი და ხმაური. ნაზორები კი გაყვიროდნენ: სწრაფად, სწრაფად დაცალეთ ვაგონი. ვაგონი უკან უნდა დაბრუნდესო. დედამ და ჩემმა ძმამ დაიწყეს ბარგის ძირს გადაყრა. სავსე მეშოკებს ძლივს მიართევდნენ და პირდაპირ ძირს ჰყრიდნენ. შეიქნა ქურდობა. ამ დროს გავიგონეთ ქართველი ბიჭების ხმა: „ქართველები ხართ? ნუ გეშინიათ, ჩვენ თქვენთან ვართ, მოგეხმარებით. აქვე ახლოს ბანაკია და იქ დაგაბინავებთ. ისინი მაშინ გაუსახლებიათ, ჩვენ რომ წაგვიყვანეს პირველად. ისინი სამტრედიიდან და აბაშიდან იყვნენ. მოგვეხმარნენ, შეგვიყვანეს ცხენების თავლასავით ბანაკში. იმ ღამეს ყველა იქ დაბინავდა, იყო წვიმა, კივილი, ქურდობა, სიცივე

ბიჭებმა გვითხრეს: ამაღამ როგორმე გაძელით და ხვალ დილით მოვალთ და რაღაცას მოგიხერხებთო.

დილით ბიჭები მართლაც მოვიდნენ და ერთ პატარა იზოლირებულ ოთახში შეგვიყვანეს სამი ქართული ოჯახი. ჩვენ 3 სული, ფრუიძეები ჭრებალოდან 4 სული და ერთი უშვილო ქალი ლეჩხუმიდან თამარა ბაკურაძე. იმ ბიჭებმა გვითხრეს, რომ ვისაც მუშაობა შეგიძლიათ, მუშაობა დაიწყეთ ახლავე, სანამ თქვენი სურსათი შემოგელევოდეთ, თორემ შემდეგ ძალიან გაგიჭირდებათო. პირველ რიგში საჭირო იყო ღუმელი და ქეჩის ჩექმები. ისე გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა. ყინულები გვეკიდებოდა თვალის წამწამებზე და წარბებზე. რა უნდა გვექნა. ერთი წყვილი ქეჩის ჩექმა გვქონდა და დედაჩემმა ჩაიცვა, ჩემი ძმა კი ბატინკებით წავიდა ბაზარში ჩექმის და ღუმელის შესაძენად. სახლში რომ მოვიდა, ფეხის თითები უკვე მომწვარი ჰქონდა. საცოდავად ტიროდა საწყალი. რუსებმა გვასწავლეს და მოგვცეს კიდეც მჟავე კომბოსტოს ფოთლები დაიფინეთო და ასეც მოვიქეცით. დედამ და გივი მუშაობა მე-3 დღესვე დაიწყეს. სამუშაო მეტად ძნელი იყო. მდინარეს მოჰქონდა ხის მორები. ეს მორები მდინარიდან ტრანსპატიორებით ამოჰქონდათ, მერე აგორებდნენ ხელით, თოკით და ერთმანეთზე აწყობდნენ. შემდეგ მოდიოდა ვაგონები და ტვირთავდნენ ამ ხეებით. ჩემი ძმა გივი 15 წლის იყო. ბევრს მუშაობდა, მაგრამ ფიზიკურად ჯანმრთელი იყო და უძლებდა. დედას კი ძალიან გაუჭირდა, თან ჰავას ვერ შეეგუა და დღეში ორჯერ მისდიოდა გული. სულ მტირალი ვიყავი, მეშინოდა, დედა არ მოგვკვდენოდა. მერე თანდათან შევეჩვიეთ და თუ შეწუხდებოდა, ვფიქრობდი ისევ მობრუნდებათქო. ვაგონები ხანდახან ღამე მოდიოდა და გაჩერება არ შეიძლებოდა. მისცემდნენ საყვირს და ყველა უნდა გასულიყო დასატვირთად. დედას ხანდახან, კარტოფილის ორმო გვქონდა ოთახის ქვეშ და იქ ვმალავდით. დედას და გივის 500 გრ. პურის ტალონებს აძლევდნენ, მე კი 200 გრ., მაგრამ პური არ იყო ფიზიკურად. პური კვირაში ერთხელ მოდიოდა. ავიღებდი მთელ ნორმას, წავიღებდი ბაზარში, გავყიდიდი. 1 კგ პურით 1 ვედრო კარტოფილს ვყიდულობდი და მომქონდა სახლში. დავანთებდი გაყინული ხელებით ცეცხლს, გავაკეთებდი საჭმელს. გავიქცეოდი დედას და გივის სამუშაოზე და დავუძახებდი: „მოდით, სახლში საჭმელი გვაქვს“. დედა ხან სიხარულით და ხან ჩემი ცოდვით ცრემლებს ყრიდა საჭმელში. მე დავოსტატდი. ნოხიდან დაწყებული პუდრის კოლოფამდე, სულ გავყიდე ყველაფერი. მარტო დავდიოდი ბაზარში 3 კმ-ზე. რუსებს ქართველები ძალიან სძულდათ და ყველას „ჩორნებს“ ეძახდნენ და ცუდად ექცეოდნენ. მე რუსს ვგავარ და ცუდად არ მიყურებდნენ, ბაზარში კარგად მექცეოდნენ. წაღებული გვქონდა ნიგოზი (კაკალი) და ვყიდიდი ბაზარში. 2 ც. 5 მანეთად. თუ მსხვილი იყო, 1 ც. 3 მანეთად. პირველად ვისწავლე „პარა პიატ რუბლეი და შტუკა ტრი რუბლია“. კლიენტები ბევრი მყავდა, მოსწონდათ ნიგვზის გემო და მიცინოდნენ. ასე რომ შიში არ მქონდა, მაგრამ სიცივე ძალიან მაწუხებდა. ხან ცხვირს მომწვამდა და ხან ლოყებს.

მრავალშვილიან ოჯახებს ძალიან გაუჭირდათ და ძალიან ბევრი პატარა დაიღუპა. ჩვენ წინ ბარაკი იყო და დილით რომ გავიხედავდით, მის წინ ხშირად იდო პატარა ბავშვი მკვდარი. პატრონი კი არ ამხელდა, ვისი იყო, 200 გრ. ტალონი რომ არ წაერთმიათ. ჩამოივლიდა დროგი, დაადებდა მკვდარს სანკაზე და მიჰქონდა გადასაგდებად. ქართველებმა კი ქართული სასაფლაო გავაკეთეთ. თუ ქართველი მოკვდებოდა, 3 დღე-ღამე ვანთებდით ცეცხლს, ვალღობდით მიწას და ვმარხავდით.

ერთი წლის მერე გივი სამონტიორო კურსებზე გაგზავნეს ტომსკში 3 თვით. კურსები ხუთებზე დაამთავრა და დაბრუნდა თუ არა, მონტიორად დაიწყო მუშაობა, მერე დედაც უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაიყვანა „მეისრედ“. გივი ძალიან უყვარდა ყველას. აშენდა ახალი ბინა და ჩვენ მოგვცეს ერთი კარგი ნათელი ოთახი. დედას ძალიან ეცოდებოდა ერთი საჩხერელი ქალი, თამარა შუბითიძე და ის შევისახლეთ ჩვენ. თამარას თავის მშობლებთან საჩხერეში 3 შვილი ჰყავდა დატოვებული. მთვარიან ღამეში გავიდოდა გარეთ და ტიროდა: „შვილებო, შვილუკებო, თქვენც ეგ მთვარეს მისჩერებიხართ და მეც. ერთმანეთს კი ვერ ვხედავთ, მოგიკვდათ შვილებო თქვენი დედა“. მისი ცოდვით ჩვენც ვტიროდით.

ერთ დღეს მივიღეთ ბიძას წერილი საქართველოდან, რომელიც გვწერდა, რომ მამაჩემის წერილებს ღებუ-

ლობს, რომელიც ისევ ფრონტზეა. გამოგვიგზავნა მამას წერილი და მისამართი. წერილი თქვენ მისწერეთ, მე ვერ მივწერ, რომ თქვენ გადასახლებული ხართ ციმბირში.

მივწერეთ მამას წერილი. მიიღო ჩვენი წერილი და მან იმედიანი წერილი მოგვწერა: „დიდი ომია, ბევრი გაუგებრობა ხდება, ნუ გეშინიათ, მე თქვენ მალე გიშველით, ომიც მალე დამთავრდება და ყველანი დავბრუნდებით სახლში“.

ომი რომ დამთავრდა, ჩვენ ისევ ციმბირში ვიყავით. მამა საბუთებს ამზადებდა ჩვენს გასათავისუფლებლად და ცუდად გახდა და დააწვინეს გოსპიტალში, ტულაში. გვწერდა, რომ საბუთები მზადაა და მალე დაგვაბრუნებენ სახლში.

15 წლამდე ბავშვების დაბრუნების უფლება გასცეს, თუ საქართველოში დაეპატრონებოდა ვინმე. შეგროვდა 12 ბავშვი. დედამ მითხრა, შენც გაგიშვებ, ჩვენ იქნებ მალე არ გამოგვიშვან და შენ სკოლა აღარ გაგიცდებაო. მეც დავთანხმდი და ჩაგვაბარეს 12 ბავშვი ერთ აჭარელ კაცს, რომელიც გათავისუფლდა (ძმის გამო იყო). 18 დღე და ღამე ვიყავით გზაში. ნოვოსიბირში რომ ჩამოვედით, იმ კაცმა პროპუსკი დაკარგა და დავრჩით უსაბუთოდ. ისე ვინ გამოგვიშვებდა სადგურიდან (მაშინ პროპუსკობა იყო). სადგურში ერთი კაცი კანფეტებს ყიდიდა და ქართული ლაპარაკი რომ გაიგონა, ყურადღება მოგვაქცია ბავშვებს. გამოგვკითხა, საიდან ვიყავით და სად მივდიოდით ასე ერთად 12 ბავშვი. მე ავუხსენი ყველაფერი. ის კაცი დაგვეხმარა პროპუსკის აღდგენაში და სამი დღის მერე გამოვედით ნოვოსიბირიდან. ჩამოვედით მოსკოვში და მოვთავსდით ბავშვთა ოთახში. ბევრი რომ ვიყავით ერთად და მარტო ბავშვები, ყველა გვაქცევდა ყურადღებას. კურსკის ვაგზალი სავსე იყო დემობილიზირებული სამხედროებით. ქართულ ლაპარაკზე ქართველმა სამხედროებმა ყურადღება მოგვაქციეს, რომ გაიგეს, რომ გადასახლებიდან ვბრუნდებოდით, ყველას შევეცოდეთ. ვინ „სუხოი პაიოკს“ გვაძლევდა, ვინ ტალონებს სასადილოსას და რა ვიცი

ჩემთან ერთად მოდიოდა (ჩემი რაიონიდან, ჭრებალოში მცხოვრები) რუსუდან ფრუიძე, ჩემზე უმცროსი. ის დამეკარგა სადგურში. აქეთ ვეცი, იქით ვეცი და ბავშვი აღარსად იყო. გავვარდი გარეთ და ქუჩის მეორე მხარეს დავინახე, მიჰყავდა კაცს. გავიქეცი, ვსტაცე ხელი და ცემით შემოვიყვანე სადგურში. შემომესია ხალხი, რატომ სცემო, მე ვკანკალებდი და ძლივს დამაწყნარეს.

მოსკოვში ერთი კვირა დავრჩით. როგორც იქნა მოგვიწია რიგით წამოსვლა. აბანოს გავლა იყო აუცილებელი, თორემ ისე ვაგონში არ გიშვებდნენ. 3-3 მანეთი ავკრიბეთ და გვიშვებენ ვაგონში, მაგრამ ისევ პროპუსკი დაკარგა იმ კაცმა (კარგავდა თუ ყიდიდა ვერ გავიგე). აღარ შეგვიშვეს ვაგონში. დაგვაბრუნეს სადგურში. ვირბინე სადგურში ამ უფროსიდან იმ უფროსთან, ვისთან არ შევედი და ყველას ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა. აღვადგინე პროპუსკი. სადგურში ახალგაზრდა ქართველი ჯარისკაცი გამომელაპარაკა, გაუკვირდა, ბევრი ბავშვი რომ ვიყავით და უფროსი არ გვახლდა. მე მას ავუხსენი, ვინ ვიყავით და საიდან მოვდიოდით. ისიც ვუთხარით, რომ ჩემი მამა ტულაში იწვა გოსპიტალში. იმ ბიჭმა მითხრა, ტულა ძალიან ახლოსაა მოსკოვთან, ვაჟი რომ იყო, წახვიდოდი და ნახავდიო. ის ბიჭი და ერთი ქართველი კაცი თბილისში მოდიოდნენ, დემობილიზირებული იყვნენ ჯარიდან. რომ გაიგეს, ეს აჭარელი როგორ იქცეოდა, მე და რუსუდანს გვითხრეს, რომ ისინი წამოგვიყვანდნენ თბილისში და შემდეგ ჩაგვაბარებდნენ პატრონებს, მაგრამ ვერ დავთანხმდი, შემეშინდა. როგორც იქნა გამოვედით მოსკოვიდან და ვაგონში რომ მოვკალათდით, აბანოს ბილეთები მოგვთხოვეს, რაც ჩვენ არ გვქონდა. ჩამოგვსვეს ღამე ერთ-ერთ სადგურში აბანოში გასავლელად. შევედით სადგურში და მოვკალათდით. ვიკითხე, რა ქალაქია, სად ვართ? ეს ტულაა, მითხრა სადგურის მორიგემ. გული ამიძგერდა. მე და მამაჩემი ერთ ქალაქში ვიყავით. გავიხედე და ვხედავ, ცალფეხი ჯარისკაცი მოდის. თურმე აჭარელია და აჭარელი ბავშვების ლაპარაკს მიაქცია ყურადღება. გაკვირდა და გამოგველაპარაკა. მე ვკითხე: თუ იცით, ობლასტნაია ბალნიცა შორსაა? 3 კმ-ზეა, მიპასუხა მან. რატომ კითხულობ, მკითხა მან. მამაჩემი წევს იქ, ვუპასუხე მე. მან მითხრა, მე შეხვევაზე დავდივარ იქ და თუ წამოხვალ, ხვალ წაგიყვანო, მაგრამ ჩვენ აბანოში მალე გაგვატარეს და დილით გამოგვამგზავრეს. რომ ერთი პროპუსკი არ გვქონოდა ყველას, გავრისკავდი და დავრჩებოდი. წამოვედი წელ-გულ მოწყვეტილი. როგორც იქნა ჩამოვედით რაიონში. აჭარლებმა

ქეთევან ბიბილაშვილი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან

ბათუმის მატარებლით იყო და გააგრძელეს გზა. მე კი ჩამოვიყვანე რუსუდანი ძირს და უნდა წავიდეთ ქუთაისში. ღამეა. შევედით ვაგონში, სადაც ბევრი სამხედროები იყვნენ, მარტო ბავშვები რომ ვიყავით, გამოგვკითხეს საიდან მოვდიოდით. მე ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ ზოგმა არ ირწმუნა, მასეთი კანონი არ გამოსულაო. შემეშინდა, მაწანწალა ბავშვები არ ვეგონოთ-თქო და ჩამოვხტით ძირს და მეორე ვაგონში შევედით. გათენდა, ჩავედით ქუთაისში. ქუთაისში ნამყოფი ვიყავი და ცენტრალური ქუჩა სადგურიდან ჯაჭვის ხიდამდე ვიცოდი. დავადექით ფეხით და წავედით ჯაჭვის ხიდისკენ. ინსტიტუტთან რომ მივედი, ვიკითხე, ეთერი კაციტაძეს თუ იცნობთ, ლექტორია? (დედა რო გაზარდა, ილიას ქალიშვილი იყო). ვერაფერი მიპასუხეს. გავაგრძელეთ ისევ გზა. ხიდთან რომ მივედით, ჩამოვჯექით ხიდის ქვაზე და საჭმლის ჭამა დავიწყეთ. უცებ რუსუდანმა იყვირა: დეიდა! შემთხვევით შევხვდით დეიდამისს. იმ ღამეს მან წაგვიყვანა. მეორე დღეს ჯაჭვის ხიდთან დაგვსვეს დიდ მანქანაზე და გვიშვებენ რაჭაში. რუსუდანს ვუთხარი: შენ ხომ ჩაგაბარე პატრონს. მე გივიმ დამიბარა, რომ გაჭრილი გზით არ წახვიდე რაჭაშიო. „კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო“, ისე არ მოგვიდესო. გადმოვხტი მანქანიდან და წავედი სადგურისკენ. ინსტიტუტთან კიდევ შევჩერდი და შევედი ეზოში. ქალს ვკითხე: ეთერი კაციტაძეს, ლექტორს თუ იცნობთო. კი შვილო, აგერ ცხოვრობს, მიპასუხა მან და გამიძღვა წინ. ოთახში ორი გოგო იყო. ეთერი ძმასთან იყო წასული, რომელიც სამხედრო გოსპიტალში მუშაობდა. გოგოები მიხვდნენ, ვინც ვიყავი (ეთერი ამზადებდა ჩვენს გასათავისუფლებელ საბუთებს და ისინიც ეხმარებოდნენ). მითხრეს ჩვენც იქ მივდივართ, ვალიკოს ბიჭი შეეძინა და უნდა მივულოცოთო. წამიყვანეს. ჩემს დანახვაზე ბევრი იყვირეს და იტირეს ნინა და გივი სად არიანო. იქ დავრჩი ერთი კვირა, მერე გამიშვა რაჭაში. ტყიბულში რო ჩავედი, ბაზარში მამიდაშვილი ვნახე, ნინა. იმ ღამეს იმან წამიყვანა. მეორე დღეს მგზავრებს ჩააბარა ჩემი თავი და გამიშვა რაჭაში. ზამთარი იყო. ნაქერალა ფეხით გადვიარე. დაღამდა და მივედი ჭელიაღელეში. ბიცოლა, დავიძახე კიბესთან, ბიძიამ გამოიხედა და დამიძახა, ვინ ხარ? ქეთო ვარ, ბიძია. არ დაიჯერა. ბიცოლაჩემი ეძახის: ჭრაქი აანთე, შუბლზე შეხედე (შუბლზე ნაიარები მამჩნევია). შემიყვანეს სახლში ტირილით, ნინა და გივი სად არისო

ჩამოვედი თუ არა, მამას წერილი მივწერე და მისი წერილიც მივიღე, რომელიც მწერდა, რომ გივი და დედაც მალე დაბრუნდებოდნენ. მართლაც ჩემი წამოსვლის მერე დედას მალე მიუღია განთავისუფლების დოკუმენტი და მალე დაბრუნდნენ. გივის შეხედვას არაფერი სჯობდა, ხალხი დიდი ოვაციებით ხვდებოდა.

ჩვენი ეზო დაცარიელებული იყო. სახლი საბჭოში იყო გადატანილი და შიგ საბჭო და ფოსტა იყო. ბუხრიანი სამზარეულო გაყიდული იყო. საბძელ-ბოსელი დანგრეული. ძროხა ფერმაში იყო წაყვანილი, რომ დავბრუნდით, დაგვიბრუნეს.

ცოტა ხანს ბიძასთან ვცხოვრობდით, მერე სკოლაში ერთი პატარა ოთახი დაგვითმეს. დედამ სკოლაში დაიწყო მუშაობა. გივიმ ხოტევში გააგრძელა სწავლა. მე ჭელიაღელეში. მე-5 კლასში არ მისწავლია. დავჯექი მე-6 კლასში. მასწავლებლები არაფერს მეუბნებოდნენ. დირექტორი კი არ მაჩერებდა კლასში, მე-5 კლასში დაჯექიო. წავედი ამბროლაურში და შევედი განათლებაში. ავუხსენი განათლების განყოფილების გამგეს ჩემი მდგომარეობა და დამაწერინა განცხადება, როგორც ოთხი კლასი დავამთავრე 5-ზე და შემიძლია ვისწავლო მე-6 კლასში. დაადვა რეზოლუცია დადებითად და სულ სირბილით ამოვიარე სალოს გზები. პირველ მეოთხედშივე ხუთოსანი ვიყავი. 5-ზე დავამთავრე 8 კლასი და შევედი ამბროლაურის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 5-ზე დავამთავრე. ჩემი სურათი სულ გაკრული იყო საპატიო დაფაზე. გამანაწილეს სვანეთში, სადაც არ წავედი. ჩემმა ძმამ, გივიმ სწავლა გააგრძელა ქუთაისის სამთო ტექნიკუმში. სტიპენდიას ერთმანეთს ვუგზავნიდით და ისე ვსწავლობდით. გივი ნიგოზს წაიღებდა ქუთაისში, გაყიდიდა და ყიდულობდა ტანსაცმელს, როგორც თავისთვის, ისე ჩვენთვისაც. დამთავრების შემდეგ გაანაწილეს მოსკოვის მეტრო მშენებლობაზე, მაგრამ ეთერი დაეხმარა და დატოვა. შემდეგ თავი მოვიყარეთ ტყიბულში. ის ელექტროსადგურის უფროსად მუშაობდა, მე მასწავლებლად.

მამა გოსპიტალში გარდაიცვალა, მისი ნახვა აღარ გვეღირსა. დედა გვიდგა გვერდში და დედობასაც გვიწევდა და მამობასაც.

ჩემი ძმა დაცოლშვილდა. ცოლად შეირთო ნიკორწმინდელი ციალა მიხას ასული გეგეშიძე. შეეძინათ ორი შვილი: მარინა და გელა. მეც დავქორწილდი ოთარი გაბადაძეზე. მეც შემეძინა ორი შვილი: ნანული და თამაზი.

დედა 79 წლის ასაკში გარდაიცვალა. საწყალი ჩემი ძმა ნაადრევად წავიდა ამ წუთისოფლიდან, მაგრამ წამოვიდა ახალი თაობა, გელას შვილები, რომლებიც აგრძელებენ ცხოვრებას მამაჩემის გორაზე: სალომე, გივიკო და ალექსანდრე. დღეგრძელი იყოს მათი სიცოცხლე. ერთი იქცეს ათად, ათი ასად და მერე მთელ დინასტიად. ამინ. მარინას ჰყავს ერთი ვაჟი. ერთი ათად ამინ.

მეც მყავს ოთხი შვილიშვილი.

გოგოსი: ქეთინო და გიორგი.

ვაჟის: ლაშა და მედიკო.

მიმრავლე ღმერთო ისინი. ამინ.

ტყიბულში ბავშვთა აღზრდას ვემსახურე 40 წელი. ვარ სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი. მაქვს მიღებული მედლები და სიგელები. ვარ ვეტერანი პენსიონერი.

ამჟამად მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ სოფელ კითხიჯში მარტო. ვაჟი, თამაზი ცხოვრობს თბილისში თავის ცოლ-შვილით. ცოლი: ნანა ვაშაკიძე. შვილები: ლაშა და მედიკო.

ქალიშვილი ცხოვრობს ტყიბულში.

მეუღლე: ამირან ავალიანი. შვილები: ქეთინო და გიორგი.

ზაფხულობით ბავშვები ჩემთან არიან.

მე ვარ სერიოზული ავადმყოფი, გულ-სისხლთა დაავადებით. ხშირად სიკვდილის მოლოდინში ვარ. ღმერთზე მადლობელი ვარ, რომ შვილები და შვილიშვილები, ძმის შვილები თავიანთი ოჯახით კარგად მყავს. მადლობელი ვარ, ღმერთო, შენი მოწყალებისა. ყოველ საღამოს ვლოცულობ მათზე.

გულში სევდა მაინც მიმყვება სამარეში. ვერ ავისრულე ერთი ნატვრა

1999 წ. 10 იანვარი

რას ნიშნავს თავისუფლება

*

ლელა ოჩიაურს ესაუბრება მანანა ბერიკაშვილი

მიმდინარე სეზონში, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში მანანა ბერიკაშვილმა იაპონელი მწერლის, დრამატურგის, მსახიობის, რეჟისორის იუკიო მისიმას პიესა „მარკიზა დე სადი“ დადგა და იმ საზოგადოების ცხოვრების, მისი არჩევანისა და სულიერი ტყვეობისა და გათავისუფლების პრობლემები წარმოადგინა, რომელმაც უზნეობა აღაზევა და სახე დაკარგა.

რეჟისორს ამბავი ადამიანის ცხოვრებისეული გზის, არჩევანის, მორალური და ზნეობრივი კოდექსის ანალიზის ხარისხში აჰყავს და იმ მიზეზებს იკვლევს, რამაც საზოგადოება ცოდვაში შეიყვანა, რის გამოც ახალი კოდექსები, ახალი მორალი გამოიგონა და სასჯელიც მიიღო. იგი სწორედ ამ მრავალშრიანი სათქმელის მიხედვით აგებს რთული წყობისა და არაერთგვაროვანი მხატვრული ხერხებით გადაწყვეტილ სპექტაკლს და მაყურებელსაც ფიქრისკენ, განსჯისკენ, თუნდაც საკუთარი არჩევანის შეფასებისკენ „მოუხმობს“.

სპექტაკლში ქალების როლებს მამაკაცები ასრულებენ, მისიმას კი (რომელიც მანანა ბერიკაშვილს მოქმედებაში საკუთარი „სურვილით“ შეჰყავს) – ქალი. რეჟისორი ამ გადაწყვეტილების საფუძველსა და დადგმის სხვა თავისებურებებზე, პიესის არჩევის მიზეზებსა და მისი ავტორის შესახებ გვესაუბრება.

საქართველოში სპექტაკლები იდგმება, მაგრამ, ამავე დროს, გრძელდება საუბარი ქართული თეატრის კრიზისის, იმ პრობლემების შესახებ, რაც ქართული თეატრის წინაშე სხვადასხვა მიზეზით წამოიჭრა.

ამ პრობლემებს მსახიობი, რეჟისორი და პედაგოგი მანანა ბერიკაშვილი ყველა კუთხიდან და ყველა ჭრილში კარგად იცნობს. დაწყებული იქიდან, რომ გივი ბერიკაშვილის შვილია, რომ მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეა, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის პედაგოგია და არაერთი თაობა ჰყავს აღზრდილი, რომ დედამისი ლეილა კაპანაძე ასევე პედაგოგია, მისი ძმა ზურაბ ბერიკაშვილიც მსახიობია.

– რატომ აირჩიეთ ეს პიესა, რატომ მისიმა, რატომ დღეს და ასეთი ფორმით? რატომ მუსიკისა და დრამის თეატრში?

– შეიძლება ითქვას, რომ მე ვიყავი დავით დოიაშვილის გულშემატკივარი და მეგობარი დღიდან ამ თეატრის გახსნისა. შემდეგ – სპექტაკლის დადგმა დოიმ თვითონ შემომთავაზა.

მაქვს ხოლმე პერიოდები, როდესაც ძალიან შეყვარებული ვარ რომელიმე ავტორზე და ეს ზუსტად ის დრო იყო, როდესაც „მისიმათმცოდნე“ გავხდი. საერთოდ მხიბლავდა ამ კაცის ბიოგრაფია, ცხოვრება, შემოქმედება მთლიანად. რუსულად მისი ორი პიესაა თარგმნილი, რომელთაგან „მარკიზა დე სადზე“ შევჩერდი.

მგონია, რომ მეთვრამეტე საუკუნე, როგორც ეროტიზმის ეპოქა, დღეს მეორდება. თუმცა ეს საკითხის ერთი კუთხეა. ყველა პრობლემა, რომელიც პიესაშია, ძალიან ზუსტად ეხმიანება დღევანდელობას. თქვენ ნახეთ სპექტაკლი და იცით, რომ ის არაა მხოლოდდამხოლოდ ეროტიზმზე. მე არ მაინტერესებდა ქალის, კაცის პრობლემა. აქ დგას ის პრობლემები, სადაც უშუალოდ სქესი ჩემთვის ამ შემთხვევაში არ ყოფილა მნიშვნელოვანი. არ ვიცი, რამდენად გამოვიდა და რა თვალით დაინახა ეს მაყურებელმა, მაგრამ როდესაც სპექტაკლს ვდგამდი, ბიჭებს ვუთხარი, ჩვენ ვთამაშობთ ამბავს და რაღაც ნიუანსებით, ქალი, კაცი ნიღბებია და არა რეალური სახეები-მეთქი.

– რატომ ნიღბები?

– მიუხედავად იმისა, რომ მე თვითონ ქალი ვარ და თან მეტ-ნაკლებად მიმაჩნია, რომ ქალმა ჩვენს ეპოქაში თავის თავზე ძალიან დიდი ფუნქციები აიღო, ძირითადი პრობლემა მაინც კაცის სატვირთია და მის ზურგზე გადასავლელი, რაც, მინდოდა, ძალიან კარგად შეეგრძნოთ მონაწილეებსაც და მაყურებელსაც. ამიტომ ავირჩიეთ კაცები და, ამავე დროს, რადგან ნიღბებზეა ლაპარაკი, ერთ-ერთი საინტერესო ფორმა ამ თვალსაზრისით კაბუკის თეატრია. ამიტომაც გადავწყვიტე, სპექტაკლი კაბუკის თეატრის პრინციპით აგვეგო. შემდეგ ამ ყველაფერმა, მუშაობის პროცესში, სახე იცვალა, საბოლოოდ, კაბუკის თეატრის პრიციპები ზუსტად არაა დაცული, მაგრამ მაინც რაღაც რაკურსი არსებობს.

ვერ გეტყვით, რომ რაღაც პრინციპული მოსაზრება იყო, მისიმა მაინცდამაინც ქალს ეთამაშა. უბრალოდ, ზუსტად ვიცოდი, რომ ნანა ბუთხუზს უნდა ეთამაშა. რომ ვფიქრობდი, ვინ შეიძლება ყოფილიყო მის როლში, სხვა მსახიობი ვერაფრით ვიგულისხმე – თავისი ხასიათის თვისებებით, გარეგნობით ძლიერი ნატურით. შემდეგ სულ ვფიქრობდი, როგორ უნდა გამემართლებინა ის, თუ რატომ თამაშობს მაინცდამაინც ქალი. თვითონ მისიმას ბავშვობიდან, ვიტყოდი (სხვანაირად ვერ ვუწოდებ), გადახრა ჰქონდა – ლტოლვა მამაკაცებისადმი, შემდეგ თავის თავში აღმოაჩინა, რომ ჰომოსექსუალისტია საერთოდ, საკმაოდ საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტია.

მან ყველაფერს მიაღწია – გახდა არაჩვეულებრივი მწერალი, არაჩვეულებრივი სპორტსმენი, არაჩვეულებრივი მუსიკოსი, დირიჟორი, რეჟისორი, მსახიობი, ცოლიც მოიყვანა, შვილებიც ჰყავდა, რესპექტაბელური ოჯახიც ჰქონდა და ყველაფერი, რაც ტრადიციული ოჯახისთვისაა აუცილებელი. ანუ ისიც, რაც მის ბუნებას თითქოს არ ეთვისებოდა, გააკეთა. ასეა მიღებული? კი, ბატონო! ასეთი ტიპი იყო.

– ამ მონაცემებდან, ამ საკითხებიდან გამომდინარე, რა იყო თქვენთვის მთავარი სპექტაკლში?

– მე მგონი, მას შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს, სულ ვიკვლევთ, რას ნიშნავს თავისუფლება და ბოლომდე ვერ გაგვირკვევია. თავისუფლება ნიშნავს, რომ თუ ღმერთი არ არის, ყველაფერი ნებადართულია?! თუ – შენ ყველაფრის უფლება გაქვს და არაფრით შეზღუდული არა ხარ?! თუ შენი თავის უფალი ხარ და რაღაცებისდა გამო უარი უნდა უთხრა შენს სურვილებს?!

პიესა მარკიზ დე სადის ცოლზეა და მარკიზ დე სადის (რომელიც სადღაც არსებობს) გარემოცვაზე. მთელი ეს ხალხი მისი, როგორც მაგნიტის, გარშემო პროწიალობს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სადი დიდი დოზით თითოეულ მათგანშია. ყოველ ჩვენგანშია მარკიზ დე სადი, გააჩნია, საით წავიყვანთ ამ ყველაფერს. მისი ცოლიც ხომ ბოლოს მონასტერში მიდის, რადგან ძალიან ღვთისმოსავი, ძალიან თავდადებული და ძალიან სუფთაა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ძალიან უერთგულა ქმარს, რომელმაც ბოლოს რომანი დაწერა და დასცინა მის კეთილშობილებას.

მარკიზა დე სადი მონასტერში მიდის. ბოლომდე მასაც არა აქვს გარკვეული, რა არის სწორი და რა – არასწორი, და არ მიაჩნია, რომ როდესაც სავსებით გაიდეალებული მეუღლე (მას პიესის პირველ, მეორე მოქმედებაში მონოლოგები აქვს, სადაც ამბობს, იგი თქვენზე უფრო სუფთაა, თეთრზე თეთრია, მტრედიაო) ვიღაცას შოლტავს და სისხლს ადენს, სადისტი და მწყობრიდან გამოსული ადამიანია, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ფიქრობს, რომ ასეა, თუმცა მაინც ვერ გარკვეულა და ამბობს, მონასტერში მივდივარ - ღმერთს რამდენიმე შეკითხვა უნდა დავუსვაო.

– პიესაში ავტორი, როგორც თქვენთან, არ მოქმედებს. რატომ შემოგყავთ მისიმა სპექტაკლში პერსონაჟის სახით, იგი მოქმედების ორგანული ნაწილია, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა – რატომ ამ სივრცეში, ამ ეპოქაში?

– პირველ რიგში, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ჩემი დიდი სიმპათიიდან გამომდინარე ამ პერსონის მიმართ. მეორე – როდესაც თავიდან ფიქრი დავიწყე, რომ სპექტაკლი კაბუკის თეატრის პრინციპით უნდა ამეწყო, იქ აუცილებლად საჭიროა წამყვანი, რომელიც შეკრავს მოქმედებას, განმარტებებს იძლევა, დასკვნებს აკეთებს... ამისთვის მისიმაზე უკეთეს პერსონაჟს ვერ ვიპოვიდი (თუმცა პიესა თავისთავად ამ ფორმით ნამდვილად არაა დაწერილი). მესამე და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუ რატომ მაინცდამაინც მისიმა, ისაა, რომ იგი თვითონ აიგივებს საკუთარ თავს მარკიზ დე სადთან, საოცრად. იგი მარკიზ დე სადის დიდებისკენ ისწრაფოდა. მართალია, ასეთი სახელი მაინც ვერ მოიხვეჭა, მაგრამ მასთან გაიგივების სურვილი სულ ჰქონდა და ამ შემთხვევაში, ეს ორი ხაზი ერთმანეთს კარგად დაემთხვა.

– თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მისი ღირსეული ნაბიჯი – ხარაკირი და სადის უარყოფა – სხვა კუთხით შლის პერსონას.

– ბოლო კვანძი სწორედ ეს იყო. როდესაც სპექტაკლის ბოლოს სადი შინ ბრუნდება, მასზე უარს ამბობენ. უფრო დიდი დასჯა, უფრო სწორი სიტყვა, ვიდრე შურისძიებაა, მარკიზ დე სადისთვის არ არსებობს, და რადგან მისიმა თავს სადთან აიგივებს, მიდის და ხარაკირის იკეთებს.

მისიმას მთელი ცხოვრება არის გზა სიკვდილისკენ, რისკენაც მიდის თავისი რომანების, ბიოგრაფიის მიხედვით, და მისთვის ხარაკირი, თვითმკვლელობა უზენაესი ნეტარებაა. ბოლო ნაბიჯი, რომელიც მან რეალურად გადადგა, მას შემდეგ, რაც პოლიტიკაში ჩაერთო, მონარქისტული ჯგუფი თუ პარტია დააარსა და, როგორც ის ამბოხი მოხდა, მისიმამ თითქოს სპექტაკლი გაითამაშა, რათა მისი ცხოვრების ბოლო წერტილი ასეთი პომპეზური ყოფილიყო, და ამდენი ხალხის თვალწინ თვითმკვლელობის აქტი აღასრულა.

პიესას ძალიან ბევრი შრე აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ევროპული პიესაა, იაპონელის დაწერილია. ის პასუხს არაფერზე არ გაძლევს. ბევრ კითხვას გიტოვებს და ამაზე შენ უნდა იფიქრო. ვერაფრით, ვერაფრით მივედი იქამდე, თუ რა პასუხს იძლევა თვითონ მისიმა ბოლოს – თუ თავისი ქცევით, თავისი სიცოცხლის ბოლო წერტილით, თუ პიესით. არა, არ გაძლევს პასუხს. თან მთელი ცხოვრება ამისკენ მიისწრაფის, თან უცებ თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან სპექტაკლს დგამს. თვითონ დაწერა „ნიღბის აღსარება“. სხვაობა ისაა – რაც მას შურდა – რომ დე სადი იყო ადამიანი უნიღბოდ, მისიმა კი მთელი ცხოვრება სხვადასხვა ნიღაბს ირგებდა.

– სხვაობა ალბათ ისიცაა, რომ იგი აღმოსავლური ცხოვრების წესით ცხოვრობდა, იაპონელი დიდგვაროვანი, სამურაი. მართალია, სადიც დიდგვაროვანი იყო, მაგრამ აღმოსავლეთსა და ევროპაში სხვადასხვა კოდექსებია...

– სრულიად სხვადასხვა. მისიმა ტრადიციულ ოჯახში დაიბადა, მაგრამ მასში თავიდანვე სხვა კოდი იყო ჩადებული, სავსებით, არაორდინარული გაიზარდა, სავსებით, როდესაც თვითონ აცნობიერებდა ამ ყველაფერს, ნელნელა, უკვე ყრმობის წლებიდან, ანალიზს უკეთებდა, პასუხს მაინც ვერანაირს პოულობდა.

– რამდენადაც მახსოვს, თქვენი სხვა სპექტაკლები, იგივე, „ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „სებია“ და სხვა, სულ სხვა პრობლემაზე, სულ სხვა თემაზე იყო აგებული. თითქოს სხვა მიმართულებით მიდიოდით, სხვა ინტერესები გქონდათ, სხვა მსოფლმხედველობა, და უცბად ასეთი რადიკალური ცვლილება მოხდა.

– არა, ალბათ ვერ ვიტყვი, რომ სხვა მსოფლმხედველობა მქონდა. როდესაც დავდგი „ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება“ – რა პერიოდი იყო, რა მინდოდა მაშინ? მოდიოდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც არ აღელვებდათ, არ ესმოდათ და არ სტკიოდათ

პრობლემები, რომელთაც იმ სპექტაკლში ვეხებოდი, და მე ვთქვი, აი, ახლა, ბიჭები სცენაზე დადგებიან და დაამტკიცებენ, რომ ძალიან კარგია, „მოდურიც“ კი და მნიშვნელოვანიც, როდესაც შენ გიყვარს შენი ქვეყანა. ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადში საქართველოში ეროვნული მოძრაობა გაიშალა.

შემდეგი სპექტაკლი იყო ნიკო ლორთქიფანიძის „მოუარეთ საქართველოს“. მაშინ ეს ჩვენთვის უფრო საჭირბოროტო და მტკივნეული საკითხი იყო. ეს თემა ახლა უფრო გაიზარდა და, შეიძლება ითქვას, ჩვენი ყოფა ფილოსოფიურად განზოგადდა, ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმანში“ წინ სხვა სატკივარი წამოვიდა.

მე მგონი, დღეს ბევრი ისეთი პრობლემა გვიდგას, რაც სწორედ მისიმას პიესაშია. შემიძლია პირდაპირ ჩამოვთვალო. ესაა: ზნეობის საკითხი, თავისუფლების საკითხი, კაცობის საკითხი... ეს ის პრობლემებია, რაც დღეს ყვე-

ლაზე მეტად მაწუხებს – უზნეობა და ადამიანის თავისუფლების კოდექსი. თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი.

ალბათ უამრავი სხვა პიესა და ნაწარმოებია, სადაც ეს თემებია, მაგრამ მე, მისიმას მიმართ დიდი სიყვარულის გამო, მაინც „მარკიზა დე სადი“ ავირჩიე.

– მაინც ჩაგეკითხებით. რატომღაც მეჩვენება, რომ მისიმას პიესა უფრო მწვავეა, უფრო მძაფრი, უფრო გულახდილი და შეიძლება, სასტიკიც. სახიფათოც, რაღაც თვალსაზრისით...

– ასეთია ჩვენი ცხოვრება დღეს. მაშინ ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რისთვის ვიბრძოდით, რას ვებრძოდით, რა გვტკიოდა. ახლა ცოტა დავიბენით. ცოტა აღარ ვიცით. ცოტა ვეღარ ვხედავთ. უზნეობა ზნეობად მიგვაჩნია, არაკაცობა კაცობად... რაღაცებს ვკარგავთ, ძალიან მნიშვნელოვანს. მომეჩვენა, რომ ამ პრობლემების წამოწევა ძალიან კარგად შეიძლებოდა მისიმას პიესით.

– ჰო, კარგად შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ საკმაოდ სერიოზული რისკის წინაშე დაიყენეთ თავი, რადგან მაყურებლის რეაქცია შეიძლება საკმაოდ მწვავე ყოფილიყო.

– ალბათ. როდესაც რევოლუციის ხანას ვამზადებდი, რაც სპექტაკლშიც ზუსტად ისეა, როგორც პიესაში, მეუბნებოდნენ, არასწორად გაგიგებენო. მე ვპასუხობდი, რომ რევოლუცია ყველა ქვეყანაში ერთნაირია, მეორდება თავისი ქმედებით, თავისი პრობლემებით და თავისი შედეგებით. ყველა რევოლუციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი. აბა, როგორ გინდათ?!

სცენა სპექტაკლიდან „მარკიზა დე სადი“

მე ცოტა სხვა რამის მეშინოდა. თუ თანამედროვე მაყურებელს პრობლემა იმ ენაზე არ დაანახე, რომელიც მას ესმის, არ გამოგყვება. ვფიქრობ, ჩვენი სპექტაკლის ენა მისთვის მეტ-ნაკლებად გასაგებია. არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, ვეცადე.

– თქვენ თეატრი შიგნიდანაც იცით და გარედანაც, როგორც მსახიობმა და როგორც რეჟისორმა. ამავე დროს, აქტიური მაყურებელი ხართ. შეგიძლიათ განსაზღვროთ, ჩამოაყალიბოთ, როგორია დღევანდელი ქართული თეატრი? რა ხდება ქართულ თეატრში? არის იქ კრიზისი, როგორც ამბობენ?

– ერთი შეხედვით, მოგეჩვენება, რომ დღევანდელ ქართულ თეატრში, ზოგადად, კრიზისია. რომ ჩამოვთვალოთ, ვნახავთ, რომ თეატრებში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი მოღვაწეობს, ხელმძღვანელებიც – რეჟისორებიც და არტისტებიც, და იმის თქმა, რომ შემოქმედებითი კრიზისია, რომ არა გვყავს რეჟისორები, არა გვყავს მსახიობები – ცოტა არ იყოს, სისულელედ მეჩვენება.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დღეს ხდება, ისაა, რომ თეატრი რაღაც-რაღაცებით ჩანაცვლდა. პირდაპირ გეტყვით, რა მგონია. მითხარით, რა არის სამშობლოს სიყვარული? რას ნიშნავს – მე მიყვარს ჩემი სამშობლო?

მე სამშობლო მიყვარს მაშინ, როდესაც მიყვარს დედა, მამა, შვილი, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, მეზობელი, მეგობარი... და ამაგი, იმ მიწაზე, იმ საქმეზე, რასაც აკეთებ. არის სხვა რამ სამშობლო? მიწა ყველგან მიწაა, ზოგან ნაყოფიერი და ნოყიერი და ზოგან – არა. მზეც ყველგან ამოდის და ჩადის, ბოლოსდაბოლოს.

მაინც მგონია, რომ ქვეყანამ განსაზღვრა ისე, რომ თეატრი გერად აქცია. მას ყურადღება აკლია და ამაში ძალიან დიდი წვლილი ტელევიზიასაც მიუძღვის. საერთოდ, ქართული კულტურა, ხელოვნებაა გამეტებული. ამის უთქმელობა არ შემიძლია.

მკვლელობა, პოლიტიკა, ეკონომიკა, ყველა ტელევიზიაში, ყოველ დღე, დღეში რამდენჯერმე, ზოგჯერ ერთი და იგივე, ზოგჯერ თითიდან გამოწოვილი – შუქდება და შუქდება, და არის ერთი ამბავი... შეხედეთ, რა ხდება. გადაცემები, შოუები, დებატები, თოქ შოუები, სოციალურ თემებზე, ასეთ თემებზე და ისეთ თემებზე, გასართობი, სამასხარაო... თეატრზე, ხელოვნებაზე კი გადაცემა არ არსებობს. სავალდებულო არაა, რომ რაღაც გაიმეორო და მაინცდამაინც იმ ფორმით განახორციელო, ჩვენს ბავშვობაში რომ იყო, ვთქვათ, „თეატრალური ფოსტა“. არა, რაღაც მოიფიქრე ისეთი, პოპულარულიც გახდეს და კომერციულიც. ხომ შეიძლება ამაზე ვინმემ იზრუნოს?! არავინ ფიქრობს.

– როგორ გგონიათ, რატომ არ ფიქრობს?

– არაკომერციულია, არამომგებიანიაო. ასე მიაჩნიათ. მხოლოდ პატარა სიუჟეტი მზადდება თეატრზე, ხელოვნებაზე, ზედაპირულად და მეტი დრო არ ეთმობა. მიაჩნიათ, რომ არ არის მნიშვნელოვანი. მე მგონი, ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ საქართველოს მაინც გაიტანს მისი კულტურა, ხელოვნება... იგივე თეატრი იყო, რომელ-

მაც ქვეყანას მსოფლიოში გაუთქვა სახელი. იმავე რობერტ სტურუამ, მიხეილ თუმანიშვილმა თუ სხვამ...

ამდენ ტელევიზიაში მიმუშავია და, როდესაც კითხვას ვსვამ, მეუბნებიან – არაკომერციულიაო. რეკლამა გასაგებია. ეს დრომ მოიტანა. რეკლამა ფული ღირს. თეატრს ფული არ გააჩნია. გარდა ამისა, რეკლამაა სწორედ გადაცემები, ჩვენება, კამათი, მსჯელობა.

აბა, წადით და ჰკითხეთ ახალგაზრდებს, ვინაა ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა ან სერგო ზაქარიაძე... არ იციან და ვერც გაამტყუნებ, რადგან მათ შესახებ არაფერს უჩვენებენ. და მხოლოდ კინოფილმებში ვინც თამაშობდა, შეიძლება ისინი გაიხსენონ. ერთი საზოგადოებრივი მაუწყებელია, დილაობით უჩვენებს ხოლმე სპექტაკლებს და დამთავრდა.

მე მგონი, თეატრში ყველაზე მნიშვნელოვანი კრიზისი არის სწორედ ეს. თეატრს ყურადღება და პატრონობა სჭირდება, სახელმწიფოს მხრიდანაც და ტელევიზიების მხრიდანაც

თეატრს უფრო მეტი და დიდი კრიზისები გადაუტანია. შუქი არ იყო, ფული არ იყო, ციოდა, მაგრამ სპექტაკლები მაინც იდგმებოდა და ხალხიც დადიოდა. თეატრი მაინც არ მომკვდარა. თუ ჩვენ ჩვენს კულტურას, ტრადიციებს, თეატრს გავაქრობთ, მაშინ, ადამიანებო,

მეგობრებო, შევთანხმდეთ, რომ ასე გვინდა, ეს მიმართულება გვაქვს აღებული და დამთავრდა... მურვან ყრუებმა, შაჰ-აბასებმა და თემურ-ლენგებმა ვერ მოკლეს ეს საქართველო და არც ახლა განადგურდება, ასე მგონია.

– მიუხედავად ამისა, უამრავი ადამიანი მიდის სამსახიობოზე, სარეჟისოროზე, ინტერესი თუ სურვილი მაინც დიდია. კონკურსებიც, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში კატასტროფულად მატულობს.

– ყველამ იცის, რომ თეატრში ფული არ არის, რომ ამ პროფესიაში შეძლებული და წარმატებული (შემოქმედებით წარმატებას არ ვგულისხმობ) ვერასოდეს იქნები. თავს მეტ-ნაკლებად გაიტან, შეიძლება არ გშიოდეს და არ გწყუროდეს, მაგრამ ესაა და ეს.

იმ დონის არტისტები, როგორიც, იგივე გივია, იგივე, რამაზ ჩხიკვაძე და მათი მსგავსნი, სხვაგან – ევროპაშიც და ამერიკაშიც, მილიონერები არიან, მათი შრომა ყველგან დაფასებულია. გივისნაირ ბინაში არ ცხოვრობს და ისეთი მანქანით, მას რომ ჰყავს, მისი რანგის არც ერთი არტისტი არ დადის მთელს მსოფლიოში, მათ შორის, არც რუსეთში. მათ მეტად აფასებენ ამ მხრივ. თუმცა ვიტყვი – გივის ხალხის სიყვარული აქვს მოპოვებული და ეს მართლაც ბევრს ნიშნავს.

ასეთი ვითარების მიუხედავად, ახალგაზრდები ამ პროფესიაში მაინც მოდიან, რადგან ამ საქმეს აქვს ხიბლი. მსახიობისთვის მთავარია იმუშაოს, ფულს ნუ გადაუხდი, იყოს მშიერი, ოღონდ როლი ჰქონდეს. ესაა ამ პროფესიის თვისება და რას იზამ. ჩვენი სტუდენტი დაბადების დღეზე, საქეიფოდ, ქორწილში, სატირალში, არსად წავა, იმიტომ რომ რეპეტიცია აქვს. არა იმიტომ, რომ ასეთი წესია, სურვილიც ასეთი აქვს. იმიტომ, რომ აქ ურჩევნია. იმიტომ, რომ თეატრი იზიდავს.

– სად იპოვეთ მსახიობები, რომლებიც „მარკიზა დე სადში“ დააკავეთ? კარგი გუნდი შეიქმნა.

– რამდენიმე მათგანი ჩემი ყოფილი, სხვადასხვა თაობის სტუდენტია – ნანუკა ბუთხუზი, ბაჩო ჩაჩიბაია, ტატო ჩახუნაშვილი, არჩილ სოლოღაშვილი. ერთი, მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია (არაჩვეულებრივი მსახიობი, ძალიან საინტერესო) – ალეკო ბეგალიშვილი, და მეორე, რომელიც ასევე არ ყოფილა ჩემი სტუდენტი – დათო ბეშიტაიშვილი.

– ბევრი რეჟისორი კარგავს ყოფილ სტუდენტს, ბევრმა არ იცის ამა თუ იმ მსახიობის არსებობა და არც ახალს ეძებს.

– ადრე, ყველა თეატრის რეჟისორი დადიოდა ინსტიტუტშიც, ნახულობდა სპექტაკლებს, სადიპლომოსა თუ საკურსოს, აინტერესებდათ, ვინ შეიძლება თეატრში წაეყვანათ, სხვა თეატრებშიც ეძებდნენ. ასეთი მოძრაობა დღეს, ცოტა არ იყოს, შეჩერდა. პირადად მე, ამის პრობლემა არა მქონია, რადგან სულ ვიცოდი და ვიცი (თუნდაც ჩემი სტუდენტი ნუ იქნება, მნიშვნელობა არა აქვს), სამსახიობოს რა კატეგორია ამთავრებს, როგორი ხალხია. რა თქმა უნდა, მუშაობა ჩემიანებთან მირჩევნია, იმიტომ, რომ ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, მაინც უკეთ ვიცი, ვინ არიან და როგორები არიან.

როდესაც თეატრის რეჟისორი წარმოდგენებზე დადის, მას ბევრი აღმოჩენის გაკეთება შეუძლია. როდესაც თეატრებში კასტინგებს აწყობენ, ძნელია, მათი მიხედვით ბოლომდე მიხვდე არტისტის მონაცემებს. იგი სპექტაკლში უნდა ნახო. ასეთი კასტინგები მისაღები გამოცდების ტოლფასია. არტისტების მოძიება ძნელია, თუ, რა თქმა უნდა, რეჟისორი „თეატრალურში“ პედაგოგად არ მუშაობს. თუ მუშაობს, მან ასე თუ ისე იცის, ვინ სწავლობს და მათგან თეატრისთვის მსახიობის შერჩევა იოლია.

– შინ ორი მსახიობი გყავთ. მამა და ძმა. გივიზე არაფერს ვამბობ, ზურიკომ საკუთარი მონაცემები ექვთიმე თაყაიშვილის როლში (ლევან წულაძის „ქაქუცა ჩოლოყაშვილში“) კიდევ ერთხელ და ახალი კუთხით გვიჩვენა. არასოდეს გქონიათ სურვილი სპექტაკლი საგანგებოდ გივი ბერიკაშვილისთვის დაგედგათ ან რომელიმე როლზე ზურა ბერიკაშვილი აგეყვანათ?

როდესაც „მარკიზა და სადის“ შესახებ როლების განაწილებაზე მე დაე დათო დოიაშვილი ვლაპარაკობდით, დოიმ მითხრა, ზურიკო აიყვანეო. ზურიკო გიზო ჟორდანიასთან სწავლობდა და იყო არაჩვეულებრივი სტუდენტი. იმ ჯგუფს მე ოსტატობასაც ვასწავლიდი და მეტყველებასაც. როდესაც მათთან მიწევდა მუშაობა, ჩემი ძმა სულ მეორე პლანზე მყავდა გადაგდებული, სულ მქონდა იმის შეგრძნება, რომ ჩემია, მას მერე ვეტყვი და ა.შ. როგორც ჩანს, თვითონაც ასე იყო. მას შემდეგ ზურიკოსთან არ მიმუშავია.

ახლაც, როდესაც ვიფიქრე, რომ მისთვის ერთ-ერთი როლი მიმეცა, მითხრა, არა, რას ამბობ, ერთი სპექტაკლი „მარჯანიშვილში“ მაქვს, ძალიან დაკავებული ვარო, და მივხვდი, რომ მასაც იგივე დამოკიდებულება აქვს, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგია. კარგია, როდესაც ოჯახის წევრები შემოქმედებაში შენთან ერთად არ არიან.

ისინი თავისთავად არიან ძალიან კარგები, ერთმა შეასრულა თავისი საქმე და შეასრულა საუკეთესოდ. მეორე აკეთებს და უჩემოდაც ახერხებს ამას. თუმცა ერთი რამ აუცილებლად უნდა ვთქვა. არასოდეს სუბიექტური არ

ვყოფილვარ არც გივისა და არც ზურიკოს მიმართ. მაგრამ მაინც მგონია, რომ ზურიკოს თავისი როლი ჯერ არ უთამაშია. ის, რაც შეუძლია. არ არის შესაფერისად გამოყენებული. ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ. ამაზე მწყდება გული და ესაა ერთადერთი, რის გამოც სურვილი მიჩნდება, რომ რაიმე სპექტაკლი დავდგა, სადაც ზურიკო საქმეს ბოლომდე მიიყვანს. იგი მართლა ნიჭიერი კაცია. ნიჭიერი იმიტომ, რომ რასაც პატარა ეპიზოდებშიც კი ახერხებს, ჩანს მისი შესაძლებლობა. ნუთუ მარტო მე ვხედავ ასე? ვითომ სუბიექტურად ვარ განწყობილი? მაგრამ ნამდვილად არა ვარ. არა მგონია, ვცდებოდე.

– სხვათა შორის, მეც ვხედავ. თანაც დიდი ხანია. თვითონ არ გიფიქრიათ, სცენას დაუბრუნდეთ?

– არა, არანაირად. ერთხანს ვფიქრობდი, მაგრამ, ახლა უკვე აღარ. მთლიანად რეჟისურა მაინტერესებს. თუმცა გეტყვით, რომ სცენაზე თამაშის პროცესში ამდენი არასოდეს მინერვიულია, როგორც სპექტაკლის დადგმისა და მისი ყურების დროს. იქ რაღაცნაირად შენს თავზე ხარ დამოკიდებული, გახვალ, შენს თავზე აგებ პასუხს. აქ კი ლამის კოშმარია. არ შეედრება.

– ახლა რას აპირებთ?

– ახლა ძალიან მინდა კომედიის დადგმა. ძალიან. ვეძებ მასალას. ერთი იდეა მაქვს, რომელსაც დიდი ხანია ვეჭიდავები. ესაა კარელ ჩაპეკის მოთხრობა იმის შესახებ, თუ როგორ იდგმება სპექტაკლი, ანუ როგორი ცხოვრებით ცხოვრობს თეატრი. როგორია თეატრის კულისები, სამზარეულო. მოთხრობა ჩაპეკს ძალიან საინტერესოდ აქვს დაწერილი, დიდი იუმორით, მაგრამ ამას ახლა მოწესრიგება უნდა, პიესად უნდა გადაკეთდეს, დღევანდელ პრობლემებს მოერგოს და დრამატურგიულად აეწყოს.

ნინო ვახანია

ოდეს კოცნიან ზღურბლს

„მონაგებთა დატევებაი სისხლთა დათხევასა ემსგავსების“, – მოგვესმის საუკუნეთა სიღრმიდან და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით – სიბრძნესა და ჭეშმარიტებას ყავლი არ გასდის. არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია „დატევება“ ნებით ხდება თუ უნებლიეთ, საკუთარი სურვილით დათმობ, გაყიდი, გაასხვისებ თუ გარემოებისა და ძალადობის მსხვერპლი გახდები, მტერი წაგართმევს, მოყვარეს დაუტოვებ თუ სულაც უპატრონოდ დააგდებ.

ყველა შემთხვევაში ქონების დატოვება მსხვერპლის გაღებაა, სახლის მიტოვება – რაღაც უფრო მეტი, მძიმე და დამთრგუნველი.

მშობლიური სახლის მონატრების მტანჯველი გრძნობა, უკვე სხვისად ქცეული, მაგრამ მაინც საკუთარი ეზოკარის, ახლობელივით საყვარელი ზღურბლის ხელახლა ნახვის სურვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე არ ასვენებს ბერძენი მწერლის, იორღოს იოანნუს ნოველის „ქემალის სახლი“ პერსონაჟ ქალს („ჩვენი მწერლობა“ 2007, 15. ახალბერძნულიდან თარგმნა ნიკა შამუგიამ)!

შავებში ჩაცმული თურქი ქალბატონი ყოველ წელიწადს ბჟოლის მწიფობისას ესტუმრება ხოლმე თავის სახლს. მგზავრი ბერძენ მასპინძლებს ცოტაოდენ ჭის წყალს თხოვს და მერე თურქულად ლოცავს. ღმერთს მათთვის დიდ წყალობას ევედრება. ვისთვის რა არის ღვთის წყალობა და ნეტა რას გულისხმობს იდუმალი ქალი?

სახლი არ არის მარტო საცხოვრებელი. სახლი ცოცხალია, ის სუნთქავს, ფიქრობს. მას სიყვარული შეუძლია, ალბათ, სიძულვილიც. ადამიანები თავიანთ სახლთან ათასობით უხილავი ძაფით არიან მიბმულნი.

„სამშობლო იწყება სახლიდან, ოთახიდან, შეჩვეული საგნებიდან ამ ოთახში, შეიძლება, მაგიდიდან, რომელზეც ცხელი ჩაი დგას და საყვარელი წიგნი დევს; ტახტიდან, რომელზედაც ისე ისვენებ, თითქოს, ხელ-ფეხი მოიხსენი, უნივთობას მიუახლოვდი, ზოგჯერ მას შენს უჰიმნო და უდროშო სამშობლოსაც კი ეძახი“ (ლია სტურუა, „ზნეობრივი გმირი“, „ჩვენი მწერლობა“, 2007, 17) და გასაკვირი სულაც არაა, რომ სხვადასხვა მიზეზით სამშობლოდან შორს მყოფთ უპირველესად სახლი, თავიანთი სახლები ენატრებათ.

ნოსტალგია ზოგჯერ ისეთი გაუსაძლისია, რომ ადამიანს ცხოვრების მიზნად და დანიშნულებად ერთადერთი რამ – მშობლიური სახლის ნახვა, მისთვის შორიდან თვალის შევლება ექცევა ხოლმე.

იოანნუს ნოველაში თურქი დიდებული ქალბატონი სულის საოხად წელიწადში ერთხელ ბავშვობისდროინდელ მარმარილოს ზღურბლზე ჩამოჯდება ხოლმე და დიდხანს მალულად, ქურდულად ათვალიერებს საყვარელ ეზოკარს და იმ მზერით მიუწვდომელსა და უხილავს ხედავს თითქოს. ერთი პეშვი ბჟოლის ნაცნობი გემო მთელ წელიწადს ყოფნის საგზლად და კიდევ ერთი წლით უხანგრძლივებს სიცოცხლეს. თავის ბაღშიც გაახარა გემრიელნაყოფიანი ხე, მაგრამ საკუთარ ეზოში დაკრეფილი ხილი სულ სხვაა, განსაკუთრებულია და ჭის წყალიც ისეთი სუფთა და ტკბილია, როგორიც – არსად სხვაგან. ონკანის წყალი როგორღა დალიოს, როცა არც ფიზიკურ წყურვილს კლავს და არც სულიერს? ჭის გაუქმებამ ქალს უსიტყვო ცრემლები მოჰგვარა, თითქოს ახლობელი მოკვდომოდეს.

მას შემდეგ, რაც ძველის ადგილას ახალი, მრავალსართულიანი სახლი აღმართეს, უცნობი ქალი აღარ გამოჩენილა. გაქრა სახლი და მასთან ერთად მოისპო და წაიშალა ყოველწლიური სტუმრობის მიზეზიცა და მიზანიც.

მაგრამ ფესვი, წარსული, საძირკველი ყოველთვის ინახავს პირვანდელს, სიწმინდეს, საიდუმლოს, და მისი ამოძირკვა-ამოშანთვა არც ისე იოლია. საძირკველში ნანახმა მოზაიკამ მეზობლები აალაპარაკა, მათ შორის ერთი დედაბერი ჩიფჩიფებდა: „ამ სახლში ერთი ბეგი ცხოვრობდა, ერთი ცქრიალა, ანკარა წყაროსავით გოგო ჰყავ-

და... როცა მიდიოდნენ, ზღურბლსა ჰკოცნიდა. მაგგვარი ტკივილი აღარასოდეს მინახავს“.

და არც წამიკითხავს, – დავუმატებდი.

აქვე უნებურად მახსენდება დიდი ხნის გადასახლების შემდეგ დაბრუნებული ალექსანდრე ორბელიანის მოგონება: „დარიელის ხიდს ქვემოთ... დავიჩოქე, ერთს ქვას მოვეხვიე და იმას კოცნით მოვლოკამდი“.

სახლის მძაფრი მონატრება, ქალის ამაყი და უსიტყვო ტანჯვა მტერსაც კი გულს მოულბობს და თანაგრძნობით გაუთბობს.

ეს ნაზი სევდით განმსჭვალული ნოველა უსათუოდ სალბუნად დაედება იმ ადამიანთა დაწყლულებულ გულებს, რომლებსაც უკურნებელი ნოსტალგია კლავთ და, იმავე დროს, აცოცხლებთ კიდეც.

ფატი ფირუაშვილი

ვინ არის ქალთარაფერა?

ნინო თარხნიშვილის მინიატურების ლირიკული გმირი ნამდვილი ქალია და არა ქალის უმსგავსი, როგორც ავტორი გვიხსნის ამ უცნაურ, არგაგონილ სიტყვას თავის ერთ-ერთ მინიატურაში „ატმის ხე“, ნამდვილი ქალი – ქალური განცდებითა და გრძნობებით, სიყვარულისა და სითბოს წყურვილით, გარესამყაროს ქალური აღქმითა და ხედვით, ერთგულებითა და თავშეწირვით, სევდითა და მარტოსულობით: ქალი-ცოლი, ქალი-დედა, „მისის კაცობრიობა“, რომელიც ბიბლიური გოდლის „ენაშერეულ“ მშენებლებს გადააწყდა გზააბნეული, „მტვრიანი კაბითა და გაკაწრული მუხლით მოსიარულე“.

ქალია, რომელმაც თავი დაკარგა, რადგან ოცნებაში ვიღაცამ ის რეალობას მოწყვიტა, მუზეუმის ექსპონატად აქცია და მიაწერა: „ხელით შეხება აკრძალულია“. მას კი საკუთარი თავი ენატრება, თავის დაუზოგავად განწირული არსება. ქალია, რომელსაც ნამდვილი წერილის ნოსტალგია გაუჩინა ოცდამეერთე საუკუნის ტექნიკურ პროგრესს შეწირულმა ადამიანურმა ურთიერთობებმა. ელექტრონული წერილების ეპოქაში ჩაკარგული, სალხინებელში გამომწყვდეული ქალი, რომლის ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია, იატაკი – მღვდლის ჭერი – რწმენაზე დგას და სიგიჟე ახურავს...

ეს ის ქალია, რომელმაც სიყვარულთან შეხვედრის პირველი დღე დაკარგა და, თუ დაიჭირა პეპელების საჭერი ბადით, გადაბრუნებულ ჭიქაში ჩასვამს და ტელევიზორის თავზე შემოდებს... მაგრამ იმ დღეს მეორედ დაუკარგავენ, რადგან ასეთი ქალისა არავის ესმის – ის ხომ ქალთარაფერაა! ამიტომაც ვერ შეამჩნევენ, როგორ შეიჭრა საყვარელი შავი თმა. მაგრამ შეამჩნევენ, რომ უბერდება ხელები... ვერ გაუგებენ, როგორ ეფერება ზღვაში საბანაოდ ჩასულს მზე და ტალღები... მოლოდინს, რომ ახლა მას დაელოდებიან, გაუცრუებენ და ისევ საკუთარი გასაღებით გააღებს კარს, ისევ თვითონ დაელოდება შუშაზე ცხვირმიჭყლეტილი.

ქალთარაფერა ნაძვის ხის მაგივრობასაც ვერ გასწევს და ვერ შეავსებს ცარიელ კუთხეს, რადგან თვითონაც ისეთია, „გულს რომ ვერ გაიხარებს“, და თვითონ კი ყველას ყველაფერს გაუგებს: შვილსაც, ქმარსაც, ბებოსაც, მეზობელსაც, გამყიდველსაც, მზესაც, მთვარესაც. თავად კი, გული რომ დაწყდება, ვერავინ მიხვდება. ერთგულება ძაღლობად ექცევა და ფერად სამყაროს შავთეთრ ფერებშიღა ხედავს, მაგრამ მხოლოდ ბრაზიან წარმოსახვაში თუ ღალატობს...

ქალთარაფერა ის ქალია, ქალობაში რომ ბავშვობა გამოჰყოლია და ახლაც ოცნებით შეჰყურებს სარეცხიდან ადენილ ორთქლს – ცაში აცვენილ ფიფქებს. ის ქალია – გატეხილ სიტყვებს რომ აწებებს ნაღველით, მაგრამ თავისი სიტყვები რომ ემსხვრევა. ღამღამობით ტირის– სიზმრების მკვლელი ვარო.

ქალთარაფერა ცარიელი გულია – წითელი გული, რადგან, რაც გააჩნდა, ყველაფერი უშურველად გასცა, საკუთარ თავზე არ იფიქრა... ვინ გაუგებს ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში ამ ქალთა უმსგავსს? დღეს ხომ ქალების უმეტესობა ბუღალტრობაზე, ეკონომისტობაზე, ფინანსისტობაზე, მენეჯმენტსა და მარკეტინგზე ოცნებობს. დღეს ხომ კაცების უმეტესობასაც ასეთი კრიტერიუმები აქვს ქალების დასაფასებლად. რა ქნას ამ ქალთა უმსგავსმა ჩვენს პრაგმატულ საუკუნეში, დუგ-დუგ, დუგ-დუგო, რომ გაიძახის, ოცდათერთმეტ ვერცხლად გაყიდულმა ქალთარაფერამ!? ატიასა და ბატიას იდილიურ სიყვარულზე მეოცნებემ. მეოცნებემ და ცოდვილმა, რომელიც ღმერთს ვეღარასდროს ვეღარაფერს სთხოვს, რადგან უფლის საჩუქარი უნებურად, მაგრამ მაინც გაწირა... მეც შემიბრალეთო – ითხოვს!

შენ იცი, მკითხველო, თუ ისეთი უცოდველი ხარ, რომ პირველი აიღებ ქვას და ესვრი ამ ქალთარაფერას!

ეკა ბუჯიაშვილი

წინამურიდან საგურამოდე

✸

ილიას მკვლელობის დღის გასახსენებლად

აი, წინამურსაც გავცდით და იმ გზას დავადექით, რომლის გავლაც ასი წლის წინათ, ზუსტად ამ დღეს ილია ჭავჭავაძეს არ დასცალდა. საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში სწორედ ამ დღეს იხსენებენ შეკრებილები, რომელთაც მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ მასპინძლობს ილიას დაბადებიდან 170 წლის საიუბილეოდ მომზადებული ღვინის „ილია ჭავჭავაძის“ წარდგინებით.

ქართველი საზოგადოება ამ დღეს საგურამოში კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრეზენტაციით აღნიშნავს – ლიტერატურის ინსტიტუტისა და „ილიას ფონდის“ ძალისხმევით მომზადდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-8 (რედაქტორი ზურაბ ჭუმბურიძე), მე-9 (რედაქტორი რუსუდან კუსრაშვილი), მე-10 (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე) და მე-11 (რედაქტორი გივი ჯამბურია) ტომები (განახლებული სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ირმა რატიანი; კოლეგია: გიორგი აბაშიძე, ანდრო ბედუკაძე, ზურაბ ჭუმბურიძე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ცისანა ყიფშიძემ, ლამარა შავგულიძემ, ლამარა მეგრელიშვილმა და მაია ნინიძემ).

ამ საქველმოქმედო აქციას წინ უსწრებდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი საგურამოში – რობერტ სტურუას რეჟისორობით დადგმული ერთაქტიანი ტრაგიკომედია „კაცია-ადამიანი?!“ ილიას სახლ-მუზეუმის ეზოში, ღია ცის ქვეშ გაითამაშეს მსახიობებმა: ჟანრი ლოლაშვილმა, თათული დოლიძემ, დავით უფლისაშვილმა, დავით დარჩიამ, მარინა კახიანმა, ტრისტან სარალიძემ, დარეჯან ხარშილაძემ და ნანუკა ხუსკივაძემ.

ილიას ტექსტზე მუშაობდნენ მწერალი თამაზ გოდერძიშვილი და რობერტ სტურუა. სცენოგრაფია და კოსტიუმები შეიქმნა მირიან შველიძის ესკიზების მიხედვით, სპექტაკლში გამოყენებულია გია ყანჩელის ნაწარმოები „სტიქსი“, მსახიობებს სიმღერები ანზორ ერქომაიშვილმა შეასწავლა, სპექტაკლის მუსიკალურ გაფორმებაზე იზრუნა ია საკანდელიძემ, სცენურ მოძრაობაზე იმუშავა გოგი ალექსიძემ. ამ ყველაფერს თავის მოყრაში ბატონ რობერტ სტურუას თანადგომა ანდრო ენუქიძემ გაუწია.

ეს მეტად მნიშვნელოვანი აქცია ძალზე საინტერესოდ ჩაიწერება ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის მატიანეშიც და რუსთაველის თეატრის ისტორიაშიც, სადაც მრავალი უცნაური გასტროლი აღნუსხულა დიდი წარმატებით. ვფიქრობთ, ამ ფაქტით ძალზე კარგ ტრადიციას ჩაეყრება საფუძველი – ასეთ აქციებს ხომ თავისთავადი გამორჩეული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვისაც, ერისთვისაც და ბერისთვისაც. რუსთაველის თეატრის ეს ინიციატივა კი გამორჩეულ ელფერს შესძენს ილიას 170 წლის იუბილესადმი მზადების დღეებს.

ამ პროგრამის ნაწილად მოიაზრება ილიას მკვლელობის დღის გახსენება საგურამოში. საქველმოქმედო აქცია, რომელშიც მონაწილეობენ ანსამბლები „რუსთავი“, „ქართული ხმები“, „ერისიონი“ და ქართული ესტრადის შემსრულებლები, იუბილესათვის ილიას სახლ-მუზეუმის მოწესრიგებას დაეხმარება. მანამდე კი იმის შესახებ, თუ როგორ იხსენებდნენ ილიას მკვლელობის დღეს საგურამოში შეკრებილები:

თამაზ ჩხენკელი, მწერალი: „ის, რაც დღეს აქ ხდება, ნიშნავს იმას, რომ ილიას აზრები კიდევ ცოცხალია, მისი გზა კი დროების მტვერს არ წაუფარავს. ილიას დვრიტა თუ არ იქნება ერის ცნობიერებაში, ყველაფერი დაკარგულია. დღევანდელი დღე კი იმის დასტურია, რომ ქართველი ხალხის აზროვნებაში ფეთქავს ბირთვი, რომელიც ნაღვაწის დამფასებელი და მასზე მზრუნველია. ილიას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ გადაწყდა, თუმცა ეს პროცესი დიდი შეფერხებებით მიმდინარეობდა, ბოლოს კი სულაც შეჩერდა. არადა ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედება ყოველი ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ ხელახლა უნდა მიეწოდებოდეს საზოგადოებას, ხელახლა უნდა გამოიცემოდეს, რათა ყველა თაობამ იცოდეს, ვინ ჰყავდა ჩვენს ქვეყანას. პირადად ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ილიას თხზულებათა ოცტომეულის გამოცემა სწორედ ახლა განახლდა, ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე ვითარებაში, როცა ასე ბევრს ვწუხვართ სულიერების დეფიციტსა თუ ეროვნული ცნობიერების გაუფერულებაზე. ასეთი რთული დრო იყო ილიას საქართველოშიც. ახალგაზრდობაში ხშირად მიფიქრია: ნეტა ეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რაღა იყო, რით იყო ასე მნიშვნელოვანი-მეთქი. არადა მაშინ ხომ უმძიმესი ვითარება იყო ქვეყანაში, წერა-კითხვა არ იცოდნენ, თუ იცოდნენ, რუსულად. „ივერია“ მხოლოდ შვიდასი ცალი გამოიცემოდა. აქედან სამასი ამიერ საქართველოში ვრცელდებოდა, ოთხასი – იმიერში. იქიდან კი აქ უთვლიდნენ: ვაჟა-ფშაველას თხზულებები არ დაებეჭდათ, თორემ არ გამოვიწერთ გაზეთსო. აი, ასეთი დრო იყო მაშინ. აი, ასეთ დროს გამოუჩნდა ქართველ ერს ილია და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების სათავეებთანაც ქართველობისათვის სწორედ ეს დიდი მოღვაწე დგას“.

იზა ორჯონიკიძე, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი: „ილიაზე ლაპარაკი ერთდროულად ადვილიც არის და ძნელიც. მახსოვს, ბავშვობაში პირველად სწორედ ილიას წიგნი გადავშალე, პაპაჩემს რომ ედო თავთით, გედევანიშვილის გამოცემული. ხშირად ვწუხვარ ხოლმე იმის გამო, რომ იმ დიდ მოღვაწეზე ხელი ქართველმა კაცმა აღმართა. მარინა ცვეტაევას უთქვამს: რა ბედნიერებაა, რომ პუშკინი მოკლა არა რუსმაო. არ შეიძლება არ

შეგრცხვეს იმათ გამო, ვინც საუკუნის წინათ ეს დანაშაული ჩაიდინა, არ გტკიოდეს ის, რომ ამ ყველაფრის მქმნელი ქართველი კაცი იყო, თუმცა ამაო იქნება ეს თავში ცემაც, თუ არ გავუფრთხილდებით იმას, რისთვისაც ილიამ ტყვია მიიღო, ეს ხომ იმას ნიშნავს, ყოველწამიერად ვიმეორებდეთ საუკუნისწინანდელ დანაშაულს. მერაბ მამარდაშვილს უთქვამს: რწმენა ნიშნავს იმას, რომ ყოველწამიერად აღადგინო შენს თავში ქრისტე. ასევეა ილიას შემთხვევაშიც. თუ არ მისდევ მის გზას, თუ არ ამრავლებ სიკეთეს შენი ქვეყნისა, თუ არ ემსახურები ერს, მაშინ გამოდის, რომ არაფერი გაგიგია ამქვეყნად არსებობისა. არ შეიძლება ქართველ კაცს არ გაინტერესებდეს, რას შეეწირა ილია. ის ხომ თავისი ერისა და ქვეყნის დიდ სიყვარულს ემსხვერპლა. ასეთი დიდი სიყვარული, მოგეხსენებათ, ხშირად ისჯება ხოლმე.

ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში

ახლა ილიასეული სახლის ამ ეზოში ვსხედვართ და აქაურობა ჩემთვის კიდევ ერთი შემთხვევის გამოა ძვირფასი: პატარა ვიყავი, მასწავლებელმა სკოლიდან რომ წამოგვიყვანა საგურამოში. აგერ აქ, ამ კაკლის ჩრდილში ვიჯექი. მაშინ ეს კაკალი გაბარჯგული იყო და მისი ტოტები სახლს გადაჰფენოდა. უეცრად გაიღო ჭიშკარი და ეზოში ერთი ახოვანი ბერი შემოვიდა რამდენიმე სასულიერო პირის თანხლებით. მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა, ჯიბიდან წითელი ვაშლი ამოიღო და მომცა. ეს იყო კალისტრატე ცინცაძე. მას შემდეგ საგურამოს სახლ-მუზეუმი ჩემთვის ილიას სახელთან ერთად კალისტრატე ცინცაძესთან შეხვედრის მოგონებასაც უკავშირდება.

მიხარია, რომ ილიას ოცტომეულის გამოცემა განახლდა. მიხარია, რომ ეს ეზო-კარი აღდგა, გამშვენდა, დამშვენდა და შეუნარჩუნდა ჩვენს ხალხს. დიდი მადლობა მათ, ვინც ამ კარგ, საშვილიშვილო საქმეს მესვეურობდა და მესვეურობს, რადგან გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ბოლოსდაბოლოს, როგორც ქართული საქმე არ დაილევა, ისე არ დაილევა ილიაზე ფიქრი და ზრუნვა მისი დანატოვარის გასაფრთხილებლად“.

ირმა რატიანი, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი: „მნიშვნელოვანი დღეა, რადგან ეს დღე გარკვეულწილად არის ნიშნულიც – ილიას მკვლელობით ხომ ერთი ეპოქა დასრულდა და მეორე დაიწყო საქართველოში. როგორი ეპოქა დაიწყო, ეს თავისთავად ცალკე სასაუბრო თემაა, თუმცა ერთი რამ ცხადია: საქართველოს ედგა ჟამი, როცა ისტორიული ავბედითობის გამო, იმ ვითარების გამო, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა, სულიერ დეფიციტს განიცდიდა ქართველი ერი. და ამ ყველაფრის შემდეგ ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიხსენებთ ამ დღეს და ვცდილობთ მოვინანიოთ – აგერ, გამოიცა ილიას თხზულებები ოცტომეულის სერიიდან, ნოემბერში კი ილიას დაბადებიდან 170 წლის იუბილეს აღვნიშნავთ – ეს ყველაფერი ნიშნავს საზოგადოების დიდ შემობრუნებას წმიდა ილია მართლის გზისაკენ და ვიმედოვნებ, რომ ქართველი ერის ნაბიჯები ამ გზაზე კიდევ უფრო განმტკიცდება“.

დავით არჩვაძე, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი: „საერთოდ, ამ მიწაზე დგომა, ჩემი აზრით, უდიდესი ბედნიერებაა ყველა ქართველისთვის – აქ ხომ თითოეული ქვა, თითოეული ფოთოლი, აი, ეს გარემო, ეს ცა ჩვენს თავზე სულმნათი ილიას მადლს ასხივებს. დღეს აქ მთელი ანსამბლი მოვედით და შევასრულეთ ორი სიმღერა, დაწერილი ილიას ლექსებზე. ვფიქრობ, ორივე ძალზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ქართული მუსიკის სფეროში. ერთი მათგანი – „ჩემო კარგო ქვეყანავ“, იყო, არის და დარჩება არაოფიციალურ ჰიმნად ჩვენი ქვეყნისა, მეორე კი – „ჩუმ ბაღნარში“ („ხმა ბულბულისა“), უნაზესი, უნატიფესი სიმღერა საუკუნის ქმნილება მგონია... და აი, ჩვენს ანსამბლს ხვდა პატივი მათი შესრულებისა – ეს სტრიქონები ხომ ისეთი დიდი მოღვაწის დაწერილია, მათთან მიახლოება, თანაც აქ, ამ მიწაზე, სადაც ილია დააბიჯებდა, პირადად ჩემთვის უდიდეს მადლთან ზიარებას ნიშნავს“.

ზურაბ ჩხაიძე, შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ხელმძღვანელი: „დღეს თქვენი მასპინძელი ღვინო „ჩაკრულია“. ჩვენ წარმოვადგინეთ ახალი ბრენდი „ჭავჭავაძის მარნიდან“ – ღვინო „ილია ჭავჭავაძე“, რომელიც ილიას 170 წლის იუბილეს ეძღვნება. ასე რომ, დღეს დიდი ილია თავად იყო თქვენი მასპინძელი. ეს არის შარშანწინდელი მასალა, მოწეული დედა ყვარლის ვენახებიდან.

ვფიქრობ, რომ მსგავსი აქციები ხშირად უნდა იმართებოდეს. კიდევ უფრო დიდი ყურადღება სჭირდება ისეთ მამულიშვილს, ილია ჭავჭავაძე რომ იყო საქართველოსთვის, რათა უფალი არ განვარისხოთ. ამ აქციის ჩასატარებლად კი მეგობრები დავუდექით ერთმანეთს გვერდში.

საერთოდ, სულიერებაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესი საქმე მგონია. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ ჩავერთოთ ასეთ ღონისძიებებში. უკვე მეოთხე წელია ვატარებთ ფესტივალს „ქართული სული“ და ვფიქრობთ, რომ ვინც

კი ამ გზაზე რამეს გააკეთებს ქვეყნისთვის, უწინარესად საკუთარ თავს გაუკეთებს, რადგან მისსავე შთამომავლობას დახვდება წინ“.

მერაბ სეფაშვილი, მომღერალი: „ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ საზოგადო მოღვაწე გახლდათ, თავისი ცხოვრებისა და მრწამსის გამო ის წმინდანადაც არის შერაცხული და ამიტომ დღევანდელი დღე ჩემთვის რელიგიურიც არის. ის, რაც მოხდა ასი წლის წინათ, უდიდესი სირცხვილია. ბრუნავს ისტორიის ბორბალი, ისეთი ადამიანები, ილია რომ მოკლეს, იბადებოდნენ საქართველოში – ეს ჩვენი ქვეყნის ისტორია და უბედურებაა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი ისტორიაა ისიც, რომ ქართველ ხალხს ჰყავდა ილია.

და ის, რომ დღეს აქ ვართ, ის, რომ ასე აღვნიშნავთ ამ ყველაფერს, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მართლაც ვადგავართ ილიას გზას, იმ გზას, რომლის ბოლომდე გავლაც დიდ ერისკაცს ამ ასი წლის წინათ ქართველმა კაცმა არ დააცალა.“

თემურ ამყოლაძე

„ელეონორას“ საგულისხმო პარალელები

ალექსანდრე ყაზბეგმა „ელეონორა“ 1884 წელს დაწერა და გამოაქვეყნა. თავიდან თურმე განზრახული ჰქონდა, მოთხრობა დაეწერა ერთ-ერთ პერსონაჟზე, ასლან-გირეიზე, ჩეჩენ ნაიბზე. დაუწყია კიდეც, მაგრამ, ეტყობა, გაფართოვდა არა მხოლოდ მოთხრობის დიაპაზონი, უკვე აქცენტი გადანაცვლდა ელეონორაზე, რომელიც ზოგადლიტერატურული მნიშვნელობის სახედ გამოიკვეთა... პირველნაფიქრალს, რომელიც ერთი გვერდიც კი არაა, სათაურად უზის „ასლან-გირეი“, ხოლო ქვემოთ – „მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდამ“... ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია; თუმცა იმას არავითარი მნიშვნელობა არა გააჩნია, რომ პირველვარიანტის ჩეჩენი ასლან-გირეი მოთხრობაში უკვე ლეკად იქცა, ეს არსებითი არაა, მთავარი აქცენტების გადანაცვლებაა.

დავიწყებ იმით, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები, რამდენადაც ვიცი, „ელეონორას“ დიდ ყურადღებას არ აქცევენ. იგი 1974 წელს გამოცემულ ალექსანდრე ყაზბეგის „რჩეულშიც“ არ შეუტანიათ. თითქმის არაფერი აქვთ მასზე ნათქვამი ვახტანგ კოტეტიშვილს („ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1959) და აპოლონ მახარაძეს („ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, ტ. II, 1962), გურამ ასათიანს დასახელებული „რჩეულის“ ბოლოსიტყვაობაში, აგრეთვე გერონტი ქიქოძეს, მოკლედაა განხილული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ IV ტომში (1974. ნარკვევის ავტორია გ. ასათიანი); მხოლოდ დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფიაში „ალექსანდრე ყაზბეგი“ (1939) ეთმობა ფართო ადგილი, არადა, „ელეონორა“ განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებია და არა მხოლოდ ყაზბეგის შემოქმედებაში...

იგი ტიპური რომანტიკული ნოველაა, როგორც სწორად შენიშნავს გურამ ასათიანი და ამდენად, შეიძლება ითქვას, მრავალმხრივ განსხვავებულიც ყაზბეგის სხვა მოთხრობებისაგან:

„შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწარმოებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ყაზბეგის პროზაში. ეს არის ტიპიური რომანტიკული ნოველა, როგორც თავისი ფაბულით, სიუჟეტური პერიპეტიებით, პერსონაჟთა ხასიათებით, ისე თავისებური, ყაზბეგის სხვა ნაწარმოებებისაგან შესამჩნევად განსხვავებული სტილითაც. რომანტიკული პირობითობა აქ თანაბრად მსჭვალავს არა მხოლოდ პერსონაჟთა ფსიქოლოგიას და მოქმედებას, არამედ მათი მეტყველების მანერასაც“ („ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. IV).

ჩემი ფიქრით, სწორედ ეს რომანტიკული პირობითობაა მიზეზი, რომ მწერალმა ბოლომდე ვერ ამოხსნა პრობლემა, რასაც ქვეცნობიერად კი გრძნობს შემოქმედი, მაგრამ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო ვეღარ აშიშვლებს, ნისლოვანი ბურუსი ფარავს სურვილს, მკაცრი რეალიზმის ჩარჩოში მოაქციოს ცოდვაბრალიანი საკითხავი.

თემა, გნებავთ – ფაბულა, რომელიც ყაზბეგს გაუშლია, აქედან, მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან თუ გადავხედავთ, მხოლოდ ყაზბეგს არ გამოუყენებია. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებებს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილთ, ბევრი რამ აქვთ საერთო. როცა ამ საკითხზე ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, ძალდაუტანებლად მახსენდება შილერის ბალადა „ხელთათმანი“ (გიორგი ერისთავის თარგმანით „ხელჯაგვი“), გორკის მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“, მსგავსი დეტალი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“...

სრულიადაც არ მინდა გავლენებზე ვისაუბრო, რადგანაც სიუჟეტურად ამათგან ყველაზე ახლოს ერთმანეთთან „ელეონორა“ და „მაკარ ჩუდრაა“... ყაზბეგსა და გორკის 1797 წელს დაწერილი „ხელთათმანი“ კი ექნებოდათ წაკითხული, მაგრამ ერთმანეთი – არა, რაკი „მაკარ ჩუდრა“ „ელეონორაზე“ გვიანაა შექმნილი – 1892 წელს, ხოლო გორკი, ცხადია, ქართულად არ კითხულობდა.

რაიმე ფოლკლორული საწყისის არსებობაც, რაც, შესაძლოა, გავრცელებული ყოფილიყო გერმანიაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც, ნაკლებ სავარაუდო მგონია. ვფიქრობ, ყაზბეგისა და გორკის შთაგონების წყარო უნდა გამხდარიყო ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მომხდარი ორი სხვადასხვა ამბავი, ადამიანის სულის ორი უცნაური გამოვლინება (ვამბობ ორ ამბავს და არა ორი ადამი-

ანის ამბავს); ამგვარ ამბებზე კი მწერალი, თუკი ხელში ჩაუვარდა, ძნელად იტყვის უარს. ასე მგონია, ყაზბეგი საკმაოდ ვერ დაშორდა მოთხრობილ შემთხვევას, ჩეჩენთა თუ ქართველთა ცხოვრებაში მომხდარს, საკმაოდ ვერ გამოსცილდა ჩარჩოს და ამის გამო მასთან ფაბულა, პრობლემა უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ხასიათები.

ვგულისხმობ, რომ მკითხველი კარგად იცნობს „ხელთათმანს“, „ელეონორასა“ და „მაკარ ჩუდრას“, ამიტომ მათ შინაარსს აღარ შევახსენებ.

***

ასლან გირეი და ლევან კრეჭიაშვილი, შეიძლება ითქვას, ყაზბეგის სულის მოძრაობას ორ მიმართულებას განასახიერებენ, ანუ მათს სახეებში მოცემულია სიტუაციის გაგრძელების ორი გზა. ისინი ელეონორასთან სიყვარულით დაკავშირებული და ამის გამო დაპირისპირებული ადამიანები კი არ არიან მხოლოდ, არამედ, ვფიქრობ, იდეის ორი ასპექტი.



ალექსანდრე ყაზბეგი

არა მგონია, პირველი, დაუსრულებელი ვარიანტის თუნდაც ჩანაფიქრში საერთოდ არსებულიყო ლევან კრეჭიაშვილი, მითუმეტეს – რეალურად მომხდარ ამბავში ანუ ლეგენდურ პირველწყაროში, თუკი მართლა არსებობდა ასეთი პირველწყარო. ამაზე მეტყველებს მისი გვარიც (კრეჭიაშვილი) და ამ გვარის სემანტიკის მსგავსება პერსონაჟის პორტრეტთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იდეის ხორცშესასხმელადაა შეთხზული.

ვთქვი, ეს ორი პერსონაჟი ყაზბეგის სულის მოძრაობის ორ მიმართულებას, სიტუაციის გაგრძელების ორ გზას, იდეის ორ ასპექტს განასახიერებს-მეთქი, მაგრამ უნდა შევნიშნო, რომ არა ამომწურავს, ყოვლისმომცველს, რაკი ასლან გირეისა და ლევანის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ხასიათთა ჯამი არ არის აბსოლუტური „ადამიანი იდეალი“.

ელეონორას, ასლან გირეისა და ლევან კრეჭიაშვილის გვერდით მოთხრობის სხვა პერსონაჟებზე შეჩერება, ამ თვალსაზრისით, უბრალოდ არც ღირს...

ბევრი რამა აქვთ საერთო ელეონორასა და კუნიგუნდეს (შილერი), ელეონორასა და რადას (გორკი), ასლან გირეისა და ლევან კრეჭიაშვილს ერთმანეთთან და დელორჟსა (შილერი) და ზობარ ლოიკოსთან (გორკი) ცალ-ცალკე.

კუნიგუნდე მოედანზე, მხეცებთან ჩააგდებს ხელთათმანს და იწვევს რაინდს; „უცებ აივნის მოაჯირიდან ქალი ლამაზ ხელს გასწევს თრთოლვით და ხელთათმანი ეცემა დაბლა, ლომ-ვეფხვთა შორის. და კუნიგუნდე ღიმით ცბიერით იქვე მდგარ დელორჟს მიმართავს ასე: „ჩემო რაინდო, თუ თქვენ ძლიერი ჩემი ტრფიალით გაქვთ გული სავსე და თქვენი ფიცი არის მართალი, ამომიტანეთ ის ხელთათმანი!“ (ვახტანგ ბენუკელის თარგმანი).

დელორჟი უშიშრად ჩადის მხეცებთან, მაგრამ შემდეგ, ქალის მადლიერ შემოხედვაზე, ხელთათმანს ესვრის კუნიგუნდეს და ეუბნება, თქვენი მადლობა მე არ მჭირდებაო – „Und er wirft ihr den Handschuh ins Gesicht: „Den Dank, Dame, begeht ich nicht!“

კუნიგუნდეს მსგავსად ელეონორაც სასაკლაოზე, ასლან გირეისთან საომრად აგზავნის ხალხს, მაგრამ თუ კუნიგუნდეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ ქალური თავკერძა პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების სურვილი ამოძრავებს, ელეონორას საქციელის მიზეზი უფრო ღრმაა. მასაც, რა თქმა უნდა, ვითომდა შელახული პატივმოყვარეობის დაკმაყოფილება სურს, მაგრამ მისი საქციელი მოტივირებული მაინც არის რაღაც წინარე ამბით. ასლან გირეი და დელორჟი ძლიერი ადამიანები არიან, მაგრამ განსხვავებულნი, თუ მსგავსებაზე ვილაპარაკებთ, დელორჟს ლევან კრეჭიაშვილი უფრო ჰგავს, და ძალიანაც: ასლან გირეიმ დაუჩოქა ელეონორას, კრეჭიაშვილიც დაუჩოქებდა, ელეონორას მიზეზით იმ თორმეტი ქართველის დაღუპვა რომ არ ენახა, მაგრამ არ დაუჩოქია, ოღონდ დაიღუპა, სხვათა შორის, ასლან გირეიც დაიღუპა, მისი სიცოცხლე დელორჟის გზით ვერ გაგრძელდა.

ასლან გირეიცა და ელეონორაც გრძნობას დანებდნენ ერთმანეთთან, ელეონორამ ინანა ეს და შურისძიების ჟინით აღივსო, ასლან გირეის არ უნანია, იგი თავდავიწყებით მიეცა სიყვარულის გრძნობას (თუმცა ეს მხოლოდ სიყვარული არ არის).

დელორჟი, ასლან-გირეი, ლევანი, ზობარ ლოიკო პატრიარქალური საზოგადოების მამაკაცები არიან, მამაკაცი მესაკუთრენი, ქალის მესაკუთრენი, თუმცა საყვარელი ქალისა, ოღონდ მაინც ზნეობრივი პრინციპებით განსხვავებულნი, თავისი გვარ-ტომის ზნეობრივი პრინციპებით. ამიტომაა ასლან გირეისთვის მისაღები ის (კაცისკვლით მოიპოვოს ქალი, ან სხვას არ დაუთმოს, – ეს წესია მისი ღირსებისთვის მისაღები), რაც მიუღებელია დელორჟისთვის, ლევანისთვის, მაგრამ, ალბათ, მისაღები იქნებოდა ზობარ ლოიკოსთვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარად გაგებული ღირსებისა და თავისუფლების გამო საყვარელი ქალის მოკვლა შეუძლია.

დელორჟი და ლევანი თავს მოერივნენ, თუმცა ეს ლევანს სიცოცხლის ფასად დაუჯდა – თავი მოიკლა, რადგანაც ხვდება, მისი ზნეობრივი და პატრიოტული მრწამსი

დასამარდება, თუ ელეონორას ხელს ითხოვს, როგორც პიროვნება, იგი გაქრება.

ასლან გირეის ტრაგედია სიყვარულისა და ღირსების შეჯახების ზღვარზე იბადება, ელეონორასიც სიყვარულისა და ღირსების შეჯახების ზღვარზე, აგრეთვე ლევან კრეჭიაშვილისაც, რადგან იგი თავს იკლავს არა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი საყვარელი ქალი თორმეტი ქართველი ვაჟკაცის დაღუპვის მიზეზი შეიქნა („ქალი, რომელიც ამდენ მოძმეს გასწირავს თავმოყვარეობისთვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის!"), არამედ იმიტომ, რომ ეშინია, იქნებ ცდუნებას ვერ გაუძლოს და ელეონორას ხელი მიიღოს, თუმცა, უნდა გავიმეოროთ, რომ მათ ეს ზნეობრივი კატეგორია – ღირსება – სხვადასხვაგვარად ესმით, თავთავისი გვარ-ტომის ბუნებითი სამართლის პრინციპების შესაბამისად.

აქამდე დელორჟი, ლევან კრეჭიაშვილი და ზობარ ლოიკო ერთნაირად იქცევიან, მაგრამ აქედან მათი გზები გაიყრება: ზობარმა რადა მოკლა, დელორჟმა ზიზღისთვის გაიმეტა კუნიგუნდე (თუმცა სიტყვა ზიზღი გერმანულ ტექსტში არ არის, მაგრამ იგულისხმება).

ერთ-ერთ ქართულ პოეტურ თარგმანში არის სიტყვები:

და ეტყვის ზიზღით:
„მე მოწყალებას არ ვარ ჩვეული!"
და განშორდება გულამღვრეული.

მაგრამ გერმანულში არც გულამღვრეული ჩანს და არც მოწყალება. დედანში დელორჟი უფრო რაციონალურია, მშრალი, გაწონასწორებული. თუმცა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ არც დელორჟია კმაყოფილი, რაკი ადამიანის, ვისაც ეტრფოდა, ხასიათის ამგვარ თავკერძობას წააწყდა. ამდენად, ასეთ მომენტში სრული გამარჯვება შეუძლებელია, დელორჟისათვის და, საერთოდ, ადამიანობისთვის, ზნეობისთვის ჯობდა, მის საყვარელ ქალს თავი ამგვარად არ გამოეჩინა. დამარცხებულია კუნიგუნდეც, რადაც, ზობრიც, ელეონორაც, ასლან გირეიც, ლევანიც. ლევანის პატრიოტიზმი გასაღებია მისი თვითმკვლელობის მოტივის გასაგებად, მაგრამ არა მხოლოდ ეს. გავიხსენოთ: „საზიზღარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ! მიყვარხარ და უშენოთ ცხოვრება არ შემიძლიან!" ზემოთაც ვთქვით, იგი თავს იკლავს სწორედ იმიტომ, რომ ეშინია თავის დაკარგვისა, ზნეობრივი მრწამსის ღალატისა. ელეონორას გარეშე ცხოვრება არ შეუძლია, მაგრამ ელეონორას ქმარი ის ლევანი ვეღარ იქნება. ეს დასასრული ლოგიკურია, სავსებით შესატყვისი ყაზბეგისთვის ბუნებრივი, მძაფრი, რადიკალური გრძნობებისა.

ელეონორა თამაშობს, იგიც ტრაგიკული პიროვნებაა. მან იცის, რომ დამარცხებულია ან დასამარცხებლადაა განწირული (ნებისმიერ შემთხვევაში – ასლან გირეი მოიპოვებს მის ხელს თუ სხვა), მაგრამ მაინც ცდილობს, დათრგუნოს მისი სისუსტის ერთადერთი მოწმე - ასლან გირეი, და თუ მისი ცოლი უნდა გახდეს, სურს აჩვენოს, ეს მხოლოდ იმიტომ, თითქოს სიყვარულის გრძნობას კი არ დაჰყვა, სიტყვა არ გატეხა... დათრგუნა, მოსპო, ვითომ გაიმარჯვა კიდეც და ჰგონია, აქვე გაბატონდა კრეჭიაშვილზე, უკანასკნელ კაცზე, ვინც ეთაყვანება, მაგრამ ელეონორა აქაც განწირულია, ლევანის იმ სიტყვების შემდეგ, რომ ქალი, ვინც ამდენ მოძმეს გასწირავს, ქართველის ცოლობის ღირსი არ არისო, ქალი ფეხებში ჩაუვარდება მას, მაგრამ კრეჭიაშვილი ცივად მოიშორებს: „იქით! არ მომეკარო!"

დიმიტრი ბენაშვილი წერს: „ელეონორა მზად არის, გახდეს ცოლი ფიზიკურად მახინჯ კრეჭიაშვილისა, მაგრამ ქალისთვის ეს იყო ქედის მოხრა მოვალეობისადმი და არა ბუნებრივი სიყვარულისადმი. ამას თვითონაც გრძნობდა კრეჭიაშვილი და ამ ნიადაგზე უარი სთქვა უმშვენიერეს ელეონორაზე".

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ „ქედის მოხრა მოვალეობისადმი", თუმცა ისიც მართალია, რომ არც ბუნებრივი სიყვარულია. მხოლოდ მოვალეობის გრძნობა რომ ყოფილიყო, იგი ფეხებში არ ჩაუვარდებოდა კრეჭიაშვილს. მისი მიმართვა კაცისადმი ჯერ ისევ მბრძანებლურია: „წამიყვანე!.." მერე: „კრეჭიაშვილო! – მკვახედ დაიწყო ისევ ქალმა: „ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები?" – გამარჯვებულის მიმართვაა მისი ბრძანებით ნაომარი მონისადმი, იგი მედიდურად თამაშობს მბრძანებელს, არადა, დამარცხებულია, გაცამტვერებულია, საკმარისია ერთი ბიძგი, რომ – საკუთარ თავთან დამარცხებული – სხვის დასანახადაც დამარცხდეს და ფეხებში ჩაუვარდეს კრეჭიაშვილს, იგი აქამდე მხოლოდ თამაშობდა გამარჯვებულს, ახლა ეს თამაშიც დასრულდა. კრეჭიაშვილიც „ამ ნიადაგზე" არ ამბობს უარს ელეონორაზე, და რატომაც ამბობს, ზემოთ უკვე ვთქვით. სამივე პერსონაჟი ნოველისა ურთულესი ხასიათებია, განსაკუთრებით კი ელეონორა, ამ თვალსაზრისით იგი რადას ენათესავება.

რა შეიძლება დასასრულ ითქვას:

„ელეონორას" ყაზბეგის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი განსხვავდება სხვა მოთხრობებისაგან როგორც ფაბულით, ხასიათებით, ისე სტილით. პერსონაჟებიც იდეურ-მხატვრულ პირობით სქემებს ჰგვანან, ამიტომაც უფრო რომანტიკული ნოველაა. იგი თემით, იდეური გადაწყვეტით, პერსონაჟთა პათეტიკითა და რომანტიკული პირობითობითაც ენათესავება შილერის „ხელთათმანსა" და გორკის „მაკარ ჩუდრას".

ელეონორაც, რადაცა და კუნიგუნდეც ინდივიდუალისტები არიან, მათ არსებას აერთიანებს ერთი საერთო ფუძე, მსგავსი ხასიათები და სიტუაციები.

ზობარ ლოიკოსა და დელორჟის სახეები რჩებიან ზოგადადამიანურ სახეებად, აგრეთვე ასლან გირეიც, ლევან კრეჭიაშვილიც, ოღონდ ლევან კრეჭიაშვილთან, დელორჟის მსგავსად, მთავარია ზოგადეთიკურიც, აგრეთვე, ყველა მათგანისგან განსხვავებით, იგი ეყრდნობა პატრიოტულ-ეროვნულსაც, ამდენად ეს სახე ეროვნულიცაა და ინტერეროვნულიც.

ალექსანდრე ყაზბეგს, – ისევე, როგორც შილერს, გორკის – ბევრ სხვა რამესთან ერთად იმისი თქმაც სურდა, რომ ინდივიდუალიზმს, შეუზღუდავ პატივმოყვარეობას უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის. ვნებების რომანტიკული სიმძაფრით კი (ოღონდ არა მხატვრული ხარისხით) „ელეონორა", „ხელთათმანსაც" სჭარბობს და იქნებ, რამდენადმე – „მაკარ ჩუდრასაც".

მურმან ჯგუბურია

მუდამ პოეტი

ჯანსუღ ჩარკვიანი ბუნებით პოეტია
დაბადებით.
სისხლით და ხორცით.
ადათ-წესითა და ტრადიციით.
მისი სიტყვა დიდი ხალხური პოეზიიდან გამომდინარეობს.
ასევე:
„ვეფხისტყაოსნიდან“, „დავითიანიდან“, ვაჟადან, აკაკიდან.
ყველაზე მეტად, ჩემი გაგებით, მისი ტონი, კილო, თქმის მანერა – აკაკის სინათლიანობას ენათესავება.
იგი მუდამ პოეტია.
პოეტია, როცა ლექსს წერს (ამბობს).
როცა არ წერს.
როცა თამადაა.
როცა სუფრის მეინახეა.
როცა ჟურნალის რედაქტორია

* * *

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზია გვაგონებს მდინარეს, რომელიც საქართველოს მთებში იღებს სათავეს, მოედინება სამშობლოს ტერიტორიაზე, გაივლის მის სანახებს და ზღვაში შედის.

ზღვა – მდინარეების დედაქალაქი.

მდინარე – პოეტი.

ამ მდინარეს გზა-გზა ერთვის მრავალი შენაკადი: ბინული, წყარო, ნაკადული, რაც, ხანდახან იმის შთაბეჭდილებას იწვევს, რომ მთავარი მდინარის ხმაში სხვა ხმებიც ისმინებიან, რაც, შეიძლება, ჭკუასთან ახლოსაც იყოს: მამასაც ეტყობა ხოლმე შვილის გავლენა.

მდინარე, მთელი თავისი დღე და მოსწრება, რასაც ხედავს, ჩაუვლის, იმას იმახსოვრებს, იერთებს, ისისხლხორცებს, და ეს ყველაფერი ხდება მისი, თუმცა არის ჩვენიც, ჩვენებური და საერთო ქართული.

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“.

ეს ფრაზა, ეს შეგონება დღეს ნებისმიერმა ქართველმა იცის, მისია და იმიტომ. მაგრამ, ყველა მკითხველმა კი არ იცის, რომ ეს გამონათქვამი მხოლოდდამხოლოდ ჯანსუღ ჩარკვიანს ეკუთვნის.

„თავისუფლება ლომთა ხვედრია“.

და ასობით სხვა გამონათქვამი (შეგონება), რომელსაც თავისად მიიჩნევს ნებისმიერი ქართველი მკითხველი.

მდინარე გაითქვიფა ჭალა-სანახებში.

პოეტი გაითქვიფა მკითხველებში.

მესიტყვე და მკითხველი ერთი გახდა.

არა – იშვიათად, როგორც ვთქვი, პირველმთქმელის ვინაობა (სახელი) იკარგება და მკითხველს ეჩვენება, რომ ესა თუ ის გამონათქვამი (ანდაზა-შეგონება-აფორიზმი) მისია, რაკიღა სახელი არ მოსდევს, ადრესი არ მოსდევს, – ავტორს დაეკარგა, – მკითხველმა იპოვა, და საჭიროებისამებრ გამოიხმო, თქვა სუფრასთან, თავყრილობაზე, მიტინგზე და დემონსტრაციაზე, პარლამენტში, შინ და გარეთ, აუცილებლობის მიხედვით, არ შეეძლო არ ეთქვა და იმიტომ. ის გამონათქვამი პასუხობდა იმ წამს, იმ წუთს, იმ ვითარებაში მისეულ გუნება-განწყობილებას ყველაზე მეტად და იმიტომ. „ღმერთო, დაილოცე“, „ღმერთო, გვაპატიე“, „ღმერთო, შეგვიწყალე“, ვინ თქვა პირველად, ამას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა არ გააჩნია, მთავარია, რომ შენ იპოვე ის, რაც უნდა გეპოვნა, რაც თურმე იყო შენში და თქვი:

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი...“

მდინარე კი მიედინება, ზღვისკენ მიემართება, ზღვის მიმართულებით მიდის

გაზაფხული. ზაფხული. შემოდგომა. ზამთარი.

ცოცხლობს, ბუჯარობს, შრომობს ნიადაგ.

დღისითა და ღამითაც.

„უშულადუ ბჟაშ მარდიმე“, – წაუმძღვარა პოეტმა ერთ-ერთ ლექსს. – „დაუღლელი მზის მადლმა“.

მიედინება მდინარე დარსა და ავდარში, ქარსა და წვიმაში, მზესა და თოვაში, ქართული მდინარეა, არ იყინება, გვიანი შემოდგომითა და ზამთრობით ჭირხლი მოეკიდება და ეგაა. მწუხარე ლექსები იწერება, მწუხარეა შემოგარენი. მდინარე – სარკეა და ირეკლავს იმას, რაც მასში აისახება: შეფოთლილი ხე, გაძარცული ხე, აყვავებული სანახები, ხრიოკი სანახები, დათოვლილი კავკასიონი

რატომ შენ დადექი დიდი კაცი და მე არაო, ჰკითხა თანასოფლელმა გლეხმა ილია ვეკუას. მე ყოველ დილით ჩემი ფიცრული ოდა-სახლის აივნიდან სპეტაკი კავკასიონის შეხედვა მიყვარდაო. ამ მთებს მეც ვხედავო ყოველცისმარე, მაგრამ დიდი კაცი ვერ გამოვედიო. დიდი მეცნიერი გაჩუმდა. საკითხი ამოიწურა

კავკასიონის სისპეტაკე, მისი ნათელი გადმოდის მდინარეზე, მდინარეში ჩაეფინება. პოეტის გულში ირეკლება, და სიტყვა მისი ხდება სინათლიანი. გამჭვირვალე, სპეტაკი. გადადიხარ ხიდზე და მდინარეში ჩანან თეთრი, ქათქათა კენჭები, სიტყვები. „შენ წიგნს კითხულობ?“ არა. შენ კითხულობ ბუნებას, ქართულ ბუნებას, ქართული სიტყვებით მოქსოვილს, ფეროვანს, – კენჭები ისე განლაგდებიან ხოლმე, რომ წინადადება გამოდის:

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“

მერე სტრიქონი სტრიქონს ერთვის, სტროფი – სტროფს, ლექსი – ლექსს. და იქმნება წიგნი. ბუნების წიგნი. „შენ რა წიგნს კითხულობ?“ მე ქალაქში ვცხოვრობ. საკუთარ ბინაში ვარ და ვკითხულობ წიგნს. წიგნი ხომ იმდენია, რამდენიც არის მისი მკითხველი. არც მეტი და არც ნაკლები. მე (შენ) ქალაქელი კაცი ვარ და მომწონს საქალაქო წიგნი. ინდუსტრიალური. ტექნიკური. მეცნიერული. წიგნის მეოხებით შექმნილი წიგნი. ლიტერატურული ნაწარმოები. შენ სხვანაირი წიგნი მოგწონს, მე სხვანაირი. ამ ჭერში ვარსკვლავი ვერ ატანს გარეთ ცა მოჭედილია. მთვარეა. ვეებერთელა ღრუბელი მიემართება ცაზე და საცაა მთვარეს გადაყლაპავს. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი წერს, სიყმაწვილეში ვერასგზით დამედგინა, მთვარე მოძრაობდა თუ ღრუბელი. რომელი წინ მიდიოდა, რომელი უკან. სიჭარმაგეში ეს ამბავი საკითხავი არაა, ღრუბელი

მცირე ხნით გადაყლაპავს მთვარეს, მაგრამ ვერ მოინელებს, მთვარე ისევ გამოვა ცაზე. ღრუბლები მონღოლებია, მთვარე – საქართველო. ან საქართველო, ან თამარ-დედოფალი, თაიამარალი, რაც ერთიდაიგივეა.

მდინარეში მთვარე ირეკლება, მზე ირეკლება, ხანდახან, ორივე ერთად – მზეცა და მთვარეც. წელიწადის დრონი ირეკლებიან:

გაზაფხული. ზაფხული. შემოდგომა. ზამთარი.

სიყმაწვილე. სიჭაბუკე. სიჭარმაგე. სიბერე.

ახლა ღამეა მთაში და მდინარე მიედინება იქ, საცა ჩვენ არ გვინდა ყოფნა. ყიამეთია. საშიში ადგილებია გასავლელი. ზღვისკენ. დიდი ქართული პოეზიისკენ.

მდინარე არ იწრიტება.

პოეტი არ კვდება.

ასეა იმიტომ, რომ მათ თავიანთი თავისათვის არაფერი უნდათ. არაფერს ითხოვენ ჩვენგან. „ყველაფერს გასცემენ და სამაგიეროს არ ითხოვენ. შენზე ზრუნავენ და შენზე ფიქრობენ.

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“

გასცემენ და არაფერი აკლდებათ.

ვინ იცის, თვითონ რუსთაველმაც მდინარეს გახედა და მაშინ დაებადა ის სასწაული სიტყვები, რა გამონათქვამზეც, სახელოვანმა რუსმა მწერალმა ვ. რასპუტინმა მითხრა, რუსთაველის ეს აფორიზმი („რასაცა გასცემ, შენია“) ისეთ უზარმაზარ მასშტაბს მოიცავს, დედამიწის კარიბჭეს დაამშვენებდაო. დედამიწის რეკლამა, სადღეისო ენაზე რომ ვთქვათ.



ჯანსუღ ჩარკვიანი

ყველაფერი დაემთხვევა ხოლმე ერთმანეთს:

ჯანსუღ ჩარკვიანი მერვე ათეულშია გადამდგარი. რიონი ზღვაში შედის. მე ვაკვირდები მდინარეს და ვფიქრობ პოეტზე.

ზამთარია. იანვარია.

* * *

ახლა ასეთი შეკითხვა გავსინჯოთ:

ვინ არის პოეტი?

იგი, ვინც ბევრი წიგნი წაიკითხა და წაგულიანდა ლექსების შესათხზველად, თუ იგი, ვინაც ცოტა წიგნი წაიკითხა (ან სულაც არ წაუკითხავს) და მაინც ლექსად გვესაუბრება?

ერთიც და მეორეც, ცხადია.

ერთი მათგანი წიგნის პოეტია.

მეორე მათგანი – ბუნებით პოეტი.

ერთი მათგანი გაკეთებული ღვინოა.

მეორე მათგანი ნამდვილი ღვინო.

ისეთ დროში გვიწევს ცხოვრება, – ნამდვილი, სუფთა ღვინო ნაკლებად იშოვება.

„გუშინღამ კინაღამ წავიღე წერილი“, – თქვა სუფრასთან ჯანსუღ ჩარკვიანმა.

რა მოხდაო, ვიკითხეთ.

„მასპინძელს ნამდვილი ღვინო გამოუტანიაო“.

ნამდვილს, მართალს, ჭეშმარიტს უკვე ძნელად ვეგუებით.

მაგრამ ნუ დავკარგავთ სათქმელის ღარს:

რა ასეთი წიგნი წაიკითხა ცხონებულმა ივანე წიკლაურმა, რომ რუსთაველის ენის საკადრისი და რუსთაველის ლექსის საამხანაგო-სამეინახეო შედევრი შეგვიქმნა?

რა ისეთი წიგნები წაიკითხა ლადო ასათიანმა, რომ ყველა ქართველის სული და გული მოიხიბლა?

რა ისეთი წიგნები წაიკითხა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომ მისად სახსოვარი ლექსები რომ შეგვიქმნა?

არცერთი წიგნი რომ არ წაეკითხა, ლადო ასათიანი მაინც პოეტი იქნებოდა.

არცერთი ლექსი რომ არ წაეკითხა, ჯანსუღ ჩარკვიანი მაინც პოეტი იქნებოდა.

კარგად ჩავიხედოთ გულში, ძმებო პოეტებო, და ისე გავსინჯოთ ეს გამონათქვამები.

ახლა კი, აი, რა მინდა ვთქვა:

მოდით და გავუთიშოთ (გამოცნობის სიხარული თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო), ერთ-ერთ ცნობილსა და პოპულარულ პოეტს, ჩვენს თანამედროვეს, ტრანზისტორი, ანდა, გავუწყვიტოთ საინფორმაციო საშუალებები, რას შეგვითხზავს? ვერაფერსაც ვერ შეგვითხზავს, ბუნებით არაა პოეტი და იმიტომ.

და უფსკრულს ჩასცქერს პირიმზე მოღერებულის ყელითა

გენიალური ვაჟას ამ გამონათქვამს (ამ ხატს) არაფერი აქვს საერთო წიგნთან და წიგნიერებასთან. უკაცრავად, ძალზე დიდი საერთო აქვს, მაგრამ ბუნების წიგნთან, ცხოვრების წიგნთან, ქართულ ლანდშაფტთან და საქართველოს ისტორიასთან, თუ გნებავთ, რუსული იმპერიის ისტორიასთან.

პირიმზე – საქართველოა.

უფსკრული – რუსული იმპერია.

პირიმზეს გამუდმებით უწევს უფსკრულში ჩაცქერა, უფსკრულის პირას დგომა, მაგრამ ყელი მოღერებული აქვს. არ ეშინია.

ისე კი ნუ გამიგებ, ძვირფასო მკითხველო, თითქოსდა მე უწიგნურობას ვემხრობოდე.

არამც და არამც.

მე უპირატესობას ვანიჭებ წიგნს, რაც არაა წიგნის მეოხებით შექმნილი.

ჯერ ლექსი იშვა (ითქვა) და მერე შეიკრა წიგნად.

ჯანსუღ ჩარკვიანი ბუნებით პოეტია.

* * *

უშიში იყო იგი, როგორც ჟურნალის მესვეური.

უშიში არის იგი, როგორც პოეტი.

მესიტყვე, რომელსაც მომხვდურის (მითუმეტეს, თავისი ერის) ეშინია, არ არის შემოქმედი!

* * *

ამ ესეისთვის მინდოდა „უშიში ყვავილი“ დამერქმია, ან კიდევ, ვაჟას მიხედვით, „უშიში პირიმზე“, მაგრამ გადავიფიქრე, და დავარქვი „მუდამ პოეტი“, რაც, ცხადია, ჯანსუღ ჩარკვიანის ზნე-ხასიათმა, მისმა პიროვნებამ განაპირობა, მისმა ცხოვრების წესმა და მისმა შემოქმედებამ, მისმა თვალსაზრისმა, მისეულმა წარსულის, აწმყოს და მომავლის აღქმამ.

კარგად ვიცი – მომავალი შენია,
აწმყო – ჩემი, პაპაშენის – წარსული,
კაცმა რომ თქვას, რომელი გირჩევნია? –
აქ დუმილის წერტილია დასმული.

ზოგნი პირველს, ზოგნი კიდევ მეორეს,
ო, მესამეს განუზომლად ეტრფიან
მე კი, შვილო, მე ხელს ვაწერ ქვემორე,
არ უწყიან, რომ სამივე ერთია.

ესე იგი ჯანსუღ ჩარკვიანი იყო პოეტი წარსულში, არის ახლა და იქნება მომავალში. სამივე დროში ანუ: ერთ დროში. რადგან დრო ერთია და განუყოფელი. მარადი ერთი. რა სასწაულია ეს ერთი და მისი მარადი რითმა: ღმერთი!

ასეთია პოეტის თვალით დანახული დრო.

ამ ლექსში ყველა სიტყვა თავის ადგილასაა, საჭიროა და აუცილებელი. აუცილებელი სიტყვებისაგან შედგება ქართული ხალხი ლექსი, ჩვენი შაირი, რუსთაველის ლექსი, ვაჟას ლექსი, აკაკის ლექსი, რა ფორმასაც ხშირად მიმართავს ჯანსუღ ჩარკვიანი.

ლექსის კაცები დამემოწმებიან, რარიგ რთულია შაირისზომით ლექსის შეთხზვა. – იმდენი შედევრია ამ ჰანგზე შექმნილი, – არა-აუცილებელი სტრიქონები (სიტყვები) ცდილობენ ლექსში შემოსვლას, რასაც მკითხველი ხვდება და არ გპატიობს.

ჯანსუღ ჩარკვიანის შაირს წინ უძღვის ნამდვილი შთაგონება. სიმღერა („მემღერება და ვიმღერი“), ან კიდევ „არა ვსთქვა, არ შემიძლიან“.

აი, მისი ერთ-ერთი შედევრი, რითაც იხსნება მისი რჩეული ლექსების ტომეული:

მზეო, ჩემო წინაპარო, იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო, ფაფრიანი ლომისა ხარ,
დილით გამომცხვარო პურო, დედაჩემის თონისა ხარ,
საქართველოს ნათლის ფარო, მამაჩემის თორისა ხარ,
ხან რო ღრუბელს მოიფარებ, გლოვისა და წყრომისა ხარ,
ჩემი დილამშვიდობის და ჩემი მწუხრის ომისა ხარ,
ფერდობზე რომ გამოჩნდები, მოგოგმანე გნოლისა ხარ,
არაგვზე რო დაბრძანდები, დამსხვრეული ბროლისა ხარ,
იონჯაში გაერევი, გვირილების მოლისა ხარ,
გვერდულად რომ ჩაიცინებ, უცისფრესი თოვლისა ხარ,
მზეო, ჩემო წინაპარო, იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო. ფაფრიანი ლომისა ხარ.

ჩემო წინაპაროო, მზე დედაა ჩემი, ამბობს პატარა მეგრელი მწყემსი. ფაფრიანი ლომისა ხარო, გვეუბნება პოეტი. ძუ ლომია თუ ხვადი? რუსთაველი გახსენდება, ცხადია. ბნელში უნდა ილამპაროო. ესეც „ვეფხისტყაოსნიდან“ მოდის. ანუ „მზიანი ღამიდან“, რაც ასე შეუსისხლხორცებია თანამედროვე პოეტს, – აკი თავადვე გვითხრა, დრო ერთია და განუყოფელიო. მაგრამ, როგორი გამონათქვამია და როგორი ხატი – მზეს რომ ეუბნება პოეტი – იბერიის ტომისა ხარო, ასე მიიკარგ-მოიკარგებიან ხოლმე მარგალიტები ბუნებით პოეტების ნახელავებში.

* * *

ამ ესეიში არ მინდა ვისაუბრო ჯანსუღ ჩარკვიანის სხვა შედევრებზე, როგორიცაა „ლამაზი სიკვდილი“, „ბეთანია“, „თოვლი“, „ანანურთან“, „ირინოლა“, „შავი ავაზა“, „მთავარი მაინც მამული არის“, „ერთის პირობით“.

* * *

ვაჟას გამონათქვამი ვახსენეთ: „მემღერება და ვიმღერიო“.

ამ ერთი ბეწო ლექსს „სიმღერა“ ეწოდება:

ვიღაც მღერის, საღამოა,
უცისფრესი საღამო,
რაც წავიდა, აღარ მოვა,
აღარ მოვა, აღარო

ნანაია – ცრემლის ღელეე,
ყვავილებით შემკულო,
ჰოი, შენ კი შემოგევლე,
სევდიანო მეგრულო.

ამ ლექსში ყველა სიტყვა იმას ემსახურება, რომ „სევდიანი მეგრული“ სიმღერა გავიგონოთ, მაინცდამაინც მეგრული და მხოლოდ მეგრული. ვიღაც მღერისო, საღამოა, და ჯერ არ ვიცით, ვინ მღერის, ამერელი თუ იმერელი. უცისფრესი საღამოაო, იმეორებს, ცრემლის ღელე მოედინებაო, ყვავილებით შემკული და მხოლოდ ლექსის ფინალში გვეუბნება, სევდიანო მეგრულოო. ბუნებისა და ჰანგის აღწერამ მიიყვანა პოეტი ლოგიკურ ფინალამდე. ჰოი, შენ კი შემოგევლე, სევდიანო მეგრულო, ხომ შეიძლებოდა, ასევე ეთქვა, ჰოი, შენ კი გენაცვალეო, მაგრამ თქვა ის, რასაც იტყოდა თავად მეგრელი.

* * *

შედევრებზე არ ვისაუბრებ-მეთქი. უნდა მეთქვა: ცნობილ შედევრებზე

ეს შედევრი კი გულღიად ვამბობ, პირველად წავიკითხე:

დღე იყოს თქვენი, დამანებეთ ეს მწვანე ღამე,
შავად კი არა, მთვარის შუქზე ღამე მწვანედ ჩანს,
აქ მთვარის შუქი წყალივით ჩანს წისქვილის ღარში,
აქ მთვარის შუქით სავსე ღარში ფიქრი დამეხრჩო.
მთელი საღამო და მთელი დრო გაივლის ღარში,
აქ ნეშოებში შრიალებენ შავი წამები,

აქ ისე ჩუმად, ისე სწრაფად შევდივარ ხანში,
რომ დღის ნათელი სიმკაცრეთი არ ვეწამები.
ღამე ვამთელებ ჩემს ჩატეხილ დილის კიბეებს,
ამაღამ, ალბათ, უკანასკნელს ჩამოვფქვავ ხორბალს,
წყალივით დინჯად, მთვარის შუქზე მოდის სიბერე,
ღარში შემოდის და აჩერებს წისქვილის ბორბალს.

(„ბებერი მეწისქვილის უკანასკნელი ღამე“).

ჩათავდა ლექსი და ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ დრო მართლა დადგა. დრო დაბერდაო, მიგვანიშნებს პოეტი. „მოდის სიბერე, ღარში შემოდის და აჩერებს წისქვილის ბორბალს“

არიან პოეტები, დიდი პოეტებიც, სხვათა შორის, ლექსს რომ შთაგონება ჰკარნახობთ და საკვირველი სიტყვები მოსდით, მაგრამ ლექსი რომ მიედინება, ვითარდება, შთაგონება თანდათან ნელდება და ლექსი დუნედ მთავრდება ხოლმე.

ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი უმრავლეს შემთხვევაში, უკეთესი, დასრულებული აზრიანი დაბოლოებით გვამახსოვრდება. აზრი იწყება, ვითარდება და დასკვნა გამოიტანება. მოვიგონოთ, უკვე არაერთგზის მოხმობილი „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“, – ეს გახლავთ „ირინოლას“ ბოლო სტრიქონი. „ნუ გეშინია, იყავი ჩუმად, სიჩუმე ახლა არის წამალი“, – ეს დედისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტრიქონებია. „ეს გაუმარჯოს იმ ლექსს, რომელიც არცერთ ენაზე არ ითარგმნება“, – ეს „თარგმანის“ ბოლო სტრიქონებია. „უფრორე გემუქრებიან, როცა ქვეყანას სჭირდები“, – ესეც ერთ-ერთი ლექსის ბოლო სტრიქონია. ესეც: „ერთადერთი იმ ენის ხარ, რა ენაზეც ლოცულობ“, „მთავარი მაინც მამული არის, განსაცვიფრებლად არის მთავარი!..“ რა ჩამოთვლის. პოეტის მსგავსი გამონათქვამი აფორიზმად, შეგონებად აღიქმება, რასაც მკითხველი სამუდამოდ იმახსოვრებს, იზეპირებს. მსგავსი შეგონება – აფორიზმი მუდამ ლექსის საერთო სათქმელიდან, მთავარი სათქმელიდან, გააზრებიდან გამომდინარეობს, და მკითხველიც თითქოს წინ-წინ ხვდება ხოლმე თუ საით მიდის ლექსი, – მკითხველი პოეტის თანამავალია და თანამგზავრი, მისი ფიქრის მოზიარე, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანს აქვს მრავალი ლექსი, რომლის ფინალიც, არათუ მკითხველისთვის შეიძლება ითქვას, თვით ავტორისთვის კი არ არის წინ-წინ ცნობილი (განსახიერებული), ისე მოულოდნელია მისი ზოგიერთი ლექსის ფინალი.

წავიკითხოთ კიდევ ერთი პატარა ლექსი:

არაფერი არ მაწუხებს, არც შვილი და არც ცოლი,
ერთი ლუკმა პური მყოფნის, ერთი კოვზი მაწონი“

ეს პირველად რომ წავიკითხე, ხლებნიკოვის ცნობილი ლექსი მომაგონდა:

Мне мало надо: краюшку хлеба
и капля молока,
Да это небо, да эти облака…

ხომ მოულოდნელია აქ რუსი პოეტის ლექსის ბოლო სიტყვები. ახლა ვნახოთ, ქართველი პოეტის ლექსის მეორე სტროფი:

ერთი ციცქნა გოგოს გული
კი ვერ მოვინადირე

რა უნდა მოჰყვეს ახლა ამ სიტყვებს, რა უნდა გაერითმოს? პოეზია ამოურწყავია, ძვირფასო მკითხველო, და ამიტომაც არის ძნელი მისი „ჩართულ-გადართულის“ გასიგრძეგანება:

ავიღებ და ჯარში წავალ,
მაგის დედაც ვატირე!..

სხვა, არ ვიცი, როგორ დაიმახსოვრებს, მაგრამ მე ეს ორსტროფიანი ლექსი ერთი წაკითხვით დავიზეპირე.

ვისი დედა ვატირეო? რა თქმა უნდა, იმ ერთი ციცქნა გოგოს ეს არ ეხება, თანაც თავი მოაქვს ლექსის გმირს, არაფერი არ მაწუხებსო, არც ცოლი, არც შვილი, ცოტა რამე მყოფნისო, ერთი ციცქნა გოგოს გული ვერ მოვინადირეო, და გადაწყვიტა ის, რაზეც მანამდე წამითაც კი არ გაუფიქრებია, ან იფიქრა – და არ უნდოდა, – „ავიღებ და ჯარში წავალ, მაგის დედაც ვატირე!“ გაუგებრობის დედაც ვატირეო, ესე იგი, გნებავთ, მთელი ცხოვრება იგულისხმეთო

ხომ მოულოდნელზე მოულოდნელი იყო ჩვენთვის ლექსის ასე გასრულება, მაგრამ უფრო საკვირველია ამ ლექსის შინამო-ბუნება, შინა-ჰანგი, რამაც უკარნახა პოეტს ლექსის ბოლო სიტყვები, რა სევდიანი ლექსია და ამავე დროს, რა მხიარული! ერთიცაა და მეორეც! ასეთია ჩვენი „ყოვლისმთქმელი და ყოვლის არმთქმელი“ ქართული.

თავისი ფეხით მოვიდაო, იტყოდა ხოლმე ცხონებული ოთარ მამფორია.

ის-ის იყო რაიონიდან ჩამოვედი, ახალგაზრდა ვარ და გულში ლექსები მიზუზუნებენ. ავდექი და მივედი „ცისკრის“ რედაქციაში. ჯანსუღ ჩარკვიანი რედაქტორი გახლდათ. იქვე წაიკითხა ჩემი რამდენიმე ლექსი. უცებ მეკითხება, დღეს საქართველოში ყველაზე დიდ პოეტად ვინ მიგაჩნიაო. ირაკლი აბაშიძე-მეთქი, მისი „პალესტინა. პალესტინას“ გავლენით, ცხადია. პასუხი მომიწონა. ლექსები დაიტოვა და გამომიქვეყნა კიდევაც, რამაც ისეთი თავმოსაწონი გუნება-განწყობა შემიქმნა, რასაც ცალკე ესეი თუ დაიტევს

ჯანსუღ ჩარკვიანი რედაქტორიც პოეტი იყო. უშიში რედაქტორი. უშიში პოეტი. ასე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ჭაბუა ამირეჯიბის არაჩვეულებრივ რომანს როდის დავეწაფებოდით. არა მარტო „დათა თუთაშხიას“, ცხადია, თუმცა, ეს სხვა თემაა. რატომაა სხვა, მეკითხება ჩემი მეორე მურმან ჯგუბურია. არაა, ბატონო სხვა, მაგრამ ამაზე მერე ვილაპარაკოთ, ვეუბნები.

ლექსის ბოლო აკორდზე ვსაუბრობდით.

და მთელი ღამე ეტყობა ქალაქს
პორტში პატარა გემის შემოსვლა

ბლოკის პოეზია მაგონდება:

И загорелые матросы
Ходили важно мимо Нас…

ქართველი პოეტის ეს ორი სტრიქონი დიდ დღესასწაულსა და დიდ სათქმელს მოიცავს, იტევს, რასაც ქვეტექსტს ეძახიან, – მთელი ღამე იქნება დიდი ლხინი და სიხარული, რაც გავრცელდება არა მარტო იმ სანაპიროზე, გემი რომ შემოვიდა, არამედ მთელ ქალაქს მოედება.

ასეთია ჩვენი ქართული. მისი ბუნება და მასშტაბი.

ახლა ეს წავიკითხოთ:

თოვდა და თოვდა
და გამოკეტილ პატარა ოდას
აღარაფერი აღარ ესმოდა.
დიდი სიწყნარე იყო ესოდენ.
სასაფლაოზე პატარა ბიჭი
პატარა გოგოს გუნდას ესროდა.
შვილი თუ დედა, დედა თუ შვილი,
კაცმა არ იცის, ვინ იყო ცოდვა
და განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა

დიდი თოვლი მოვიდაო, წერს პოეტი, სიზმრისეულს დაემგვანა გურიის მთები, ფიცრული ოდიდან გამოასვენეს უნაზესი ქალბატონი და ჭირისუფალი შეუდგა თოვაში სასაფლაოსკენ მიმავალ გზას. ისეთი სიწყნარე იდგა, რომ აღარაფერი აღარ ესმოდაო, არადა, ხომ სიწყნარეში უნდა გავიგონოთ გასაგონარი. ცუდი დღეა, ჭირის დღე, მაგრამ გარშემო ყველაფერს თოვლის ქათქათა ნათელი აფენია, პატარა გოგო და ბიჭი თოვლის გუნდას ესვრიან ერთმანეთს სიჩუმეში. და აქეთ არავინ არ იხედება, პოეტის გარდა, ამას მხოლოდ პოეტი ამჩნევს და პოეტი აკვირდება, – ცხოვრება გრძელდება. გავა დრო და ხანი. ის პატარა ანგელოზები გაიზრდებიან, გოგო დაქალდება, ბიჭი დაკაცდება, და ვინ იცის, ეგების კიდევაც წააწყდნენ ამ ლექსს, მოიგონებენ გასვენების დღეს, როცა მშობელს ასაფლავებდნენ და ისინი თოვაში თამაშობდნენ, და დიდ საფიქრალს მიეცემიან.

აი, რისთვის შეიქმნა ეს ნახატი-ლექსი. რისთვის გააჩერა პოეტმა დრო, – ეს არ არის ბევრი მკითხველისთვის დაწერილი ლექსი, ბევრთათვის გამოძერწილი სურათი, თუმცა, ჩვენ, ყველას, დიდებსაც და პატარებსაც, ერთი დღე დადგება, თავად მოგვიწევს წარმავალობასთან მსგავსი შეხვედრა და ისეთ სიწყნარეში ჩაყვინთვა, როცა არავის არაფერი შეესმინება. „როგორი ამინდი შეესწრო ცხონებულს?“ იკითხავს ხოლმე ჭირის დღეს გამოკლებული ადამიანი.

პოეტმა შეკითხვას უპასუხა.

გვცალია კი ასეთი ლექსების წასაკითხად და გასააზრებლად?

დრო არ არის ფიქრის. დრო არ არის ყურის; გაგების დრო არ არის. წიგნის დრო არ არის. ლექსის დრო არ არის. კითხვის დრო არ არის. ახლა თვალის დროა. „შენი ლექსები ვნახე“. „შენი მოთხრობა ვნახე“, „შენი წერილი ვნახე“ და მისთანანი. ათასში ერთხელ თუ გეტყვის ვინმე წავიკითხეო. ნახვით კი იცოცხლე, ნახულობენ. აგერ „ლიტერატურული საქართველო“, „ცისკარი“, „მნათობი“, სხვა მრავალი ჟურნალი და გაზეთი, „შენი ლექსები ვნახე“. და საოცარი ის არის, რომ მსგავსი გამონათქვამიც კი გსიამოვნებს. წაკითხვას ვინ ჩივის: იცის თანამედროვე საქართველოს მთავრობა-ხელისუფლებამ, რას უნდა მიაქციოს სტუმარ-მასპინძლის თვალი, ფასადს, საღებავს, ფერუმარილს, ჩაცმა-დახურვას, რეკლამას, ტელეეკრანს, ინტერნეტს, ვარცხნილობას, შარვალ-კაბის სიგრძე-სიმოკლეს, უაზრო ხმაურს. შოუს. ჯეო-ბარს. ჩიქორთულს. თურმე კარგი მესიტყვის არეულ ენას. მერე რა თუ არ გესმის, რას გეუბნება, თვითონ ცხოვრებაც განა გაუგებარი არ არის. არავინ იცის ხვალ რა იქნება. ვისია ახლა სამაჩაბლო და აფხაზეთი. ოსების, აფხაზების, რუსების, ამერიკელების? ჩვენი რომ არაა, ცხადია. ჩვენი ქაღალდზეა, დაპირებებშია (ერთი ასეთი ლექსი მომაფიქრდა გზაში, რაც აქვე მინდა გავახალხურო: „როცა ერთს ამბობს და მეორეს ინახავს გულში, იმას მაგონებს ხოლმე, რასაც გვპირდება ბუში: დღეს გაემგზავრო ზუგდიდში და ჩახვიდე გუშინ!..“), გაუგებარ დროში გვიწევს არსებობა. ჩვენ კი დღეს ვართ და დღეს გვინდა ცხოვრება და ჯანსუღ ჩარკვიანი წერს „კალცლექსებს“, სამკურნალო ლექსებს. საჩვენოს, სადღეისოს, თუმცა იგი სინამდვილეში სულ სხვა პოეტია. სხვა სადარდელი და საფიქრელი აწუხებს, უფრო მეტი, უფრო საქვეყნო. ამ ყაიდის (კალც ლექსებს) კი იმიტომ გვიწერს, რომ გვითხრას, მეც თქვენნაირი ვარო, ესე იგი. გვიწერს ხმაურიან ლექსებს. ყურს გვიბერტყავს და ჩვენც უმთავრესად, მისი ხმაურიანი სიტყვის შემფასებელნი ვართ. მაგრამ მაშინ ვისთვის წერს პოეტი ამ საკვირველ სიტყვებს?

თუშურ თექაში ჩაქარგული
ფიქრი მაწვალებს,
განა არ ვიცი, რად ჩაჰქარგე,
შენ გენაცვალე

ეს ისე უბრალოდაა მორთმეულ-მოწოდებული, როგორც რომ, უკაცრავად პასუხია და, სადმე, სუფრასთან, მეინახე რომ მიაწოდებს მეინახეს „გადაიღე, ჭირიმე, გადაიღე“, „ინებე, გეთაყვა“, „გასინჯე“, „ამას სულ სხვა გემო აქვს“, „თექაში ჩაქარგული ფიქრი“ მაწვალებსო, ვიცი, რა ფიქრი ჩაჰქარგეო; მაგრამ ფიქრის დრო რომ არ არის. ფიქრის წაკითხვის, ფიქრში წასვლის, ფიქრი-კაცობის გვირგვინიაო, გვითხრა გენიოსმა. ფიქრის კაცები რომ ვიყოთ, ამ დღეში ხომ არ ვიქნებოდით, ამიტომაც, იმას ვიმსახურებთ, რაც გვაქვს და რასაც მივირთმევთ. აბა წესჩვეულებას ხომ არ ვუღალატებთ. ჯანსუღ ჩარკვიანი ვინაა ისეთი, რომ მისი საღონარი გავინაწილოთ, რომ მას გავუგონოთ. გავუგონებთ. ცხადია, არც ისეა საქმე, როგორც მავანს ჰგონია, მაგრამ ჯერ აუცილებელია პოეტი გამოგვეთხოვოს, ან დაიკარგოს.

მერე მე წავალ იმ სოფლად,
მერე შენ აქვითინდები

ასე შე კაცო. ასე არ სჯობია (ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს პოეტი), – ქართველებს წასული პოეტები გვიყვარს, თუმცა, არც მიცვალებულზე ვიცით მაინცდამაინც თავის გადაკვლა. არ ვიცით რუსთაველის საფლავი, ფიროსმანი დუქნის კარებთან დავკარგეთ, მაჩაბელი – სახლის კარებთან, გრანელი გადავრიეთ, და მთლად

თავის მოსაჭრელი, ერის მამასა და უგვირგვინო მეფეს რომ ვეძახდით, ჩვენივე ხელით მოვკალით. ასეთები ვართ და ასეთებად დავრჩებით. ტრადიცია და წეს-ადათი რომ შევინახოთ. „შური, მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“, ზარდამცემია ეს გამონათქვამი, რომელსაც მრავალი ახლო ნათესავიც მოეპოვება: „დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“, „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“, მაგრამ საბა ერთსაც სჯაბნის და მეორესაც. აქ შური უმაღლეს ხარისხშია აყვანილი, ისეთ ხარისხში, სხვა ერი რომ ვერასდიდებით ვერ მოგვწვდება და ვერ შეგვეცილება: „შური-მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა?!“

ამ ესეის დასაწყისშივე ვთქვი, პოეტი მდინარეს მაგონებს-მეთქი და მდინარემ კი არ იცის შური, თავისთვის არაფერი უნდა და ამიტომაც არ ილევა, არ იწრიტება და არის მუდამ.

მუდამ პოეტი.

აი, რანაირად იგონებს პოეტი (მდინარე) სოფელს:

„ლეჩხუმში რომ ჩემი მამა-პაპის პატარა სოფელი სურმუშია
სურმუშს რომ თავს მთები დაჰგუგუნებენ
სურმუშის კლდეებიდან რომ ბინულები გამოჰქუხან
სურმუშის მიწაზე რომ ვაზი და პური ხარობს“

ასე იყო წარსულში.

ცხელა?

„გაიხიზნა სოფელი, ბავშვებს და მოხუცებს შეატოვეს ვენახი და კარ-მიდამო, წყაროცა და საფლავიც
სოფელი – ჩვენი დედაა,
ქალაქი – სოფლის შვილია.

დედას მოვლა-პატრონობა სჭირდება. შვილი, რომელსაც დედა არ ახსოვს ღმერთისგან დასჯილია. აკი ვისჯებით კიდევაც“

შეადარე ამ სიტყვებს ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საშობაო ეპისტოლე, ძვირფასო მკითხველო, რათა კარგად გაისიგრძეგანო ხმა ღვთისა და ხმა ერისა.

P.S.

ნაზი კილასონია:

„სცენაზე ლერწამივით ყმაწვილი იდგა, მომწვანო პერანგი ემოსა და ეს სიმწვანე, სინედლე მოსდებოდა სცენას, მთელ დარბაზს. რა იყო ასე გამაოგნებელი? ლეჩხუმური ზამთარი. თხილამურები, მარხილი, თოვლის სითეთრე, გულის ელვარება“

ასე დაინახა პოეტმა პოეტი.

ასეთი დაინახა.

ყველას ჰყავს თავისი ჯანსუღ ჩარკვიანი.

მე ჩემი დავინახე და ჩემი ვთქვი!

პაატა ჩხეიძე

„შილიონის პატიმარი“

*

ციკლიდან „შეხვედრა“

„შილიონის პატიმარი“ ბაირონის მთავარ ნაწარმოებთაგანი არ არის. ეს პოემა ორ დღეშია დაწერილი; 1816 წლის 27-29 ივნისს – ბაირონი ხომ, როგორც თვითნაბადი პოეტი, მეტად სწრაფად წერდა – ლოზანის მახლობლად უშიდ წოდებულ პატარა ქალაქში, სადაც ბაირონი შეჩერდა შელისთან ერთად ჟენევის ტბის (ლემანი) მონახულების შემდგომ. სწორედ ამ მოგზაურობის დროს დაათვალიერეს მეგობრებმა შილიონის ციხე-სიმაგრე. პოემა 1816 წლის 5 დეკემბერს გამოქვეყნდა.

„სონეტი შილიონს“ და „შილიონის პატიმარი“ ეძღვნება ფრანსუა ბონივარს, წმ. ვიქტორის ტაძრის პრიორს, რესპუბლიკელს, ისტორიკოსს, სატირისტს, მოაზროვნეს, XVI საუკუნის რეფორმაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს. იგი შილიონის ციხე-სიმაგრეში დამწყვდეული იყო 1530 – 36 წლებში. ბაირონმა ბევრი არაფერი იცოდა ბონივარის ცხოვრების შესახებ და არც დიდად დაინტერესდებოდა მისი ხასიათის კაცი; მისთვის საკმარისი იყო ის, რომ ბონივარი ჟენევის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის ებრძოდა სავოის ჰერცოგ კარლოს III-ს და რომ რეფორმატორი გახლდათ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას ლექსის დაბეჭდვამდე შეუტყვია ბონივარის ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ და წინასიტყვაობაში ბოდიშს უხდის მკითხველს, ეს რომ მცოდნოდა, სხვანაირად დავწერდიო, მაგრამ საეჭვოა, ბიოგრაფიული დეტალთა გარდა, მეტის ცოდნას რაიმე შეემატებინა პოემისათვის.

თამარ ერისთავის მიერ თარგმნილი „სონეტი შილიონს“ და „შილიონის პატიმარი“ 1970 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ხომლში“ (№5).

ბაირონის ლექსი განსაკუთრებული პოეტური ხელოვნებითა და სახეებით არ გამოირჩევა. იგი უფრო მეტად სათქმელს აქცევს ყურადღებას, ვიდრე ფორმას.

სონეტში შილიონისადმი რამდენიმე მხატვრული სახეა, მათ შორის ორი მეტაფორა და ორი სიმილი და ალიტერაციაა გამოსარჩევი. თამარ ერისთავი ყოველ მათგანს უძებნის შესატყვისს, მაგრამ თუკი ერთი Chainless Mind – „ბორკილახსნილი აზროვნება“ – ორიგინალის შესაფერისად თარგმნილი მეტაფორაა, მეორეში აშკარად გვაკლდება ორიგინალის ანალოგია, სადაც ორ სტრიქონზე გადევნებული ალიტერაცია თარგმანში არ გადმოდის:

Their country conquers with their martirdom,
And freedom's fame finds wings on every wind.

ფონეტიკური სიახლოვე ყველაზე უფრო ძნელი მისაღწევია თარგმნის დროს და თითქმის არასოდეს არ ხერხდება, მაგრამ მეტაფორების შესატყვისთა მოძებნა ხშირ შემთხვევაში დასაძლევი ამოცანაა და თამარ ერისთავსაც არ უჭირს, თუმცა რაკი სიტყვა-სიტყვით არ მისდევს ორიგინალს, ხშირად აკლებს ან ამატებს მეტაფორას; ზემოთმოტანილი სტრიქონების თარგმანში მეტაფორები აღრეულია და ახალი მეტაფორაა დამატებული:

მათი სამშობლო მათი ღვაწლით ფრთას გაშლის ზევით
და ყველა გრიგალს შენს სახელთან დააქორწინებს.

„სამშობლო ფრთას გაშლის“ შეიძლება freedoms finds wings on every wind-ს შესატყვისად ჩაითვალოს, მაგრამ „გრიგალს შენს სახელთან დააქორწინებს“, ორიგინალში არ არის და on every wind-ის გამოხმაურება და გავრცობაა.

მთარგმნელი სიმილების გადმოტანისას უფრო ზუსტია:

prison is a holy place
ციხეა წმინდა ტაძარი,

მაგრამ თარგმანში არ არის floor an alter (იატაკი საკურთხეველი) და არც pavement ... a sod (ქვაფენილი – მიწა).

მათ ნაცვლად თარგმანში მეტაფორებია შემოტანილი „დროთა ნაცარი“ და „ნაკვალევი, ქვას რომ დაღავს“ , და თუნდაც ჩაითვალოს, რომ თარგმანი მხატვრული სახეებით შორდება ორიგინალს, შინაარსობრივი სივრცე შეუცდომლადაა შენარჩუნებული და, რაც მთავარია, ჟღერადობით არ ჩამორჩება დედანს, რაშიც, უპირველეს ყოვლისა, სამმარცვლიანი რითმები ეხმარება – ორიგინალში ერთ და ორმარცვლიანი რითმებია;

შენი ციხეა, შილიონო, წმინდა ტაძარი,
სადაც ბონივარს წილხვდომია ტანჯვა-ვაება,
იმის ნაკვალევს ნუმც წარხოცავს დროთა ნაცარი,
თავისუფლებას არ ჭირდება სხვა უკვდავება, –
ეს ნაკვალევი, ქვას რომ დაღავს, როგორც დამწვარი,
ტირანიიდან შეჰღაღადებს მაღალ ღვთაებას.

„შილიონის პატიმარი“ ძირითადად იამბური ტეტრამეტრითაა დაწერილი, მაგრამ ოთხი სტრიქონი იამბური დიმეტრით არის გაწყობილი – 2, 3, 227, 228 სტრიქონები – ზოგი სტრიქონი ტროქეით იწყება – 17, 18 – და გარითმვაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარია, ხან aabb, ხან abab, და ხანაც aabbb; ეგებ ეს მრავალფეროვნება ბაირონისათვის ჩვეული დაუდევრობის ბრალიც იყოს; ქართული თარგმანი ათმარცვლიანი ლექსით არის შესრულებული, რაც პოემის ლირიკულ განწყობილებას კარგად ეხამება; გარითმვა ქართულშიც მრავალფეროვანია, თუმცა ორიგინალის გარითმვას ხანდახან არ მიჰყვება. ინგლისური ლექსის ალიტერაციულ ჟღერადობას მრავალმარცვლიანი ქართული რითმებისა და ალიტერაციის მელოდიურობა ცვლის.

როგორც აღვნიშნე, სონეტი და პოემა პოეტის მიერაა თარგმნილი და ამიტომაცაა ამაღლებული და მშვენიერი; და ისიც უნდა ითქვას, თარგმანში ვერ ნახავთ შედარებით სუსტ სტრიქონს, რაც მთარგმნელის მძიმე და დამქანცველ შრომაზე მიუთითებს.

პოემის შინაარსობრივი მხარის შესწავლისას შესაძლოა მცირეოდენი დანაკარგის აღმოჩენა, რაც სკრუპულოზური ჰერმენევტიკული კვლევისას ეგებ ლაფსუსადაც მიგვეჩნია.

ორიგინალშია:

That father perished at the stake
For tenets he would not forsake;

სიტყვა-სიტყვით: მამა დაიღუპა კოცონზე, დოგმებისათვის (პრინციპებისათვის), რაზეც უარი არ სთქვა.

ქართული თარგმანი ამბობს:

მამა რწმენისთვის კოცონზე დასწვეს,

ორიგინალში იგულისხმება რეფორმატორული პრინციპები, რომელზეც უარი ვერ ათქმევინეს; ეს არ არის მხოლოდ რწმენა, თუმცა ასეც შეიძლება ითარგმნოს tenets, აქ უფრო მეტი იგულისხმება, ვიდრე რწმენა ღვთისა ან ქრისტიანული რელიგია, რასაც წარმოიდგენს ქართველი მკითხველი, ვისი ყურიც და გონებაც რწმენის ხსენებისას ქრისტიანული აღმსარებლობის დევნას გაიგონებს და წარმოიდგენს მუსლიმანი დამპყრობლების მხრივ. ორიგინალში კი ნაჩვენებია კათოლიკური ეკლესიისა და კალვინისტური, რეფორმატორული მოძღვრების დაპირისპირება. ორიგინალის შინააარსობრივი და კონცეპტუალური ინფორმაციიდან ამგვარი დაშორების გაზვიადება, არ იქნება მართებული, რადგან აკადემიურ გამოცემაში, თუ თამარ ერისთავის თარგმანების სრული კრებულის გამოცემას ვეღირსეთ, ამ პრობლემის დაძლევა კომენტარებში შეიძლება.

ორიგინალის ტექსტის შინაარსობრივი ქარგის დაკარგვა პოემის სხვა ადგილებშიც გვხვდება, ვთქვათ, ბოლო XIV თავში.

პოემის დამაგვირგვინებელი თავი ყველაზე მეტადაა დატვირთული ემოციურად. თუ პოემას სამ ნაწილად დავყოფთ:

1. დაპატიმრება.
2. პატიმრობა.
3. განთავისუფლება.

განთავისუფლების ეპიზოდს შეიძლება პარადოქსული ვუწოდოთ, რადგან თავისუფლებას არ მოაქვს სიხარული, პირიქით, ის მწუხარებისა და ოხვრის მომტანია გათავისუფლებულისათვის. ბაირონი ხომ თავისუფლებისა და პროგრესის მომღერალია, მაშ საიდან ჩნდება ეს პესიმისტური პარადოქსი მის პოემაში? ცხადია, რომ ბაირონს გამარჯვებულსა და მძლავრს კი არ მოსწონს თავისი თავი და ამაყობს ძლევამოსილებით, არამედ მარცხისა და ტყვეობის მდგომარეობიდან უმღერის თავისუფლებასა და გამარჯვებას.

სწორედ პარადოქსულობა ანიჭებს „შილიონის პატიმრის“ XIV თავს განსაკუთრებულ პოეტურ ბრწყინვალებასა და ემოციურ ძალას:

At last men came to set me free;
I asked not why, and recked not where:
It was at length the same to me,
Fettered or fetterless to be,

ეს ოთხი სტრიქონი ქართულად რვა სტრიქონით არის თარგმნილი. ემოციური სიძლიერითა და მხატვრულობით ქართული თარგმანი არა თუ უსწორდება, არამედ აჭარბებს კიდეც ორიგინალს; ამ სტრიქონებში რაიმე განსაკუთრებული მხატვრული სახე არ გვხვდება და პოეტური ეფექტი ორიგინალშიც და თარგმანშიც ტავტოლოგიით მიიღწევა, თუმცა თარგმანში ემატება ალიტერაცია და მრავალმარცვლიანი მჟღერი რითმები.

მოვიდნენ ბოლოს აღებენ კარებს,
მე არ ვკითხულობ, რისთვის და რატომ,
ჩემთვის ერთია შიგნით თუ გარეთ,
ჩემთვის ერთია სხვებთან თუ მარტო.
იმედის მომცემს ვერავის ვნახავ,
თუნდაც ხმელეთის კიდე მოვრკინო,
ჩემთვის ერთია ვიქნები ახლა
ბორკილიანად თუ უბორკილოდ.

თუ ამ შემთხვევაში სტრიქონთა რაოდენობა გაზრდილია, სხვა შემთხვევაში, იქვე, ქართულ თარგმანში გამოტოვებულია ორიგინალის სტრიქონები:

And thus when they appeared at last,
And all my bonds aside were cast,

ამ სტრიქონთა დაკლება თარგმანს არ აზარალებს, რადგან ეს ინფორმაცია თარგმანში მოცემულია, მაგრამ მომდევნო სტრიქონების გამოკლება სერიოზული ნაკლია, არა მარტო თარგმანის შინაარსისათვის, არამედ კონცეპტისთვისაც:

And why Should I feel less than they?
We were all inmates of on place,
And I, the monarch of each race,
Had power to kill yet, strange to tell!
In quiet we had learned to dwell;

ესეც კიდევ ერთი პარადოქსი პოემისა თუ კაცის ყოფისა. იგი მონარქია ციხეში და საკნის მკვიდრნი, ობობა თუ თაგვები, მისი ქვეშევრდომნი არიან. მას შეუძლია მათი დახოცვა, მაგრამ მშვიდობიან თანაარსებობას ახერხებენ. კაცმა მიაღწია ციხეში იმას, რასაც თავისუფალი ვერ მოესწრება, სწორედ ამიტომ მთავრდება პოემა პარადოქსული, მწარე სიმართლით აღბეჭდილი სტრიქონებით:

My very chains and I grew friends,
So much a long communion tends
To make us what we are: - even I
Regained my freedom with a sigh.

მე შევეჩვიე ბორკილის ჟანგსაც, –
ასე ყოფილა კაცის ბუნება!
და ოხვრით შევხვდი ციხიდან გასვლას,
თავისუფალი დღის დაბრუნებას.

„სონეტი შილიონისადმი“ თარგმნილი აქვს გივი გაჩეჩილაძეს. თარგმანი გულისყურით და პასუხისმგებლობის გრძნობით არის შესრულებული და თანამიმდევრულად მისდევს დედანს, თუმცა თამარ ერისთავისეული ბრწყინვალება ნამდვილად აკლია.

მარადო სულო თავისუფლად მქროლავი აზრის!
თავისუფლებავ! ციხეში გაქვს შენ ბრწყინვა სრული.
შენი სადგური მუდამ არის ხალხისა გული,
რომლის ბორკილი მხოლოდ შენი ტრფიალი არის!

(თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა)

ბორკილახსნილი აზროვნების დიდო მოწილე, —
თავისუფლებავ, შენ დილეგში ასკეცად ბრწყინავ,
რადგან იქ მხოლოდ გაკერპებულ გულში გაქვს ბინა,
გულში, — შენს გარდა სხვა რომ ვერვინ
დაიმორჩილებს.

(თარგმანი თამარ ერისთავისა)

ცხოვრების პარადოქსულობას და მარადიული ბრძოლის, მარცხისა და კვლავ აღდგომის, კვლავ გაბრძოლების იდეას უმღერის ბაირონი თავის ბოლო ლექსში,

On This Day I Complete my Thirty-Sixth Year - „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი წელი“.

თამარ ერისთავის თარგმანი თამამად უდგება გვერდით ორიგინალს, როგორც შინაარსობრივი ადეკვატურობით, ასევე ემოციითა და მხატვრულობით:

Tis time this heart should be unmoved,
Since others it hath ceased to move:
Yet, though I cannot be beloved,
Still let me love!

დრო არის გულო დაიცხრო ვნება,
თუ სხვის გულს ვეღარ გაუჩენ დარდებს,
არვის ვუყვარვარ? – მომეცი ნება,
რომ მე მიყვარდეს.

იმავე ლექსის გივი გაჩეჩილაძისეული თარგმანი, თუმცა მთარგმნელისეული კეთილსინდისიერებით არის გადმოტანილი, მაგრამ შინაარსობრივი ქარგითაც უფრო მეტად შორდება ორიგინალს და ვერც მხატვრულობით უტოლდება თამარ ერისთავის თარგმანს:

დრო, კაცთა მოდგმის ბინდით მზარავი,
მოუახლოვდა ჩემს გულს, ფარული.
არ შემიყვარებს თუმცა არავინ –
მსურს სიყვარული!

ბაირონის ლექსების თამარ ერისთავისეული თარგმანები გვატკბობს და გვახარებს, მაგრამ „ჩაილდ ჰაროლდის“ სრული ქართული ტექსტი, აღბეჭდილი ჭეშმარიტი ოსტატობით, სიამაყით აღგვავსებდა და, სამწუხაროა, რომ იგვიანებს.

სიბილე ბერგი (დაბად. 1962 წ.) უჩვეულო ფორმით დაწერილ რომანს გვთავაზობს. ეს არის მრავალი პერსონაჟით დასახლებული ე.წ. ეპიზოდებიანი რომანი. პერსონაჟები ერთმანეთთან თითქოს სუსტად არიან დაკავშირებულნი, მაგრამ ფაქტიურად ისინი ერთმანეთის ცხოვრებაში პირდაპირ თუ ირიბად ერთვებიან და მათ ბედში გარკვეულ როლს თამაშობენ. ამავე დროს, რომანში შეიძლება გამოარჩიო ერთი რომელიმე პერსონაჟი და მისი ცხოვრების ისტორიას მიჰყვე პირველი გვერდებიდან უკანასკნელ გვერდამდე. ამ მოსაზრებით ამოვკრიფე რომანის ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები, რომლებსაც ერთი დასრულებული სიუჟეტური ხაზი აერთიანებს.

მთარგმნელი

სიბილე ბერგი

ნორას შია

*

ეპიზოდები რომანიდან „ორიოდე ადამიანი დაეძებს ბედნიერებას და კვდება სიცილითა“

ნორას შია

ყოველ დილით ვიწონები.

დილაობით ოდნავ ნაკლებს ვიწონი ხოლმე.

ნახევარი წელია მხოლოდ კიტრით, ვაშლით და სალათით ვიკვებები. ყოველგვარი მისაყოლებლის გარეშე, რა თქმა უნდა.

თავიდან ცუდად ვხდებოდი, მუცლის გვრემა მემართებოდა. ახლა საქმე უკეთაა. საჭმელს დავყნოსავ და მორჩა, აღარ მშია. საჭმლის სუნი გულს მირევს.

გუშინ 40 კილო ვიყავი. 1, 75 ვარ და სიმაღლეში ალბათ ცოტას კიდევ მოვიმატებ. დაფიცებული მაქვს: კიდევ უნდა დავიკლო!

რაც ჭამას თავი გავანებე, არავინ აღარ მჭირდება. მშობლები გინდ ყოფილან, გინდ არა. ჩემზე რას ფიქრობენ, არ მაინტერესებს. მე ხომ ვიცი, რომ მაგარი ვარ. ამასწინათ დედაჩემმა იტირა. დავინახე, როგორ ჩამოეთხაპნა მაკიაჟი და ოთახიდან გამოვედი. ახლა შევამჩნიე, რამსისქე ყოფილა, მაგრამ ეს ამბავი სულ არ აწუხებს. მე კი, სანამ სქელი ვიყავი, შესვენებაზე ფეხსალაგში გავრბოდი, რომ თანაკლასელებს გავრიდებოდი. ახლა აღარ ვიმალები, უფრო მეტიც, იმასაც კი ვფიქრობ, ჩემი შურთ-მეთქი.

სილამაზემდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია. ჯერ მაინც მეტისმეტად სქელი ვარ. მკლავებს არა უშავს რა, ძვალზე ტყავიღაა გადაკრული, ნეკნებიც უკვე კარგად მეტყობა, მაგრამ აი, ფეხები ჯერ კიდევ სქელი მაქვს.

სქელი როცა ვიყავი, თითქოს პიროვნებას აღარ წარმოვადგენდი. ახლა საქმე სხვაგვარადაა. შიგნიდან და გარედან თავს ერთნაირად მტკიცედ ვგრძნობ. როცა რაიმე მიზანი გაქვს, მარტო აღარა ხარ, რადგან მიზანი მუდამ შენთანაა.

კარგად მახსოვს ის დრო, სქელი რომ ვიყავი. ერთ წუთას თუ კარგად ვგრძნობდი თავს, მეორე წუთში ავღრიალდებოდი და მიზეზს ვერ ვპოულობდი. ეტყობა, ყველაფერი უაზრობად მეჩვენებოდა: ის, რომ სკოლას დავამთავრებდი, რაღაც პროფესიას შევიძენდი, მერე გავთხოვდებოდი და სადმე პატარა ბინაში ვიცხოვრებდი. პატარა ბინაზე გულისამრევი კი აბა რა უნდა იყოს! ასეთ ცხოვრებას ხომ ცხოვრება აღარ ჰქვია. ოღონდ ცხოვრება როგორი უნდა იყოს, ჯერაც არ ვიცი. რომ გავლამაზდები, აი ალბათ მაშინ მეცოდინება, რა არის ცხოვრება. მაშინ კეიტ მოსივით ლამაზი ვიქნები და მისებრ მოდელიც გავხდები.

დედაჩემმა ამასწინათ ფსიქოლოგთან წამიყვანა. ფსიქოლოგი ერთი მსუქანი, ბებერი კაცი იყო. დედამ მარტო დაგვტოვა და იმ ბებერმა გაჩმახება დამიწყო. ოღონდ ის კი ვერ მოტვინა, ასე იოლად მე რომ ვერავინ გამიჩმახებდა. რაღაც-რაღაცეები მეც წამიკითხავს და მათი ბრიყვული ტრიუკების ამბავიც ზეპირად ვიცი. ამ ბებერს ხომ, თითქოს საგანგებოდ, სიბრიყვე ზედ სახეზე ეწერა. ხომ არაფერი გაწუხებსო და კიდევ რა ვიცი, რა საზიზღრობები აღარ გამომკითხა. მე მხოლოდ მივჩერებოდი და ხმას არ ვიღებდი. ამ ქონის ტომარას პერანგქვეშ ოფლის ღარები ემჩნეოდა. მის შეკითხვებზე არც დავფიქრებულვარ. განა შეიძლება ისეთი კაცისთვის რაიმე მომეყოლა, საკუთარი თავი რომ ვერ გაუკონტროლებია და გასკდომამდე ძღება? მოკლედ, წამოვედი და ის ფსიქოლოგი აღარც გამხსენებია.

მე ჩემი მიზანი მაქვს. არაფრის აღარ მეშინია. არც ფიქრისთვის ვიკლავ თავს და ასეთ ყოფას, მე მგონი, ამქვეყნად არაფერი სჯობია.

ნორა ზღვაზე მიდის

მე ზღვაზე წავედი. ჩემს ასაკში შეიძლება მარტო წახვიდე ზღვაზე. ჩამოვალ თუ არა, სახლიდან წავალ და ალბათ უკან აღარც დავბრუნდები. არც შინ და არც გარეთ აღარავის ველაპარაკები. ერთი საძილე ტომარა მაქვს. ზღვაზე საკმაოდ ცივა. მთელი დღე უაზროდ დავეხეტები და ღამით საძილე ტომარაში ვწვები. არავის არ ველაპარაკები.

ზღვა მოსაწყენია. სულ ოდნავ ტორტმანებს. ფული თითქმის გამითავდა. არც მჭირდება.

არაფერს ვჭამ. ხანდახან ვაშლს თუ შევჭამ და იმაზეც გული მერევა. კუჭში მოხვედრილი უცხო სხეული ცუდად მხდის. ორიოდე დღის წინ ერთ აქაურ ბიჭს გავყევი. მის ოთახში ყველაფერს მტვერი ედო და ყველგან გაწებილი ჭიქები ეყარა. კედელზე ერთი სქელი დედაკაცის პოსტერი იყო გაკრული. პამელა ანდერსონი! ამ ბიჭს თუ ასეთი სქელი ქალები მოსწონდა, მე იქ რაღა მესაქმებოდა, იმწამსვე უნდა

წამოვსულიყავი, მაგრამ დავრჩი, რადგან მან უკვე გახდა მოასწრო და წავალ-მეთქი ვეღარ ვუთხარი. ლოგინში ძილი მენატრებოდა და უფრო ამიტომ წამოვყევი. ესეც რომ არა, წასასვლელიც არსად მქონდა, უაზროდ ვიყავი. იმ ბიჭს დიდად არ შევუწუხებივარ. არც ლაპარაკით მოგვიკლავს თავი, არც ვიცოდი, უცნობ ბიჭთან რაზე უნდა მელაპარაკა. მან თავისი საქმე მოითავა. ჩაეძინა თუ არა, მაშინვე წამოვედი. გარეთ ჯერ კიდევ სრული სიჩუმე იდგა. დილაადრიან ზღვისპირა კაფეშიც სრული სიჩუმე დამიხვდა. იქიდანაც გამოვედი და უკაცრიელ ქუჩებს გავუყევი.

ქუჩაში მივაბიჯებ. როცა არ ვმოძრაობ, მაშინ სადმე ვზივარ და იძულებული ვხდები ვიფიქრო. მაშინ მგონია, რომ აზრებს თავს ვერ ვუყრი. როცა ვმოძრაობ, კარგად ვარ. სწრაფად უნდა ვიარო. ვინმე თუ შემომხედავს, თვალს ავარიდებ.

ძაღლების თავშესაფარში მივედი. ძაღლის გამოყვანა მინდოდა. პატარა ძაღლის. ვფიქრობდი, რა კარგი იქნება, გვერდით რომ გამომყვება-მეთქი. საღამოობით კოცონს დავანთებდი და ჰარმონიკას დავუკრავდი. ძაღლი ფეხებზე დამადებდა თავს და ყურს დამიგდებდა. მერე ერთად შევძვრებოდით საძილე ტომარაში და მის გულისცემას გავიგონებდი.

იქ ერთი ძაღლი იჯდა გალიაში. გამხდარი და გალეული. ჩვენ თვალებში შევხედეთ ერთმანეთს. ის ძაღლი ჩემი იყო, მაგრამ არ მომცეს. რომ წამოვედი, ძაღლი ანკმუტუნდა. როგორ მინდოდა მეტირა, მაგრამ ვერ ავტირდი.

ზღვისპირას ვზივარ. უკვე ბნელა. თუ ბევრს ვივლი, კიდევ უფრო გავხდები. საღამოობით წითელ ღვინოს ვსვამ ხოლმე. ზოგჯერ დილითაც ვსვამ. მერე ისე ძალიან აღარ მცივა. მაშინაც კი ვითოშები, როცა მზე ანათებს. მზე ძლივსღა ანათებს. უკვე შემოდგომაა. წითელ ღვინოს რომ დავლევ, ირგვლივ ყველაფერი ფაფუკი და მშვენიერია და მაშინ ვგრძნობ, რომ შინიდან წამოსული ვარ. შევყურებ ტალღებს, სიბნელეში ნაპირისკენ რომ მოისწრაფიან. თავიდან პატარები არიან და ჩუმად მოგორავენ, მერე მოდიდდებიან და ღმუიან.

მეც ვიღმუვლებდი, მაგრამ ვერ გამიბედია.

ნორა გზაშია

ჯერ არ დაღამებულა. არც ნათელია, არც ბნელი. ან მცირე ნისლია, ან სულაც მტვრის ღრუბელია ჩამოწოლილი.

ქუჩაზე ქაღალდი მიფარფატებს. ძაღლიც მოჩანს. იმაზე უფრო ადრე აცივდა, ვიდრე მოველოდი. შუა ქუჩაში მივაბიჯებ. ირგვლივ ახლად აშენებული სახლებია. 30 წლის წინ ისინი მართლა ახლები იყვნენ და მთელი ეს დაბა გამდიდრებაზე ოცნებობდა. კარგ ცხოვრებაზე და ტურისტებზე. არავინ ჩანს. თითო-ოროლა მოხუცს თუ წააწყდები.

ისინი აღარაფერზე აღარ ოცნებობენ. არც არაფრის იმედი აქვთ. ახალგაზრდობა ქალაქში გახიზნულა, რომ იქ გააგრძელონ ოცნება. რაკუნი ისმის. ჟალუზებია. ისინი დიდი ხანია აღარ გაღებულა. ქუჩა ზღვასთან მთავრდება. ზღვა ამ უცნაურ შუქში გაწოლილა და ისეთივე დაბერებული და ჩამყაყებულია, როგორც ყველაფერი. მოშორებით, ჰორიზონტის მხარეს, ორი სქელი მამაკაცი მუცლამდე წყალში ჩამდგარა. სხვადასხვა მხარეს იყურებიან. ასე უაზროდ დგანან.

მე რუკზაკს ვიხსნი და ზედ ვჯდები. ზღვა ისეთი მკვდარია, რომ ჟალუზების რაკუნის ხმა აქამდე აღწევს. დაღლილი ვარ. გზას აღარ გავაგრძელებ. უკვე ყველაფერი ვნახე. უსაფრთხო ადგილია. ერთი თვეა აქ დავხეტიალობ. რომ დაღამდება, გარეთ ვიძინებ. ვიღვიძებ თუ არა, გზას მივუყვები. ამასობაში ავყროლდი. ჩემი ტანსაცმელი, ჩემი თმა, ჩემი კბილები. ყველაფერი ყარს. პირიდან ღვინის სუნი ამომდის, საღამოობით რომ ვსვამ ხოლმე. მტვრის, მანქანების სუნი მიდის. მგონი, გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო. ჩვიდმეტის გავხდი.

ვფიქრობდი, სახლიდან თუ წამოვალ, უკეთესი იქნება-მეთქი, მაგრამ შევცდი. აქ უკეთესი არაფერია. აქაურობა უფრო საზიზღარია. ეს არის და ეს.

ჩემს რუკზაკზე ვზივარ და ვხედავ, როგორ ბინდდება. ის კაცები წასულან. როდის წავიდნენ, არ დამინახავს. ღმერთმა უშველოთ. ჩემს გვერდით ვიღაც ტიპი დგას. იღრიჭება და ჭიანი კბილებით სავსე პირი მოუჩანს. შავი თმა აქვს და ესპანურად მელაპარაკება. მე ცოტას ვლაპარაკობ. ერთი თვე იქნება, ხმა აღარ ამომიღია. არც ამას დაველაპარაკები. იგი ხელს მკიდებს. ხელს არ ვაშვებინებ. ისევ იღრიჭება. მე პირში ჩავცქერი.

რა თქმა უნდა, მივყვები. აქამდეც ყველას მივყვებოდი. აბა სხვა რა უნდა მექნა. უსიტყვოდ მივაბიჯებთ. ისევ ის მკვდარი ქუჩა. აქ სხვა ქუჩა არც არის, მხოლოდ ეს ერთია. რაკუნის ხმა მიწყდა. ახლა ქარი ღმუის და ქუჩის ფანრები ტკაცუნობენ. ბიჭს რომელიღაც სახლში შევყევი. შესასვლელში ნაგავი ყრია. სინათლე ბჟუტავს. მეორე სართულზე ავდივართ. ყვითელი ბინა და მე წინკარში. ოთახში ლეიბი დევს. მაგიდას მუშამბა აფენია. აქვეა ნეონის ნათურა და ცხადია ჩამოფხრეწილი ჟალუზები. სახლში ჩამიჩუმი არ ისმის.

მაგიდასთან ვზივარ და კედელს მივჩერებივარ. ვფიქრობ, ნეტავ ვის მოუვიდა თავში ვარდისფერ შპალერზე პატარ-პატარა ნავების დახატვა. ბიჭი მოდის და თეფშს და ღვინოს მიდგამს. რაღაცას ვჭამთ. ვერ მივხვდი, რა იყო. მერე ის დგება და ლეიბზე მაწვენს. ტანსაცმელზე ხელებს მიფათურებს. მე ვწევარ და მის პირს შევცქერი.

პირი ესპანურად ლაპარაკობს. ტანსაცმელს ბოლომდე არ მხდის. ალბათ იმიტომ, რომ შუქი ანთია და ჩემი სუნის დანახვა ურჩევნია. მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს მიშიშვლებს. მე ნავებს ვითვლი. 10, 11, 12, ოცდამეათე ნავზე საქმეს რჩება და გვერდით მიწვება. მე ვდგები და ფეხები მეკეცება. როგორც იქნა ვაქრობ იმ ამაზრზენ შუქს. ახლა შემიძლია სიბნელეში ვიწვე და წუთით დავიჯერო, რომ მარტო აღარ ვიქნები. ვწევარ და ვხედავ, როგორ იწელება ღამე. მერე როგორ ირიჟრაჟებს და მეც მივდივარ. თავი გაწებილი მგონია და დილა ვერაფერს ცვლის. გზას ზღვისკენ მივუყვები.

ის ორი კაცი ისევ ისე დგას მუცლამდე წყალში. ერთმანეთს არ უყურებენ. მე პირში ღვინის გემო მაქვს და ვიყინები.

სატვირთო მანქანას მივყავარ. ვერ ვხედები, საით. სქელი, ხნიერი კაცია. უდაბურ ლანდშაფტში, მკვდარ მიდამოში მივდივართ. ასე მგონია, ლაპარაკს ვეღარასოდეს შევძლებ. საკუთარ თავთანაც კი. სიჩუმეა. ყველაფერი გაყინულა. უკან ვერ დავბრუნდები. ვიცი, განსხვავებული იქაც არაფერი იქნება. ვეღარსად წავალ. სატვირთო მანქანით

მივდივარ და მეშინია, ეს გზა არ დასრულდეს. მაშინ უნდა ჩამოვიდე. მე კი განძრევა აღარ მინდა. გაქვავებული ვარ. სქელი კაცი დროდადრო ლაპარაკობს. ნათქვამს მისი მზერა არ შეესაბამება. იგი ცრუობს. ვუნდივარ და ფიქრობს, რომ მე არ მინდა. ის კი არ იცის, რომ მე არაფერი მინდა, მას კი შეუძლია სურვილი სულ უბრალოდ დაიკმაყოფილოს. ჩემთან სურვილის მოკვლა ყველას შეუძლია. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. მარტოობას ისევ ეს სჯობია. ეს კაცები მცირე დროით ჩემს მაგივრად იღებენ გადაწყვეტილებას, საით უნდა წავიდე.

სატვირთო ჩერდება. ნახევრად დანგრეულ სახლთან ვდგავართ. სახლის წინ ჯართი ყრია და ძაღლები ირევა.

იქვე ძველი ფაბრიკა მოჩანს. ჩვენ სახლში შევდივართ და იგი მიჩვენებს, სად შემიძლია დავიძინო. აქ ცივა. ლეიბი მაგარია და ნესტიანი. სქელი კაცი რომ შემოდის, აღარ ვიცი, ეს ნამდვილად ისაა, თუ სიზმარში ვარ. დღითიდღე სიზანტე მერევა. ახალი დილა თენდება. ჯართის შესაგროვებელ მოედანს ჩავუარე. უაზროდ მივრბივარ, რომ არ გავიყინო.

ღამით გარეთ სულ უფრო და უფრო ცივა.

ძალიან მცივა. განძრევა აღარ მინდა. ოდნავ განძრევაც კი მღლის.

ყოველი დღე მომქანცველია. სიარულიც აღარ მინდა. გზის პირას ვზივარ. სადღაც, შინიდან შორს. აქ მანქანა არ ჩამოივლის. ახლომახლო არც სახლები ჩანს. სიბნელე, სიცივე და მე. ვგრძნობ, ჩემი სხეული როგორ იღებს ჰაერის ტემპერატურას. ჰაერი კი ცივია. ძალიანაც კარგი. ყველას ერთნაირი ტემპერატურა გვექნება.

ნორას გამოელაპარაკნენ

ნორა ბარსელონაში ჩავიდა. ერთი ბიჭი გამოელაპარაკა. ნორა ეკლესიის წინ იწვა და მზეს ეფიცხებოდა. აი, ამ დროს გამოელაპარაკნენ. ბიჭს თომასი ერქვა. ცოტა ისაუბრეს და მერე თომასმა ნორა თავის დედასთან წაიყვანა. თომასი გერმანიაში ყოფილა დაბადებული, მაგრამ ნორას ასეთი ზუსტი ცნობები სულ არ აინტერესებდა. დედა ერთი ჩასუქებული ქალი აღმოჩნდა და მაშინვე მოინდომა ნორასთვის საჭმელი მიეწოდებინა. ნორას არაფრის ჭამა არ უნდოდა. ამ ქალის შემოთავაზებული კერძისა ხომ მითუმეტეს. ნორა თომასთან ერთად სარდაფში ჩავიდა. თომასი აქ ცხოვრობდა. კედლები შავად ჰქონდა შეღებილი და კედელზე დიდი ჯვარი ეკიდა. იგი დიდის ამბით ლაპარაკობდა სადო-მაზოხიზმზე. მერე ჰკითხა, პირსინგის გაკეთება ხომ გინდაო. ნორასთვის სულერთი იყო ყველაფერი. ბიჭმა გაზი აიღო და ნორას ერთი რგოლი წარბში გაურჭო, მეორე კი ჭიპში გაუყარა. ნორას თითქმის არაფერი უგრძვნია. იგი თომასის საწოლზე იწვა. თომასი კი ისევ ლაპარაკობდა. სადო-მაზოხიზმი სულიერად ამდიდრებს ადამიანს და აი, მეც სადისტი გახლავარო. სადისტიც ვარ და მაგიცო. შემდეგ უამბო, მაგიას მცდარი ინტერპრეტაცია ეძლევა, სინამდვილეში კი იგი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარ თავზე და სხვებზე მოიპოვო ძალაუფლებაო. ნორამ ამ სიტყვების გაგონებაზე ბიჭს შეხედა. ლამაზი ბიჭი იყო, მაგრამ მისი ლაყბობა ნერვებს უშლიდა. თომასმა ნორას დუმილი ინტერესის გამოჩენად და ადამიანებზე თავისი ძალაუფლების მორიგ აღიარებად მიიღო. ნორამ კი გაიფიქრა, ეს ტიპი ნამდვილად დარტყმულიაო, მაგრამ აქ უფრო თბილოდა, ვიდრე გარეთ. აქ შეეძლო მშვიდად დაეძინა და ხმა აღარ ამოუღია. თომასმა ნორას ჰკითხა, მაგია შენც თუ გაინტერესებსო, აი მე კი მაშინვე მივხვდი, მაზოხისტი რომ ხარო. მაზოხისტები ძლიერი ქალები არიან, რადგან ისინი ქალის თავდაპირველ როლს, ანუ მორჩილებას აღიარებენ, ამას კი გამბედაობა სჭირდებაო. ნორამ თავი დაუქნია, ჰო, მართალი ხარო, გულში კი გაიფიქრა, ეს მანიაკი ვინ არისო, შემდეგ კი ჰკითხა, შეიძლება შენთან ცოტახანს ვიცხოვროო. იმიტომ კი არა, წასასვლელი არ მქონდესო, უბრალოდ დავინტერესდი, რამდენი რამ გცოდნიაო, და თომასმაც ჩაიბურტყუნა, ჰო, კარგი, კარგიო.

ნორა ჯერ კიდევ თომასთანაა

ნორამ დილით ტელევიზორს უყურა. ჯერ რაღაცას უჩვენებდნენ შიდსზე ესპანურად, მერე ჯეფრი დემერზე იყო გადაცემა. ნორამ ბევრი იცინა. იმ თავებზე ეცინებოდა, მას მაცივარში რომ ჰქონდა ჩამწკრივებული. ნორა მაცივართან მივიდა. იქ მხოლოდ რძე იდგა, მეტი არაფერი. წინა საღამოს ნორა თომასთან ერთად კინოში იყო. ფილმები მეტისმეტად გრძელი გამოდგა. ახლა ბიჭი მის წინ იწვა. გაკოჭილი. ნორამ ყურში ოხრახუშის ღერი გაურჭო. ტელევიზორს ხმა გათიშული ჰქონდა. ნორა უკანალზე მათრახს ურტყამდა ბიჭს. ხელში გადამწიფებული ავოკადო ეჭირა. მასა თითებშუა ტვინივით იჭყლიტებოდა. თესლი ცხვირში უნდა შეუტენოს, რაც შეიძლება ღრმად და ნესტოები რბილი მასით ამოუქოლოს. ცხვირში სიგარეტს ურჭობს. დამწვარ თმას ჭუჭყიანი წინდების სუნი უდის. ახლა კი ოპერაციის დროა. ბორმანქანაში ჩადგმულია ყველაზე დიდი ბურღი. ჩართულია ყველაზე ნელი ბრუნი.

ცალ ხელში ჩამოღვენთილი სანთელი უჭირავს. სანთელი ბიჭის კანზე იღვენთება. ბიჭი კრთება. ვერაფერს ამბობს. პირში წინდა აქვს ჩაჩრილი. ტელევიზორში „ნირვანას“ უჩვენებენ. ნორამ წარმოიდგინა, ახლა მის წინ კურტ კობაინი რომ იწვეს. აი, მას კი დაელაპარაკებოდა. მას არც გაკოჭვას მოუნდომებდა. ეს ბიჭი კი ერთი ჩვეულებრივი ბიჭია და მეტი არაფერი. ნორამ ტელევიზორს თვალი მოაცილა. ოთახის კუთხეში ნაჭრის ძველი სათამაშო ცხვარი ეგდო. მისი ცხვარი. დიდიხნის დროინდელი. ნორა ატირდა და ისევ მოუარა სურვილმა ბიჭისთვის ერტყა. ჯერ დაჩქმიტა, მერე ისევ გადაუჭირა მათრახი, თმა მოქაჩა და სანთელი უკანალში შესთხარა. ნორა იღიმებოდა. უკვე ერთი კვირა გავიდა, რაც ბარსელონაშია. გარეთ იშვიათად გამოდიან, ფაქტიურად ამ სარდაფში არიან ჩაკეტილები. ნორას პირსინგი აღარ აწუხებს. წარბზე ახლა სატრიალო რგოლი უკეთია. ჭიპზეც. ზოგი ახლა კანსაც ისერავს. ესეც... ახლახან სტივენ კინგი წაიკითხა: თვითმფრინავში, რიგებშუა ერთი კაცი თავის ნაწლავს მისდევს, რომელიც მუცლიდან გადმოვარდნია და ახლა უნდა მუცელშივე ჩააბრუნოს. ნორამ მუცელზე დაიხედა. სააბაზანოში შევიდა და საპარსით სცადა კანის გასერვა. ეტკინა. მერე საპარსის პირი ენის ქვეშ მიიბჯინა. უნდოდა ენა გაეჭრა. სარკეში ჩაიხედა. ექსტაზი გადაყლაპა, საწოლზე წამოწვა და რყევის შეგრძნებას დაელოდა. რყევა დაიწყო. ნორას ჯერ კიდევ ხელში ეჭირა სა-

პარსის პირი. მკლავი გაიჭრა და უყურა, როგორ გადმოვიდა სისხლი. ტკივილი არ უგრძვნია. სისხლი იყო ის ძაფი, რომელზეც ნორა ეკიდა. სისხლის ცალკეულ ბურთულებსაც კი ხედავდა, სისხლის უჯრედების წივილიც გაიგონა და დასევდიანდა. საბრალო პატარა ბურთულები. სისხლის ერთმა ბურთულამ მაისის ხოჭოს სახე მიიღო. ნორას ერთი შობა გაახსენდა, მშობლებთან ერთად ერთ პატარა სოფელში რომ გაატარა. როგორ ტიროდა, ციგა რომ უყიდეს, მას კი სნოუბორდი უნდოდა. უეცრად მონატრება იგრძნო. მოენატრა შობა, დედა, სნოუბორდი, პატარ-პატარა სახლები, ბუხრიდან ამოსული კვამლი. ნორამ თავის გვერდით მწოლარე ბიჭს დახედა და ფრთხილად დაადო მკლავზე ხელი. სისხლი ბიჭის მკლავს დაედინა.

ნორა და ტომი სხედან

საავადმყოფოს მოსაცდელები ალბათ მთელ მსოფლიოში ერთნაირია. შეიძლება ბანგლადეშის გამოკლებით, სადაც ალბათ ტარაკნები იქნებოდა მეტი. ისე კი ყველა მოსაცდელი ყვითელი ფერისაა. რამდენიმე ძველი გაზეთი ისე აწყვია მაგიდაზე, თითქოს ოქროსი იყოს, მაგიდა კი ნამდვილად სანაგვეზეა გადასაგდები. მაგიდას სკამები აქვს შემოწყობილი, რომელთა ადგილიც ასევე სანაგვეზეა. ასეთ ოთახებში ზოგჯერ ტელევიზორიც დგას. რატომღაც ფარდები რამდენიმე სანტიმეტრითაა დამოკლებული, ზედ გასაწევი ჯოხები ჰკიდია, რომ ვინმემ ხელი არ შეავლოს და არ დასვაროს. ამ ყვითელ ოთახებში ყვითელი ადამიანები სხედან, რომელთა უმრავლესობას კიბო სჭირს და მაინც ბევრს კი ეწევიან. საავადმყოფოებში მეტწილად საზიზღარი ხალხი ირევა, იმიტომ, რომ მოსახლეობის დიდი პროცენტი საავადმყოფოებში წევს და საზიზღარი სწორედ ეს პროცენტია. თუ არ ჩავთვლით ნუბიას, სადაც არც ვიცით, საავადმყოფოები საერთოდ აქვთ თუ არა. ყვითელი ოთახის ერთ კუთხეში ნორა ზის. აქ იმიტომ მოიყვანეს, რომ ვენები გადაიჭრა. კიდევ იმიტომ, რომ საშიშრად დაბალი წონა აქვს და ალბათ თავშიაც კრამიტი აქვს დაცურებული. აი რატომ ურჩევნიათ ექიმებს საავადმყოფოში ჰყავდეთ გამომწყვდეული. ოთახის შორეულ კუთხეში ტომი ზის. იგი დიფტერიის მძიმე ფორმის გამო დააწვინეს საავადმყოფოში. ის გამოფიტულია და ექიმებს რომ ჰკითხოთ, უკვე მკვდარი უნდა იყოს. იგი, უფრო ზუსტად, მოსაწევ ოთახში ზის, ნორას იქიდან უყურებს და მის ავადმყოფობაზე ფიქრობს. კიბო ექნებაო, ფიქრობს იგი, მაგრამ გაუგონია, კიბოიანებს თმა სცვივათო და ამიტომ შიდსს ეჭვობს. გოგო ხომ უსაშველოდ გამხდარია, ალბათ ნარკოტიკებს იღებსო, ფიქრობს ტომი და უხარია, თვითონ უკვე კარგად რომ არის. ნორაც უყურებს ტომს და ფიქრობს, პაციენტის პირობაზე მართლა მაგრად გამოიყურებაო. ნორას მოსწონს თმამოშვებული კაცები. რა ცუდია, ესპანური რომ არ ვიციო, ფიქრობს ნორა. მერე დერეფანს გაჰყურებს, სადაც ახლა საკაცეს მოაგორებენ, ზედ ზეწარგადაფარებული ადამიანი წევს. იგი მორგში მიაქვთ. და ნორას აგონდება, ბავშვობაში საავადმყოფოში რომ იწვა და ბავშვები მორგზე საშინელ ამბებს რომ ჰყვებოდნენ. გვამები ცუდიაო, ფიქრობს ნორა, ამ დროს ტომიც იმასვე იმეორებს და ნორას სულაც არ უკვირს, ტომი გერმანულად რომ დაელაპარაკა. იმ საღამოს ნორა პირველად ჭამს ცოტაოდენ საჭმელს და არ აღებინებს. ის ამჯერად არც საძილე აბებს იპარავს, რომ მთელი დღე იძინოს და არაფერი ჭამოს, აღარც იმაზე ფიქრობს, რა მაგარია საავადმყოფოში წოლა, აქ შემიძლია ვიძინო, არაფერი ვჭამო და კიდევ დავიკლო წონაშიო. იგი ფიქრობს ტომზე, ამ საღამოზე, ამ დროს კი მის კუჭს უკვირს, საკვები რომ ჩაუვიდა. ნორა ცხოვრებაში პირველადაა შეყვარებული და ამიტომაც არ იცის, მის კუჭში რომ ამბოხია, იმას რა სახელი უნდა დაარქვას.

ნორა ემშვიდობება თავის თილისმას

იმ დღეს ციოდა. ზუსტად ისეთი ამინდი იყო, მხოლოდ შემოდგომაზე რომ იცის. ხის ფოთლები ჩამხრჩვალივით ეყარა გუბეებში და ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი შიშველ ტოტებში დათარეშობდა. მე ქუჩაში ვიდექი, ვტიროდი და შევყურებდი იმ შუქს, ჩემი მშობლების ბინიდან რომ გამოდიოდა. ის შუქი ყვითელი და თბილი იყო. ვიცოდი, რომ იქ ჩემი საწოლი იდგა და კიდევ უფრო ვუმატე ტირილს, რადგან მაშინ ექვსი წლის ვიყავი და ზუსტად ვიცოდი, იქაურობასთან აღარაფერი მაკავშირებდა. დავრჩებოდი ქუჩაში მარტოდმარტო, ტანზე სველ ფოთლებს წავიფარებდი, დილით კი ავდგებოდი და რომელიმე გემს შევეხიზნებოდი. ახლა აღარ მახსენდება, რატომ მინდოდა მაშინ სახლიდან წამოსვლა, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ბავშვები შეიძლება ძალიან უბედურები იყვნენ, ალბათ უფროსებზე ბევრად უფრო უბედურები, რადგან მათ არ იციან, რა ტკივილი მოჰყვება დარდს და ეს ტკივილი სამუდამოდ შენთან დარჩება, თუ არა.

შემოდგომა იდგა. მე ნელა, რამდენიმე ნაბიჯით მოვცილდი ბინიდან გამომავალ შუქს, სახე გავიკერპე და აი, სწორედ მაშინ დავინახე ეს ცხვარი. იგი, ღმერთისგან გამოგზავნილი, თუ სასტიკი მშობლებისგან სადგომიდან გამოძევებული, ქუჩაში ეგდო. ჭუჭყიანი და ყველასგან მოძულებული. მე ის ხელში ავიღე და ახლა ერთად ვიდექით ქუჩაში, ცალთვალა ნაჭრის ცხვარი და მე. კარგახნის მერე, სიამაყის უკანასკნელი ნარჩენებითურთ, მტრად ქცეული მშობლების ბინას დავუბრუნდით. ახლა მგონია, რომ ამ ცხოველის გარეშე სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება. რამდენიმე წლის მერეც მინდოდა ყველაფერი მიმეგდო და ახალი ცხოვრება დამეწყო სადმე, სადაც არავინ მიცნობდა, მაგრამ სულ ეს წყეული ცხვარი მაფრთხილებდა და ნამდვილად მის გამო ვერ ვიცხოვრე გაბედული, თავზეხელაღებული ცხოვრებით. თილისმებს შესწევთ საამისო ძალა. მათი დანიშნულებაც ეს არის. ისინი ადამიანის ცხოვრებას ლაჩრულ, უღიმღამო სახეს აძლევენ, რადგან თავიანთ პატრონებს მუდამ იმ სიტუაციებს ახსენებენ, სადაც გონივრულმა მოქმედებამ გაამართლა. ხან კი პირიქით, თავიანთ პატრონს აცდუნებენ და თავზე ხელს ააღებინებენ, ამ დროს ვითომ მფარველობენ, მაგრამ სინამდვილეში თვალს უხვევენ და მერე მთელ პასუხისმგებლობას მათ აკისრებენ ხოლმე. ისინი მილიონობით ადამიანს აიძულებენ თან ათრიონ საძაგელი ნაჭრის ცხოველები, უაზრო ჯაჭვები და გაცვეთილი ფეხსაცმელები, ღმერთებს ქალწულები შესწირონ, გააჩაღონ ომები და ამ დროს ყველა კერპს გულში ეცინება ჩვენს სისულელეზე. შეხედეთ ადამიანებს, ხითხითებენ ისინი, ადამიანები თან დაგვათრევენ და თაყვანს

გვცემენ მხოლოდ იმისთვის, რათა საკუთარ თავს ჩააგონონ, რომ მარტონი არ არიან ამ ქვეყანაზე და რომ ბედნიერები არიან. ის კი არ იციან, რომ ადამიანი მუდამ მარტოა და ბედნიერებაც ილუზიაა და სხვა არაფერი. ბედისწერას ცხვრების მეშვეობით ვერ შემოატრიალებ, სიმართლე ეს არის, მაგრამ ამ სიმართლის დანახვა არავის უნდა. ჩვენ საკუთარი, პატარა ღმერთი გვჭირდება. ალბათ იმისათვის, რომ მას ჩავეჭიდოთ იმ ცხოვრებაში სამოგზაუროდ, რომელიც ასე გვაშინებს. რადგან ჩვენ მხოლოდ მიზანი ვიცით, მასთან მისასვლელი გზა კი არა. ეს გზა მეც არ ვიცი. კიდევ ბევრი რამ არ ვიცი და არც არასოდეს მეცოდინება. ჩემგან ამიტომაც არაფერი გამოვა. არაფერი გამოვა იმიტომ, რომ აღარ შემიძლია კერპები ვიწამო. იმიტომ, რომ ჩემი ცხვარი სხვას მივეცი. გუშინ გარეთ გავედი. მოწყენილი ვიყავი და ამიტომ მოვინდომე ჩემი ცხვარი გამერეცხა. უცებ ხელიდან გამისხლტა და ერთი პატარა ბავშვის ფეხებთან დავარდა. რომ იცოდეთ, რა საძაგელი ბავშვი იყო. ბინძურსა და ნამტირალევს ცხვირიდან წვინტლი ჩამოსდიოდა. პატარა, ბინძურ ბავშვს ზედ ეტყობოდა, რა პატარა და ბინძური ცხოვრებაც ექნებოდა, და აი, ამ პატარა ნაგვის ტომარამ ჩემი ცხვარი აიღო. იდგა ასე, ხელში ჩემი ძველი, ბრმა ცხოველი ეჭირა და შემომცქეროდა. ჩვენი თვალები ერთმანეთს რომ შეხვდა, დაიძაბა, თითქოს დარტყმას მოელისო. ეს რეფლექსი იყო, ბავშვმა იგრძნო, რაც გავიფიქრე. ბავშვები ყოველთვის გრძნობენ, რომ ადამიანებმა შეიძლება სცემონ და წაართვან ის, რაც მათ სიხარულს ანიჭებს. ბავშვს ეს ყველაფერი სახეზე ეწერა და მის ჭუჭყიან, პატარა ხელს ისე მაგრად ჩაებღუჯა ჩემი ცხვარი, რომ ხელი დაძაბულობისაგან გასწითლებოდა. ასე ვიდექით ორიოდე დაუსრულებელი წამის განმავლობაში. მერე ჩემს ცხვარს ხელი შევახე, ერთხელ კიდევ მოვეფერე ჩაჭყლეტილ დინგზე და წამოვედი. წამოვედი, რადგან დიდი ვიყავი, რადგან უნდა მივმხვდარიყავი, რომ ნაღველი გამივლიდა. და რომ ცხვარს მართლა ვეღარაფერს ვუშველიდი.

ნორა უსაქმოდ დგას

არ ვიცი, რამდენხანს ვიდექი იმ აყროლებული საავადმყოფოს წინ. საავადმყოფო გარეუბანშია. აქ გზატკეცილი იწყება. მტვერი. გადახრუკული ბალახი. ღმერთო, რა საზიზღრობაა. თან ცხელა. ვდგავარ და ვფიქრობ, სად წავიდე, რა ვქნა და ასე შემდეგ. ფული აღარ მაქვს. შინ დაბრუნება არ მინდა. ესპანეთში ხეტიალიც აღარ მინდა. ამ ფიქრებში რომ ვარ, მოდის ტომი. ტომი მიყვარს. ვწითლდები და თავში მზაკვრული ფიქრებიც აღარ მომდის, როცა ის ჩემთანაა და ჩახჩახა მზეს შესცქერის. ცოტას ლაპარაკობს. არც მან იცის, საით წავიდეს. ფული მასაც აღარ აქვს. ასეთ დროს ფილმებში ბანკს ძარცვავენო, ამბობს ტომი. მე ვეუბნები, ჰოდა, ჩვენც ასე მოვიქცეთ, მერე კი იტალიისკენ დავიძრათ-მეთქი. იქ ყოფნა ჯობია. ტომი მიყურებს, ხომ არ აფრენსო. მე კი სრულიად სერიოზულად ვლაპარაკობ. O.K. მეუბნება ბოლოს. გზატკეცილისკენ მივემართებით, იქნებ გზად მიმავალმა მანქანამ გაგვიჩეროს. ძველი სატვირთო მანქანა გვიჩერებს. ჩვენ უკან, ღია ძარაზე ვწვებით. მძღოლი საფრანგეთის საზღვრამდე მიდის. ჩვენ ბოლო ესპანურ ქალაქში ბანკი უნდა გავძარცვოთ. მერე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, იტალიაში ყოფნა რა კარგი იქნება. ტომი რომ ნამდვილი მამაკაცია, იმიტომაც ვართ ორივენი კარგად. მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი იოლად გამოგვივა. როცა ღამით უკანასკნელ საზღვრისპირა ქალაქში ჩავედით, უკვე დაღლილები ვიყავით. ჯერ გავიარ-გამოვიარეთ, მერე კი რომელიღაც პარკში დავწექით დასაძინებლად. აქ ორი ბანკია. ერთი უფრო გვესიმპათიურა. დავიძინეთ. როცა გათენდა, ჩემი კოლგოტი ავიღეთ და შუაზე გავხიეთ. ტომს ვეკითხები, ესპანურად როგორ უნდა თქვას თავდასხმაო და ეგეთები. იმას ვგულისხმობ, შეუძლია თუ არა ამ აზრის კორექტულად გამოთქმა. არ შეუძლია. მის ლექსიკონში ვიხედებით. სიტყვა „თავდასხმა“ ვერ ვიპოვეთ. მხოლოდ ასეთი წინადადების შედგენა შევძელით: არასასიამოვნო ამბავია. ფული გვჭირდება.

ამ სიტყვებს ვიზეპირებთ. ჯერ სუვენირების მაღაზიაში წყლის პისტოლეტს ვყიდულობთ. ბანკისკენ მივემართებით. სიმშვიდეა. კოლგოტი თავზე ჩამოვიცვით და ბანკში შევედით. სალაროს მივადექით. მოლარეს პისტოლეტით ვემუქრები. ასე მგონია, ვთამაშობ. ბანკში მყოფი ხალხი შეშინებულია. მე ხმამაღლა ვყვირი. ხნიერი მოლარე ფულს აგროვებს. ჩანთის წამოღება არ გაგვხსენებია. ამიტომ მოლარის ჩანთაც თან მიგვაქვს. ბანკიდან გამოვდივართ. ნიღბებს ვიხსნით და იქვე, კუთხეში ვყრით. ისე მეცინება, რომ ვიფსამ. სწრაფად მივაბიჯებთ. საზღვარზე უპრობლემოდ გადავდივართ. ჩვენს პასპორტებში ჩახედვა არავის აინტერესებს. საფრანგეთში მანქანას ვაჩერებთ. სამი საათის შემდეგ ერთ მშვენიერ ადგილას მივედით, ცოტაოდენი ფული გადავახურდავეთ და სასტუმროში წავედით. ფული ბლომად გვაქვს. სასტუმროს ჩაზნექილ საწოლზე ვეცემით და ვიცინით. ირგვლივ ფული გვიყრია. ღამით რამდენჯერმე გამეღვიძა. ისევ ისე ვიწექით.

ტომს და ნორას ერთმანეთი შეუყვარდებათ და მისთანა სიგიჟეები

ტომი და ნორა ვენეციაში ჯერ კიდევ არ ჩასულან. მისგან შორიახლოს, სამი საათის სავალზე, სადღაც, რომელიღაც არხთან მდელოზე სხედან. ტანთ თითქმის არაფერი აცვიათ, რადგან ძალიან თბილა. შემდეგ ერთმანეთს შეხედავენ და მოსახდენი ხდება. ტომს შეუყვარდება ნორა და ნორას მაგრად შეუყვარდება ტომი. ტომს ნორა იმიტომ შეუყვარდება, რომ ის სულ ნორჩია, ნაზი, სრიალა კანი და გრძელი, ქერა თმა აქვს. ნორა შეუყვარდება, რადგან ჰგონია, რომ მას მფარველობა სჭირდება, თვითონ კი მის გვერდით თავს გამოცდილ, ნამდვილ მამაკაცად გრძნობს. ნორას ტომი შეუყვარდა, იმიტომ რომ იგი მამაკაცურია და ყველა ბიჭს სჯობია, ვინც კი ნორას ოდესმე გაუცნია. იმიტომ რომ იგი დიდია. იმიტომ რომ ჭკვიანია. იმიტომ რომ მის გვერდითაა. იმიტომ რომ ფიქრობს, ტომის წყალობით ჩემი ცხოვრება შეიცვლებაო. იმიტომ რომ გარეგნობით კურტ კობაინს სჯობია.

ნორა და ტომი ყველიან ნამცხვარს თავს ანებებენ და კოცნაობაზე გადადიან. ისე, ნორა კოცნაობაზე არ გიჟდება, მაგრამ ახლა მშვენიერი ეჩვენება, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი ლამაზი მამაკაცისთვის ჯერ არ უკოცნია, თუმცა აქ

ნორა მანქანაში ზის

მანქანაში, ვინმეს გვერდით, ჩვეულებრივ, მოშვებული ზიხარ ხოლმე. მე გარეთ ვიყურები და ვფიქრობ. მე თუ მკითხავთ, ფიქრი სულ სხვა რამ არის. ამ დროს ჩავლილი ამბები მაგონდება ან მომავალზე ვოცნებობ, თუმცა ამას ფიქრი აღარ ჰქვია. მოკლედ, მინდოდა მეთქვა, რომ მანქანაში ჯდომა მიყვარს. აი ტომთან კი საქმე ცოტა სხვაგვარადაა. ახლა ზუსტად ვერ ვიტყვი, ეს რას ნიშნავს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, შეყვარებულის გვერდით ჩვეულებრივი ამბები როგორ უნდა აკეთო: საყიდლებზე იარო, ჭამო, ტუალეტში გახვიდე და სხვა ამგვარები. ასეთ საქმეებს სიყვარულთან საერთო არაფერი აქვს. ეს ყველაფერი მეტისმეტად ადამიანურია, სიყვარულში კი ადამიანური არაფერია. სიყვარული არის რაღაც უსხეულო, უსუნო, ოფლისგან თავისუფალი. ტომის გვერდით ისე ვზივარ, თითქოს დიდიხნის ცოლ-ქმარი ვიყოთ. ან ორი ადამიანი, რომლებიც მანქანაში გვერდიგვერდ სხედან. ზოგჯერ არ ვიცი, ტომს რაზე ველაპარაკო. მერჩივნა ხმა საერთოდ არ ამომეღო, მაგრამ როცა მანქანაში ასეთი სიჩუმეა, მაშინ ვფიქრობ, რომ ტომს ჩემთან მოსწყინდება, მაშინ ადრე თუ გვიან დამშორდება და ისეთ ქალს დაუწყებს ძებნას, რომელიც ენაწყლიანი იქნება და საუბრით გაართობს. ვიცი, კაცებს როგორი ქალებიც მოსწონთ. ფილმებში ამის მეტს რას ვხედავთ. ცხადია, არც ისეთი შტერი ვარ, ფილმები სერიოზულად აღვიქვა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ფილმებს ხომ მეტწილად მამაკაცები იღებენ და რაც იქ ხდება, მათი ფანტაზიის ნაყოფია. ჰოდა, ისეთი ქალი, როგორიც ამ წუთში თვალწინ მიდგას, მაგარი ჭირვეული ვინმეა. აცვია ვიწრო კაბა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით დაბაკუნებს, თმაც ვნებისაღმძვრელად აქვს მაღლა აწეული, ერთი სიტყვით, დიდი მაცდური ვინმეა. ბევრს ლაპარაკობს, მხიარულ ამბებს ჰყვება და ხშირად იცინის. სიგიჟეებსაც გადასარევად სჩადის, მაგალითად, კაცს სავსე ჭიქას თავზე ისე დააცლის, ვითომ არაფერი მომხდარა. საკუთარ თავს ვაკვირდები: უქუსლო ფეხსაცმელი და ჯინსი მაცვია. იმიტომ რომ ასე უფრო კარგად ვგრძნობ თავს. მუნჯივით ვზივარ და როცა

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

კოცნის გემო არაფერშუაშია, აქ მთავარია, ეს კოცნა რას ნიშნავს. ნორასთვის ეს კოცნა ერთად ცხოვრებას ნიშნავს. ამიერიდან აღარასოდეს იქნება მარტო. ეყოლება ადამიანი, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის. ტომისთვის კი კოცნა სექსამდე გადადგმული პირველი ნაბიჯია. იგი ნორას პატარა მკერდზე ეფერება, მერე ბიკინიში უყოფს ხელს. ნორა არ უძალიანდება. ახლა მისი მომავალი წყდება, ყველაფერი სულ სხვანაირი ეჩვენება. ტომი შარვალს იხდის. ეს პაუზა ნორას ეუხერხულება და სახეს მის მკერდში მალავს. ტომი ხელს თავის ასოზე ადებინებს. ნორას ვერ გაუგია, ხელი იქ რატომ უნდა ედოს და ტომს ასოზე აწვება. ტომი კვნესის, ბევრს აღარ ფიქრობს, ასო სწრაფად შეჰყავს ნორას სხეულში და თავის საქმეს შეუდგება. აქამდე ასეთი ნორჩი გოგონა არ ჰყოლია, არც ასეთი სიფრიფანა. მასთან თავს ძლიერად და პოტენციამოძალებულად გრძნობს. ნორამ წამით შეხედა ტომს. თავის საქმეში გართული უცხოდ მოეჩვენა. თვითონ მხოლოდ სუნთქვის შეკვრას, სითბოს და სიმძიმეს გრძნობს. ტომი მუხლებზე დგება და ფეხებს მაღლა აწევინებს. სანამ ნორას სხეულში კვლავ შეიჭრებოდეს, საკუთარ თავს აკვირდება. ასეთი პოზა მოსწონს და ნორაც სასურველი და ტკბილია. ნორას ეუხერხულება, ასე ფეხებაშვერილი რომ წევს. უხამსობის შეგრძნება ისე ძლიერია, რომ ნორა ამ წუთებში სიყვარულს ველარ გრძნობს, მარტოობის განცდა ეუფლება. ამასობაში ტომი თავის საქმეს ათავებს, ბალახზე წვება, ხმის ამოღება ეზარება და სასწრაფოდ იძინებს. ნორა დგება. ეს ამბავი მისთვის პირველი არ ყოფილა, მაგრამ პირველი კი იყო ალკოჰოლის გარეშე, პირველი იყო სიძულვილის გარეშე, პირველი იყო სიყვარულის მოსვლის შემდეგ და სწორედ ამიტომ არასოდეს ასე ბინძურად არ უგრძვნია თავი. ეს სიტყვა უცებ მოუვიდა თავში და ის გრძნობაც პირველად განიცადა, რაც სიბინძურეს ახლდა თან. ამიტომაც დაბოდიალობს ასე უმიზნოდ, არ იცის მთელი ამ სიბინძურით საით მიემართება და როცა ფეხს ჟანგიან კონსერვის ქილას წამოჰკრავს, დაიხრება და ხელში იღებს. უსწორმასწოროდ მოჭრილ ხუფს დასცქერის და მკლავზე რამდენჯერმე დაისვამს.

გავიფიქრებ, ტომს სავსე ჭიქა თავზე უნდა დავაცალო თუ არა, მიზეზს ვერ ვპოულობ, ასე რატომ უნდა მოვიქცე.

ტომი უეჭველად მიმატოვებს. გადასარევი ბიჭია. თმა მოშვებული აქვს, პერანგი მოღეღილი და მკერდზეც თმა მოუჩანს. საკუთარ თავს ვეკითხები, ჩემში რა მოეწონა-მეთქი. ის გადასარევი ქალები ხშირად მიირთმევენ სპაგეტის. ამ თეთრ ჭიაყელებს დიდი გრძნობით იდებენ პირში და მათი გამოტენილი ლოყები ასევე გამოტენილ დეკოლტეს მშვენივრად ეხამება. მე ჯერ კიდევ ფრთხილად ვჭამ. ტომმა მითხრა, ავადმყოფურად გამხდარი ხარო, ამ თემაზე ბევრს მელაპარაკება და იმასაც ამბობს, ასეთი სიგამხდრე შესაზიზღებელიაო. მე არც შესაზიზღებელი მინდა ვიყო და არც ავადმყოფი. ახლა თითქმის ნორმალურად ვიკვებები, მაგრამ სპაგეტის მაინც ვერიდები, რადგან ვიცი, რომ სპაგეტი ასუქებს.

ერთი სიტყვით, მანქანაში ვზივარ და იტალიას ვათვალიერებ. იტალია ლამაზია, მაგრამ მე იმაზე ვფიქრობ, ტომს რა ვკითხო ან ჩემზე რა შეიძლება ვუამბო. „ტომ!“ „ჰმ!“ „ტომ, გინდა ძალიან ცუდი რაღაც მოგიყვე?“ „ჰმ“. მეც ბარსელონას ამბებს ვუყვები, იმ ტიპთან რა გადამხდა და ეგეთები, მაგრამ როცა მოყოლას მოვრჩი, გავიგონე, საკმაოდ მოსაწყენი ამბავიაო. ტომი სიტყვაძუნწობს. მე ვფიქრობ, რატომაა ლაპარაკი ასე ძნელი და ვნატრობ, ვინც გიყვარს, იმასთან ისე შეგეძლოს საუბარი, როგორც საკუთარ თავთან. საღამოს მანქანით სიარული მოგვბეზრდა. სადღაც ღია კაფეში ვსხედვართ და რაღაცას ვჭამთ. მერე ვიწრო სანოლში ვწევართ და გადასარევად ვგრძნობთ თავს. ერთმანეთს ვეკვრით და ეტყობა, სიყვარულიც ასე ახლოს ყოფნა უფროა, ვიდრე გაუთავებელი ლაპარაკი ან მანქანით მგზავრობა.

ნორა აწრიალდა

მხოლოდ ის იცის, რომ ერთ ადგილზე არ უნდა გაჩერდეს, თორემ დაიღუპება. ახლა ისევ მარტოა და ვერ წარმოუდგენია, ამიერიდან როგორ უნდა იცხოვროს, როგორღა იცხოვროს მას შემდეგ, რაც ორიოდე კვირის წინ გვერდით ადამიანი ჰყავდა, ვისაც დაეყრდნობოდა. ნორა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და გამოცდილება აკლია. არ იცის, ტკივილს როგორ გაუმკლავდეს და სიცოცხლე როგორ განაგრძოს. არ იცის, რომ უნდა გადახაზოს ყოველი დღე და ტკივილი თავისთავად განელდება. დაელოდოს სიმშვიდეს და იცოდეს, რომ ამქვეყნად ყველაფერი მეორდება. ნორამ ეს ჯერ არ იცის. მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ამიერიდან მისმა ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ჯერ კიდევ არ იცის, რომ მის ცხოვრებას არც არასოდეს ჰქონია აზრი, მაგრამ თვითონ მხოლოდ დღეს მიხვდა ამას. ნორა წრიალებს და თვითონაც არ იცის, რა აწრიალებს. ფიქრობს, როგორ მოიკლას თავი და ჭკვიანური არაფერი აგონდება. ფიქრობს მაღალ სახლებზე, საიდანაც შეიძლება გადმოხტე, ვენებზე, რომლებსაც გადაიჭრი, ფიქრობს ლიანდაგებზეც, მაგრამ ამათგან ყველაზე ახლოს მხოლოდ საკუთარი ვენები ეგულება. ვენების გადახსნა როგორღა ხდება? ნორა მკლავზე იყურება, მაგრამ ვენებს ვერ ხედავს. როგორღა გადაიხსნი იმას, რასაც ვერ ხედავ? ამასობაში ისე დაიქანცა, ნაბიჯის გადადგმა უჭირს. უფრო მეტიც, ვეღარ ინძრევა და იქვე ჩაიკეცება, სადაც აქამდე იდგა. ეს შოსეზე გაყოლებული გაზონია. ხედავთ, რა შორს წამოსულა? აქედან მისი უსახელო პატარა ქალაქის სინათლეებიღა მოჩანს. მის უკან დაჟანგული მავთულის ღობეა. ნორა კი ზის მიწაზე და განძრევა აღარ უნდა. იქნებ სიცოცხლე თავისით დასრულდეს, თუ აღარ გაინძრევა. იქნებ ჯობია ასე ჩუმად იჯდეს და უსასრულობაში ჩაიკარგოს. ნორას ამოსუნთქვისაც კი ეშინია და ფრთხილად, უხმაუროდ სუნთქავს. გაშეშებული ზის. ღამდება, მაგრამ ნორა ვერაფერს გრძნობს. ნორა სასწაულს ელოდება. ხომ შეიძლება მის ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოხდეს სასწაული. სასწაული მართლა ხდება, მაგრამ ნორა ისე დაშორებია საკუთარ თავს და სამყაროს, რომ ვეღარაფერს გრძნობს. ნორას წინ ტომი დგას. ტომი ბრაზობს, ნორას რომ ხედავს. ტომი ბედნიერია, ნორას რომ ხედავს. მერე გათოშილი ნორა ტომთან ერთად სადღაც, ქაღალდის ნაფლეთებით სავსე ბინძურ თხრილში წევს. იოტისოდენა სიხარულს ნაღველი სჭარბობს, რადგან სიყვარული, ანუ ამ სულელური სიტყვის მიღმა ნაგულისხმევი რაღაც, ასე მძიმე გასაძლები ყოფილა.

ნორა სასტუმროშია

რატომაა, რომ სულ სხვა ადამიანი ვხდები, როცა ტომი ჩემთანაა? ვამბობ ისეთ რაღაცეებს, ჩემგან რომ არ მოდის? ისეთ რამეებს ვაკეთებ, ჩემგან რომ არ მოდის? სასტუმროს საზიზღარი ოთახი. ცხელა. ტომი ქვევითაა. კურტ კობაინთან ყველაფერი უფრო იოლი იქნებოდა. კურტთან ის ვიქნებოდი, რაც ვარ. ტომთან საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ. მოდელი რომ ვიყო, ალბათ ყველაფერი გაიოლდებოდა. მაშინ არც არავის შეყვარება დამჭირდებოდა, რადგან საინტერესო ცხოვრებით ვიცხოვრებდი. ფაქტი კი ისაა, რომ ტომი მყავს და მის გვერდით დაძაბული ვარ. მაგრამ მარტო ყოფნაც რომ არ შემიძლია? ზოგჯერ მგონია, რომ საკუთარი თავი მძულს და ალბათ ტომსაც შევძულდები. ჭკვიანურსაც ვერაფერს ვამბობ და არც მხიარული ვარ. მხოლოდ აფორიაქებული ვარ. აი, მოდელი რომ ვიყო, ყველაფერი სულერთი იქნებოდა. არც არავისთან დამჭირდებოდა ლაპარაკი. ქვემოთ ტომი მელოდება. ჩემთან ლაპარაკი მოუნდება, მეც ეს მინდა, მაგრამ დავინახავ თუ არა, საკუთარ თავში ვიკეტები და ვშტერდები. მერე კი გუნება მიფუჭდება. ისიც აღარ ვიცი, ტომი მიყვარს თუ არა. აი, კურტი მართლა მიყვარდა. ჩემს ოთახში მისი უამრავი ფოტო მქონდა და ასე მეგონა, ერთად ვცხოვრობდით. მასთან ლაპარაკიც კი შემეძლო. შეიძლებოდა ბევრი გვეცინა. ახლა კი ის მკვდარია. კურტმა თავი რომ მოიკლა, მეც აღარ მინდოდა სიცოცხლე. ახლა ქვემოთ ჩავდივარ, ტომთან. არ ვიცი, იგი მიყვარს თუ არა. საერთოდ არ ვიცი, რა ხდება.

ნორა აფორიაქებულია

ნორა მიხვდა: რაღაც ისეთი ხდება, რაზეც თვითონ გავლენას ვეღარ მოახდენს. დადგა ის მომენტი, რასაც ელოდა, კაცმა რომ თქვას, თავიდანვე ელოდა. რაც ტომი შეუყვარდა, იმ დღიდანვე ხდებოდა რაღაც, რაზეც თვითონ გავლენას ვეღარ ახდენდა. ყველაფერი გართულდა, თუმცა ნორა იმასაც ამჩნევდა, რომ თვითონ გაუჭირდა და საკუთარ თავს ვერაფერს შველოდა. ისეთ რაღაცეებს ამბობდა, რაც სუ-

ლაც არ უნდოდა ეთქვა. თითქოს ვიღაც სხვა მოქმედებდა და არა თვითონ. მხოლოდ ის უნდოდა, სასურველი ყოფილიყო და ტომს ჰყვარებოდა, მაგრამ რაც აქედან გამოვიდა, მეტისმეტად რთული გამოდგა და ნორა ამ სიმძიმეს ვეღარ უმკლავდებოდა. რაც უფრო რთულდებოდა სიტუაცია, მით უფრო უჭირდა თავისთვის ეშველა. რაღაც ხდებოდა. ნორა ვერ ხვდებოდა, რა, მაგრამ იმას კი ხედავდა, რომ ტომი ხელიდან უსხლტებოდა. კარგახანია ხელიდან უსხლტებოდა. ახლა კი საბოლოოდ დაუსხლტა ხელიდან, რადგან გამოჩნდა ქალი, რომელსაც ჰქონდა ყველაფერი ის, რაც ნორას არ გააჩნდა და ნორას არაფრის შეცვლა არ შეეძლო. შტერივით იჯდა ტომსა და ბეტინას გვერდით და ვერაფერს ხდებოდა.

ნორა დგება და ამბობს, ცოტახანით გარეთ გავალო. O.K. ეუბნება ტომი და ნორა ფიქრობს, თქვენც ეს გინდათო. შემდეგ ოთახიდან გარბის. გარბის საკუთარ სხეულში ჩაბუდებული ბრაზისა და უმწეობის შესახვედრად. რაღაც უნდა ვიღონოო, ფიქრობს. ფეხს უჩქარებს, მერე ჩერდება, სახეს იკაწრავს, სხეულს კბილებით ისისხლიანებს, ჩერდება, ცრემლები მოსდის და სახლში ატირებული ბრუნდება. რაღაცას ჰყვება ვიღაც უცხო მამაკაცზე და ფიქრობს, ხედავ ტომ, რა ჩაიდინე, ნუთუ სინდისი არ გქენჯნისო? ტომს მართლა აწუხებს სინდისი, ბეტინა კი ნორას ეკითხება, ვინ კაცზე ლაპარაკობო. ნორაც რაღაცას მიედ-მოედება და ხედავს, რომ ტომსა და ბეტინას მისი არ სჯერათ. ნორა წვება. სამზარეულოდან ბეტინას სიცილი ესმის.

ნორა მარტოა

ისინი გაემგზავრნენ. ვიცი, ტომი ბეტინასთან დარჩება. იცხოვრებენ ერთად, სადმე დაწყევლილ სახლში. ალბათ შვილებიც ეყოლებათ და სხვა ამგვარი სისულელეები. უკვე საღამოა. არ ვიცი, როდის დაბრუნდებიან. 9 სრულდება. ტომი ბეტინასთან ერთად წავიდა და მარტო დამტოვა. სახლში ჩემი გულის ძგერა ისმის. გული ერთადერთი რამ არის, რაც ჩემში ჯერ კიდევ ფეთქავს. მხოლოდ იმას ვუცდი, როდის დაბრუნდებიან და მეტყვიან, რა ხდება. იქნებ ტომი მასთან ერთად სულაც არ წასულა. შეიძლება დაბრუნდნენ და ტომი რომ ნახავს, რა ცუდ გუნებაზე ვარ, დავქორწინდეთო, მეტყვის. მერე აქედან წავალთ და ბევრსაც ვიცინებთ. მერე დავქორწინდებით, ჯვარს ვენეციაში დავიწერთ და ყველაფერი კარგად იქნება. ეს მერე მოხდება, მაგრამ ძალიან ნელა.

ისინი ჯერ არ დაბრუნებულან. იქნებ სწორედ ამ წუთებში სადღაც ტკბებიან სიყვარულით, სადმე ცხელი წყაროს ან რაღაც ამდაგვარის ახლოს. ვიცი, რომ ტომთან ბედნიერი არ ვარ, მაგრამ ბედნიერი მის გარეშეც ვერ ვიქნები, მის გარეშე უბედური ვარ, მარტო ვარ. ეს კი მართლაც მეტისმეტია.

ნორა ფანჯარაში იყურება

ნორა ფანჯარასთან იჯდა. დრო მძიმედ მიიზლაზნებოდა და მხოლოდ თორმეტ საათზე მიხვდა, ის ორი, ტომი და ნორას უახლოესი მეგობარი, აღარ მოვიდოდნენ. ნორა, ანუ ის საგანი, რომელსაც ოდესღაც ნორა ერქვა, აცახცახდა. მთელი ტანით ცახცახებდა და იცოდა, რამე უნდა ეღონა, თორემ ასე თუ იჯდებოდა, ცახცახი ბომბივით გასკდებოდა, ჯერ გულს დაუფლეთდა და მერე მთელ სხეულს აუფეთქებდა. და აი, საგანი დაიძრა. ყოველი კუნთი დაჭიმული აქვს, რომ ცახცახს კონტროლი გაუწიოს და ხელიდან არ დაუსხლტეს ის საგანი, რომელსაც ოდესღაც ნორა ერქვა, მთელ სახლში დაძრწის და ისეთ ინსტრუმენტს დაეძებს, ცახცახში ჩამალულ ტკივილზე უფრო ბასრი რომ იქნება. ასეთი საგანი მთელ სახლში რომ დაძრწის, ეს ამბავი კარგად არ დამთავრდება. იმაზე იოლი არაფერია, ყველაფერი ნორას გადაღლას დაბრალდეს და ალბათ ასეც იქნება.

სარდაფში რაღაცას მიაგნო, დიდ კანისტრას, მძიმეს, ბენზინით სავსეს. კანისტრა სამზარეულოში ამოათრია, ხუფი მოხადა და იატაკზე მოაპირქვავა. აი ნახავთ, ფიქრობს საგანი, ბედნიერებას ვერ ეღირსებით, მე კი იმდენს ვიცინებ, მოვკვდები სიცილითა. იატაკზე, სადღაც კუთხეში ჩავჯდები და მოვკვდები სიცილითა. კანისტრა დაიცალა. ნორა იატაკზე ჩაჯდა და ერთხელ კიდევ ჩაიხედა გულში, შიში ხომ არსად იმალება, სინანული არ მოერიოს, როცა უკვე გვიან იქნებაო. შიშს ვერსად მიაგნო.

ასანთის კოლოფიდან მშვიდად ამოიღო ერთი ღერი და ნელა გაჰკრა.

ბენზინმა ელვისსისწრაფით იფეთქა და ყრუ, ავი შხუილით ააალდა. ოთახი რამდენიმე წამში ცეცხლში გაეხვია. ნორა დაიკლაკნა. ჟანგბადი ერთ ჩასუნთქვაზე გამოელია და ფილტვებში ახლა გავარვარებული მასა ჩასდიოდა. სასუნთქ მილებში პირდაპირ ცეცხლი მიედინებოდა, მაგრამ ნორას გონება არ დაუკარგავს. ვაი რომ არ დაუკარგავს. ალი ტანსაცმელს მოედო. ხელოვნური ქსოვილი კანში ჩაადნა და ჩაეწება. თმა ერთ წამში დაეფერფლა. ხორცი სანთელივით წვეთ-წვეთად იღვენთებოდა. თითოეული წვეთი საზარელი ტკივილით სწყდებოდა სხეულს. ნორამ მკლავზე დაიხედა. ხორცის შავ ნაფლეთებს ქვეშ შიშინით იწვოდა ძვლები და მაშხალასავით ნაპერწკლებს ისროდა. ალმა მერე თვალები ამოუშანთა. თვალები სუსტი ტკაცანით დაიშრიტა, მაგრამ ნორა უკვე ვეღარ აზროვნებდა. ტკივილისგან არც დაუყვირია, რადგან ტუჩები აღარ ჰქონდა. ტკივილი მხოლოდ მაშინ გაქრა, როცა ალმა მუცლის კანი შთანთქა და შიგნეულს მისწვდა. ნორას აღარ უგრძვნია, ცეცხლმა ნაწლავები როგორ ჩაუხარშა.

ბეტინამ და ტომმა სატვირთო მანქანა დაინახეს

ტომს გამოეღვიძა და იგრძნო, როგორ აწუხებდა ზურგზე მჭიდროდ მოკრული ქალის შიშველი სხეული. უცებ აფორიაქდა და შიშველი ქალი გააღვიძა. მისმინე, ვერ ვისვენებ, შენი სახლის ტელეფონის ნომერი მითხარი, ნორას უნდა დავურეკო. ბეტინას უკმაყოფილება არ დაუფარავს, ისე უკარნახა ნომერი. ტომმა დარეკა, მაგრამ, ცხადია, ტელეფონთან არავინ მოსულა. ტომი განერვიულდა და დაიჟინა, უკან უნდა დავბრუნდეთო. ბეტინას სულაც არ უნდოდა შინ დაბრუნება, მაგრამ ტომმა უთხრა, თუ არ წამოხვალ, ტაქსის ავიყვან, მოკლედ, რაღაცას მოვახერხებო, და ბეტინაც აღარ გაჯიუტებულა, მიხვდა რაღაც ისე არ იყო, რო-

გორც თვითონ ეგონა. და აი, ისინი უკვე მანქანაში სხედან, შუაღამისას, დაქანცულები და თავთავიანთ ფიქრებში გართულნი, ოღონდ იმ ფიქრებს მშვენიერი სულაც არ ეთქმის. ტომი სწრაფად მიდიოდა. უკუნეთი იდგა, ტომი კი მანქანას მიაქროლებდა, ბეტინას ცოტა შეეშინდა კიდეც. მერე, როგორც იქნა, გამოაღწიეს მიხვეულ-მოხვეული ქუჩებიდან და ავტობანზე გავიდნენ. ტომმა კიდევ უფრო უმატა სიჩქარეს, რადგან, საბედნიეროდ, ავტობანი ცარიელი იყო. ბეტინა ფიქრობდა, ერთი მამაკაცი არ მეგულება, მე რომ ვუნდოდეო. ალბათ ძალიან უშნო ვარო. მერე გაიფიქრა, იქნებ უკეთესიც არის, არავის რომ არ მოვწონვარ, კარიერაზე უფრო სერიოზულად ვიფიქრებო. ტომი ცარიელ ავტობანზე მიქროდა. ნუთუ ბედნიერება იმ პატარა, გალეულ გოგოსთან იპოვაო, ფიქრობდა ბეტინა. ტომს მიზანი გაუჩნდება ცხოვრებაში და ეტყობა, ეს საკმარისია, კმაყოფილი იყოო. ტომს ჰყავდა ვიღაც, ვისაც იგი სჭირდებოდა, მე კი ვინმეს თუ ვჭირდებიო, საკუთარ თავს ჩაეკითხა ბეტინა, მაგრამ ვერავინ გაიხსენა. მერე კი, უბრად გატარებული ერთი საათის შემდეგ, გამოცოცხლდა. ფიქრობდა, კარგად ვარ და ცხოვრებაში კიდევ ბევრ სიკეთეს მოვესწრებიო. ისიც გაიფიქრა, ალბათ იტალიაში კიდევ მეტხანს დავრჩებიო და წარმოიდგინა, რა კარგი იქნებოდა იტალიაში დარჩენა. ფიქრებში ზღვასაც შეავლო თვალი, ერთხელ კიდევ წარმოიდგინა, წინ რამდენი სასიამოვნო წუთი ელოდა და თავი ბედნიერად იგრძნო. ტომი კი ღამეში მიქროდა. ღელავდა და ნორასთან შეხვედრა უხაროდა. ყველაფერს ეტყოდა, რასაც ფიქრობდა, ეტყოდა, რომ უყვარდა, მის გარეშე ცხოვრება რომ ვერ წარმოედგინა, ცოლად რომ უნდა შეერთო. სამსახურს იშოვიდა, იტალიურს ისწავლიდა, ნორაც ისწავლიდა რამეს და სულ ერთად იქნებოდნენ, რადგან ამქვეყნად ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილები. ტომმა ამ დროს მოუხვია და თავის ზოლზე უზარმაზარი სატვირთო მანქანა დაინახა. იგი გზაზე ეგდო და ისე იწვოდა, თითქოს აქამდე ამის მეტი არაფერი ეკეთებინა. ტომმა ეს შენიშნა, მაგრამ ეტყობა, ძალიან გვიან შენიშნა.

ტომის თავი მეხანძრეებმა გზიდან კარგა მოშორებით იპოვეს. თმა ჯერ კიდევ კოხტად ადგა, ოღონდ თვალები ჰქონდა არაბუნებრივად დაჭყეტილი, ყელზე კი მავთულებივით გამოსჩროდა მყესები და ძარღვები. ბეტინა მანქანიდან შემდუღებელი აპარატით ამოჭრეს, იგი ლითონის ძელს წელზემოთ გადაეჭრა. შინაგანი ორგანოები კალთაში ისე ეწყო, სხეულს არც იყო მოცილებული. თავში რკინის ნატეხი ჩარჭობოდა, რომელიც საბედნიეროდ ტვინს არ ეხებოდა და ბეტინას რამდენიმე საათი ჰქონდა დარჩენილი, რათა სასიკვდილოდ შემზადებულიყო.

გერმანულიდან თარგმნა
დალი ფანჯიკიძემ

ლევან ბრეგაძის ნოველა

ყოველთვის მომწონდა ლევან ბრეგაძის კრიტიკული სტატიები თუ ლიტერატურული ნარკვევები და თითქმის არასოდეს გამომრჩენია. ძალიან გამეხარდა, როდესაც ჩემი ვაჟისაგან გავიგე, რომ მისი ლექტორი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე საგამომცემლო-სარედაქციო განხრით, ბატონი ლევანი ყოფილა, ყველა სტუდენტისათვის უსაყვარლესი პედაგოგი. ჩემი ვაჟი მისი ქებით აღარ იყო და მსიამოვნებდა, რომ ეს პიროვნება ჩემით უკვე მყავდა აღმოჩენილი.

პირადადაც მინდოდა გამოვცნაურებოდი, როდესაც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასთან შეხვედრასა და უცხოური ეპიგრამების წარდგინებას დავესწარი, მაგრამ რატომღაც დამეუხერხულა და უკეთესი დროისათვის გადავდე. მერე კი ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რა იქნებოდა მივსულიყავი და მეთქვა, რომ ეს პანია წიგნიც ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გამოცემაა და საერთოდაც მისი ერთგული მკითხველი ვარ.

რამდენჯერმე დავაპირე თქვენი რედაქციისთვისაც მომეწერა, რაკიღა ბატონი ლევანი თქვენს წრეში ტრიალებს, მაგრამ აუხსნელი რიდი მაჩერებდა. ახლა კი ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მე-18 ნომერში მისი „უბის წიგნაკის“ ჩანაწერებმა, ბარემ აღარ გადავდებ.

ეს ჟანრი საერთოდაც მიყვარს და ძალიან მიხარია, რომ ჩვენს ლიტერატურაშიც მკაფიოდაა გამოკვეთილი (სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილის ცოტა ხნის წინათ გამოცემული „უბის წიგნაკები“ სასთუმალთან მიდევს ამ გამოთქმის პირდაპირი და სიმბოლური მნიშვნელობითაც), ბატონ ლევანსაც საკმაოდ ემარჯვება, მაგრამ ამჟამად განსაკუთრებით გამიტაცა მისტიკურმა ეტიუდმა „გოეთეს დაბედება“, რომელიც მიმაჩნია კლასიკურ ნოველად თავისი აღნაგობითაც და მოულოდნელი, ეფექტური ფინალითაც.

თურმე როგორ გადაჯაჭვია გოეთეს სახელი და ლანდი ლევან ბრეგაძის ბიოგრაფიას და როგორ განუსაზღვრავს მისი ცხოვრების გეზიც და თანმიმდევრობაც! იმ გოეთეს, ვინც დაბადებიდანვე დაებედა ბატონ ლევანს, მას შემდეგ, რაც მამამისს გოეთეს ლექსების ქართული გამოცემა მაინცდამაინც იმ ქალაქში, იმ წელსა და იმ დღეს უყიდია და შესაფერისი წარწერითაც შემოუნახავს, სადაც და როდისაც ეს ჩვენი საყვარელი ლიტერატორი მოვლენია ამ ქვეყანას.

იქიდან გამოჰყვებოდა ეს ლანდი მის ცხოვრებას და წრე მართლაც მისტიკურად მაშინ შეიკვროდა, როდესაც თეიმურაზ დოიაშვილი თავის მეგობარსა და თანაავტორს დაბადების 60 წლისთავს მაინცდამაინც გოეთეს ლექსით მიულოცავდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან.

სხვათა შორის, ძალიან ამაღელვა ფოტოსურათმა, რომელზეც მამა-შვილი ერთადაა აღბეჭდილი გოეთეს დაბედებიდან წლინახევრის შემდეგ.

ბევრი არაფერი მომწონებია ისე, როგორც ამ ტყიბულელი გეოლოგისა და ბიბლიოფილის სოლომონ ბრეგაძის მემუარულმა ჩანაწერებმა მომხიბლა, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ გამოაქვეყნა ბატონმა ლევანმა მამის არქივიდან ჟურნალ „საგურამოს“ ფურცლებზე (2003 №5).

მიხარია, რომ ამის თქმის საშუალება მომეცა.

სულ ველოდი, რომ ვიღაც აუცილებლად გამოეხმაურებოდა მოწონებით იმ პუბლიკაციას, მაგრამ რატომღაც გამოეპარა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას.

ეს მისტიკური ეტიუდი მაინც ნუღარ დარჩება შეუფასებელი კრიტიკის მიერ.

თეიმო ჩიტაძე
ყელქცეული

ნობელის ნაცვლად – ოსკარი

1977 წელს უკვე ცხადი შეიქნა, რომ ეგვიპტის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა საბოლოოდ აქცია ზურგი საბჭოეთს და დასავლეთისკენ იბრუნა პირი.

დაავიწყდათ უამრავი ამაგი და სიკეთე, მოსკოვიდან რომ დააბერტყეს... დაავიწყდათ ასუანის კაშხალი, დაავიწყდათ პირამიდების გარემონტება, დაავიწყდათ ნილოსის ჭაობების ამოშრობა... დაავიწყდათ რუსული პური და რძე, ხიზილალა და არაყი, მწვადი და პელმენი, ტელევიზორები და მაგნიტოფონები, მუზარადები და ჩექმები – ყველაფერი მუქთად რომ იყო; როცა ფული გექნებათ, მაშინ გადაგვიხადეთო.

დაავიწყდათ ძლევამოსილი თვითმფრინავები და ტანკები. ისიც დაავიწყდათ, ტანკის სანათურს რომ გააღებდნენ და გაოცებისგან პირს აღებდნენ: მძღოლი სადღაა? შეიარაღებას არა კმარობდნენ, საზარბაზნე ხორციც რუსული ნებავდათ!

ყველაფერი იაფად, ნისიად, მუქთად...

დაავიწყდათ უანგარო მხარდაჭერა ომსა თუ მშვიდობაში. დაავიწყდათ პუშკინი და ტოლსტოი. დაავიწყდათ, ძმობა რომ შეჰფიცეს კრემლს. ისიც დაავიწყდათ, პირამიდების ჩეროში რუსულ ენას რომ სწავლობდა დიდი და პატარა.

გოლდა მეირი

ცხონებულმა ხრუშჩოვმა ეგვიპტის პირველ პრეზიდენტს, გამალ აბდელ ნასერს, თავის დროზე ჰიტლერს რომ ეკეკლუცებოდა, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. საბჭოთა სანატორიუმების კარი მუდამ ღია იყო ნასერისა და სადათისათვის. იალტა და სოჩა (საქართველოსგან მიტაცებული სოჭი!), კისლოვოდსკი და წყალტუბო გულთბილად ეგებებოდნენ და ფიანდაზად ეგებოდნენ ნასერსაც და მის უღირს მემკვიდრესაც, სადათი რომ ერქვა. არ დაუფასდათ!

საბჭოთა დიპლომატიის ფლაგმანად შერაცხული ანდრეი გრომიკო, საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო შევარდნაძემდე, თავის მემუარებში წერს: „სადათს ეძახდნენ „წყვდიადს ეგვიპტის ქვეყანაში“ [ბიბლიური ალუზია]... სადათს, მთელი თავისი სიცოცხლე, განდიდების მანია სჭირდა, მაგრამ როდესაც პრეზიდენტი გახდა, ამ სნეულებამ პათოლოგიური სახე მიიღო“.

ასე ტრაგიკულად განიცადეს მოსკოვში ისრაელ-ეგვიპტის შერიგება-მორიგება.

1977 წლის 20 ნოემბერს პრეზიდენტ სადათის თვითმფრინავი დაეშვა თელ-ავივის აეროპორტში. სასწრაფოდ მიადგეს ტრაპი და ცოტა ხნის შემდეგ თელ-ავივის რადიოს რეპორტიორმა მიკროფონში ჩასძახა: „აი, ახლა კი პრეზიდენტმა სადათმა ჩამოუარა ისრაელის მხედართა საპატიო ყარაულს. ამას ჩემი თვალით ვხედავ, მაგრამ რა ვქნა, არ ძალმიძს დავიჯერო!“

გრომიკოს ბიბლიური მოთქმა-გოდება და ებრაელი რეპორტიორის პათეტიკური გაოცება ახლოსაც ვერ მივა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მართლაც რომ რკინასავით ქალბატონის, გოლდა მეირის მიერ წარმოთქმულ სიტყვებთან.

ყოფილმა პრემიერმა, ებრაელი რეპორტიორისა არ იყოს, თავისი თვალით იხილა, როგორ გადაეხვივნენ და ჩაეპროშტნენ ერთმანეთს ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ სადათი და ისრაელის მოქმედი პრემიერ-მინისტრი მენაჰიმ ბეგინი, რომელნიც წარდგენილ იყვნენ სანატრელ ნობელის პრემიაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის (და მიიღეს კიდეც). გოლდა მეირმა თავისი თვალით რომ იხილა არნახული სურათი, აღტაცებით წამოიძახა: „რის ნობელი, რა ნობელი! ორივეს ახლავე მიეცით თითო ოსკარი!“

აი, იუმორიც ამასა ჰქვია. ამგვარ შედეგს, ებრაელის გარდა, ალბათ დამეთანხმებით, ამქვეყნად მარტო ქართველი თუ იტყოდა...

ტეხასელი მსროლელი

„ვოროშილოველი მსროლელი“ – ასე ჰქვია სტანისლავ გოვორუხინის ფილმს. მარშალ ვოროშილოვის სახელი ნუ შეგაცბუნებთ! ჯერ – ერთი, წითელი ჭირი, განსხვავებით შავი ჭირისგან, გადამდები როდია და მეორეც, რაც მთავარია, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი (ანუ მინისტრი) სწორედ ვოროშილოვი ბრძანდებოდა და მისი სახელობის ტიტული ამიტომაც ენიჭებოდათ მარჯვე მსროლელებს. ასე რომ, აღნიშნული გამოთქმა თამამად შეიძლება შევცვალოთ ნებისმიერი ანალოგიით; ვთქვათ, ვუწოდოთ „სროლის გროსმაისტერი“, ან „სპორტის დამსახურებული ოსტატი სროლაში“ ანდა, ბოლოს და ბოლოს, „ტეხასელი მსროლელი“.

ეს უკანასკნელი ტიტული მართლაც ზედგამოჭრილი იქნებოდა, ვინაიდან მთელი დედამიწის ზურგზე ტეხასელებს ვერავინ გაუტოლდება სროლაში. ხუმრობა საქმეა, დღისით – მზისით, შუა ქალაქში (დალასი რომ ჰქვია), ათასობით მაყურებლის თვალწინ, ერთი გასროლით შუბლგახვრეტილი გააგორო შენივე ქვეყნის პრეზიდენტი და მერე როგორი პრეზიდენტი! – ახოვანი, თავადაც ლამაზი და კიდევ უფრო ლამაზი ცოლის პატრონი, ჭკვიანი, მდიდარი, ახალგაზრდა, სულ რაღაც ორმოცდაექვსი წლისა...

კიდევ რამდენჯერ მოასწრებდა პრეზიდენტობას მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ!

ახლა საბჭოთა კავშირი აიღეთ, დალოცვილ ამერიკას რომ ებაზრებოდა. ერთ მშვენიერ დღეს გადისიდენტებულმა საბჭოთა ოფიცერმა (საბჭოთა ოფიცერმა-მეთქი!) მოსკოვში, კრემლის შორიახლოს, მთავრობის კორტეჟის გავლისას, ერთ მანქანაში მჯდომ ბრეჟნევს შუბლში დაუმიზნა და მეორე მანქანაში მჯდომ კოსმონავტ პეტროვს თუ სიდოროვს გაუკაწრა ფრჩხილი.

აბა თავად განსაჯეთ, ვინ უფრო მაგ-გ-გ-არი ყოფილა – ტეხასელი სნაიპერი თუ ვოროშილოველი მსროლელი.



მიხაილ ულიანოვი

რაც შეეხება გოვორუხინის ფილმს, მისი მთავარი გმირი გახლავთ მეორე მსოფლიო ომის (რუსები დიდ სამამულო ომს რომ ეძახიან) ვეტერანი, რომელიც ზრდის თავის შვილიშვილს, თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის გოგონას.

ვეტერანის როლს საუცხოოდ ასრულებს მიხეილ ულიანოვი, რომელმაც სახელი გაითქვა მარშალ ჟუკოვისა და მიტია კარამაზოვის როლებით.

ფილმის სიუჟეტი საკმაოდ მარტივია. ვეტერანის შვილიშვილს, უმანკო და უწყინარ არსებას, მისი თანაკლასელი ვაჟი, მცხოვრები მეზობელ კორპუსში, შინ შეიტყუებს და თავის ორ ძმაკაცთან ერთად ნამუსს ახდის.

როგორც მოსალოდნელი იყო, არც მილიცია-პოლიცია, არც პროკურატურა და არც სხვა არავინ არ ესარჩლება დაზარალებულს; მით უმეტეს, რომ იმ თანაკლასელის მამა მილიციის (თუ უშიშროების?) პოლკოვნიკი ყოფილა და მისთვის ამ საქმის ჩაფარცხვა ერთი გადაფურთხებაა.

ომის ვეტერანი სამართალდამცავებთან ვერ პოულობს სამართალს და გადაწყვეტს, რომ საკუთარი ხელით გაუსწორდეს აღვირახსნილ ნაძირალებს. რაღაც მანქანებით შოულობს საჭირო ფულს და ყიდულობს სათანადო იარაღს (სწორედ იარაღის გამყიდველი ყმაწვილი ეუბნება, ვოროშილოველი მსროლელი ყოფილხარო, როდესაც ვეტერანი იარაღის გასინჯვისას ტყვიას ტყვიაში აჯენს).

მერე იწყება, რაც იწყება. ისეთი ნადირობა ჩაღდება, რომ თავი მართლა ტეხასში გეგონება!

პირველივე ნაძირალას საკადრისად სჯის. კბილი კბილისა წილ – როგორც ოდესღაც თქმულა. ვეტერანი ერთი გასროლით ასაჭურისებს კოხტა ახალგაზრდას; მეორე მსხვერპლი ხდება ავტომანქანის მფლობელი დარდიმანდი. ვეტერანის ტყვია უფეთქებს ბენზობაკს, ცეცხლი ეკიდება მანქანასაც და მანქანის პატრონის ვაჟკაცობის სიმბოლოსაც. ვეტერანი ავკაცებს არა ჰკლავს (არა კაც-ჰკლა!), მხოლოდ ასახიჩრებს! რის ვოროშილოვი, რომელი ვოროშილოვი?! სიმართლე თუ გნებავთ, ნაღდად ტეხასელი მსროლელია!

ბოლოს პოლკოვნიკის ვაჟის ჯერიც დგება. მზრუნველი მამა, რასაკვირველია, ყველაფერს ხვდება, მაგრამ საბუთი ვერ მოუგდია ხელთ და მხოლოდ ემუქრება ვეტერანს, ჩემს შვილს ავი თუ შეემთხვა, იცოდე, დედას გიტირებო. უკვე შეემთხვაო, ორაზროვნად მიუგებს ომის ვეტერანი. შეძრწუნებული პოლკოვნიკი გარბის შინისაკენ, ამაოდ აბრახუნებს კარზე, გასაღებად ტყვიას უშენს, მერე შეამტვრევს და ცხელ ტყვიას იმსახურებს შვილისგან, რომელიც პანიკას შეუპყრია და ჭკუიდანაც შერყეულა.

ერთობ უცნაური და უჩვეულო ფილმია. ამგვარი კოლიზიები ადრე დასავლურ ფილმებში თუ გვინახავს. გოვორუხინს ეს რომ გადაეღო ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვაი, როგორ შეაჩვენებდნენ! ვაი, როგორ გათათხავდნენ! (თუკი სასწაულად მოახერხებდა გადაღებას...) რაო, კაპიტალიზმის წყლულები ჩვენში აღმოაჩინეთო? რაო, საბჭოთა ადამიანები მრუდე სარკეში დაინახეთო? რაო, ლინჩის წესის დანერგვა გნებავთო? დიდი სამამულო ომის ვეტერანი ტერორისტად გამოგყავთო? საბჭოთა მილიციას და მართლმსაჯულებას ჩირქსა სცხებთო? საბჭოთა ახალგაზრდობას შავბნელი ფერებით ხატავთო? და ა.შ.

მაგრამ ახლა, ღვთის წყალობით, უკვე სხვა დროა და გოვორუხინმა, ჩანს, თავის აუტკივრად გადაიღო ეს ფილმი. თქვენ კი ამბობთ, ამქვეყნად არაფერი შეცვლილაო...

ქრონიკა

მშვენიერი ფოტოგამოფენა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში რომ გაიმართა, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟიშვილის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 160 წლის იუბილეს მიეძღვნა.

აფხაზ მთავართა საგვარეულო შტოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი თავისი დროის ღირსეული მოღვაწე იყო, ჭეშმარიტი მამულიშვილი, გამჭრიახი და გონიერი ადამიანი ყოველთვის გვერდით რომ ედგა ქართველ თანამოძმეებს რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებაში.

„როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოჰკვება“ — უთქვამს გერონტი ქიქოძეს. ამ საგულისხმო და მეტაფორულ ფრაზაში ორი ერის ტრადიციების თანაზიარობაც აირეკლება.

გამოფენა კი კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა დამთვალიერებელს, რომ აფხაზებსა და ქართველებს საერთო ფესვები გაგვაჩნია.

ექსპოზიცია გამოშუქება გახლავთ დარბაისელი ადამიანებისა წარსულიდან. აქ თვალსაჩინოვდება წინაპართა კოლორიტი, რომლითაც უფლება გენიჭება იამაყო...

ამ მშვენიერი ღონისძიების გამართვისათვის ტრადიციული გულითადობით იზრუნეს მუზეუმის საექსპოზიციო განყოფილების გამგემ ნატო სეიდიშვილმა და მისმა თანამშრომლებმა: მარინე ირემაშვილმა, ლიკა დროიძემ, ნათელა გაგნიძემ, ცირა კაპანაძემ, ფოტოგრაფმა მირიან კილაძემ.

გამოფენის ორგანიზებას კურირებდა თეა თვალავაძე.